

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

ფილოსოფიის ინსტიტუტი

ა. ტიშინტია

# ყოფნა და სვალებადობა



„მეცნიერება“  
თბილისი

1989

ავტორი ამ შრომით იწყებს მის მიერ ჩაფიქრებული სამყაროს ფილოსოფიური სურათის სისტემატურ გადმოცემას. წინამდებარე მონოგრაფია ამ სურათის ერთი ნაწილია და ეხება უნივერსუმის ორი ფუნდამენტური ნიშან-თვისების — ყოფნისა და ცვალებადობის ურთიერთობის საკითხს.

სამყაროს მარადიული ცვალებადობის პრობლემა მუდამ იყო და დღესაც არის ადამიანის მრავალმხრივი ინტერესის ობიექტი.

ავტორის აზრით, ყოფნის ფუნდამენტური ატრიბუტით პირობადებულია სამყაროს ამგვარად მანიფესტაციის ფაქტი, მისი ტენდენცია და სტრუქტურა. ავტორი მიზნად ისახავს აჩვენოს ცვალებადობის ფენომენის როლი და ადგილი უნივერსუმის ამ საერთო ტენდენციასა და სტრუქტურაში.

წიგნი, ალბათ, სასარგებლო იქნება ფილოსოფიის პრობლემებით დაინტერესებული მკითხველისათვის.

რედაქტორი ფილოსოფიის მეცნ. დოქტორი გ. ცინცაძე

რეცენზენტები:

ფილოსოფიის მეცნ. კანდიდატი მ. ბაქანიძე

ფილოსოფიის მეცნ. კანდიდატი

გ- შუ შ ა ნ ა შ ვ ი ლ ი

ვეძღვნი მელიტონ (კუგული)  
მისეილის ძე დანელიას ნათელ  
სსოენას.

## წ ი ნ ა თ ქ მ ა

შრომა ეხება ფილოსოფიის ერთ-ერთ უძველეს — ყოფნისა და ცვა-  
ლებადობის ურთიერთობის — პრობლემას. რა საჭიროა ვილაპარაკოთ  
ისეთ საკითხზე, რომელიც 25 საუკუნის წინათ იყო ცნობილი? — შეიძ-  
ლება იკითხოს მკითხველმა და, იგი, თუ მთლიანად არა, ნაწილობრივ,  
უეჭველად, მართალი იქნება: უნივერსუმის ამ ორი ფუნდამენტური  
ატრიბუტის ურთიერთობის პრობლემა, მართლაც, ფილოსოფიის უძვე-  
ლესი პრობლემაა, მაგრამ მუდამ აქტუალური. პრობლემათა კვლევა-  
ძიებას და ქეშმარიტებათა დადგენას ფილოსოფიაში თავისი გამორჩე-  
ული სპეციფიკა გააჩნია. ფილოსოფიაში, ამბობს სადღაც გოეთე, ქეშ-  
მარიტება დიდი ხანია აღმოჩენილია და საჭიროა მხოლოდ დაეიჭიროთ  
ეს „ძველი ქეშმარიტება“. მაგრამ დიდი გერმანელის ეს გამოთქმა ისე  
არ უნდა გავიგოთ, რომ ფილოსოფოსები თითქოს ერთხელ ნათქვამს  
იმეორებდნენ. ბაირონისა და ვალაკტიონის მერი — სიმღერაა დამ-  
სხვრეულ სიყვარულზე, მაგრამ სხვადასხვანაირი. ფილოსოფია ამ  
პუნქტში ეთანადება ხელოვნებას. ავტორი მხოლოდ არ იმეორებს იმას,  
რაც უკვე ითქვა, ის თავისებურად „იკერს“ ძველ ქეშმარიტებას.

მაინც რა არის ამ შრომის სპეციფიკა, რომელიც მის ავტორს აძლევს  
გამბედაობას, ამ უძველესი და ურთულესი პრობლემის შესახებ, მკი-  
თხველის წინაშე წინამდებარე მონოგრაფიით წარსდგეს? არ შეიძლება  
ორიოდე სიტყვა არ ითქვას იმ პოზიციის შესახებ, რომელზედაც ავტო-  
რი დგას და რომელიც მის ამოსავალ წერტილს წარმოადგენს.

ფილოსოფია არის მოძღვრება სამყაროს ფუნდამენტური ატრიბუ-  
ტისა და მით პირობადებული უნივერსუმის ტენდენციის განხორციე-  
ლების გზების შესახებ. ყოველი ფუნდამენტური ნიშან-თვისება, რო-  
მელიც ახასიათებს სამყაროს, მისი ძირეული ტენდენციის პლანში უნდა  
იქნეს განხილული. რაიმე ნიშან-თვისება ან მახასიათებელი, რომელიც  
არ მიესადაგება ქვეყნიერების მთავარ „სტრატეგიას“ და არ არის მას-

თან ორგანულ ერთიანობაში, თავის ადგილს ამ სამყაროში ვერ დაისა-  
კუთრებს. აქ არ არსებობს გამონაკლისი. ცვალებადობის ფენომენმაც,  
ცხადია, ეს მოთხოვნა უნდა დააკმაყოფილოს. რაში მდგომარეობს სამ-  
ყაროს ფუნდამენტური ტენდენცია, რომელსაც თავისი შინაგანი ბუნე-  
ბით და, მაშასადამე, დანიშნულებით, უნდა შეესატყვისებოდეს ცვალე-  
ბადობის ფენომენი? უნივერსუმი არ არის არსებულთა შემთხვევითი  
კონგლომერატი; მას სრულიად გარკვეული ნიშან-თვისებები გააჩნია;  
მასში რაღაც ხორციელდება და, მაშასადამე, განსაზღვრულ ტენდენ-  
ციას ამჟღავნებს. ყველაფერი ეს მისი საკუთარი, შინაგანი ბუნების  
ქონაზე მიანიშნებს. რა არის ეს შინაგანი და არსებითი, რომელიც დღე-  
ნიადაგ მოქმედებს უნივერსუმში და რომლის გამოვლენასაც ეს ტენ-  
დენცია წარმოადგენს? სამყაროს ამ შინაგან, თუ შეიძლება ითქვას,  
მამოძრავებელ ზამბარას წარმოადგენს მისი ფუნდამენტური ატრიბუ-  
ტი — ყოფნა. უკანასკნელი ის დინამიური საფუძველია, რომლის ნია-  
დაგზე და საიდანაც დასაბამს იღებს ყველაფერი დაწყებული უმცირე-  
სითა და უმარტივესით, დამთავრებული უდიდესითა და ურთულესით.  
როგორ და რა სახით არსებობს სამყაროს ეს „შინაგნობა“ და რა მექა-  
ნიზმის წყალობით არის იგი ქვეყნიერების ამგვარად მანიფესტაციის  
დინამიური საფუძველი? ამ კითხვაზე პასუხი, არსებითად, მთელი ფი-  
ლოსოფიური კონცეფციის გადმოცემას ნიშნავს, რაც, რა თქმა უნდა,  
აქ, ამ შრომაში, შეუძლებელია. ამჯერად, წინამდებარე მონოგრაფიის  
მთავარ მიზანთან დაკავშირებით, ჩვენ ერთი არსებითი მომენტის აღ-  
ნიშვნით შემოვიფარგლებით. უნივერსუმის ამგვარად მანიფესტაციის  
დინამიური საფუძველი, ის, რაც მის შინაგანობას წარმოადგენს, თავის  
თავს ავლენს სამყაროს განსაზღვრული ტენდენციით. კონკრეტულად  
რაში და როგორ ვლინდება იგი? ყველაზე აშკარა და საყოველთაო  
ფაქტი, რომელსაც ადამიანი თავის გარშემო ხვდება და ხედავს, ეს ისაა,  
რომ უნივერსუმი მრავალფეროვანი საგნებისა და მოვლენების — სი-  
მრავლის სახით არსებობს. როგორ ჩნდება ეს უკანასკნელი? არსებულ-  
თა სიმრავლე მათ აქტიურობაში — მათ ურთიერთკავშირსა და ურთი-  
ერთზემოქმედებაში იქმნება. საგნის აქტიურობა, ახალ-ახალ საგნების  
წარმოშობა, სამყაროს შემდგომი გამრავალფეროვნების რეალური  
საფუძველია. უნივერსუმის უსასრულო გამრავალფეროვნება დროსა  
და სივრცეში, მისი განუმეორებელ არსებებად გაშლა მის ფუნდამენ-  
ტურ ტენდენციას წარმოადგენს. და, აი, ჩვენ გვაინტერესებს ასეთი  
საკითხი: რა როლსა და ფუნქციას ასრულებს სამყაროს ამ ტენდენცია-  
ში ცვალებადობის ფენომენი?

აი, რა ქმნის ცვალებადობის შესახებ, დღემდე თქმულისა და დაწე-  
რილისაგან განსხვავებით, წინამდებარე შრომის სპეციფიკას, აი, რატომ  
ხედავს ავტორი სამსჯავროზე გამოიტანოს ეს ნაშრომი. ერთი სიტყვით,



ავტორი, თავისი ზოგადფილოსოფიური პოზიციიდან ფიქრობს, რომ ყველაფერი უნდა შეფასდეს და ინტერპრეტირებულ იქნეს უნივერსუმის ფუნდამენტურ ატრიბუტსა და მით განსაზღვრულ ფუნდამენტურ ტენდენციასთან მიმართებაში. ამ თვალსაწიერიდან უნდა იქნეს განხილული და შეფასებული ცვალებადობის საყოველთაო ფაქტიც.

ცვალებადობის ფენომენის ამ პლანში კვლევა ავტორს აძლევს საბაბს შეეხოს და გაარჩიოს სხვა საკითხებიც, რომლებიც პირდაპირ თუ არაპირდაპირ არიან დაკავშირებულნი ცვალებადობის პრობლემასთან და უკანასკნელის შესახებ სისტემატური სახით თავისი თვალსაზრისი წარმოადგინოს.

ყველა საფუძვლიან შენიშვნასა და კრიტიკას ავტორი დიდი სიამოვნებით შეხვდება და ყოველთვის მზად არის ჩაერთოს საქმისათვის სასარგებლო მეცნიერულ კამათში, რამდენადაც ცოდნის განვითარების ერთ-ერთი მძლავრი ფაქტორი აზრთა კიდილია.

ავტორი

## შ ე ს ა ვ ა ლ ი

1. არსებულთა წარმავლობის ფაქტი ოდითგანვე წარმოადგენდა ადამიანის ცხოველი ინტერესის ობიექტს და იგი დღემდე რჩება ასეთად. რატომ და რის გამო იცვლება ყველაფერი? რატომ არ შეიძლება არსებულებს მარადიული არსებობა ჰქონდეთ? არსებობს კი რაიმე მუდმივი და უცვლელი არსებულთა ამ მარადიულ ქმნადობასა და ცვალებადობაში, გარდა თავად მარადიული ცვალებადობისა? არის ქმნადობა და ცვალებადობა არსებულის შინაგანი ბუნებით პირობადებული თუ იგი მისი უბრალო ეპიფენომენია? აი, რა კითხვებს ბადებს ცვალებადობის არსებობის ფაქტი ადამიანის გონების წინაშე.

არსებულთა წარმავლობის, მათი მარადიული ქმნადობა-ცვალებადობის ფაქტით ადამიანის დაინტერესება არ არის მხოლოდ იმის ბრალი, რომ ის ცნობისმოყვარე არსებია. ცნობისმოყვარეობა, რა თქმა უნდა, არის სამყაროს ფაქტებისადმი ადამიანის თეორიული ინტერესის ფსიქოლოგიური დასაბამი, მაგრამ არა უკანასკნელი. ადამიანი არ არის ერთნაირად ცნობისმოყვარე მისი გარემომცველი ფაქტებისადმი. ცნობისმოყვარეობას ის იჩენს სამყაროს განსახლვრული საგნებისა და მოვლენების მიმართ. ცვალებადობის ფენომენისადმი ადამიანის განსაკუთრებული ინტერესი მის უღრმეს ფენაში მარხია. ჩვენ მხედველობაში გვაქვს ყოფნის ფუნდამენტური ატრიბუტი, რომლითაც პირობადებულია ადამიანისა და მისი საქმიანობის ყველა სხვა ნიშან-თვისება და ფორმა. ადამიანი მარადიული არსება რომ ყოფილიყო, მისი ინტერესის ობიექტი არასდროს არ განდებოდა ცვალებადობის ფენომენი. იმის გამო, რომ ადამიანი ექვემდებარება ცვალებადობის ულმობელ კანონს, მისი ინტერესის პირდაპირი ობიექტი ხდება ცვალებადობის ფენომენი. სხვანაირად რომ ვთქვათ, ცვალებადობის საყოველთაო ფაქტის, მისი რაობის კვლევის აუცილებლობა მარადიული არსებობისაკენ ადამიანის ბუნებრივი სწრაფვის გზაზე დევს. არსებობს კი ისეთი რაიმე, რომელიც არის მუდმივი და ზედროული და, მაშასადამე, არ ექვემდებარება ცვალებადობას და ქმნადობას? ადამიანი იწყებს ასეთი არსებულის ძებნას. „ნამდვილად არსებულის“ ძებნის კანონზომიერი შედეგია მატერიალურ და სულიერ სუბსტანციათა იდეა, რომელიც ჯერ კიდევ ადრე ძველი აღმოსავლეთისა და ანტიკური დროის ევრო-

პულმა ფილოსოფიამ შეიმუშავა. თვით სულის კულტი რელიგიურ ცნობიერებაში თავის პირველ დასაბამს სულის უკვდავების იდეაში ნახულობს. სხეული ხრწნადი და წარმავალია, სული — მარადიული და უცვლელი — ირწმუნება ბიბლია.

რისთვის ჭირდება ადამიანს მარადიული არსებობის მქონე არსების ძიება? თუ ადამიანი მიაგნებს ისეთ არსებულს, რომელიც არ ექვემდებარება ცვალებადობის უღმობელ კანონს და რაღაცნაირად მოახერხებს წილნაყარი იყოს მასთან, ამით, ფიქრობს იგი, შექმნის მტკიცე ციტადელს „სამყაროში მიგდებული“ თავისი ყოფნის გასამტკიცებლად. მუდმივი არსების არსებობაში ადამიანი თავისი ფუნდამენტური წადილის განხორციელების შესაძლებლობას ხედავს. ადამიანმა ასეთ არსებას რომც ვერ მიაგნოს, მან უნდა მოახდინოს მისი პოსტულაცია: უნდა დაუშვას ასეთი არსების არსებობის შესაძლებლობა: წინააღმდეგ შემთხვევაში იგი სასოწარკვეთილების მსხვერპლი გახდება. სხვანაირად შეუძლებელიცაა: ადამიანი ხომ სასობით მცხოვრები არსებაა. ამ ვითარების კიდევ ერთ ნათელ დადასტურებას წარმოადგენს კერპების რიგი, რომლებსაც ადამიანები თავიანთი ისტორიული მოღვაწეობის მანძილზე ემსახურებიან. ადამიანები ქმნიან შედარებით წარუვალ კერპებს. უკანასკნელთა გარეშე არ არსებობს მათი ისტორიული საქმიანობის არც ერთი პერიოდი და, თუ არსებობს, ადამიანებს, მათი ცხოვრების ყველაზე დიდი მტერი — ქაოსი, სიცარიელე და სასოწარკვეთა ეუფლება. ასეთ ეპოქებში იბადება ინტენსიური მისწრაფება ახალი კერპების შესაქმნელად და ისინიც უმალ იქმნებიან, და რატომ? იმიტომ, რომ ამ კერპებისადმი, — რაღაც წარუვალისადმი, — სამსახურით ადამიანს მიაჩნია, რომ იგი თავისი ცხოვრების ეფემერულობას გარკვეულწილად დააღწევს თავს. ეს კი მთავარი და არსებითია მასში; ის ქმნის მასში ოპტიმიზმსა და რწმენას, აძლევს მიმართულებას და საზრისს მის მოქმედებასა და მოღვაწეობას. როგორც ჩანს, ცვალებადობის ფენომენისადმი ინტერესი ადამიანის შინაგან ბუნებაში მარხია.

აი, სწორედ ამიტომ ხდება ცვალებადობის ფენომენი ადამიანის თეორიული ინტერესის ობიექტიც. სად და რით დაიწყო ეს ინტერესი?

2. ყველაფერი რომ იცვლება და არაფერი არაა მარადიული ცაში და მიწაზე — საყოველთაო და უეჭველი ფაქტია. მაგრამ მისი კონსტატაცია, ფილოსოფიური კვლევის თვალსაზრისით, ჯერ კიდევ არაფერს ნიშნავს, თუმცა ამ ფაქტის აღიარება მისადმი თეორიული ინტერესის აუცილებელი წანამძღვარია.

ცვალებადობის ფენომენის ფილოსოფიურ პლანში კვლევას ევროპულ ფილოსოფიაში პირველად ჰერაკლიტესთან და ელეატურ მეტაფიზიკაში ვხვდებით. ცხადია, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ქვეყნიერების

მარადიული ქცევადობის იდეა უცხო იყო ელინური კულტურის ადრინდელი წარმომადგენლებისათვის. ამის შესახებ სრულიად არაორაზროვნად მიუთითებს პლატონი დიალოგ „კრატილში“. მოყავს რა ჰერაკლიტეს აზრი იმის შესახებ, რომ „ყოველი არსებული მოძრაობს და არაფერი არ არის ერთ ადგილზე გაჩერებული“ და რომ „არ შეიძლება ერთი და იგივე მდინარეში ორჯერ შესვლა“, პლატონი იქვე დასძენს: ყველაფრის მარადიული ქმნადობის იდეას ზიარებული იყვნენ ჰომეროსი, ჰესიოდე და ორფეი<sup>1</sup>. ქვეყნიერების მარადიული ქცევადობის იდეა<sup>2</sup> სრულიადაც არ იყო უცხო მიღეთის ნატურფილოსოფიური სკოლის წარმომადგენლებისათვის და ეს საესეებით ბუნებრივი ჩანს იმ ლოგიკის ძალით, რომელიც ქვეყნიერების პირველსაწყისის ძიებას ახლავს უთუოდ. სწორედ საგანთა ცვალებადობის უეჭველი ფაქტის აღიარება არის აუცილებელი წინამძღვარი ცვალებად საგანთა უცვლელი ძირის ძიებისათვის.

რა არის ცვალებად საგანთა უცვლელი ძირი? ამ კითხვის დაყენებით დაიწყო სამყაროს ფილოსოფიური სურათის შექმნა, და, იგი, — ეს კითხვა, — განუყოფლად დომინანტობს ანტიკურ ფილოსოფიაში. ცვალებადობის ფენომენი ფილოსოფიური ცნობიერების ინტერესის ობიექტი ამ კითხვასთან დაკავშირებით ხდება; მისი დამოუკიდებელი კვლევა ჯერ კიდევ არ არის ნათლად სანქცირებული. ეს უკანასკნელი იწყება იმ მომენტიდან, როცა ელვატური მეტაფიზიკა დააყენებს კითხვას სამყაროს პირველსაწყისის ცვალებადობის შესაძლებლობის შესახებ. ეს კითხვა, არსებითად, არის კითხვა ყოფნისა და ცვალებადობის ურთიერთობის შესახებ. როგორც ცნობილია, ამ კითხვის დაყენებით

<sup>1</sup> პლატონი, ტ. I, მ., 1968, გვ. 440.

<sup>2</sup> ეს იდეა კარგად არის ცნობილი აღმოსავლეთის ხალხთა ფილოსოფიური ცნობიერებისათვის. ძველ ინდურ სახოტბო სიმღერებში (მე-11; მე-10 სს. ძვ. წ. ა.) ქვეყნიერება წარმოდგენილია როგორც მარადიული ქცევადობის პროდუქტი. ამ მხრივ საინტერესოა კოსმოლოგიური ჰიმნი რიგველიდან (იხ. ძველინდური ფილოსოფია, საწყისი პერიოდი, მეორე გამოცემა, მ., 1972, გვ. 34). მასში მოთხრობილია იმას შესახებ, რომ თავდაპირველად იყო კონკრეტულ შინაარსს მოკლებული დაუნაწევრებელი ერთი, რომელიც შემდეგ, სურვილის საფუძველზე ქმნადობის გზით, არსებულ სამყაროს სახით ყალიბდება. უნივერსუმის ქცევადობის იდეა ნათლად გამოთქმულია ძველ ჩინურ ფილოსოფიურ ძეგლებში (მე-6, მე-5 სს. ძვ. წ. ა.) „დაოდე ძინ“-ში რომელსაც ლაო ძის მიაწერენ. მის ერთ-ერთ პარაგრაფში ნათქვამია: „ერთნი არსებანი მიდიან, მეორენი მოდიან; ერთნი იფურჩქნებიან, მეორენი ხმებიან; ერთნი მაგრადებიან, მეორენი უძლურადებიან; ერთნი იქმნებიან, მეორენი იღუპებიან“ (იხ. ძველი ჩინური ფილოსოფია, ტ. I, მ., 1972, გვ. 123). სხვათაშორის, ყველაფრის წარმოებლობის ამ პრინციპიდან მის ავტორს მეტად საგულისხმო ცხოვრებისეული მაქსიმა გამოაქვს: „ამიტომ კეშმარტი კევიანი უარს ამბობს ყოველგვარ ზედმეტობაზე თავს არიდებს სიმდიდრესა და მფლანგველობას“ (იქვე).

ვეროსი ფილოსოფიის გარიერაზე აღმოცენდა და გაიშალა: ერთი-მეორის საპირისპირო — პერაკლიტესა და პარმენიდეს მეტაფიზიკა.

ამ უძველეს, მაგრამ უბერებელ პრობლემას ეხება ავტორი წინამდებარე ნაშრომში. ასეთ შემთხვევაში, ცხადია, წარსული ფილოსოფიური აზრის მონაპოვართა გათვალისწინება აუცილებელია. უკანასკნელი უფრო ნათლად გამოაჩენს იმ სიახლეს, რისი პრეტენზიაც წინამდებარე მონოგრაფიას აქვს.

3. როგორც ითქვა, არსებულთა ცვალებადობა ოდითგანვე საყოველთაოდ ცნობილ და უეჭველ ფაქტად იყო მიჩნეული. ცვალებადობის ფენომენისადმი ინტერესი რადიკალურად იცვლება მას შემდეგ, როცა არსებულთა ცვალებადობის საკითხი ყოველდღიური ცნობიერებიდან ფილოსოფიური ცნობიერებისაკენ გადაინაცვლებს და მისი კვლევა-ძიების ობიექტი გახდება. უკანასკნელი ცვალებად საგანთა უცვლელ საფუძველს — „ნამდვილად არსებულს“ ეძებს. თავისთავად ცხადია, საგანთა არხე არ უდრის და არ ემთხვევა საგანს, იმას, რისი საწყისიც ის არის. ასე რომ იყოს, მისი ძიება საჭირო არ იქნებოდა. საგნისა და მისი არხეს განსხვავებულობა გონებამ მათ ნიშან-თვისებებში უნდა ეძიოს. ერთ-ერთი ნიშან-თვისება, რომელიც სასრულო საგნებს გააჩნიათ, არის მათი წარმავალი, ცვალებადი ბუნება. აქვს თუ არა ეს ნიშან-თვისება საგანთა არხეს? შეიძლება თუ არა არხე იყოს წარმავალი და ცვალებადი? აი, როგორ დგება, საბოლოო ინსტანციაში, კითხვა. თავისი ცნების მიხედვით საგანთა არხე არ შეიძლება წარმავალი და ცვალებადი იყოს; საგანთა პირველდასაბამი, თუ ის თავის ცნებას შეესაბამება, თუ ის, მართლაც, საგანთა არხეა, საგანთა შექმნა-მოსპობის პროცესში უცვლელი და მარადიული უნდა იყოს. ამიტომ იყო, რომ „პირველ ფილოსოფოსთა უმრავლესობას ყოველივეს ერთადერთ საწყისად მატერიის სხვადასხვა სახეობა მიაჩნდა, რისგანაც შედგება, მათი აზრით, თავიდანვე წარმოიშობა და რაზედაც დაიშლება, საბოლოოდ, ყოველივე არსებული“<sup>3</sup>. რას ნიშნავს თალესისეული წყლის არხედ ყოფნა? იმას, რომ საგანთა ქმნადობა-ცვალებადობის პროცესში წყალი აბსოლუტურად იგივეობრივი რჩება თავისთავთან; ის არც იქმნება და არც ისპობა. თუ დაუშვებდით წყლის, როგორც არხეს, შექმნა-მოსპობის შესაძლებლობას, მაშინ ის ვერ იქნება საგანთა ნამდვილი პირველდასაბამი. მაგრამ ყოველივე ამის ძალაში დატოვებით როგორ უნდა გავიგოთ არხეს განსხვავებულ საგნებად მოდიფიკაციის ფაქტი? ძველ ბერძნებს მტკიცედ სწამდათ, რომ „ყველა საგანთა დედა“, ის, რისგანაც ყველაფერი წარმოიშობა და რაზედაც ყოველი არსებული იშლება, რაოდენობრივი თვალსაზრისით, მუდამ თავისი თავის-

<sup>3</sup> ა რ ის ტ ო ტ ე ლ ე, მეტაფიზიკა, თბ., 1964, გვ. 31.

ტოლია. ისინი, ამ შემთხვევაში, გამოდიოდნენ შემდეგი ურყევი, მათი აზრით, თავისთავადი გასაგები თეზისიდან: არაფრისაგან არაფერი არ წარმოიშობა და არც არაფერი არ გადადის არარაობაში. ეს დებულება ძველი ბერძნების წარმოდგენით ისე ცხადი იყო, რომ მის შესახებ რაიმე ეჭვის გამოთქმა უაზრობად ითვლებოდა და, მაშასადამე, გონების წინაშე, ამ მიმართებით, არავითარი სიძნელე არ იდგა. პრობლემას, როგორც ითქვა, წარმოადგენდა მუდამ თავისთავთან იგივეობრივი პირველნივეთიერების (პირველსაწყისის) განსხვავებულ საგნებად ტრანსფორმაციის საკითხი. გრძობდნენ რა ამ მიმართულებით სიძნელეს, ისინი მის გადასალახავად სხვადასხვა მოსაზრებებს აყენებდნენ, რომლებშიაც გულუბრყვილად იყო ნაგულისხმევი აზრის ქნადობის შესაძლებლობა. წყალს, აპერიონს, ჰაერსა და ბუნების სხვა სტიქიონებს აქვთ უნარი განიცადონ ტრანსფორმაცია და ჩამოყალიბდნენ მრავალფეროვან საგნებად და მოვლენებად.

ახალი ეტაპი ბერძნული მეტაფიზიკის ევოლუციაში, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, იწყება იმ მომენტიდან, როცა ელეატურმა მეტაფიზიკამ გამოკვეთილად დააყენა კითხვა საკუთრივ არსეს ცვალებადობის შესახებ. შეიძლება თუ არა იცვლებოდეს არსე? — აყენებს კითხვას ელეატური მეტაფიზიკა და, იგი, ამ კითხვას უარყოფითად უპასუხებს. საქმის ვითარების ნათლად წარმოდგენის მიზნით უფრო ახლოს გავცნოთ ელეატური მეტაფიზიკის გამოსავალ თეზისს. ელეატური მეტაფიზიკა აგრძელებს მილეთის ნატურფილოსოფიური სკოლის ტრადიციებს. მაგრამ უკანასკნელთან შედარებით ის ფილოსოფიური აბსტრაქციის უფრო მაღალ საფეხურზე ადის. მილეთის სკოლის წარმომადგენლები საგანთა არსეს ბუნების ამა თუ იმ სტიქიონში ხედავდნენ; მათი არსე, მართალია, საყოველთაო ხასიათს ატარებდა, მაგრამ, მაინც გრძობდალ-ფიზიკური სინამდვილიდან იყო აღებული და, ამდენად, უნივერსალურობის თვალსაზრისით, ერთგვარად შეზღუდული იყო. ელეატურმა მეტაფიზიკამ მილეთელთა საყოველთაოს შეზღუდულობა მოხსნა იმით, რომ ჩამოაშორა მას გრძობდალ-ემპირიული ფორმა და იგი მხოლოდ გონებით მისაწვდომ არსებად წარმოიდგინა. საგანთა არსე, პარშენილდეს აზრით, არის არა წყალი, ჰაერი ან რომელიმე სხვა საყოველთაო, საგნებსა და მოვლენებში უცვლელ არსებად წარმოდგენილი სტიქიონი, არამედ არსებული საერთოდ, რომელიც მოკლებულია ყოველგვარ კონკრეტულ, გრძობდალ-თვალსაჩინო თვისებებს — არსებული, როგორც არსებული! მილეთის ნატურფილოსოფიური სკოლის წარმომადგენლები საგნებს, მათ ბუნებას იკვლევდნენ ნივეთიერების მიხედვით. რა არის ის საყოველთაო ნივეთიერება რისგანაც ყველაფერი შედგება? — აი, რა აინტერესებდათ მილეთის სკოლის წარმომადგენლებს.

პარმენიდეც საყოველთაოს ეძებს, მაგრამ იგი მას ეძებს არა ნივთიერების სახით, არამედ ყველა საგნისათვის დამახასიათებელი საყოველთაო ნიშნის — არსებობის მიხედვით: ის ეძებს არსებულს როგორც არსებულს, რომელიც არაა არც ერთი კონკრეტული არსებობა. ჰეგელი, როგორც ცნობილია, პარმენიდეს ამ მეცადინეობაში ჰეშმარტი ფილოსოფიის დასაბამს ხედავს<sup>4</sup>, თუმცა, როგორც თვითონ იქვე დასძენს, საწყისი, რომელზედაც პარმენიდე ლაპარაკობს ჯერ კიდევ ბუნდოვანი და გაურკვეველია, და, მაშასადამე, საჭიროა მასში ნაგულისხმევი შინაარსის შემდგომი გაშლა და ნათელყოფა. რომელიც ფილოსოფიის შემდგომი ევოლუციით იქნება მიღწეული. მართლაც, ბუნდოვნება და გაურკვეველობა ახლავს პარმენიდეს საწყისს. რას გულისხმობს იგი მასში? ყველა არსებულისათვის დამახასიათებელ საყოველთაო ნიშანს — ყოფნას? ერთ ადგილას ჰეგელი ელელთა, კერძოდ, პარმენიდეს საწყისის ამნაირ ინტერპრეტაციას იძლევა<sup>5</sup> და ამბობს, რომ ელეატურმა მეტაფიზიკამ ყოფნის ცნების შემუშავებით აბსოლუტურის ყველაზე უაბსტრაქტულესი და საყოველთაო განსაზღვრულობა მოგვცაო. ჩვენი აზრით, ჰეგელი, ამ შემთხვევაში, ელელთა დამსახურების ცოტა გადაჭარბებულ შეფასებას იძლევა. არსებულის, როგორც არსებულის, ცნების შემუშავებით ელეატურმა მეტაფიზიკამ მართლაც დიდი საქმე გააკეთა და გადაწყვეტი ნაბიჯი გადადგა ჰეშმარტი ფილოსოფიის შესაქმნელად. მაგრამ ყოფნისა და არსებულის ცნებათა ისეთი მკვეთრი გამიჯვნისათვის, რომელზედაც ჰეგელი ლაპარაკობს, ელეატურ მეტაფიზიკას, კერძოდ, მის ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელს — პარმენიდეს არ მიუღწევია. ასეთი გამიჯვნის ჩანასახი უთუოდ არის ელეატურ მეტაფიზიკაში, მაგრამ მხოლოდ ჩანასახი და ამიტომაც არის მათ მიერ მინიშნებული საწყისი „ბუნდოვანი და გაურკვეველი“. რას გააჩნია „ნამდვილი არსებობა?“ საყოველთაოს, — ყველა საგანში იგივეობრივად წარმოდგენილი ბუნების ამა თუ იმ სტიქიონს — იტყოდნენ მილეთის ნატურფილოსოფიური სკოლის წარმომადგენლები. „არის“ და „ნამდვილი არსებობა“ გააჩნია მას, რაც არის, რაც ნამდვილად არსებობს: არსებული არის ანუ არის ის, რაც არის, არარსებული არ არის. ამ დებულებით გამოთქმულია ყველაზე აბსტრაქტულ ფორმაში ყველაზე უეჭველი, ტავტოლოგიური აზრი — არის ის, რაც არის და ის, რაც არის — არსებული, არის საწყისი — ნამდვილად არსებული. და აი, სწორედ, ასეთნაირად გაგებული არსებულის ცვალებადობის შესაძლებლობის შესახებ აყენებს კითხვას

<sup>4</sup> ჰეგელი, ტ. 9, მ., 1932, გვ. 223; იხ. აგრეთვე — ჰეგელი, ლოგოსის მეცნიერება, თბ., 1962, გვ. 200.

<sup>5</sup> ჰეგელი, ტ. I, მ., 1929, გვ. 146.

ელეატური მეტაფიზიკა. ნამდვილად არსებული უცვლელი და მარადიულია; ის არც ისპობა, არც წარმოიშობა და ყოველგვარი ქცევადობის მიღმა დგას. იცვლება და ქცევადობის უღმობელ კანონს ემორჩილება ბუნება — საგანთა სიმრავლე, რომელიც არის მოჩვენება. ერთი სიტყვით, ელეატური მეტაფიზიკის მიერ მინიშნებული საწყისი — „ნამდვილი არსებობა“, — ყოველგვარი ცვალებადობის გარეშე დგას. ის, რაც იცვლება არც შეიძლება იყოს ნამდვილი საწყისი. ცვალებადი საწყისის შეუძლებლობის კონკრეტულ ხორცშესხმად უნდა ვიგულოთ განუყოფელის იდეა, რომელიც შემდეგ ბერძნულმა მეტაფიზიკამ შეიმუშავა. როგორც დაკვირვებული მკითხველი ხედავს, საწყისის უცვლელობის იდეა ერთნაირად დომინანტობს ბერძნულ მეტაფიზიკაში ზოგან გულუბრყვილოდ, ზოგან ფილოსოფიური რეფლექსიით შუქმოფენილი..

4. რა შეიძლება ითქვას ელეატური მეტაფიზიკის ძირითადი თეზის შესახებ? ჩვენი აზრით, ყურადღება უნდა მიექცეს ორ მთავარ მომენტს. პირველი: ემპირიული სინამდვილისადმი აშკარა შეუსაბამობის მიუხედავად ელეატურმა მეტაფიზიკამ არსებულის მარადიულობის აღიარებით მეტაფიზიკის ერთ-ერთი დიდი და ღრმა ქვეშარიტება გამოთქვა. ნამდვილად არსებული, მართლაც, არ შეიძლება შექმნა-მოსპობას ექვემდებარებოდეს; არსებული, როგორც არსებული, მუდამ თავის ტოლია; სამყარო მარადიულია; ის არ წარმოშობილა და არც არასდროს არ გადავა არაარობაში. ამ აზრის ლეგალიზაცია საკაცობრიო ფილოსოფიური აზროვნების ერთ-ერთი უდიდესი მიღწევაა. სხვა საკითხია, რომ ელეატური მეტაფიზიკის წარმომადგენლებმა ვერ მიაგნეს ნამდვილად არსებულის არსებობის ქვეშარიტ წესს. მეორე მომენტი, რომელსაც მიხვდნენ ელეატური მეტაფიზიკის წარმომადგენლები, ეს ისაა, რომ მათ პირდაპირი და უშუალო კავშირი აღმოაჩინეს ცვალებადობასა და სიმრავლეს შორის. ბუნება, თვალხილული სამყარო, მათი აზრით, სიმრავლისა და ცვალებადობის ორგანული ერთიანობაა. ეს მომენტი, უნდა ითქვას გადაჭრით, უაღრესად პირველხარისხოვანი მნიშვნელობისაა, თუმცა, სამწუხაროდ, ხშირად არ აქცევენ ჯეროვან ყურადღებას. სიმრავლესა და ცვალებადობას შორის ორგანული კავშირის დანახვა უთუოდ დიდმნიშვნელოვანი მომენტია ელეატურ მეტაფიზიკაში, მაგრამ იგი ელეელთა მხოლოდ გენიალურ მიხვედრად დარჩა, რამდენადაც მათ ვერ დაინახეს არხესა და სიმრავლე-ცვალებადობის შინაგანი ერთიანობა. ნამდვილად არსებულისა და ცვალებადობის რადიკალური დაპირისპირებით ელეატურმა მეტაფიზიკამ, როგორც ითქვა, მეტაფიზიკის ისტორიაში დასაბამი მისცა ნამდვილად არსებულისა და ცვალებადობა-სიმრავლის მეცნიერულ-ფილოსოფიურ კვლევას. მართალია, თავად ელეატურ მეტაფიზიკაში ეს ურთიერთობა



უარყოფით ფორმაში იქნა გადაწყვეტილი, მაგრამ, სწორედ ამ პრობლემის უარყოფით ფორმაში გადაწყვეტამ გაუხსნა შლაგბაუმი უნივერსუმის სტრუქტურის ინტენსიურ კვლევა-ძიებას, რომლითაც ესოდენ ელვარებს ელადის მეტაფიზიკა.

5. ნამდვილად არსებული — არხე — მარადიული და უცვლელი, განურჩეველი ერთია — ასაბუთებდა ელვატური მეტაფიზიკა. არაფერი არაა უცვლელი და მარადიული; ქვეყნიერება განსხვავებულ საგანთა სიმრავლეა — ამტკიცებდა ჰერაკლიტე. რა პარადოქსულიც არ უნდა იყოს, ამ ორ, ერთიმეორისადმი სრულიად საპირისპირო თვალსაზრისს ერთი საერთო დასაბამი აქვს; ესაა მიღეთის ნატურფილოსოფიური სკოლა. მიღეთელებს არხე ცვალებად საგნებში არსებულ, რაღაც უცვლელ და საყოველთაო არსებად მიაჩნდათ. აი, სწორედ, ამ მომენტის ჰიპოსტაზირებას ახდენს ელვატური მეტაფიზიკა და წარმოიდგენს მას საგანთა და მოვლენათა მიღმურ, მარადიულ არსებად. მიღეთელები არხეს ცვალებადობის უნართაც ამკობდნენ: მათ, როგორც ითქვა, გულუბრყვილოდ სწამდათ არხეს სხვადასხვა საგნად ტრანსფორმაციის შესაძლებლობა. აი, სწორედ, არხეს შესახებ მიღეთელთა შეხედულების ამ მომენტზე ამახვილებს ყურადღებას ჰერაკლიტე და ქმნის ახალ თვალსაზრისს. მისი კონცეფცია მიღეთელთა არხეს ქსენოფანტესეული კრიტიკით არის გამეშვებული<sup>6</sup>. ჰერაკლიტე გადამწყვეტ ნაბიჯს დგამს წინ და გაბედულად აყენებს კითხვას: რატომ არ შეიძლება სამყაროს (საგანთა) საფუძველში იდგეს ცვალებადი, ქმნადი არხე? ამ კითხვას ის დადებითად პასუხობს. ჰერაკლიტეს აზრით, არ არსებობს არავითარი „ნამდვილად არსებული“ არსება, რომელიც შეიძლება საგანთა მარადიულ მდინარებაში უცვლელი და მარადიული დარჩეს. საგანთა საფუძველი თავად მდინარება და ქცევადობაა; ისინი ქცევადობის პროცესში იქმნებიან; ჰერაკლიტე, სწორედ ასეთ დინამიურ არხეს ეძებს და მას კიდევაც პოულობს ცეცხლის სახით. ქვეყნიერება მარადიული ცხოველმყოფელი ცეცხლია, რომელიც მდინარეს დინებას ჰგავს. ისე როგორც მდინარეში წყალი არაა გაჩერებული ერთ ადგილას — მარად მიედინება და მოძრაობს, ასევე სამყაროში საგნები და მოვლენები მარადიულ ქმნადობა-ცვალებადობაში, წარმოშობა-მოსპობაში იმყოფებიან. საგანთა ამ მარადიული ცვალებადობა-ქმნადობის მიღმა არაფერი არ დგას უცვლელი და მარადიული, რომელსაც ჰერაკლიტემდელი მეტაფიზიკა საგანთა ნამდვილ დასაბამად მიიჩნევდა. ქვეყნიერების საფუძველში ასეთი დინამიური არხეს გულეებით ჰერაკ-

<sup>6</sup> ვ. ვინდელბანდი, ძველი ფილოსოფიის ისტორია, მ., 1911, გვ. 54.  
6. დანელია, ანტიკური ფილოსოფიის ნარკვევები, თბ., 1983, გვ. 158.

კლიტემ ათეული საუკუნეებით გაუსწრო თავის ეპოქას; მისი იდეა თანამედროვე ბუნებისმეცნიერებამ სავესებით დაადასტურა<sup>7</sup>.

ქვეყნიერების მარადიული ქცევადობის იდეა, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ჰერაკლიტემდე იყო ცნობილი. მაგრამ, განსხვავებით მისი წინამორბედი მოაზროვნეებისაგან, ჰერაკლიტეს გულუბრყვილოდ არ სწამს ქვეყნიერებისა და მისი არხეს ქცევადობის იდეა. მას ნამდვილად არსებულისა და მისი ცვალებადობის თავსებადობა სავესებით შესაძლებლად მიაჩნია და თავისებურად — სრულიად ახლებური პოზიციებიდან ასაბუთებს მას. რაში მდგომარეობს მეტაფიზიკის ამ უპირველესი და ურთულესი პრობლემისადმი ეს ახლებური მიდგომა? ჰერაკლიტემ, პითაგორელთა მოძღვრების გათვალისწინებით, პირველად აზროვნების ისტორიაში, სისტემატური სახით გამოიყენა წინააღმდეგობის პრინციპი, რომლის ძალითაც რაიმეს არსებობა ან მოაზრება შეუძლებელია მისი „სხვა რაიმესთან“ — საპირისპიროსთან მიმართების გარეშე.

როგორ მივიდა გონება საგანთა საყოველთაო საფუძვლის ცნებამდე? აბსოლუტური ერთის ცნების შემუშავების აუცილებელ პირობას წარმოადგენს განსხვავებულ საგანთა სიმრავლე; კავშირი მათ შორის არის არა გარეგანი, არამედ შინაგანი; ისინი ორგანულად მოითხოვენ და აფუძნებენ ერთიმეორეს. და, მართლაც, ელვატურმა მეტაფიზიკამ თავისი ფუნდამენტური ცნება — აბსოლუტური ერთისა, შეიმუშავა ბუნების ცნებასთან დაპირისპირებაში, ბუნებისა, რომელიც, იგივე ელვატური მეტაფიზიკის წარმომადგენელთა აზრით, არის შეფარდებით არსებობათა სიმრავლე. აბსოლუტური ერთის თავის საპირისპიროსთან — სიმრავლესთან მიმართებაში მოაზრების ეს პრინციპი ჰერაკლიტემ უნივერსუმის არსებობის პრინციპად აქცია, და უკანასკნელი, წარმოიდგინა, როგორც განსხვავებულთა (აბსოლუტურისა და რელატიურის) ერთიანობა. ამ პრინციპით უნივერსუმის ჰერაკლიტესეულ გააზრებას, რამდენადაც ეს იყო დიდი ჰემმარიტების ლეგალიზაციის პირველი ცდა, უთუოდ თან ახლდა ბუნდოვანება და ბურუსი, მაგრამ მთავარი ის არის, რომ ჰერაკლიტეს გენიალურმა ინტუიციამ იგრძნო საქმის ჰემმარიტი ვითარება. ამ პრინციპის აღიარების შემდეგ ძნელი არაა ნამდვილად არსებულისა და მისი მარადიული ქმნადობის თავსებადობის აღიარება. ცვალებადობა, თუ გავითვალისწინებთ ზემოაღნიშნული პრინციპის მთავარ მოთხოვნას, უთუოდ გულისხმობს უცვლელობას და, პირიქით; ერთი შეუძლებელია მეორის გარეშე. რა იცვლე-

<sup>7</sup> მატერიის ფუნდამენტში მისი ელემენტარული ნაწილაკების საყოველთაო ურთიერთგარდაქმნის ფაქტი სავესებით არაორაზროვნად ადასტურებს ჰერაკლიტესეული იდეის სიმართლეს.

ბა და რა რჩება უცვლელი? მდინარეში წყალი მუდამ მიედინება, მაგრამ მდინარე მდინარედ რჩება. ანალოგიურად ამისა, სამყაროში საგნები და მოვლენები მარადიულ ქცევადობა-ცვალებადობაში იმყოფებიან, არსებობის ერთი ფორმიდან მეორეში გადადიან, მაგრამ სამყარო, არსებული მაინც სამყაროდ, არსებულად რჩება. ამ პრინციპის უგულებელყოფას წარმოადგენს, ერთი მხრივ, ელექტთა თვალსაზრისი, მეორე მხრივ, კრატისის კონცეფცია. ერთიც და მეორეც ერთნაირად არ უწევს ანგარიშს ყოფნის უზენაეს პრინციპს და, ამიტომაც, ორივე ერთნაირი შედეგებით ამთავრებენ: ელექტთა განუჩივრელი არსი არარაობაა; არარაობამდე მივყავართ აბსოლუტური ცვალებადობის პრინციპსაც.

ერთი სიტყვით, ჰერაკლიტემ განსხვავებულთა ერთიანობის პრინციპის ნიადაგზე სწორად აჩვენა ნამდვილად არსებულისა და ცვალებადობის ფენომენის თავსებადობის შესაძლებლობა. მდინარე მდინარედ რჩება მიუხედავად იმისა, რომ წყალი მასში მარადიულად მიედინება — არ შეიძლება პირველი შთაბეჭდილებით არ დაეთანხმო ამ მეტაფორას, მაგრამ ის ხომ ჭერჭერობით არ არის მტკიცება?

6. ყოველივესა და ყველაფრის მარადიული ქცევადობის აღიარებით, სამყაროს ცეცხლისეულ პროცესად გამოცხადებით როგორ არის შესაძლებელი შედარებით სტაბილური საგნებისა და მათი, ცოტად თუ ბევრად, მყარი განსაზღვრულობების რეალიზაცია? ან კიდევ, რით უნდა გამართლდეს მათი რეალიზაციის აუცილებლობა? ამ საკითხებზე ჰერაკლიტეს ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდა. ნამდვილად არსებულის უცვლელობის იდეასთან გამოთხოვება იმდენად ძნელი აღმოჩნდა, რომ საჭირო და აუცილებელი გახდა ყოფნისა და ცვალებადობის პრინციპთა შემარიგებელი მეტაფიზიკური კონცეფციის შემუშავება. ამის გარეშე პარადოქსად გამოიყურებოდა ჰერაკლიტეს „პანტა რეი“-ს კონცეფცია. პარადოქსულად ჩანდა ელემენტური მეტაფიზიკაც თავისი მკვეთრი კოლიზიით გრძნობად სამყაროსთან. ასეთი მეტაფიზიკის დაფუძნება დაიწყო ემპედოკლემ თავისი პირველსაწყისი ელემენტების ცნების შექმნით, გააგრძელა ანაქსაგორამ ჰომეომერიების ჰიპოთეზით და თავისი სრული სახით ჩამოყალიბდა დემოკრიტესთან ნივთიერების განუყოფელი ნაწილაკების იდეის ჩამოყალიბებით. ცვალებადობა უეჭველი ფაქტია; მისი უარყოფა უაზრობაა! რას ნიშნავს ცვალებადობა ბერძნული ფილოსოფიის ამ წარმომადგენელთა თვალსაზრისით? „ნამდვილად არსებული“ ნივთიერების ელემენტები, ჰომეომერიები, ატომები არ იცვლებიან; ცვალებადობა ეხება მათ ნაერთებს — საგნებს, სხეულებს. ამ თეზისით მორიგებულა ორი ერთიმეორის საწინააღმდეგო — პარმენიდესა და ჰერაკლიტეს თვალსაზრისი. ყოფნისა და

ცვალებადობის თავსებადობას, თავის ძირითად იდეაში, საესეებით გაი-  
ზიარებენ ისეთი ღრმად მოფიქრებული მეტაფიზიკური სისტემები,  
როგორცაა პლატონისა და არისტოტელეს ფილოსოფია. უკანასკნელ-  
თა აზრით, ის, რაც ნამდვილად არსებობს არც წარმოიშობა და არც  
ისობა. ამ თეზისის მტკიცებით ისინი სრულ სოლიდარობაში მოდიან  
პარმენიდეს კონცეფციასთან. და, მართლაც, პლატონის იდეები და  
არისტოტელეს ფორმები უცვლელი და მარადიულნი არიან. ცვალება-  
დობის უღმობელ კანონს არანამდვილი არსებობის მქონე საგნები  
ექვემდებარებიან მხოლოდ, საგნები, რომლებიც წარმოადგენენ იდეა-  
ფორმისა და მატერიის კომპოზიციას. როგორც ჩანს, ყველაზე რადიკალ-  
ური თვალსაზრისის მატარებელ და გაბედულ მოაზროვნედ ელინურ  
ფილოსოფიაში, რომელმაც ცვალებადობა ნამდვილად არსებულის ში-  
ნაგან თვისებად აღიარა, ისევ და ისევ ჰერაკლიტე რჩება. 25 საუკუნის  
წინ გამოთქმული იდეა საესებით დაადასტურა თანამედროვე ბუნების-  
მეტყველებამ: უნივერსუმის საძირკველში არავითარი უცვლელი და  
აბსოლუტური არსებობის მქონე კერნი არ დევს; სამყარო ნივთიერე-  
ბისა და ენერჯის დინამიურ კვანტებზე არის დაფუძნებული.

როგორც ითქვა, ჰერაკლიტემ ყოფნისა და ცვალებადობის პრინციპ-  
თა თავსებადობის შესაძლებლობა საკუთრივ ცვალებადობის ფენომე-  
ნის არსებობის წესით გაამართლა და ამაში ის უთუოდ მართალი იყო.  
ამით მან დიდი საქმე გააკეთა და, სწორედ ამან მოუპოვა მას უკვდა-  
ვება. მაგრამ ამის იქით ის არ წასულა. მას არ დაუსვამს კითხვა იმის  
შესახებ, თუ რა არის უკანასკნელი საფუძველი იმისა, რომ არსი არ  
შეიძლება იყოს განურჩეველი. ჰერაკლიტე თავისი გენიალური ინტუი-  
ციით მიხვდა იმ უმთავრეს გარემოებას, რომ არსებული არის და უნდა  
იყოს სიმრავლე, მაგრამ რატომ და რის გამო, ამის შესახებ, მას კითხვა  
არ დაუყენებია და, მაშასადამე, არც ცვალებადობის ფენომენი უკვლე-  
ვია სამყაროს მრავალფეროვნებაში მისი როლისა და ფუნქციის თვალ-  
საზრისით. არ უკვლევიათ ცვალებადობის ფენომენი ამ პლანში არც  
პლატონს, არც არისტოტელეს. როგორც ითქვა, ნამდვილად არსებულ-  
თა — იდეებისა და ფორმათა — სიმრავლე მათთან იმთავითვე ნაგუ-  
ლისხმევია და, მაშასადამე, ცვალებადობის პრინციპი ნამდვილად არსე-  
ბულზე არ ვრცელდება. რა თქმა უნდა, ერთი და მეორეც, — პლატო-  
ნიც და არისტოტელეც, — ლაპარაკობენ ცვალებადობის ფენომენის  
შესახებ, მაგრამ უკანასკნელი არ ეხება ნამდვილად არსებულს; მისი  
ძალა ვრცელდება გრძნობად სინამდვილეზე, რომელსაც თავისთავადი  
არსებობა არ გააჩნია<sup>8</sup>.

<sup>8</sup> მოძრაობა-ცვალებადობის ფენომენის არსებობა უნივერსუმში, პირდაპირ და  
უშუალოდ, ემპირული სამყაროს არისტოტელისეული თეორიიდან გამომდინარეობს.

7. არსებულთა მრავალფეროვნების წარმოშობის თვალსაზრისით და, მაშასადამე, ყოფნის ფუნდამენტურ ატრიბუტთან მიმართების პლანში არ უკვლევიათ ცვალებადობის ფენომენი ახალი დროის ისეთ მოაზროვნეებს როგორცაა ჰეგელი და შოპენჰაუერი. ცნობილია, თუ რა პათოსითა და ენერგიით უარყოფდა ქვეყნიერების პირველდასაბამში — ნებაში — ცვალებადობისა და სიმრავლის შესაძლებლობას შოპენჰაუერი. ეს გარემოება პირდაპირ და უშუალოდ გამომდინარეობს ქვეყნიერების პირველსაფუძვლის შოპენჰაუერისეული გაგებიდან: ნება ყოველგვარი ინდივიდუალობის პრინციპის — დროისა და სივრცის გარეშე დგას და, მაშასადამე, მის მრავალსახიანობაზე ლაპარაკი გამორიცხულია. სიმრავლე არათავისთავადი არსებობის მქონე ფენომენალური სამყაროს დამახასიათებელი ნიშანია მხოლოდ. უკიდურესი პესიმიზმითა და მელანქოლით არის გაყენებული შოპენჰაუერის დამოკიდებულება ყოველივე იმისადმი, რაც დროსა და სივრცეში არსებობს და მიზეზობრიობის პრინციპს ექვემდებარება. არარაობაა მთელი სამყარო, რამდენადაც ის არის სიმრავლე და მარად ქცევადი, — ამტკიცებდა იგი. სამყაროს პირველსაწყისი — ნება — აბსოლუტური ერთია; მასში არავითარი განსხვავებულობა არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს. როგორც ჩანს, შოპენჰაუერი, თავისი მეტაფიზიკური კონცეფციით, სრულ სოლიდარობაში მოდის პირველსაწყისის პარმენიდესეულ გაგებასთან. შოპენჰაუერისეული მეტაფიზიკის პოზიციიდან სრულიად უცნაური ჩანს ნების ფენომენალურ საგნებად რეალიზაციის პროცესი. რატომ ხდება ეს უკანასკნელი? ამ კითხვაზე შოპენჰაუერის მეტაფიზიკაში არაწინააღმდეგობრივ პასუხს ვერ ვპოულობთ. ეს იმას ნიშნავს რომ, მან, რა პარადოქსულადაც არ უნდა ჩანდეს ასეთი დასკვნა, სრულებითაც ვერ გაიგო ნების არსებობის ფუნდამენტური წესი და, მაშასადამე, ვერც ცვალებადობის ფენომენის როლი და ფუნქცია მის რეალიზაციაში.

8. როგორც ითქვა, ცვალებადობის ფენომენის ამ პლანით კვლევაში ცოდავს თვით ჰეგელიც, რომელიც დიალექტიკის დიდოსტატად არის აღიარებული. არ არსებობს არაფერი, არც ცაში და არც მიწაზე, რომელიც არ ექვემდებარება მარადიული ქცევადობის საყოველთაო კა-

---

ქვეყნიერება, არისტოტელეს აზრით, ორი მეტაფიზიკური საწყისის — ფორმისა და მატერიის კომპოზიციას. ორივე საწყისი ცვალებადობა-ქმნადობის მიღმა დგას. წმინდა მატერია აქტიური საწყისის — ფორმის გარეშე მხოლოდ წმინდა შესაძლებლობაა. ის მოკლებულია ყოველგვარ გარკვეულობას, ქმნადობას, აქტიურობას. ქმნადობა-ცვალებადობის პრინციპს არ ექვემდებარება ფორმაც, ფორმა და ფორმები მარადიულნი არიან. ცვალებადობა, საზოგადოდ, ამ ორი საწყისის შეხვედრის, მატერიის გაფორმების შესაძლებლობის სინამდვილედ გადაქცევის პროცესია.

ნონს, — ამბობს ჰეგელი. არსებულთა საყოველთაო ცვალებადობის ფაქტს ჰეგელი უბრალოდ არ აღიარებს; იგი ქმნის მის შესახებ მწყობრ თეორიას, დეტალურად იკვლევს მისი განხორციელების და შესაძლებლობის მექანიზმს. ჰეგელმა, პირველად ფილოსოფიური აზროვნების ისტორიაში, ჩამოაყალიბა მოძრაობა-ცვალებადობის ძირითადი პრინციპები. საყოველთაოდ ცნობილია მისი მოძღვრება ცვალებადობა-განვითარების პროცესში უარყოფის პრინციპის შესახებ; მისი თვალსაზრისი საგანთა თვისებრივი და რაოდენობრივი ცვალებადობის ურთიერთმიმართების შესახებ; მისი კონცეფცია მოძრაობა-ცვალებადობის მამოძრავებელი წყაროს შესახებ და ა. შ. ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი, რასაც უნდა მივაქციოთ განსაკუთრებული ყურადღება მოძრაობა-ცვალებადობის შესახებ ჰეგელის მოძღვრებაში, ეს ის არის, რომ მან ცვალებადობა-მოძრაობის ფენომენი მის მიერ თავისებურად გაგებულ სამყაროს ფუნდამენტურ ტენდენციასთან მიმართებაში განიხილა და ქმნადობის ფენომენის საზრისი და დანიშნულება ამ უკანასკნელით გახადა გასაგები. ეს კი, მეთოდოლოგიური თვალსაზრისით, ყველაზე მთავარი და არსებითია, რომელიც უთუოდ უნდა იქნეს გათვალისწინებული, როცა ცვალებადობის ფენომენის შესახებ ფილოსოფიური თეორია იქმნება.

საიდან გამომდინარეობს ქმნადობის აუცილებლობა? ჰეგელი ქმნის სამყაროს ერთიან ფილოსოფიურ თეორიას. როგორ აქვს მას ეს უკანასკნელი წარმოდგენილი? ჰეგელის მეტაფიზიკური კონცეფციის მიხედვით, სამყაროს საფუძველში აბსოლუტური იდეა დევს; მას აქვს მიზანი. სამყაროს სუბსტანცია (იდეა, მსოფლიო სული), რომელიც არის მოქმედი, აქტიური სუბიექტი, ესწრაფვის განხორციელოს თავისი მიზანი — ამოიცნოს თავისი ფაქტი. თავისი მიზნის განხორციელებაში იდეა გაივლის სამ საფეხურს. განვითარების პირველ ეტაპზე იდეა თავის წმინდა აზრის სტიქიაში არსებობს და მოძრაობს. აბსოლუტური სული ამ საფეხურზე წარმოგვიდგება, როგორც ლოგიკურ განსაზღვრულობათა სისტემა. შემდეგ ეტაპზე იდეა განესხვისება თავის თავს და არსებობს ბუნების სახით. აბსოლუტური იდეის განვითარების ბოლო საფეხურს წარმოადგენს გონი; ამ უკანასკნელში ის უბრუნდება თავის თავს და აღწევს საბოლოო მიზანს, — დაადგენს, რომ სამყაროს საფუძველში დევს ობიექტური აზრი. მთელი ეს პროცესი, ყველა ნიშან-თვისება, მათ შორის ცვალებადობა-ქმნადობა, რომლებიც ახასიათებს აბსოლუტს, საბოლოო ინსტანციაში, დასაზრისებული და გამართლებულია ამ მიზნით. გონების დიდი დაძაბვა არაა საჭირო იმის ნათელსაყოფად, თუ რა მნიშვნელობას იძენს ცვალებადობა-მოძრაობის ფენომენი აბსოლუტის ცხოვრებაში: თუ დავეუშვებდით, რომ აბსოლუ-

ტური იდეა, საკუთარი მიზნისაკენ სწრაფვაში, მოკლებული იქნებოდა ტრანსფორმაციის უნარს და მუდამ თავის თავთან იგივეობრივი დარჩებოდა, მისი აქტიურობა ფუჟად ჩაივლიდა. ამიტომ არის, რომ ჰეგელმა სამყაროს არხე მარადიული ქმნადობის უნარით აღჭურვა და, მაშასადამე, ამით გაამართლა მისი აუცილებლობა უნივერსუმის ცხოვრებაში. ცვალებადობის ფენომენის გამართლება უნივერსუმის ფუნდამენტურ ტენდენციასთან მიმართებაში, როგორც ითქვა, უაღრესად დადებითი მომენტია ჰეგელის ნააზრევში და მას მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს. მაგრამ ეს რაციონალური მომენტი ჰეგელის ფილოსოფიისა თითქმის ანულირებულია მისივე მსოფლმხედველობრივი კონცეფციით. როგორც ითქვა, ჰეგელი ყველგან, მისი ფილოსოფიური სისტემის ყველა ნაწილში, — სულ მუდამ, თითქმის მომბეზრებლად, ლაპარაკობს ყველაფრის მარადიული ქცევადობისა და დაუდგრომლობის შესახებ. უკანასკნელს, ჰეგელის დიალექტიკური თეორიის თანახმად, ყველგან, — აბსოლუტის ცხოვრების ყველა უბანზე, — უნდა ჰქონდეს ადგილი; მაგრამ ეს სრულებითაც არ არის ასე. ცვალებადობა-ქმნადობა თავისი კეშმარიტი სახით მხოლოდ სპეკულატიური ცნების სფეროში ხორციელდება. საყოველთაოდ ცნობილია თუ როგორ აფასებს ჰეგელი დროსა და სივრცეში გაშლილ ემპირიულ სინამდვილეს. ბუნება არის მექანიკური სიმრავლე საგნებისა და მოვლენებისა, რომელიც მოკლებულია შინაგან ერთიანობას; ემპირიულ სინამდვილეში საგნები მოწყვეტილია ერთიმეორეს; მათი ურთიერთობა გარეგნული, შემთხვევითი და ქაოსურია. ერთი სიტყვით, სივრცეში საგნები ერთიმეორის გვერდით, ერთიმეორის გარეთ დგანან; ისინი ერთიმეორის მიმართ გულგრილნი არიან. მათი ყოფნის წესია დისკრეტულობა. ანალოგიურია საგანთა დროული მიმართებაც. ისინი ერთიმეორის შემდეგ ყოველგვარი შინაგანი კავშირის გარეშე არსებობენ. დროულ განზომილებაში საგნები იცვლებიან; ცვალებადობა მათი მარადიული ხვედრია; ეფემერობა — აი, რა არის დროში გაშლილი სინამდვილის გარდუვალი ხვედრი. აქ ყველაფერი იმთავითვე დასაღუპავად არის განწირული; მუდმივი და წარუვალი არაფერი არ არსებობს. ცვალებადობა განუყოფლად ბატონობს ემპირიულ სინამდვილეში, — მტკიცედ სწამს ჰეგელს; მაგრამ დროულ ცვალებადობას, რომელსაც ბუნებაში აქვს ადგილი, მისივე ღრმა რწმენით, არავითარი შედეგისაკენ არ მივყავართ; ემპირიულ სინამდვილეში მიმდინარე ცვალებადობის გზით ახალი, უფრო მაღალი და სრულყოფილი, აღარაფერი არ წარმოიშობა. ამიტომ ასეთი ქმნადობა-ცვალებადობა ქაოსური, ბრმა და, მაშასადამე, ფუჟია. ნამდვილი ქმნადობა-ცვალებადობა, რომელიც საბოლოო ინსტანციაში ჰეგელს განვითარების სახით აქვს წარმოდგენილი, მას შე-

საძლებლად მიაჩნია მხოლოდ სპეკულატური ცნების საუფლოში. ჭეშ-მარიტი მოძრაობა იდეის, გონის ხვედრია მხოლოდ. მატერიას, რომელიც უთუოდ შედის ბუნების კომპოზიციაში იდეის გარეშე არავითარი ცვალებადობის უნარი არა აქვს. მაგრამ რა ხდება თავად იდეის სამკვიდროში? გვაქვს კი „ნამდვილად არსებულის“ ამ სამყაროში ჭეშმარიტ ქმნადობა-განვითარებასთან საქმე? თუ საქმის ვითარებას ბოლომდე ჩავყვებით და დეტალურად გავშიფრავთ, აღმოჩნდება, რომ ცნებათა ფილიაცია, რომელსაც იდეა განიცდის „წმინდა აზრის სტიქიაში“, ყალბი, ილუზორული მოძრაობაა. ფაქტიურად ყველაფერი იმთავითვე იდეალურად მოცემულია ჰეგელისეული ლოგიკის საწყის კატეგორიებში და მთელი პროცესი განვითარებისა, რომელსაც სპეკულატური იდეა გაივლის, არის ლატენტურად მოცემულის მხოლოდ გარეგანი ლეგალიზაცია. ახალი, აქამდე არ არსებული, არაფერი არ ჩნდება „მზისა და მთვარის ქვეშ“. ამ პუნქტში, შეიძლება სავსებით თამამად ითქვას, ჰეგელი სრულ სოლიდარობაში მოდის პლატონისა და არისტოტელეს მეტაფიზიკურ კონცეფციებთან. ყოველივე ამის უკანასკნელი ძირი, როგორც ზემოთ აღინიშნა, იმაში უნდა ვეძიოთ, რომ ჰეგელმა სამყაროს საფუძველში აბსოლუტური იდეა და მისი მიზანი მოაქცია. იდეა მიზნითურთ არის ის უკანასკნელი ინსტანცია, რომელიც, საბოლოოდ, აპირობებს ცვალებადობის ფენომენისა და სხვა ფუნდამენტური ნიშან-თვისებების არსებობას უნივერსუმში. ეს ყალბი, სრულიად მიუღებელი წანამძღვარია. აქ ჰეგელი და მთელი იდეალისტური მეტაფიზიკა რადიკალურ რეკონსტრუქციას საჭიროებს. გონი არ შეიძლება ჩაითვალოს უმაღლეს ინსტანციად; იგი თავად საჭიროებს თავისი არსებობის საფუძველს. ალბათ, ამით არის გაპირობებული ის გარემოება, რომ ობიექტური სულისა და მისი მიზნის უმაღლეს ინსტანციად გამოცხადება საზღვარს უდებს ცვალებადობის დაუბოლოებლობას და, მას, თავისთავად ცხადია, აშკარა ფინალიზმისაკენ მიყვავართ. ჰეგელთან ხომ სუბიექტური გონის წარმოშობითა და მისი აბსოლუტურ იდეასთან დამთხვევით მთავრდება მთელი ისტორიული პროცესი. ცვალებადობის ფენომენი სრულიად ზედმეტი ხდება უნივერსუმის სტრუქტურაში. ამ აშკარა შეუსაბამობაზე ნათლად მიანიშნებენ ჰეგელის მკვლევრები. როგორც ჩანს, სამყაროს სტრუქტურაში ცვალებადობა-ქმნადობის ჰეგელისეულ გამართლებას აშკარად მოჩვენებითი ხასიათი აქვს და, მაშასადამე, ძირეულ გადამუშავებას მოითხოვს.

ამ მიმართებით რადიკალური გარდაქმნის საჭიროება ნაგრძნობი იქნა სიცოცხლისა და პროცესის ფილოსოფიაში. ჩვენი დროის მეტაფიზიკამ შეურიგებელი ბრძოლა გამოუცხადა სუბსტანციონალისტურ მეტაფიზიკას. მან, გარკვეული კორექტივით, კვლავ აღორძინა ჰერაკ-



ლიტესეული სულისკვეთება. ფილოსოფიური მზერა მიმართულ იქნა ქვეყნიერების დიონისესეული საფუძვლისაკენ. მაგრამ, ისე როგორც ძველმა მეტაფიზიკამ ვერ დაიცვა ზომიერება და ნამდვილი არსებობა მარადიულობასთან გააიგივა, სამყაროს რელატივისტურმა კონცეფციამ მეტაფიზიკის მაგისტრალური ხაზი სუბსტანციონალიზმის საწინააღმდეგო მიმართულებით წარმართა; მან ქვეყნიერება ცვალებადობის უწყვეტ ნაკადად გამოაცხადა და არავითარი ადგილი არ დატოვა მყარი გარკვეულობებისათვის. უნივერსუმის ორივე კონცეფციას, თავისი დადებითი და უარყოფითი მომენტებით, ითვალისწინებს წინამდებარე შრომა და, მათგან განსხვავებით, ცვალებადობის ფენომენს განიხილავს ავტორის მიერ თავისებურად გაგებულ სამყაროს ფუნდამენტური ტენდენციის თვალსაწიერიდან.

ცვალებადობის ცნების შესახებ

წინათქმაში, ჩვენი აზრით, საკმაოდ ნათლად არის მინიშნებული მთავარ ამოცანაზე, რომელსაც წინამდებარე შრომა ისახავს. რა არის საჭირო იმისათვის, რომ ეს ამოცანა წარმატებით განხორციელდეს? ავტორს ამის ერთ-ერთ აუცილებელ წინაპირობად მიაჩნია ცვალებადობის ცნების ზუსტი შინაარსის დადგენა — ცვალებადობის ცნების განსაზღვრება. თავის მხრივ უკანასკნელი ამოცანის რეალიზაცია უთუოდ მოითხოვს ტერმინოლოგიური უწყესრიგობის ლიკვიდაციას. ზუსტ მეცნიერებებთან შედარებით, ფილოსოფიამ, როგორც ცნობილია, ტერმინების არაერთმნიშვნელოვანი და თვითნებური მოხმარებით, სახელი გაიტეხა. ფილოსოფიაში ამ საერთო ვითარების ერთ კონკრეტულ შემთხვევაზე გვინდა ამჟერად მკითხველის ყურადღება შევაჩეროთ.

როცა ვლაპარაკობთ ტერმინოლოგიურ უწყესრიგობაზე, ჩვენ მხედველობაში გვაქვს მოძრაობის პრობლემასთან დაკავშირებით მოხმარებული ტერმინების აღრევა. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია ის გარემოება, რომ ამ აღრევას ადგილი აქვს ფილოსოფიური აზროვნების ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე და თავის კულმინაციურ წერტილს ჩვენს ფილოსოფიურ ლიტერატურაში აღწევს. ილუსტრაციისათვის მოვიყვან ფილოსოფიური ლიტერატურის სიტყვახმარებაში გავრცელებულ გამონათქმებს, რომლებიც არაორაზროვნად და ნათლად მიანიშნებენ იმაზე, რომ მოძრაობის ცნება მრავალმხრივი შინაარსითაა მოხმარებული, რასაც უთუოდ ბურუსი და არასასურველი არევე-დარევა შეაქვს ფილოსოფიური აზროვნების სიმწყობრეში.

§ 1. 1. ბერძნული ფილოსოფია დასაბამიდანვე ქვეყნიერების მარადიული მოძრაობა-ცვალებადობის იდეიდან გამომდინარეობდა. საგანთა საყოველთაო დასაბამის ძიება, რითაც იწყება ევროპული ფილოსოფია, არამეტოე გამორიცხავდა, არამედ, პირიქით, გულისხმობდა ქვეყნიერების მარადიული ქმნადობის აღიარებას. სამყარო, მიღეთის ნატურფილოსოფიური სკოლის ერთ-ერთი წარმომადგენლის — ანაქსიმანდრეს აზრით, საყოველთაო საწყისიდან საგანთა მარადიული წარმოშობისა და იმავე საყოველთაო დასაბამში სასრულო არსებათა უკან დაბრუნე-

ზის მარადიული პროცესი იყო. ქვეყნიერება ძველ ბერძნებს მარად მოძრავი და ცვალებადი, აქტიურ, გასულიერებულ ერთიან მთელად ჰქონდათ წარმოდგენილი. სინამდვილის ამნაირ გაგებას ცნებათა სინკრეტულობა შეესატყვისებოდა: ცნებებს — მოძრაობა (kinesis), ცვალებადობა (metabole) ძველი ბერძნები უმრავლეს შემთხვევაში ერთნაირი მნიშვნელობით ხმარობდნენ და მათ შორის რაიმე არსებით განსხვავებას არ ხედავდნენ. ეს ასე იყო თვით ჰერაკლიტესთანაც.

2. „ჰერაკლიტე, — გადმოსცემს პლატონი დიალოგ „კრატელში“, — თურმე ამბობს, რომ ყოველი არსებული მოძრაობს და არაფერია გაჩერებული; და ადარებს ბუნებას მდინარის დინებას, ის ამბობს, რომ ორჯერ ერთსა და იმავე მდინარეში ვერ ჩახვალ<sup>1</sup>. „ქვეყნიერება, მოგვითხრობს ჰერაკლიტეს შრომებიდან შემორჩენილი ერთ-ერთი ფრაგმენტი, არავისგან არ არის შექმნილი; ის არის მარადიული ცხოველმყოფელი ეცხლი, რომელიც კანონზომიერად ინთება და კანონზომიერად ქრება“, „თბილი გადაიქცევა ცივად; ცივი — თბილად“. „მზეს არ შეუძლია გადაუხვიოს გზას, რითაც ის მოძრაობს, წინააღმდეგ შემთხვევაში, მას წამოეწევიან დიკეს მკველები — ერიჩიები და დასჯიან მას სამართლიანობის დარღვევისათვის“. ჰერაკლიტეს აქ მოყვანილი აზრებიდან ნათლად ჩანს, რომ მას მოძრაობა ფართო გაგებით ესმის და მის ქვეშ გულისხმობს არსებულთა ცვალებადობასაც, საგანთა სივრცეში გადაადგილებასაც და, ბოლოს, მათ შინაგან აქტიურობასაც. მართლაც, როცა ჰერაკლიტე ლაპარაკობს, რომ სამყარო მდინარეს ჰგავს, რომ თბილი გადაიქცევა ცივად და, პირიქით, ამ გამოთქმებით ის სამყაროს მოძრაობა-ქმნადობაში მის მარადიულ ცვალებადობას გულისხმობს: ისე როგორც მდინარეში წყლის მასა მარადიულად იცვლება, ასევე ქმნადობენ მოვლენები და საგნები; ქვეყნიერება მოვლენებისა და საგნების, მათი ნიშან-თვისებების განუწყვეტელი მდინარეაა. მოძრაობა, ჰერაკლიტეს აზრით, სივრცეში საგანთა ადგილმონაცვლეობასაც ნიშნავს; მზე და სხვა ციური სხეულები ცის ტატნობზე სრულიად განსაზღვრული გზით მიმოიქცევიან. თუ ჰერაკლიტეს ზემომოყვანილი აზრების შინაარსში ღრმად ჩაიხედოდათ და ყურადღებას მივაქციეთ იმ მომენტს, რომ ქვეყნიერება არავისგან არ არის შექმნილი და, მაშასადამე, თავისით ქმნადობს და იცვლება, მაშინ მოძრაობის ცნებაში ჰერაკლიტეს მიერ ნაგულისხმევია ქვეყნიერების ჰერაკლიტესეული პირველემენტის — ეცხლის აქტივობაც. როგორც ჩანს, მოძრაობა-ქმნადობის ცნება ჰერაკლიტესთან ფართო, სინკრეტული შინაარსით არის წარმოდგენილი.

<sup>1</sup> პლატონი, ტ. 1, მ., 1968, გვ. 440.

3. თავისებურად, — უფრო ვიწრო და ნაკლებ კომპლექსური შინა-არსით — არის მოძრაობის ცნება გაგებული ბერძნულ ატომისტიკაში. მოძრაობა-ცვალებადობის ცნების სინკრეტულობაში პირველი ბზარი სწორედ აქ ჩნდება. ეს პირობადებულია ატომისტური ფილოსოფიის მექანიცისტური ბუნებით. სამყარო საგნებისა და მოვლენების მრავალფეროვნებაა. როგორ უნდა აიხსნას ეს უკანასკნელი? ატომისტიკის თანახმად, ერთიმეორისაგან განსხვავებული საგნებისა და მოვლენების არსებობის მიზეზი ატომთა შეერთება და დაშლაა. ატომთა შეერთება-დაშლა ცვალებადობაა, რომელსაც, ატომისტიკის თანახმად, თვით ატომები, როგორც ქვეყნიერების უმცირესი ელემენტები არ ექვემდებარებიან. ატომისტიკა კითხვას სვამს ატომთა შეერთება-დაშლის მიზეზის შესახებ<sup>2</sup>. რის გამო ხდება ატომთა შეერთება-დაშლა? — მოძრაობის გამო! — უპასუხებს ატომისტიკა. რამ მიანიჭა ატომებს მოძრაობა? ისე როგორც არ შეიძლება ატომების წარმოშობაზე დაისვას კითხვა, რამდენადაც ისინი ქვეყნიერების პირველელემენტები არიან, არც იმის შესახებ შეიძლება დაისვას კითხვა, თუ საიდან შეიძინეს ატომებმა სივრცეში ადგილმონაცვლეობის თვისება. ატომისტიკური თვალსაზრისის ამ მოკლე გადმოცემიდან ნათლად ჩანს, რომ განსხვავებით ადრინდელი ბერძენი ფილოსოფოსების შეხედულებებისაგან, ატომისტიკაში ცვალებადობისა და მოძრაობის ცნებებში განსხვავებული შინაარსია ნაგულისხმევი: ცვალებადობა ატომისტიკაში ნიშნავს ატომთა შეერთება-დაშლას, მოძრაობა კი — ატომების სივრცეში ადგილმონაცვლეობას. ატომისტიკამ, განსხვავებით ჰერაკლიტესაგან, გააღარბა მოძრაობის სინკრეტულ ცნებაში ნაგულისხმევი შინაარსი, მაგრამ, ჩვენი აზრით, სათავე დაუდო მოძრაობის ცნების ერთი გარკვეული შინაარსით ხმარების საქმეს. ეს გარემოება უთუოდ კარგ წამოწყებად უნდა იქნეს მიჩნეული, თუმცა მას ძალზე ხშირად ივიწყებდნენ ფილოსოფიური აზროვნების ისტორიაში. ამ უკანასკნელ ვითარებას, ალბათ, ის აპირობებდა, რომ ატომისტიკა მთელი თავისი ხანგრძლივი არსებობის მანძილზე ცვალებადობის ცნების მთავარ შინაარსად ატომთა შეერთება-დაშლას გულისხმობდა.

4. ელინურ ფილოსოფიაში მოძრაობა-ცვალებადობის ფენომენის სპეციალური კვლევა პირველად არისტოტელემ აწარმოვა. მისი შეხე-

---

<sup>2</sup> სხვათა შორის უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ არისტოტელე არ არის მართალი როცა იგი ატომისტიკის წარმომადგენლებს უსაყვედურებს, რომ თითქოს ისინი არ სვამდნენ კითხვას ატომთა შეერთება-დაშლის მიზეზის შესახებ. ჩვენი აზრით, საესებო სწორია ს. დანელია, როცა იგი ამასთან დაკავშირებით აკრიტიკებს არისტოტელის თვალსაზრისს (იხ. ს. დანელია, ანტ. ფილ. ნარკვევები, გვ. 200, 201, 202).

დულებები, ამ შემთხვევაში, გაშუალებულია ანტიკური ფილოსოფიის ორსაუკუნოვანი ევოლუციით თაღისიდან დაწყებული თავად არისტოტელემდე. თავის მრავალრიცხოვან შრომებში არისტოტელე იკვლევს მოძრაობა-ცვალებადობის ფენომენს და ცდილობს მათი ცნების ზუსტი ლოგიკური შინაარსი დაადგინოს. მაგრამ, დიდი საქმის დასაბამს, როგორც წესი, ყოველთვის თან ახლავს ერთგვარი ბურუსი და გაურკვევლობა; ამ შემთხვევაში, არც არისტოტელეა გამონაკლისი. ტერმინოლოგიურ უზუსტობას ვერც არისტოტელემ დააღწია თავი. რა ვითარებასთან გვაქვს საქმე არისტოტელესთან კონკრეტულად? მე მოვიყვან რამდენიმე ამონაწერს არისტოტელეს თხზულებებიდან. 1. „მოძრაობისა და ცვალებადობის სახეები იმდენია, რამდენიც არსებულის სახეები“... „...მოძრაობის ქვეშ მე მესმის შესაძლებლობის როგორც ასეთის განხორციელება“<sup>3</sup>. 2. „არც ხე და არც სპილენძი არ არის თავისი თავის ცვალებადობის მიზეზი, რადგან, არც ხე აკეთებს საწოლს და არც სპილენძი ქანდაკებას, არამედ რაღაც სხვაა ამ ცვალებადობის მიზეზი. მისი მოძებნა კი სხვა საწყისის მოძებნას მოითხოვს, რაც მოძრაობის საწყისია“<sup>4</sup>. „...მოძრაობა არის მოქმედება“<sup>5</sup>. 3. „...რატომ არის რომ ერთი სხეულნი, ბუნების თანახმად, ყოველთვის მოძრაობენ ზევით, მეორენი — ქვევით, მესამენი — ზევით და ქვევით...“<sup>6</sup>. „პლანეტების მოძრაობა, ედოკსის შეხედულებით, თითოეულთან ოთხ სფეროში ხდება...“<sup>7</sup>. 4. „აღმოცენდა თუ არა ოდესმე მოძრაობა, რომელიც წინათ არ ყოფილა და გაქრება თუ არა ისე, რომ არაფერი არ იმოძრაავებს; თუ იგი არც წარმოშობილა და არც გაქრება, არამედ იყო და იქნება მარადის...“<sup>8</sup>.

ჩვენ მოვიყვანეთ ოთხი წყება ამონაწერებისა არისტოტელეს თხზულებებიდან, რომლებშიც, კონტექსტის მიხედვით, მოძრაობა-ცვალებადობის ცნებათა სხვადასხვანაირ გაგებასთან გვაქვს საქმე. ზემოთ მოყვანილი ამონაწერების პირველი წყების მიხედვით, სადაც არისტოტელე მოძრაობა-ცვალებადობის სახეთა კლასიფიკაციის საფუძველზე მიანიშნებს, მოძრაობა და ცვალებადობა ერთი და იგივე მნიშვნელობით არის ნახმარი და მათ შორის რაიმე განსხვავება არ არის დამყარებული<sup>9</sup>; ამასვე ადასტურებს იქვე მოყვანილი ამონაწერიც, სადაც მო-

<sup>3</sup> არისტოტელე, ტ. 1, მ., 1976, გვ. 288, 289.

<sup>4</sup> არისტოტელე, მეტაფიზიკა, თბ., 1964, გვ. 32.

<sup>5</sup> არისტოტელე, ტ. 3, მ., 1981, გვ. 106.

<sup>6</sup> არისტოტელე, ტ. 3, მ., 1981, გვ. 370.

<sup>7</sup> არისტოტელე, ტ. 1, მ., 1976, გვ. 313.

<sup>8</sup> არისტოტელე, ტ. 3, მ., 1981, გვ. 221.

<sup>9</sup> არისტოტელე ტერმინ — კინეზის-თან (მოძრაობა) ერთად, როგორც ამას ვინდელბანდი აღნიშნავს, ხმარობს ცნება — მეტაბოლეს (ცვალებადობა) მასთან სრუ-

ძრაობის არსების არისტოტელისეულ გაგებაზე არის მითითებული. არისტოტელეს მიხედვით მოძრაობა არის შესაძლებლობის განხორციელება და, მასასადამე, ის იმავე დროს ცვალებადობასაც ნიშნავს. ერთი სიტყვით, მოძრაობისა და ცვალებადობის ცნებათა გაიგივებას ძალზე ხშირად ვხვდებით არისტოტელეს თხზულებებში, რომელიც საბოლოოდ მასთან მოძრაობისა და ცვალებადობის სახეების გაიგივებით არის წარმოდგენილი. როგორ არის საქმის ვითარება არისტოტელეს თხზულებებიდან მოტანილი ამონაწერთა მეორე წყების მიხედვით? პირველი ამონაწერი გამოთქვამს არისტოტელეს საყოველთაოდ ცნობილ შეხედულებას მოძრაობა-ცვალებადობის საწყისის შესახებ. მასალა, რომელიც არისტოტელეს მიხედვით ყოველი არსებულის აუცილებელი კომპონენტია, არ არის საკმარისი საგნის არსებობისათვის; მასალასთან ერთად არსებულის არსებობას აპირობებს აქტიური საწყისი — ფორმა. ფორმა არის არა მხოლოდ არსებულთა (საგანთა) არსებობის მიზეზი, არამედ ცვალებადობისა და მოძრაობის საწყისიც, რამდენადაც საგნის მოძრაობა-ცვალებადობა ნიშნავს შესაძლებლობის (მასალის) სინამდვილედ გადაქცევას, მასალაში ფორმის განხორციელებას, მასალისა და ფორმის შეერთებას. საინტერესო ის არის, რომ ფორმას, როგორც საგანთა აქტიურ საწყისს, არისტოტელე ხშირად აიგივებს მოქმედებასთან, აქტიურობასთან და უკანასკნელი ესმის როგორც მოძრაობა. ამას ადასტურებს ზემოთ მოყვანილი ამონაწერი, რომლის მიხედვითაც „მოძრაობა არის მოქმედება“. მაგრამ ამ გამოთქმით, როგორც ამას მკითხველი ხედავს, მოძრაობა-ცვალებადობის ცნებაში ახალი შინაარსია ჩადებული, რაც იმას ნიშნავს, რომ არისტოტელე მოძრაობისა და ცვალებადობის ცნებებს ხშირად აქტიურობის შინაარსითაც მოიხმარს. მკითხველისათვის, ალბათ, სრულიად ნათელია, რომ მესამე წყების ამონაწერებში არისტოტელე მოძრაობის ცნების ქვეშ მექანიკურ მოძრაობას გულისხმობს: სხვა რა უნდა ვიგულოვოთ პლანეტების მოძრაობასა და სხეულების ზევით და ქვევით მოძრაობაში გარდა სივრცეში მათი ერთი ადგილიდან მეორეზე გადაადგილებისა? და, ბოლოს, „ფიზიკის“ მე-8 წიგნის დასაწყისიდან ზემოთ მოყვანილი ამონაწერის შესახებ. თავის შრომებში არისტოტელე ხშირად ლაპარაკობს მოძრაობის სახეებზე და მასში გულისხმობს ცვალებადობის სახეებს. ასე, მაგალითად, „მეტაფიზიკის“ მე-11 წიგნის მე-12 თავში ასახელებს მოძრაობის სამ სახეს<sup>10</sup>; სულის შესახებ ტრაქტატის

ლიად იგივეობრივი აზრით (იხ. ვ. ვინ დ ე ლ ბ ა ნ დ ი, ძველი ფილოსოფიის ისტორია, მ., 1911, გვ. 279).

<sup>10</sup> არისტოტელე, ტ. 1, მ., 1976, გვ. 296.

პირველი წიგნის მესამე თავში ასახელებს მოძრაობის ოთხ სახეს<sup>11</sup>; კატეგორიების შესახებ ტრაქტატის მე-14 თავში ასახელებს მოძრაობის 6 სახეს<sup>12</sup>. ჩვენ მიერ მოყვანილ და კიდევ სხვა მრავალ ადგილას არისტოტელე არ ავლებს საზღვარს მოძრაობისა და ცვალებადობის ცნებებს შორის და ყველგან მათ ერთნაირი ლოგიკური შინაარსით ხმარობს. თუ რა შეუსაბამობებს და აშკარა უხერხულობებს იწვევს მოძრაობისა და ცვალებადობის ცნებების ასეთი გაიგივება თანამედროვე ფილოსოფიის თვალსაზრისით ამის შესახებ ქვემოთ გვექნება ლაპარაკი. ახლაკი დაკუბურუნდეთ ჩვენ მიერ ზემოთ მოტანილ ამონაწერს. ამ ამონაწერის მიხედვით არისტოტელეს, წინააღმდეგ თავისი საერთო შეხედულებისა, ძალაუნებურად გამოუღდის მოძრაობისა და ცვალებადობის ფენომენებს შორის განსხვავების დამყარება. მართლაც, თუ მოძრაობისა და ცვალებადობის ფენომენები და მათი გამომთქმელი ცნებები იგივეობრივნი არიან და ემთხვევიან ერთიმეორეს, მაშინ ხომ არ წარმოშობს რაღაც ლოგიკურ შეუსაბამობას მოძრაობის ფენომენისადმი წარმოშობა-გაქრობის ნიშანთა მიკუთვნება? ან წარმოშობა-გაქრობის ცნებებში ნაგულისხმევი შინაარსი მთლიანად და სავსებით ემთხვევა მოძრაობის ცნებას და მაშინ მოძრაობის წარმოშობა-გაქრობის შესახებ საკითხის დაყენება აშკარა ლოგიკური შეუსაბამობაა ან კიდევ, თუ ასე კითხვის დასმა სამართლიანია, მაშინ მოძრაობისა და ცვალებადობის ფენომენებს შორის უთუოდ რაღაც განსხვავება უნდა დავამყაროთ. ჩვენ ვფიქრობთ, რომ არისტოტელე, მისდა უნებურად, სწორედ ამ განსხვავებაზე მიანიშნებს ზემოთ მოყვანილ ციტატაში.

ამრიგად, როგორც ჩანს, მოძრაობა-ცვალებადობის ფენომენის კვლევისას არისტოტელესთან, ტერმინოლოგიური წესრიგის თვალსაზრისით, ბევრ შეუსაბამობასთან გვაქვს საქმე. ყველაფერი ეს, ჩვენი აზრით, სავსებით ნათელია და საკამათო არ უნდა იყოს. ჩვენ გვინდა შკითხველის ყურადღება ერთ მნიშვნელოვან მომენტს მივაქციოთ, მომენტს, რომელსაც მეტად არსებითი მნიშვნელობა აქვს და რომლის შესახებ ჩვენ ქვემოთ სპეციალურად გვექნება ლაპარაკი. ზემოთ მოყვანილი ერთ-ერთი ამონაწერის მიხედვით, არსებულის აქტიურობის გარეშე გაუგებარი ხდება თვით მოძრაობა-ცვალებადობის ფაქტი — აი, პირველხარისხოვანი მნიშვნელობის აზრი, რომელიც არისტოტელემ ათეულობით საუკუნის წინ მიანიშნა. მართლაც, ერთი მხრივ, მოძრაობა-ცვალებადობასა და, მეორე მხრივ, აქტიურობას შორის ისეთი მჭიდრო ორგანული კავშირია, რომ შეუძლებელია ერთი გაიანჯრო მეორის გარეშე. უკანასკნელმა გარემოებამ განაპირობა, ჩვენი აზრით, ის ფაქ-

<sup>11</sup> არისტოტელე, ტ. 1, მ., 1976, გვ. 380.

<sup>12</sup> არისტოტელე, ტ. 2, მ., 1978, გვ. 88.

ტი, რომ მოძრაობის ცნების თავდაპირველი სინკრეტული შინაარსიდან მისი ახალი მნიშვნელობა გამოიძერწა და იგი არსებულის კიდევ ერთი ფუნდამენტური ნიშნის — აქტიურობის გამომთქმელ ტერმინად მოგვევლინა. არსებულის აქტიურობის პრინციპის დაფუძნება ფილოსოფიური აზრის კოლოსალური წარმატების მაუწყებელია და რაოდენ დასანანია, რომ მის ამ წინსვლას თან არ ახლდა ადეკვატური ტერმინოლოგიური ევოლუცია.

5. ახალმა დრომ მნიშვნელოვანი კორექტივი შეიტანა მოძრაობის ელინური ცნების სინკრეტულობაში; ამის დასაბამს ჯერ კიდევ არისტოტელესთან ვხვდებით. ბუნებისმეტყველების, განსაკუთრებით მექანიკის მეცნიერების, ძალოვანი განვითარების შედეგად და მისი უშუალო ზეგავლენით მოძრაობის ცნება ზოგიერთ ფილოსოფოსთან ერთ-ნიშნა მნიშვნელობით მოიხმარება და მასში სხეულთა სივრცეში გადაადგილება იგულისხმება. ამის საუცხოო მაგალითია ინგლისელი ფილოსოფოსი ჰობსი. „მოძრაობა, — წერს ჰობსი, — ეს არის ადგილის განუწყვეტელი ცვლა, ე. ი. ერთი ადგილის დატოვება და მეორეზე გადასვლა“<sup>13</sup>. „...ყოველგვარი ცვლებადობა, — ამბობს ჰობსი მეორე ადგილას, — არის მხოლოდ მოძრაობა“<sup>14</sup>. მოძრაობის ცნების ქვეშ კი იგი აქ და ყველგან სხეულთა ადგილმონაცვლეობას გულისხმობს. ამას ადასტურებს მოძრაობის მიზეზის ჰობსისეული გადაწყვეტა. სხეულის მოძრაობის მიზეზად ის ყოველთვის სივრცეში მექანიკურად მოძრავ მეორე სხეულს ასახელებს<sup>15</sup>. როგორც ჩანს, მექანიციკურმა მსოფლმხედველობამ, რომლის ტიპური წარმომადგენელიც არის ჰობსი, უკიდურესად გააღარიბა მოძრაობის ცნებაში ნაგულისხმევი შინაარსი, თუმცა ამ გაღარიბებას მეორე მხარე გააჩნია. ეს არის ტერმინ მოძრაობის — ერთნიშნა მოხმარება, რომელიც, განსაზღვრული თვალსაზრისით, უთუოდ დადებით მომენტად უნდა ჩაითვალოს.

როგორც ითქვა, ბუნებისმეცნიერების განვითარებამ მოძრაობის ცნების თავდაპირველი სინკრეტულობა დაარღვია, მაგრამ იგი ფილოსოფიასა და მეცნიერებაში მაინც დარჩა კომპლექსური მნიშვნელობის ტერმინად. ამაში ადვილად დავრწმუნდებით თუ განვიხილავთ ახალი დროის ზოგიერთი ფილოსოფიის ნაწერებს.

6. ამ მხრივ საინტერესოა XVIII საუკუნის ფრანგი მატერიალისტის ჰოლბახის მაგალითი. ჰოლბახი ორგვარ მოძრაობას არჩევდა. მოძრაობის ერთ სახედ მას მიაჩნდა „ტანის მოძრაობა“, რომლის დროსაც სხეულები ერთი ადგილიდან მეორეზე გადაინაცვლებენ. მოძრაობის ეს სახე

<sup>13</sup> ჰობსი, რჩ. ნაწ., მ., 1926, გვ. 17.

<sup>14</sup> ჰობსი, რჩ. ნაწერები 2 ტომად, ტ. 1, გვ. 153 (ხაზი ჩემია — ა. ც.).

<sup>15</sup> იქვე.



ჩვენი უშუალო დაკვირვების ობიექტია. მოძრაობის მეორე სახედ ჰოლბახი თვლიდა შინაგან, ფარულ მოძრაობას, რომელიც სხეულის შინაგანი ენერჯის, მისი არსების საფუძველზე წარმოებს. მოძრაობის ეს სახე არ არის უშუალო დაკვირვების ობიექტი. ასეთ მოძრაობათა რიგს მიეკუთვნება, მაგალითად, ისეთი მოძრაობანი, რომელთა მეშვეობითაც იზრდება, მცირდება, იცვლება და ახალ თვისებებს იძენს ესა თუ ის მცენარე თუ ცხოველი. პირველი სახის მოძრაობას ჰოლბახი შეძენილ მოძრაობას უწოდებს, ხოლო მეორეს კი — თვითნებურს, ნებისმიერს<sup>16</sup>. როგორც დაკვირვებული მკითხველი ხედავს, მოძრაობის ამ ორი სახის შესახებ თავისი ამ კონცეფციით ჰოლბახი მკაფიო ზღვარს ავლებს მექანიკურ მოძრაობასა და ცვალებადობა-აქტიურობას შორის, თუმცა მათ აღსანიშნავად ერთი და იმავე ტერმინს — მოძრაობას ხმარობს. ეს გარემოება ჩანს შემდეგი ამონაწერების მიხედვით: I. „მოძრაობა, — წერს ჰოლბახი, — ეს არის ძალვა, რომლის მეშვეობითაც ესა თუ ის სხეული იცვლის ან ესწრაფვის შეიცვალოს თავისი ადგილმდებარეობა სივრცეში... ან მანძილი სხვა სხეულებთან მიმართებაში“<sup>17</sup>. II. „ყველაფერი სამყაროში მოძრაობაში იმყოფება. ბუნების არსება მის მოქმედებაში მდგომარეობს. თუ მის ნაწილებს ყურადღებით განვიხილავთ აღმოჩნდება, რომ არც ერთი მათგანი არ იმყოფება აბსოლუტურ უძრავობაში. ბუნების ნაწილები, რომლებიც ჩვენ, ერთი შეხედვით, მოძრაობის გარეშე წარმოგვიდგებიან, სინამდვილეში იმყოფებიან მოჩვენებით უძრავობაში“<sup>18</sup>. „...მაგრამ, გვკითხავენ ჩვენ, საიდან აქვს ბუნებას მოძრაობა? ჩვენ ვუპასუხებთ: თავისი თავისაგან; სხვანაირად, ის არის დიდი მთელი, რომლის გარეშე არაფერი არ არსებობს. ჩვენ ვამბობთ, რომ მოძრაობა ეს არის არსებობის წესი, რომელიც შინაგანი აუცილებლობით გამომდინარეობს მატერიის არსებიდან“<sup>19</sup>. III. „...მატერიისათვის დამახასიათებელი განუწყვეტელი მოძრაობა ცვლის და ანადგურებს ყველა საგანს; დროის ყოველ მომენტში ართმევს მათთვის დამახასიათებელ თვისებებს და ცვლის ახალი თვისებებით“<sup>20</sup>.

სრულიად გარკვეული აზრით ხმარობს ჰოლბახი ცნება მოძრაობას პირველი ამონაწერის მიხედვით. ამ შემთხვევაში მოძრაობის ცნება გაიგივებულია სივრცეში სხეულის ადგილმდებარეობის შეცვლასთან. ეს, რა თქმა უნდა, მოძრაობის წმინდა მექანიკური გაგებაა. მაგრამ სავსებით განსხვავებული შინაარსით მოიხმარს იგივე ცნებას ჰოლბახი

<sup>16</sup> ჰოლბახი, ბუნების სისტემა, მ., 1940, გვ. 14—15.

<sup>17</sup> იქვე, გვ. 13.

<sup>18</sup> იქვე, გვ. 16.

<sup>19</sup> იქვე, გვ. 18.

<sup>20</sup> იქვე, გვ. 29.

ზემოთ მოტანილი მეორე რიგის ამონაწერების მიხედვით. აქ იგი მოძრაობის ცნებაში გულისხმობს მატერიის აქტიურობას, მის მოქმედ ხასიათს. ამას ადასტურებს მისი სოლიდარობა ინგლისელ მატერიალისტ ჯონ ტოლანდთან. შენიშვნაში (იხ. მისი შრომა „ბუნების სისტემა“, გვ. 16) ის მკითხველს ურჩევს მიმართოს ტოლანდის ცნობილ წერილებს სერენასადმი<sup>21</sup>, სადაც მას მატერიის მოძრაობის ქვეშ ესმის მისი აქტიურობა, მოქმედი ბუნება. ჩვენ მიერ მოყვანილი ამონაწერების მესამე რიგი, რომელიც ერთი ციტატით არის წარმოდგენილი და რომლის მსგავსი აზრები ბევრგან არის გაბნეული „ბუნების სისტემაში“, ცნება მოძრაობის კიდევ ერთ ახალ მნიშვნელობაზე მიანიშნებს. მართლაც ჩვენ მიერ მოყვანილ ციტატაში ლაპარაკია „მატერიის განუწყვეტელ მოძრაობაზე“, რომლის ქვეშ ჰოლბახი მატერიის აქტიურობას გულისხმობს. აი, სწორედ ეს აქტიურობა მატერიისა „ცვლის და ანადგურებს ბუნების ყველა საგანს“. მოძრაობის, აქტიურობის მეშვეობით, სავსებით სამართლიანად ამტკიცებს ჰოლბახი, აღმოცენდება, იცვლება და ნადგურდება ყოველი არსებული. რა გამომდინარეობს ჰოლბახის ამ მტკიცებიდან? უწინარეს ყოვლისა ის, რომ აქტიურობა და ცვალებადობა მატერიისათვის დამახასიათებელი განსხვავებული ფენომენებია, რამდენადაც ჰოლბახის მტკიცებით, პირველი არის მეორის საფუძველი და მიზეზი. ყველაფერი ეს სწორია და არ შეიძლება სიმპათიებით არ განეწყო ასეთი თვალსაზრისისადმი. მაგრამ დასანანი ის არის, რომ ამ შინაარსეული განსხვავების აღნიშვნას არსებულის ორ ფუნდამენტურ ნიშან-თვისებას შორის თან არ ახლავს ზუსტი ტერმინოლოგიური ფიქსაცია და მათი შინაარსი მკაცრი ლოგიკურა გამიჯვნა. მართალია, ჰოლბახი ხმარობს განსხვავებულ ტერმინებს — აქტიურობა, ცვალებადობა, მოძრაობა, მაგრამ ყველა ისინი ერთი ლოგიკური შინაარსით მოიხმარება და, საბოლოო ჯამში, ერთი ტერმინით, სახელდობრ, — მოძრაობის ცნებით აღინიშნება. ამას კი, თავისთავად ცხადია, არევედარევა და გაურკვეველობა შეაქვს თავიდანვე სწორად მიგნებული თვალსაზრისის სიმწყობრეში. ჰოლბახთან ჩვენ ვხვდებით მოძრაობის ცნების კიდევ ერთი მნიშვნელობით ხმარების მაგალითს. საქმე ეხება შემდეგ ფაქტს: ჰოლბახი ლაპარაკობს, რომ საგნებისა და მოვლენების უძრაობა მოჩვენებითია; ფაქტიურად ისინი სულ მუდამ ზემოქმედებენ ერთიმეორეზე და წარმოდგენენ ამ განუწყვეტელი ურთიერთზემოქმედების პროდუქტს. ეს უკანასკნელი — საგნებისა და მოვლენების განუწყვეტელი ურთიერთზემოქმედება, არის სწორედ

<sup>21</sup> XVIII საუკ. ინგლისელი მატერიალისტები, ტ. 1, მ., 1967.

მოძრაობა<sup>22</sup>. ეს უკვე, როგორც ამას მკითხველი ნათლად ხედავს, მოძრაობის ცნების კიდევ ერთი ახალი მნიშვნელობაა.

7. თითქოს მოსალოდნელია, რომ ტერმინოლოგიური წესრიგით, უნივერსუმის მოძრაობა-ცვალებადობის პრობლემასთან დაკავშირებით, უნდა გამოირჩეოდეს ჰეგელი, რომელიც დიალექტიკის დიდოსტატად არის მიჩნეული. მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ასე არ არის. მართალია, ჰეგელთან ამ მხრივ შედარებით შესაწყნარებელ ვითარებასთან გვაქვს საქმე, მაგრამ მეტაფორები, რომელსაც ჰეგელი ხშირად მიმართავს, ბევრ შემთხვევაში არღვევს ტერმინოლოგიურ სიმწყობრეს.

ჰეგელთან უხვად ვხვდებით სხვადასხვა გამოთქმას (ტერმინებს). „აზრის მოძრაობის“ გამოსახატავად. ცნების წინსვლის, მისი ცვალებადობის გადმოსაცემად ის ხშირად ხმარობს „გადასვლა სხვაში“<sup>23</sup>, „წინსვლა“<sup>24</sup>. პერაკლიტესეული პანტა რეის გამოსახატავად ის ხმარობს ტერმინ „ქმნადობას“, რომელიც მისი აზრით არის ყოფნა-არყოფნის ერთიანობა<sup>25</sup>. არსებულის ცვალებადი ხასიათის გამოხატვა ტერმინი — „ქმნადობით“ პერაკლიტესეულ პანტა რეის ყველაზე ადეკვატურ გამოთქმად უნდა იქნეს მიჩნეული. მაგრამ ჰეგელი მას მხოლოდ არსის სფეროში ხმარობს. ხოლო როცა ჰეგელს სურს ნამდვილად არსებულის — სპეკულატიური ცნების — დინამიკა გამოხატოს აქ, იგი, როგორც აღინიშნა, სხვადასხვა ტერმინს მიმართავს. მათ შორის მოძრაობის ცნებასაც და, რაც ჩვენ ყველაზე მეტად გვაინტერესებს, უკანასკნელში იგი სხვადასხვა მნიშვნელობას დებს. საილუსტრაციოდ მოვიყვან რამდენიმე ამონაწერს.

ა. „წინააღმდეგობა არის ყოველგვარი მოძრაობისა და სიცოცხლის ფესვი; მხოლოდ იმდენად, რამდენადაც რაიმე თავის თავში შეიცავს წინააღმდეგობას, ის მოძრაობს, აქვს იმპულსი, აქტიურობა“<sup>26</sup>; ბ. „...ცნების მოძრაობა ქმნის მსჯელობას (პირველგაყოფას), სჯის, და თავის თავს დაადგენს როგორც თავისი თავის უარყოფას“<sup>27</sup>. გ. „დიალექტიკა ელინდება ბუნებრივი და გონითი სამყაროს ყველა განსაკუთ-

---

<sup>22</sup> ჰოლბახი. ბუნების სისტემა, მ., 1940, გვ. 18, აქედან ისეხა, ალბათ, ფრ. ენგელსმა თავისი ცნობილი დებულება იმის შესახებ, რომ სხეულები ერთიმეორესთან ურთიერთკავშირში იმყოფებიან, ერთიმეორეზე ზემოქმედებენ და, რომ „...ეს მათი ურთიერთზე მოქმედება არის სწორედ მოძრაობა“ (იხ. ფრ. ენგელსი, ბუნების დიალექტიკა, თბ., 1954, გვ. 61 — ხაზი ჩე-რია — ა. ც.).

<sup>23</sup> ჰეგელი, ლოგიკის მეცნიერება, თბ., 1962, გვ. 195.

<sup>24</sup> იქვე, გვ. 204 და მრავალ სხვა ადგილას.

<sup>25</sup> იქვე, გვ. 203, 208.

<sup>26</sup> ჰეგელი, ტ. V, მ., გვ. 519—520.

<sup>27</sup> ჰეგელი, ლოგიკის მეცნიერება, თბ., 1962, გვ. 437.

რებულ სფეროსა და წარმონაქმნებში. ასე, მაგალითად, იგი ვლინდება ციურ სხეულთა მოძრაობაში<sup>28</sup>. ჩვენ მიერ მოყვანილი პირველი ორი ამონაწერის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, მოძრაობის ცნებაში ჰეგელი გულისხმობს აქტიურობას. შემთხვევითი არ არის ის გარემოება, რომ პირველ ამონაწერში ჰეგელი მოძრაობის ცნებასთან ერთად ხმარობს სიცოცხლეს, ცხოველმყოფელობას და ორივეს მოძრაობასთან ერთად აქტიურობასთან აიგივებს. ჩვენ მიერ მოყვანილ მეორე ციტატაში ცნების მოძრაობა ჰეგელის მიერ გაგებულა როგორც ცნების აქტიურობა და ცვალებადობა. სპეკულატური ცნება, ჰეგელის აზრით, არის სამყაროს შინაგანი არსება; იგი როგორც საგანთა სუბსტანცია არის აქტიურობა. ცნების მოძრაობა პირველ რიგში ნიშნავს მის აქტიურობასა და ცხოველმყოფელობას; მეორე რიგში ცნების მოძრაობა ნიშნავს მის სხვად ქცევას, მის სხვაში — მსჯელობაში — გადასვლას. სულ სხვა მნიშვნელობით მოიხმარს ჰეგელი მოძრაობის ცნებას ჩვენ მიერ მოყვანილ მესამე ამონაწერში. „ციურ სხეულთა მოძრაობის“ ცნებაში ჰეგელი სხვა არაფერს არ გულისხმობს გარდა მექანიკური მოძრაობისა. „ბუნების ფილოსოფიაში“, სადაც ჰეგელი ფართოდ ეხება მოძრაობის პრობლემას, უკანასკნელის ქვეშ ყოველთვის გულისხმობს მექანიკურ მოძრაობას და მას ადგილის (სივრცის) ცნებასთან უშუალო კავშირში განიხილავს<sup>29</sup>. ჰეგელი სპეციალურ თავს უძღვნის მატერიისა და მოძრაობის ურთიერთობის საკითხს და ყველგან მოძრაობის ქვეშ გულისხმობს მექანიკურ მოძრაობას, მოძრაობას, რომელიც საბოლოო ინსტანციაში გამოწვეულია გარეგანი ძალებით და, მაშასადამე, ნიშნავს სხეულთა გადაადგილებას სივრცეში.

მოძრაობის ცნების ქვეშ სხვადასხვა შინაარსის გულვება, რომელსაც ჰეგელთან და ჰეგელიანურ ფილოსოფიაში ჰქონდა ადგილი, კიდევ უფრო თვალსაყვამი გახდა ჰეგელის შემდეგ. უკანასკნელმა, როგორც ცნობილია, სამყაროს დიალექტიკური კონცეფცია შეიმუშავა. არსებულის ქმნადობა-ცვალებადობის ახალი მხარეები იქნა გამოაშკარავებული. ამან აუცილებელი გახდა ახალი ტერმინების შემოტანა. ამ მხრივ საინტერესოა თავად ჰეგელის მაგალითი. არსების სფეროში ცნების წინსვლის გამოსახატავად საკმარისი არ აღმოჩნდა ქმნადობის ცნება; საჭირო გახდა განვითარების ცნების შემოტანა. უკანასკნელთან ერთად ჰეგელი ძალზე ხშირად ხმარობს „დიალექტიკურის“ ცნებას. „დიალექტიკურია ცხოვრება“, „დიალექტიკა ბატონობს ყველგან ცაში და მიწაზე“, — ხშირად ხმარობს ამ გამოთქმებს ჰეგელი და მასში წინააღმდეგობის, მოძრაობის, ცვალებადობის, განვითარების შინაარსს გულის-

<sup>28</sup> იქვე, გვ. 168.

<sup>29</sup> ჰეგელი, თხზ., ტ. 2, I გან., თავი I და II, მ., 1934.

ზმობს; ეს გარემოება კიდევ უფრო ამწვავებს ტერმინოლოგიურ სიტუაციას და ამ სფეროში წესრიგის დამყარების აუცილებლობის წინაშე გვაყენებს.

8. როგორც ზემოთ მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, ფილოსოფიური აზროვნების ისტორიაში მოძრაობის ცნება უმრავლეს შემთხვევაში ძალზე კომპლექსური შინაარსით არის მოხმარებული. მასში ხან აქტიურობა, ხან ცვალებადობა, ხან სხეულთა მექანიკური გადაადგილება სივრცეში ან კიდევ არსებულთა ურთიერთზემოქმედება და ა. შ. იგულისხმება. ტერმინოლოგიური უწესრიგობის ფაქტი წარსულის ზოგიერთ მოაზროვნეს შეუძმჩნეველი არ დარჩა და ენერგიულად გაილაშქრა მოძრაობის ცნების სხვადასხვა მნიშვნელობით მოხმარების წინააღმდეგ.

ამ მხრივ ახალი დროის მატერიალისტებს შორის აღსანიშნავია XVII—XVIII საუკუნეების ინგლისელი ფილოსოფოს-მატერიალისტი ჯონ ტოლანდი. ცნობილ წერილებში სერენასადმი (წერილი მეოთხე) ტოლანდი მკაცრად ილაშქრებს იმ მოაზროვნეთა წინააღმდეგ, რომლებიც ერთიმეორეში ურევენ მატერიის აქტიურობასა და სხეულთა სივრცეში გადაადგილებას და გვთავაზობს ტერმინებს, რითაც ერთი უნდა განვასხვავოთ მეორისაგან. მატერიის აქტიურობის, მისი თვითმოძრაობის აღსანიშნავად მას შემოაქვს ტერმინი *moving force*; ხოლო მისგან განასხვავებს სივრცეში მოძრაობას და მას *local motion*-ს უწოდებს<sup>30</sup>. სხვა ადგილას იგი მოძრაობას მატერიისაგან ისეთივე განუყოფელ თვისებად აცხადებს, როგორცაა მისი თვისებები — შეუვალობა და განუფენილობა. მოძრაობა, ტოლანდის აზრით, არის მატერიის არსებითი თვისება და „...იმისთვის, რომ იგი უკეთ იქნეს გაგებული, მე მიწოდდა, ერთიანის, მთელის მოძრაობა გამომეცხადებინა აქტიურობად (*action*), ხოლო სივრცეში მოძრაობა, იქნება იგი სწორხაზოვანი თუ წრიული, ჩქარი თუ ნელი, წინანდებურად მეწოდებინა მოძრაობად (*motion*)“<sup>31</sup>.

სხვა ადგილას<sup>32</sup> მატერიის აქტიურობას ტოლანდი არსებით აქტიურობას (*essential action*) უწოდებს და მკაცრად ავლებს სადემარკაციო ხაზს მასა და მექანიკურ მოძრაობას შორის. აღსანიშნავია აგრეთვე ის არსებითი გარემოებაც, რომ ეს ბრწყინვალე მატერიალისტი ბრიტანეთის კუნძულებიდან საცესებით მართებულ თვალსაზრისზე დგას აქტიურობისა და ცვალებადობის ურთიერთმიმართების საკითხში. „...მხოლოდ აქტიურობა არის მიზეზი ცვალებადობისა“<sup>33</sup>. სხვა ადგი-

<sup>30</sup> ინგლისელი მატერიალისტები, ტ. 1, მ., გვ. 150.

<sup>31</sup> იქვე, გვ. 152.

<sup>32</sup> იქვე, გვ. 171.

<sup>33</sup> ინგლისელი მატერიალისტები, ტ. 1, მ., გვ. 143.

ლას, ამავე საკითხთან დაკავშირებით, იგი წერს, რომ მატერიის შინაგანი ენერგია, მისი თვითმოძრაობა ანუ „არსებითი აქტიურობა“ არის ის ძირი, რომლის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა ცალკეული ცვლილებები და სივრცობრივი გადაადგილებები მატერიაში, რომლებიც, საბოლოოდ, მატერიის არსებითი აქტიურობის განსხვავებულ მოდიფიკაციებს წარმოადგენენ<sup>34</sup>. ერთი სიტყვით ინგლისელი ფილოსოფოსის მოაზროვნეთაგანია, რომელმაც, ახალ დროში, ერთ-ერთმა პირველმა აღმართა კრიტიკის მახვილი იმ ტერმინოლოგიური არეულობის წინააღმდეგ, რომელსაც მოძრაობის ცნებასთან დაკავშირებით ჰქონდა აღგილი<sup>35</sup>. ტოლანდის ბრძოლას, ცხადია, მხოლოდ ტერმინოლოგიურ-ფორმალური მნიშვნელობა არ ჰქონდა; იგი ქვეშაირიტებისაყენ მიმავალ დიდ გზასთან იყო ორგანულად შეწყვეტილი. მაგრამ, სამწუხაროდ ამ წამოწყებამ შემდგომი მხარდაჭერა და განვითარება ვერ ჰპოვა; ის დარჩა „ხმად მლაღადებლისა უდაბნოსა შინა“.

9. ეს გარემოება მნიშვნელოვანწილად განაპირობა XVII—XVIII საუკუნეების ბუნებისმეტყველების განვითარების თავისებურებამ. ესაა მექანიკის მეცნიერების უპირატესი განვითარება და აყვავება. საერთოდ სწორად არის მინიშნებული და შეფასებული ეს არასასურველი სიტუაცია ტერმინთა მოხმარების საქმეში ენგელსის მიერ. „ბუნების მკვლევარნი, — წერს ენგელსი, — მოძრაობას მუდამ მექანიკურ მოძრაობასთან, ადგილგადანაცვლებასთან აიგივებენ და ეს გაიგივება რაღაც თავისთავად გასაგებად ითვლება. ეს მემკვიდრეობით გადმოვიდა წინაქიმიური მე-18 საუკუნიდან და ძალიან აძნელებს პროცესთანთელ გაგებას. მოძრაობა, მატერიაზე გამოყენებით, ესაა ცვალებადობა საზოგადოდ“<sup>36</sup>. სავსებით სწორია ენგელსის საყვედური ბუნების მკვლევართა მიმართ: ისინი არასწორად აიგივებენ მოძრაობისა და მექანიკური მოძრაობის ცნებებს. ენგელსი სამართლიანად ემიჯნება ბუნებისმეტყველებს მოძრაობის ცნების გაგებაში და ამ უკანასკნელში იგი ცვალებადობას გულისხმობს. მაგრამ ამ მოსაზრების წამოყენება, რომლის მსგავსი თვალსაზრისი არაერთხელ გამოუთქვამთ ფილოსოფიური აზროვნების ისტორიაში, სრულებითაც არ ნიშნავს მოძრაობის

<sup>34</sup> იქვე, გვ. 171.

<sup>35</sup> მაგრამ ჯონ ტოლანდი ტერმინოლოგიური ქაოსის გაფანტვის ინიციატორი იყო მხოლოდ. მას საქმე ბოლომდე არ მიუყვანია. მისი წერილების აქ მითითებული ადგილებიდან ნათლად ჩანს, რომ ის მკაცრად მიიჩნევდა ერთიმეორისაგან ცვალებადობასა და აქტიურობას, რადიკალურად მოითხოვდა უკანასკნელისაგან განგვესხვავებინა მექანიკური მოძრაობა. მაგრამ ის არ ცდილა ცვალებადობის ფენომენის უუნეცია და როლი ეჩვენებინა უნივერსუმის საერთო ტენდენციაში. ეს კი მისი თვალსაზრისის არსებითი ნაკლია.

<sup>36</sup> ფრ. ენგელსი, ბუნების დიალექტიკა, თბ., 1954, გვ. 259.

ცნების კომპლექსური შინაარსის გაუქმებას. პირიქით, მოძრაობის ცნების მოხმარება მატერიის მიმართ ცვალებადობის შინაარსით, რომელსაც ენგელსთან ვხვდებით, ცნება — მოძრაობის კომპლექსური შინაარსის ერთ-ერთი მნიშვნელობაა და, ამდენად, სრულებითაც არ უწყობს ხელს მოძრაობის ცნებასთან დაკავშირებით ტერმინოლოგიური წესრიგის დამყარებას.

შესაძლებელია მკითხველს მთელი ეს სჯა-ბაასი ტერმინოლოგიაზე გაკვირვებული და მოსაწყენი მოეჩვენოს. ამის საფუძველი მას უთუოდ აქვს. არც ავტორს არ მოსწონს იგი, რამდენადაც ასეთ სამუშაოს ერთგვარი დისონანსი შეაქვს აზრის გადმოცემის სიმწყობრეში და, რაც მთავარია, სრულებითაც არაა მორგებული მის სტიქიას. მაგრამ ჩვენ უნდა დაეთანხმდეთ ყოველგვარ პროცედურაზე მეცნიერებაში, თუ უკანასკნელს რაღაც წვლილი შეაქვს და რამენაირად წინ წევს ქეშმარიტების დადგენის საქმეს. რამდენადაც ეს ასეა, ჩვენ ბოლომდე ერთგული დავრჩებით ჩვენი წამოწყებისა და მკითხველს ამ მიმართულებით კიდევ განსაზღვრულ ინფორმაციას მივაწოდებთ.

10. როგორც ამ თავის დასაწყისში აღინიშნა, ტერმინოლოგიური ქაოსი თავის კულმინაციას მარქსისტულ ფილოსოფიურ ლიტერატურაში — ავტორთა ცალკეულ გამოკვლევებში, სახელმძღვანელოებსა და ლექსიკონებში<sup>37</sup> აღწევს. მოძრაობის ცნებაში ნაგულისხმევი შინაარსი სულ უფრო და უფრო ფართოვდება. მეცნიერების ძალოვანი განვითარება არსებულის ახალ და ახალ მხარეებს, ნიშნებსა და თვისებებს წარმოაჩენს; უკანასკნელნი სურთ „ჩატენონ“ მოძრაობის ცნებაში და ამით მისი შინაარსი უფრო კომპლექსური და უნივერსალური გახადონ. იმის შესახებ თუ სად უნდა დაიძებნოს ასეთი ტენდენციის საფუძველი და რამდენად სამართლიანია იგი, ჩვენ, ცოტა ქვემოთ, სპეციალურად გვექნება ლაპარაკი. ახლა კი უშუალოდ იმ ფაქტების შესახებ, რომლებიც მოძრაობის ცნებაში ნაგულისხმევი შინაარსის შემდგომ გამრავალფეროვნებას ადასტურებენ.

ა. როდესაც ლაპარაკობენ მოძრაობაზე, როგორც მატერიის არსებობის წესზე, როგორც მატერიის შინაგანად დამახასიათებელ ატრიბუტზე, უწინარეს ყოვლისა და უმთავრესად გულისხმობენ მის აქტიურობას, მის თვითმოძრავ ბუნებას. აქტიურობის ცნება მოძრაობის ცნებაში ნაგულისხმევი კომპლექსური შინაარსის ერთ-ერთი საყოველთაოდ აღიარებული მნიშვნელობათაგანია. აუარებელი ლიტერატურა, რომელიც არსებობს და იქმნება მატერიის მოძრაობის პრობ-

<sup>37</sup> ცნებათა ყველაზე უფრო დახვეწილ და უნიფიცირებულ მოხმარებასთან სახელმძღვანელოებსა და ლექსიკონებში უნდა გვექონდეს საქმე, მაგრამ ეს, სამწუხაროდ, ამ სახის ჩვენს ფილოსოფიურ ლიტერატურაში სრულებითაც არაა ასე.

ლემასთან დაკავშირებით, მატერიის მოძრაობის ქვეშ გულისხმობს მატერიის აქტიურობას, რომელსაც ძალზე ხშირად მატერიის თვითმოძრაობის ცნებით გამოხატავენ.

მატერიის თვითმოძრაობის, მისი აქტიურობის პრინციპით, „რომელიც ბუნებით ნოსდგამს მატერიას“<sup>38</sup> ახალი მატერიალიზმი დაუპირისპირდა მატერიის არისტოტელესეულ გაგებას, რომლის თანახმადაც მატერია შიჩნეული იყო პასიურ და ინერტულ მასალად, რომელშიც სიცოცხლე და გარკვეულობა ფორმას შეაქვს. არა გვგონია საჭირო იყოს მოძრაობის კომპლექსურ შინაარსში მისი აქტიურობის მნიშვნელობით ხშირად მოხმარების ფაქტს სპეციალური მტკიცება ჰქონდებოდა. ამიტომ მკითხველს ამ შემთხვევაში არ მოვალყენებ სხვადასხვა ამონაწერის მოყვანით. ჩვენ მის მთავარ ყურადღებას მივაქცევთ მოძრაობის ცნების ხმარებას აქტიურობისაგან განსხვავებული მნიშვნელობებით.

ბ. ზემოთ ჩვენ არაერთხელ აღვნიშნეთ ფილოსოფიური აზროვნების ისტორიაში მოძრაობისა და ცვალებადობის ცნებების ეკვივალენტური შინაარსით მოხმარების ფაქტი. ამ ცნებათა შინაარსის გაიგივების ენგელსისეულ ფორმულას ჩვენ მკითხველს კვლავ გავახსენებთ: „მოძრაობა, სრულიად ზოგადი აზრით გაგებული, ...მოიცავს სამყაროში მიმდინარე ყველა ცვლილებასა და პროცესს, უბრალო ადგილგადაცვლებიდან დაწყებული აზროვნებამდე“<sup>39</sup>. იგივე აზრს, უფრო გარკვეულად და კონკრეტულად, ენგელსი ასე ჩამოაყალიბებს: „მოძრაობა, მატერიაზე გამოყენებით, ეს არის ცვალებადობა საზოგადოდ“<sup>40</sup>. ანალოგიურ აზრს ვკითხულობთ ფილოსოფიური ლექსიკონის მეოთხე გამოცემაში, სადაც წერია: ცვალებადობა ეს არის „საგანთა და მოვლენათა ყოფიერების (!?) უზოგადესი ფორმა, რომელიც წარმოადგენს ყოველგვარ მოძრაობას და ურთიერთმოქმედებას“<sup>41</sup>. ფილოსოფიის სახელმძღვანელოში, რომელიც უკანასკნელ პერიოდში გამოიცა, პარაგრაფში, რომელიც მოძრაობას ეხება, შემდეგ დებულებას ვხვდებით: „განუწყვეტელ მოძრაობაში იმყოფება ყოველი ცოცხალი. იკვებება, იზრდება, მრავლდება, იფურჩქნება და ბოლოს იღუპება“<sup>42</sup>. როგორც მკითხველი ხედავს, მოყვანილ დებულებაში მოძრაობის ცნება ცვალებადობის მნიშვნელობით არის ნახმარი და ეს პირდაპირ დასტურდება იმით, რომ თუ მოტანილ ამონაწერში სიტყვა მოძრაობას ცვალებადო-

<sup>38</sup> ფრ. ენგელსი, ბუნების დიალექტიკა, გვ. 26, 1954, თბ.

<sup>39</sup> ფრ. ენგელსი, ბუნების დიალექტიკა, გვ. 60.

<sup>40</sup> იქვე, გვ. 259.

<sup>41</sup> ფილოსოფიური ლექსიკონი, თბ., 1987, გვ. 669.

<sup>42</sup> ა. სპირკინი, ფილოსოფიის საფუძვლები, გვ. 113, მ., 1988.



ბის ტერმინით შევცვლით დებულების შინაარსი თავისთავთან სავსებით იგივეობრივი დარჩება.

გ. ჩვენს ფილოსოფიურ ლიტერატურაში ბევრი დაიწერა მატერიის მოძრაობის მექანიკური გაგების წინააღმდეგ. ეს ბუნებრივიცაა: დიალექტიკა შეუთავსებელია მექანიციზმთან. მიუხედავად ამისა, მარქსისტულ ფილოსოფიურ ლიტერატურაში დიალექტიკის ფუნდამენტური კატეგორია — მოძრაობა, ხშირად იხმარება მექანიკური მოძრაობის მნიშვნელობით და ამ უკანასკნელს მოძრაობის ძირითად ფორმადაც თვლიან. „...ჩვენი პლანეტათა ჯგუფი მოძრაობს მზის ირგვლივ, ხოლო ჩვენი მზე კი — ჩვენი სამყაროს კუნძულის შიგნით... თვით ჩვენი სამყაროს მთელი კუნძული მოძრაობს სამყაროს სივრცეში და სამყაროს სხვა კუნძულებთან დროულ შეფარდებით წონასწორობაში იმყოფება, რადგან თავისუფლად მოძრავ სხეულთა თვით შეფარდებითი წონასწორობაც მხოლოდ ურთიერთგაპირობებული მოძრაობის დროს შეიძლება არსებობდეს“<sup>43</sup>. აქ ამ ამონაწერში ეჩვენება ოთხჯერ ხმარობს ცნება მოძრაობას და ოთხივეჯერ მექანიკური მოძრაობის მნიშვნელობით. „ყოველი სხეული, უძრავი დედამიწასთან მიმართებაში, მოძრაობს მასთან ერთად მზის გარშემო, მზესთან ერთად მოძრაობს გალაქტიკის სხვა ვარსკვლავებთან მიმართებაში; უკანასკნელი ადგილმონაცვლეობს ვარსკვლავთა სხვა სისტემების მიმართ. აბსოლუტური გაჩერება, წონასწორობა და უძრავობა არსად არ არსებობს“<sup>44</sup>. მოძრაობის ცნება ზუსტად იგივე მნიშვნელობით არის მოხმარებული ლექსიკონში, რომელიც ჩვენ უკვე დავასახელებთ<sup>45</sup>.

დ. გარდა ზემოთ აღნიშნულისა, მოძრაობის ცნება კიდევ ერთი მნიშვნელობითაც იხმარება. ამ უკანასკნელსაც სათავე დაუდო ფრ. ენგელსმა. „მთელი ჩვენთვის მისაწვდომი ბუნება, — წერს იგი, — ერთგვარ სისტემას, სხეულთა ერთგვარ ერთობლივ კავშირს შეადგენს; ...ამასთან სხეულად ჩვენ აქ გვესმის ყველა მატერიალური არსებობანი, ვარსკვლავით დაწყებული ატომამდე... ის გარემოება, რომ ეს სხეულები ურთიერთკავშირში იმყოფებიან, იმასაც ნიშნავს, რომ ისინი ერთმანეთზე მოქმედებენ, და ეს მათი ურთიერთზემოქმედება არის სწორედ მოძრაობა“<sup>46</sup>. მოძრაობის ბუნების ასეთმა გაგებამ სრული მოქალაქეობრივი უფლება მოიპოვა მარქსისტულ ფილოსოფიურ ლიტერატურაში.

<sup>43</sup> ფრ. ენგელსი, ბუნების დიალექტიკა, გვ. 26.

<sup>44</sup> მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის საფუძვლები, გვ. 52, მ., 1981.

<sup>45</sup> ფილოსოფიური ლექსიკონი, გვ. 393.

<sup>46</sup> ფრ. ენგელსი, ბუნების დიალექტიკა, გვ. 61.

1 ამას ადასტურებს შემდეგი ამონაწერები: „...ყოველგვარი ურთიერთზემოქმედება სივრცესა და დროში მოძრაობად გვევლინება...“, „მოძრაობა იგივეობრივია ურთიერთზემოქმედებასთან“<sup>47</sup>. „მოძრაობა, ეს არის, — ნათქვამია ფილოსოფიურ ლექსიკონში, — ...მატერიალური ობიექტების ყოველგვარი ურთიერთზემოქმედება“<sup>48</sup> „მოძრაობა მატერიის უმთავრესი ატრიბუტი, მისი არსებობის წესია. რამდენადაც მატერია არსებობს — ის არის მოძრაობაში, ურთიერთზემოქმედებაში და ამ მოძრაობისათვის არ არსებობს არაერთი წყარო“<sup>49</sup>.

ე. მარქსისტულ ფილოსოფიურ ლიტერატურაში გავრცელებულია მოძრაობის ცნების კიდევ ერთი ახალი მნიშვნელობა, რომელიც ძირითადად განაპირობა XIX საუკუნიდან მოყოლებული, ბუნებისმეცნიერების ძალოვანმა განვითარებამ. ამ მნიშვნელობასაც სათავე დაუდო ფრ. ენგელსმა თავისი მოძღვრებით მატერიის მოძრაობის ფორმების შესახებ. „მოძრაობა..., — წერს ენგელსი, — ...მოიცავს სამყაროში მიმდინარე ყველა ცვლილებას და პროცესს უბრალო ადგილგადანაცვლებიდან დაწყებული აზროვნებამდე“<sup>50</sup>. მეორე ადგილას ენგელსი წერს, — „...გაუგებრობიდან გამომდინარეობს აგრეთვე გულმოდგინე მისწრაფება — ყველაფერი მექანიკურ მოძრაობაზე დაიყვანონ, — უკვე გროვს „ძლიერი მიდრეკილება აქვს იფიქროს, რომ მატერიის სხვა მდგომარეობანი მოძრაობის მოდიფიკაციებია და ბოლოს მასზე დაიყვანება“ (გვ. 16), რითაც მოძრაობის სხვა ფორმების სპეციფიკური ხასიათი იჩქმალება“<sup>51</sup>. მართალია, მოტანილ ამონაწერებში მოძრაობისა და მისი ფორმების პირდაპირ გაიგივებასთან არა ვაპქვს საქმე, მაგრამ ისინი ისე შერწყმულად არიან ნაგულისხმევი, რომ ძნელია მათ შორის მკაფიო სადემარკაციო ხაზის გავლება. მოძრაობა, პირველი ამონაწერის მიხედვით, მოიცავს სამყაროში მიმდინარე ცვლილებებსა და პროცესებს. რა უნდა ვიგულისხმოთ მათში? ერთი რამ საუხეხით ცხადია: მასში არ იგულისხმება ცვალებადობა და მისი სახეები. როგორც პირველი, ისე მეორე ამონაწერის გაგრძელება ადასტურებს, რომ მათში — ამ პროცესებსა და ცვლილებებში, ნაგულისხმევია ის მოვლენები, რომლებსაც შეისწავლის ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია. ამ შემთხვევაში პროცესი, ცვლილება თავისი წინაარსით უახლოვდება მოვლენას, ფენომენს,

47 მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის საფუძვლები, მ., 1981, გვ. 53—54.

48 ფილოსოფიური ლექსიკონი, თბ., 1987, გვ. 393.

49 მ ე ლ ი უ ხ ი ნ ი, არაორგანული ბუნების განვითარების დიალექტიკის შესახებ, მ., 1960, გვ. 110.

50 ფრ. ენგელსი, ბუნების დიალექტიკა, გვ. 69.

51 ფ. ენგელსი, ბუნების დიალექტიკა, გვ. 259.

52 იქვე, გვ. 60, 259.

მატერიის სხვადასხვა მდგომარეობას და, მაშასადამე, მოძრაობა, საბოლოოდ, მოვლენათა მრავალსახიანობის თვალსაზრისით მოიხმარება. „ბუნების დიალექტიკიდან“ მოტანილი ამონაწერები გახდა საბაზი იმისა, რომ ჩვენს ფილოსოფიურ ლიტერატურაში, ერთი მხრივ, საკუთრივ მოძრაობისა და, მეორე მხრივ, მის ფორმათა ცნებებს შორის ტოლობის ნიშანი დაესვათ. „ბუნებაში არსებობენ ურიცხვი თვისებრივად განსხვავებული მატერიალური სისტემები და თითოეულ მათგანს გააჩნია მხოლოდ მისთვის სპეციფიკური მოძრაობა. თანამედროვე მეცნიერებაში ცნობილია მცირედი ნაწილი ამ მოძრაობისა, რომლებიც შეიძლება დაყოფილ იქნენ მოძრაობის ძირითად ფორმებად“<sup>53</sup>. ამ ამონაწერის პირველი ნახევრის მიხედვით თითქოს მოძრაობა და მისი ფორმები — მატერიის სხვადასხვა მდგომარეობანი, როგორც განსხვავებული მატერიალური სისტემები, არ უნდა ემთხვეოდნენ ერთიმეორეს; უკანასკნელნი პირველის სუბსტრატად უნდა ჩაითვალოს. ამონაწერის ამ ნაწილში მართლაც იმაზეა ლაპარაკი, რომ თითოეული სისტემა მისთვის სპეციფიკური მოძრაობით ხასიათდება და, მაშასადამე, ორ ერთმეორისაგან განსხვავებულ მომენტთან გვაქვს საქმე. მაგრამ ამონაწერის მეორე ნაწილში ეს მართებული თვალსაზრისი ანუღირებულია, რამდენადაც მოძრაობაზე სხვა აზრით ლაპარაკი არ არის. თუ მოძრაობის ფორმის ცნებაში ნაგულისხმევი არ არის ან ცვალებადობის სახეები ან აქტიურობის ფორმები, მაშინ რაზე მიგვანიშნებს იგი? რა იგულისხმება მოძრაობის ბიოლოგიურ ფორმაში კიდევ რაღაც სხვა, გარდა თვით სიცოცხლისა — მატერიის ბიოლოგიური ორგანიზაციისა და სტრუქტურისა? რა იგულისხმება მოძრაობის სოციალურ ფორმაში გარდა ადამიანთა ყოფიერების სოციალური ორგანიზაციისა? ალბათ, არაფერი და, მაშასადამე, რამდენადაც სხვა შესაძლებლობები არ არსებობენ, მატერიის მოძრაობის ფორმის ცნება, საბოლოო ინსტანციაში, მისი სტრუქტურისა და ორგანიზაციის დონეთა ცნებას ემთხვევა.

11. როგორც ზემოთ მოყვანილი ამონაწერებიდან ჩანს, მარქსისტულ ფილოსოფიურ ლიტერატურაში მოძრაობის ცნება მრავალი სხვადასხვა მნიშვნელობით მოიხმარება და, მაშასადამე, კომპლექსური შინაარსის მატარებელია. მოძრაობის ცნებაში სხეულთა ხან მექანიკურ ადგილგადანაცვლებას, ხან ცვალებადობის პროცესს, ხან მატერიის აქტიურობას, ხან მატერიალურ სისტემათა ურთიერთმოქმედებას, ხან არსებულთა მრავალსახიანობას — მატერიის მოძრაობის ფორმებს — გულისხმობენ. ერთი და იგივე ტერმინის სხვადასხვა ან, პირიქით, სხვადასხვა ტერმინთა ერთი და იგივე მნიშვნელობით მოხმარება, თავისთავად ცხადია, ბევრ უხერხულობას ქმნის. უკანასკნელი გარემოების ნა-

<sup>53</sup> მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის საფუძვლები, მ., 1981, გვ. 55.

თელსაყოფად მრავალი მაგალითის მოყვანა შეიძლება, მაგრამ ჩვენ მხოლოდ ერთი ტიპური მაგალითით შემოვიხსნა. თუ, მოძრაობისა და ცვალებადობის ცნებები ერთნაირი შინაარსით იქნება მოხმარებული, მაშინ გამოთქმები: „მოძრაობის ფორმები“ და „ცვალებადობის ფორმები“ ექვივალენტური მნიშვნელობისა უნდა იყვნენ. მოძრაობის ფორმებში ჩვეულებრივად და უმეტესწილად გულისხმობენ არსებულის სხვადასხვა რეგიონს — ფიზიკურ, ქიმიურ და ა. შ. მოვლენებს. ეს სავესებით გასაგებია. მაგრამ რა უნდა ვიგულისხმოთ „ცვალებადობის ფორმებში“? თუ ამ უკანასკნელში, როგორც ამას ხშირად ვხვდებით საბჭოთა ფილოსოფიურ ლიტერატურაში<sup>54</sup>, იგულისხმება მატერიის ამა თუ იმ ორგანიზაციისათვის ნიშანდობლივი სპეციფიკური პროცესი ცვალებადობისა, ასეთ შემთხვევაში მოძრაობისა და ცვალებადობის ცნებების ერთნაირი მნიშვნელობით მოხმარება გამორიცხული უნდა იქნეს და მაშინ ყველაფერი გასაგები ხდება. მაგრამ აღნიშნულ ტერმინთა ექვივალენტურობის დაშვება გამოთქმას: „ცვალებადობის ფორმები“ სრულიად გაუგებარს ხდის. ეს დაშვება კიდევ უფრო მეტ ბუნდოვანებასა და უხერხულობას ქმნის თუ ლაპარაკი ჩამოვარდება „მოძრაობის დაბალი და მაღალი ფორმების“ შესახებ. მატერიის მოძრაობის მაღალ და დაბალ ფორმებში ჩვეულებრივ იგულისხმება შისი ორგანიზაციისა და სტრუქტურის მაღალი და დაბალი დონეები, მაგრამ რა უნდა ვიგულისხმოთ გამოთქმაში: „ცვალებადობის მაღალი და დაბალი ფორმები“? განსხვავებულ ტერმინთა უნიფიცირებისა და მათი ერთნაირი მნიშვნელობით მოხმარების შედეგად წარმოქმნილ სხვადასხვა ხასიათის უხერხულობათა ჩამოთვლას არ გავაგრძელებთ. მკითხველმა, ჩვენ მიერ მინიშნებული ლიტერატურის გაცნობის შემდეგ, თავად განსაჯოს ამ ფაქტის ნამდვილობა-არანამდვილობა.

12. როგორც აღინიშნა, არსებობს ტენდენცია მოძრაობის ცნების შინაარსი სულ უფრო და უფრო კომპლექსური და მრავალმნიშვნელოვანი გახადონ. სად უნდა ვეძიოთ ასეთი ტენდენციის საფუძველი და რამდენად სამართლიანია იგი? ამ კითხვის პირველი ნაწილის შესახებ უნდა ითქვას შემდეგი: ის ფაქტი, რომ ასეთი ტენდენცია არსებობს, არ უნდა იყოს კეშმარიტების მაძიებელი გონების მხოლოდ და მხოლოდ სუბიექტური ახირების ნაყოფი. მას უთუოდ რაღაც ობიექტური საფუძველი გააჩნია, რაც, ჩვენი აზრით, იმაში მდგომარეობს, რომ ფილოსოფოსები ცდილობენ საგნებისა და მოვლენების, საერთოდ, ქვეყნიერების სუბსტრატის ამგვარად არსებობის ფაქტი მისთვის დამახასიათებელი რაღაც ნიშან-თვისებით ახსნან. ეს განსაკუთრებით ითქმის მატერიალისტური ონტოლოგიის წარმომადგენლებზე. უკანასკნელნი

<sup>54</sup> ჟურ. „ფილოსოფიის საკითხები“, მ., 1971, № 11.

ცილობენ სამყაროს ამგვარად არსებობის ფაქტი ახსნან სუბსტრაქტი-სათვის დამახასიათებელი ყველაზე თვალსაყრდენი ნიშან-თვისებით — მოძრაობით. როგორ გავიგოთ ეს უკანასკნელი? თუ მოძრაობა გაგებუ-ლი იქნება როგორც სივრცეში მატერიის უმცირესი ნაწილაკების მექა-ნიკური გადაადგილება, მაშინ საქმე გვექნება მექანიციზმთან, რომელ-საც უთუოდ მრავალი სიძნელე ახლავს თან. ამიტომ დგება საკითხი მოძრაობის ფენომენის მექანიკური მოძრაობისაგან განსხვავებული შინაარსით წარმოდგენის შესახებ. ალბათ, ამის გამოძახილია მრავალი მნიშვნელობა, რომელსაც ფილოსოფოსები დებენ მოძრაობის ცნებაში. ამიტომ უკანასკნელი გაგებულია ხან როგორც ცვალებადობა, ხან აქ-ტიურობა, ხან როგორც ურთიერთზემოქმედება და ა. შ. მართალია, ამ ცნებებით გამოთქმული სინამდვილის ნიშან-თვისებანი ორგანულად არიან ერთიმეორესთან დაკავშირებულნი, მაგრამ ეს არ უნდა გახდეს იმის საფუძველი, რომ მათი იდენტიფიკაცია მოვახდინოთ. ერთი სი-ტყვიით, მოძრაობის თავდაპირველი — სინკრეტული ცნების შინაარსის გამრავალფეროვნება უნივერსუმის საიდუმლოებათა სიღრმეში ადა-მიანის გონების შექრის ობიექტური პროცესის გამოვლენაა და, მაშასა-დამე, სრულებითაც არაა მისი სუბიექტური ახირების ნაყოფი. ისი-ნი — ეს ცნებები ფილოსოფიურმა აზროვნებამ შეიმუშავა იმისათვის, რომ არსებულის სხვადასხვა მახასიათებელთა ერთი ტერმინით გამო-ხატვა შეუძლებელი გახდა. უნივერსუმს მრავალი ფუნდამენტური ნი-შანი გააჩნია და მათ გამოსახატავად ადამიანის გონება სრულიად კა-ნონზომიერად სხვადასხვა ტერმინსა და ცნებას ქმნის. მაგრამ რამდე-ნად სამართლიანია შინაარსობრივად ამ უთუოდ განსხვავებულ ცნე-ბათა უნიფიკაცია? ჩვენი ღრმა რწმენით, არავითარი აუცილებლობა და საფუძველი არ არსებობს ამისათვის და, მაშასადამე, მათი შინაარ-სობრივი იდენტიფიკაცია არაკორექტულია. ერთი ცნების ტირანია, როცა საქმე ეხება არსებულისათვის დამახასიათებელ განსხვავებულ ნიშან-თვისებათა გამოთქმას, საქმისათვის საზიანოა და საჭიროა მისი-ლიკვიდაცია. უნივერსუმის სხვადასხვა მახასიათებელთა გამომხატველ-მა ცნებებმა დამოუკიდებლობა, თავიანთი გნოსეოლოგიური დატვირ-თვა და ფუნქცია უნდა მოიპოვონ სინამდვილის ფილოსოფიური შემეც-ნების საერთო სტრუქტურაში.

შრომის ამ მონაკვეთში ჩვენ გვინდა მკითხველს, სულ მოკლედ, ვა-ჩვენოთ მოძრაობის ცნების შინაარსთან არასწორად გაიგივებულ ცნე-ბათა დამოუკიდებლობის კანონზომიერება.

13. ა. ცნება მოძრაობა ფილოსოფიური აზროვნების ისტორიაში ხშირად იხმარებოდა და დღესაც მოიხმარება აქტიურობის შინაარსით. დიალექტიკური მატერიალიზმის პოზიციებიდან შედგენილ ფილოსო-ფიურ ლექსიკონში მოძრაობა მატერიის ფუნდამენტურ ატრიბუტად და

უმადლესი რანგის კატეგორიად არის გამოცხადებული. აქტიურობის ცნება კი ფილოსოფიურ ლექსიკონში არ მოიხმარება და თუ სადმე შეგვხვდება, მას ვიწრო მნიშვნელობით ხმარობენ და არ მიიჩნევენ მატერიის ფუნდამენტურ ატრიბუტად. აქტიურობას მიაწერენ სიცოცხლეს — ცოცხალ არსებებს. მთელი არაორგანული სამყარო ინერტულ, პასიურ არსებათა სამეფოდ არის გამოცხადებული. ეს შეცდომაა და თანაც პრინციპული ხასიათის. ჩვენს მიზანს, ამ შემთხვევაში, არ წარმოადგენს მატერიისა და აქტიურობის ერთიანობის პრინციპის დაფუძნება; იგი სხვა ადგილას და სხვა დროს სპეციალური კვლევის ობიექტი უნდა გახდეს. აქ მხოლოდ იმის აღნიშვნით დავეკმაყოფილდებით, რომ აქტიურობა ყოველი არსებულის ფუნდამენტურ თვისებას წარმოადგენს და, მაშასადამე, მისი გამომხატველი ცნებაც უნივერსალურ ფილოსოფიურ კატეგორიად უნდა ჩაითვალოს.

ბ. რაც ითქვა აქტიურობის ფილოსოფიურ კატეგორიაზე, შეიძლება სიტყვა-სიტყვით გავიშვროთ ცვალებადობის ცნებაში ნაგულისხმევი შინაარსის მიმართაც. როგორც ზემოთ ვნახეთ, ფილოსოფიური აზროვნების ისტორიაში ძალზე ხშირად მოძრაობისა და ცვალებადობის ცნებები ერთი და იგივე მნიშვნელობით მოიხმარებოდა. მაგრამ, ფილოსოფიურ ლექსიკონებში თუ მოძრაობის ცნებას სპეციალური სტატიები აქვს მიძღვნილი და უნივერსალურ ფილოსოფიურ კატეგორიად არის გამოცხადებული, ცვალებადობის ცნება, რამდენადაც მისი შინაარსობრივი მნიშვნელობა მოძრაობის ცნებასთან არის გაიგივებული, დუბლირების თავიდან აცილების მიზნით სავსებით ამოგდებულია ფილოსოფიური ლექსიკონებიდან. თუ ამა თუ იმ ფილოსოფიურ ლექსიკონში<sup>55</sup> ცვალებადობის შესახებ სპეციალურ სტატიას ვხვდებით, მასში ლაპარაკია ცვალებადობაზე არა როგორც ფილოსოფიურ კატეგორიაზე, არამედ ბიოლოგიის ერთ-ერთ ცნებაზე. სალექსიკონო სტატიაში ოდნავ მინიშნებულიც კი არაა იმის შესახებ არის თუ არა შესაძლებელი ამ ცნების მნიშვნელობის ექსტრაპოლაცია მთელი სინამდვილის მიმართ და, მაშასადამე, მისი გამოცხადება ერთ-ერთ უნივერსალურ ფილოსოფიურ კატეგორიად<sup>56</sup>. ჩვენი ღრმა რწმენით ცვალებადობა ყოველი არსებულის ერთ-ერთი ფუნდამენტური ატრიბუტთაგანია, რომელსაც უნივერსუმის საერთო სტრატეგიაში განსაზღვრული ადგილი უჭირავს

<sup>55</sup> „ფილოსოფიური ენციკლოპედია“, ტ. 2, მ., 1962, გვ. 241—244.

<sup>56</sup> ამ მხრივ ერთგვარი სიახლეა ფილოსოფიურ ლექსიკონში (იხ. ფილოსოფიური ლექსიკონი, მ., 1986, მე-5 გამ., გვ. 159), სადაც ცვალებადობის ცნება წარმოდგენილია მართალია, ძალზე მოკლე სტატიით, მაგრამ ის გამოცხადებულია „ყოფიერების(!) საყოველთაო ფორმად“, თუმცა მისი შინაარსი გაიგივებულია მოძრაობისა და ურთიერთზემოქმედების კატეგორიებთან.

და, ამ ადგილის შესაფერისად, სრულიად გარკვეულ ფუნქციას ასრულებს (იხ. ქვემოთ, თავი IV). აქედან გამომდინარე, ყოვლად დაუშვებლად მიგვაჩნია მისი გაიგივება მოძრაობის კატეგორიასთან, რომელიც ესმით ხან როგორც აქტიურობა, ხან როგორც ურთიერთზემოქმედება და ა. შ. თავისთავად ცხადია, ცვალებადობა განუყრელ და ორგანულ კავშირშია უნივერსუმის ისეთ ფუნდამენტურ მახასიათებლებთან, როგორიცაა აქტიურობა, ურთიერთზემოქმედება და ა. შ., რაიმეს ცვალებადობა უთუოდ მკიდროდ არის დაკავშირებული მისსავე აქტიურობასთან, მის ზემოქმედებასთან სხვა არსებულთან ან კიდევ თავის საკუთარ თავთან; ყველაფერი ეს ორგანულად შერწყმულია და შეუძლებელია ერთიანობაში მყოფი არსებულთა მრავალსახიანობის გარეშე; მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ უნივერსუმის არსებობის, თუ შეიძლება ითქვას, ეს აუცილებელი, ერთიმეორესთან შერწყმული, ერთიანი მექანიზმის კომპონენტები, ერთიმეორესთან გააიგივოთ. ცვალებადობა უნივერსუმის მრავალ სხვადასხვა მახასიათებელთა ანსამბლში ერთ-ერთია სრულიად განსაზღვრული როლითა და ფუნქციით.

გ. ის. რაც ითქვა აქტიურობისა და ცვალებადობის ცნებათა შესახებ შეიძლება გავრცელდეს ურთიერთქმედების ცნებაზე. რომელსაც როგორც ზემოთ ვნახეთ, ხშირად მოძრაობის ცნებაში ნაგულისხმევი შინაარსის მნიშვნელობით ხმარობენ. მოძრაობისა და ურთიერთზემოქმედების ფენომენთა მკიდრო, ორგანული კავშირი უნივერსუმის საერთო სტრატეგიაში ყოველგვარი ექვის გარეშე უნდა დავაყენოთ. მაგრამ მათ შორის ეს კავშირი არ უნდა იყოს მათი არასწორი იდენტიფიკაციის საფუძველი. მართალია, მოძრაობა, რომელიც ამ შემთხვევაში გავებუ-ლია, როგორც აქტიურობა, სხვანაირად არ შეიძლება არსებობდეს თუ არა როგორც არსებულთა ურთიერთზემოქმედება, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ მათი გაიგივება შეიძლებოდეს: არსებულთა აქტიურობა მათ ურთიერთზემოქმედებაში ვლინდება, მაგრამ ფორმა, რომელშიაც არსებულის აქტიურობა ვლინდება და თვითონ აქტიურობა შეუძლებელია ერთიმეორის იგივეობრივი იყოს. კიდევ უფრო აშკარად ჩანს ურთიერთზემოქმედებისა და ცვალებადობის ცნებათა იდენტიფიკაციის შეუძლებლობა, მათი ერთნაირი მნიშვნელობით მოხმარება. როგორც ითქვა, ფორმა, რომელშიც არსებულის აქტიურობა ვლინდება, ურთიერთმოქმედებაა, უკანასკნელი კი — ყოველგვარი ცვალებადობის წყარო. თავისთავად ცხადია, წყარო, რომელშიც სათავეს იღებს ცვალებადობის ფენომენი და საკუთრივ ცვალებადობა ერთი და იგივე არ არის და, მაშასადამე, მათი გამომთქმელი ცნებების ერთნაირი მნიშვნელობით მოხმარება აშკარა შეცდომაა. როგორც ამ მოკლე ანალიზიდან ჩანს, ურთიერთზემოქმედების ფენომენს სრულიად ავტონომიური

ფუნქცია აკისრია უნივერსუმის საერთო სტრატეგიაში და მისი ამსახველი ცნების შინაარსის გაიგივება სხვა ისეთი კატეგორიების შინაარსთან, როგორცაა აქტიურობა, მოძრაობა, ცვალებადობა უთუოდ არაკორექტულია.

დ. სრულიად განსაზღვრული გნოსეოლოგიური დატვირთვა გააჩნია მოძრაობის ფორმების კატეგორიას. ის მიანიშნებს მატერიის ორგანიზაციის ამა თუ იმ დონეს, გამოხატავს იმ სტრუქტურულ გარკვეულობებს, რომლებშიც, როგორც თავისი არსებობის წესებში, ყალიბდება არსებული საკუთარი აქტიურობისა და ცვალებადობის პროცესში. არსებულის ყოველ რეგიონს, მატერიის ორგანიზაციის ყოველ დონესა და სტრუქტურას უთუოდ თან ახლავს აქტიურობისა და მოძრაობა-ცვალებადობის სრულიად განსაზღვრული ფორმა თუ წესი, მაგრამ ეს სრულებითაც არ იძლევა იმის საფუძველს, რომ აქტიურობა და ცვალებადობა რაიმესი, თვით ამ რაიმესთან, — მათ მატარებელ სუბიექტ-სუბსტრატთან გავაიგივოთ.

რა დასკვნები შეიძლება გამოვიტანოთ ზემოთაღნიშნული ანალიზიდან? ერთი უთუოდ ცხადია: მოძრაობის ცნების ერთნიშნა გაგებამ ვერ გამოხატა მრავალი მხარე, რომელიც არსებულს გააჩნია: საჭირო გახდა ამ მხარეთა არსების გამომთქმელი ტერმინების შექმნა და ამრიგად, მოძრაობის ცნებამ კომპლექსური შინაარსი მიიღო. მაგრამ რა აუცილებლობა არსებობს იმისა, რომ არსებულისათვის დამახასიათებელი ფუნდამენტური მახასიათებლები ერთი და იმავე ტერმინით აღვნიშნოთ და ამ ტერმინის სხვადასხვა მნიშვნელობანი კი კონტექსტის მიხედვით ვიმარჩიელოთ? ასეთი აუცილებლობა არ არსებობს. მოძრაობის ცნების ტირანია უნდა დაემხო! მის ნაცვლად უნდა დაფუძნდეს განსხვავებულ და თანასწორფლებიან ცნებათა დემოკრატია. მაგრამ ეს უნდა მოხდეს ისე, რომ ქეშმარიტების საქმემ არ იზარალოს. როგორია საბოლოო გზა, რომელსაც ჩვენ მკითხველს ვთავაზობთ? არსებულის ერთ-ერთ ფუნდამენტურ თვისებას მისი აქტიურობა წარმოადგენს. რატომ უნდა გამოვხატოთ უნივერსუმის ეს ფუნდამენტური მახასიათებელი მოძრაობის ცნებით, მაშინ, როდესაც მის გამოსატყველად ფილოსოფიურმა აზროვნებამ შეიმუშავა ისეთი მოხერხებული ტერმინი, როგორცაა „აქტიურობა“? ეს ტერმინი შესანიშნავად გამოხატავს ყოველი არსებულის, მისი „ამგვარად არსებობის“ საფუძველსა და არსებას — მოქმედ ბუნებას. უკანასკნელის გარეშე არ არსებობს არაფერი; ყოველი არსებული, როგორც ასეთი, არსებობს თავისი მოქმედი, აქტიური ბუნების გამო! წაართვით რაიმეს, რაც არ უნდა იყოს იგი, მოქმედება, აქტიურობის უნარი და იგი თავის არსებობას შეწყვეტს. მოქმედებას, აქტიურობას, ერთი მხრივ, და არსებობას შორის მეორე



მხრივ, იმდენად შინაგანი, ორგანული კავშირია, რომ შეიძლება ითქვას, არსებობა ნიშნავს აქტიურობას და, პირიქით. სხვანაირად ეს იმას ნიშნავს, რომ არსებობის ყოველ წესს — ორგანიზაციასა და სტრუქტურას აქტიურობის თავისი ფორმა შეესატყვისება და, პირიქით, აქტიურობის ყოველ ფორმას არსებობის თავისი შესაბამისი ორგანიზაცია და სტრუქტურა გააჩნია. თუ ყველაფერს ამას გავითვალისწინებთ, მაშინ, ჩვენი აზრით, უფრო მიზანშეწონილი იქნებოდა მოძრაობისა და მოძრაობის ფორმების კომპლექსური და, ამის გამო, ბუნდოვანი შინაარსის ცნებათა ნაცვლად, გვეხმარა სრულიად კონკრეტული და გარკვეული მნიშვნელობის მქონე ცნებები: „აქტიურობა“, „აქტიურობის ფორმები“ და არსებულის აქტიურობითა და მისი ფორმებით პირობადებული „არსებულთა ორგანიზაციისა და სტრუქტურის დონეები“. ამ შემთხვევაში, ერთი არაკანონიერად დამკვიდრებული ტრადიციის გადალახვა იქნებოდა საჭირო: ჩვეულებრივ აქტიურობის პრინციპის სამოქმედო ასპარეზად სიცოცხლესა და სულს მიიჩნევენ, ამის იქით და მის გარეთ ყველაფერი პასიური და ინერტულია. იდეალიზმისა და მეტაფიზიკური მატერიალიზმის ეს ღოგმატი უკუგდებული უნდა იქნეს.

არსებულს, აქტიურობასთან ერთად, ახასიათებს ცვალებადობა, რომელსაც თავისი ავტონომიური ფუნქცია აკისრია უნივერსუმის საერთო სტრატეგიაში. წარმოვიდგინოთ არსებული ერთი წუთით ამ ფუნდამენტური თვისების გარეშე. აქტიურობა უნივერსუმისა, ცვალებადობის გარეშე, წმინდა ამაოებად დარჩებოდა; არ იარსებებდა სიმრავლე და მრავალსახიანობა. უნივერსუმის ამ თვისების გამოსახატავად ფილოსოფიურმა აზროვნებამ მოძრაობის ცნებისაგან განსხვავებული მეტად მოხერხებული ტერმინი „ცვალებადობა“ შეიმუშავა. რატომ არ უნდა მოიპოვოს ამ ცნებამ მოძრაობის ცნებისაგან დამოუკიდებელი შინაარსი და მნიშვნელობა და, მაშასადამე, თავისი ავტონომიური მოქალაქეობრივი უფლებები? არავითარი გონიერული საფუძველი არ არსებობს საწინააღმდეგო მოსაზრებისათვის. ის, რაც ითქვა მოძრაობის ცნებასთან მიმართებაში აქტიურობის, აქტიურობის ფორმების, არსებულის ორგანიზაციისა და სტრუქტურის, ცვალებადობის ცნების შესახებ, შეიძლება სავსებით კანონიერად გავრცელდეს არსებულთა ურთიერთზემოქმედების კატეგორიაზედაც და, მაშინ ასეთი კითხვა დაისმება: თუ მოძრაობის კომპლექსურ ცნებაში ნაგულისხმევი მნიშვნელობები ცალ-ცალკე ცნებებად ჩამოყალიბდებიან და დამოუკიდებელ მოქალაქეობრივ უფლებებს მოიპოვებენ, რა დარჩება თავის შინაარსად მოძრაობის ცნებას? ზომ არ გახდება იგი, მისი შინაარსის ასეთი გაღარიბებისა გამო, სრულიად ზედმეტი რამ ფილოსოფიურ კატეგორიათა შორის? თუ მოძრაობის ცნებას ზემოთ აღნიშნული მნიშვნელობები

ჩამოცილდება, მაშინ, მას, უნდა ითქვას გადაჭრით, სივრცეში სხეულთა ადგილგადანაცვლების გამოსახვის ფუნქცია დარჩება და, მაშასადამე, თავის თავდაპირველ უნივერსალურ მნიშვნელობას დაკარგავს. მოძრაობის ცნება ცვალებადობის ერთ-ერთი სახის აღმნიშვნელ ტერმინად გადაიქცევა. წააგებს თუ მოიგებს ამით ჰუმანიტეტის საქმე? ჩვენი ვფიქრობთ, მოიგებს და მაშინ ფილოსოფიურ გამოკვლევებს უნდა დავაწეროთ არა ყოფნა და მოძრაობა, სადაც მოძრაობის ცნება ხან აქტიურობის, ხან ცვალებადობის, ხან ურთიერთზემოქმედების, ხან მრავალსახიანობის ექვივალენტური იქნება, არამედ „ყოფნა და აქტიურობა“, „ყოფნა და ცვალებადობა“ და ა. შ., სადაც, თითოეული მათგანი ზუსტად და კონკრეტულად მიანიშნებს უნივერსუმის ამა თუ იმ ფუნდამენტურ ნიშან-თვისებაზე.

ყოველივე ამას, ჩვენი აზრით, ექნება არა მხოლოდ ფორმალური მნიშვნელობა, არამედ, უთუოდ, თან მოჰყვება შინაარსობრივი შედეგიც: ტერმინოლოგიური ქაოსის ლიკვიდაცია ხელს შეუწყობს ზემოთ მოყვანილი ცნებების ზუსტი შინაარსის დადგენას.

ზემოთ აღნიშნულ ფუნდამენტურ ცნებათა რიგიდან ამჯერად ჩვენი სპეციალური და უშუალო ინტერესის ობიექტს წარმოადგენს ცვალებადობის კატეგორია. რა არის ცვალებადობა — აი კითხვა, რომელსაც კვლევის ამ ეტაპზე უნდა გაეცეს პასუხი.

§ 2. 1. ყოველდღიურ და მეცნიერულ სიტყვახმარებაში ძნელად თუ მოინახება სხვა ტერმინი, გარდა ყოფნისა<sup>57</sup>, რომელსაც თავისი მოხმარების სიხშირით შეუძლია კონკურენცია გაუწიოს სიტყვა ცვალებადობას. ცვალებადობა არსებულის მოდიფიკაციის გამომთქმელი ტერმინია და, მაშასადამე, იგი პირდაპირ თუ არაპირდაპირ, აშკარად თუ მალულად, ფიგურირებს ყველგან, სადაც კი საქმე გვაქვს რაიმეს პოყოფობა-უარყოფასთან. გამოთქმაში — „ყველაფერი იცვლება“ ისეთ მარტივ და საყოველთაოდ ცნობილ ფაქტთან გვაქვს საქმე, რომ მასზე ყურადღების საგანგებოდ შეჩერება თითქოს არც უნდა იყოს მიზანშეწონილი. აბა რა უნდა იყოს საიდუმლო და პრობლემური გამოთქმაში: „ყველაფერი იცვლება?!“. ერთი სიტყვით, ცვალებადობა უექველ და საყოველთაო ფაქტად იყო და არის მიჩნეული.

შეიძლება გარკვეული აზრით ითქვას, რომ ამ ფენომენის ასეთი გაგება გახდა სწორედ ფილოსოფიის დასაბამიც: არსებულთა მარადიული ცვალებადობა-ქცევადობის გარკვეული ფაქტი უბიძგებს ადამიანის ცნობიერებას რომ მან დაიწყოს ისეთი არსებულის ძიება, რომე-

---

<sup>57</sup> ყოფნის კატეგორია თავისი უნივერსალობით ყოველგვარ კონკურსს გარეშე დგას როგორც ყოველი არსებულის პირველი და უარსებითესი გარკვეულობა, რომლის იქით სულა ლოგიკურად და, მაშასადამე, რეალურად შეუძლებელია.

ლიც არ ექვემდებარება მარადიულ ქმნადობას. გონების ასეთი მეცადინეობა კი ქვეყნიერების არსების ძიებაა. უკანასკნელი ფილოსოფიის დასაბამია. ცვალებადის იქით უცვლელის ძიება, რითაც იწყება ფილოსოფია, საკუთრივ ცვალებადობის ფენომენის კვლევის დასაბამიცაა. ამ შემთხვევაში ფილოსოფიური ცნობიერება ეძებს ცვალებადობის შესაძლებლობის პირობებს. მაგრამ ამ პირობათა ძიება ჯერ კიდევ არ ნიშნავს ცვალებადობის ბუნების საბოლოო დადგენას. იმის თქმა, რომ ცვალებადობის ფენომენი თავისი არსებობის პირობებად უთუოდ გულისხმობს იმას, რაც იცვლება, რასაც ეს თვისება გააჩნია და, რომ რაიმეს ცვალებადობას აზრი აქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ეს რაიმე გარკვეულ ფარგლებში თავისთავთან იგივეობრივი რჩება, ჯერ კიდევ არ ნიშნავს ცვალებადობის ბუნების წვდომას. აზროვნების ისტორიაში, როგორც ეს მკითხველს მოეხსენება, სხვადასხვა, ერთიმეორის საპირისპირო თვალსაზრისები არსებობს იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა იქნეს ინტერპრეტირებული ცვალებადობის ფენომენის შესაძლებლობის ზემოთ აღნიშნული პირობები. ფილოსოფოსთა ერთი რიგის მიხედვით, სრულებითაც არ არის სავალდებულო ცვალებადობის ფენომენს წინ უსწრებდეს რაღაც არსებობა, რომელიც მისი მატარებელი იქნებოდა. უაზრობად არის მიჩნეული აგრეთვე ცვალებადობის შესაძლებლობის მეორე პირობაც: ის, რაც იცვლება შეუძლებელია იმავე დროს უცვლელი იყოს და, პირიქით. ცვალებადობის შესაძლებლობის პირობებთან დაკავშირებული დავა ფილოსოფოსებს შორის დღესაც არ არის დამცხრალი. მის შესახებ ჩვენ სპეციალურად გვექნება ქვემოთ ლაპარაკი. აქ მხოლოდ ის გვინდა აღვნიშნოთ. რომ დავა ცვალებადობის პირობების შესახებ შეიძლება მთელი სიმწვავეით მიმდინარეობდეს, მაგრამ თვით ცვალებადობის ბუნება, მისი როლი და ფუნქცია უნივერსუმის საერთო სტრატეგიაში ბოლომდე გაურკვეველი დარჩეს.

2. როდის და რა შემთხვევაში ხდება ცვალებადობის ფენომენი კვლევის სპეციალური საგანი, კვლევისა, რომლის უმთავრეს ამოცანას წარმოადგენს მისი ბუნების დადგენა არსებულის სტრუქტურაში? სანამ ამ კითხვას ვუპასუხებდეთ ჩვენ გვინდა მკითხველს მოვავგონოთ ერთი საინტერესო, ჩვენს პრობლემასთან უშუალო კავშირში მყოფი მომენტი. ბიოლოგიური მეცნიერების განვითარების ისტორიიდან. როგორც ცნობილია XVII—XVIII საუკუნეებში ძალზე გაიზარდა ინტერესი ორგანული სამყაროს მოვლენების მიმართ. მეცნიერებამ აუარებელ ფაქტს მოუყარა თავი, მაგრამ ორგანული სამყაროს საიდუმლოებათა ამხსნელი ერთიანი თეორია არ არსებობდა. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევდა ორგანული სამყაროს სახეობათა მრავალფეროვნე-

ზის ფაქტი. როგორ წარმოიშვა იგი? აი, ნომერ პირველი პრობლემა, რომელიც განსაკუთრებით აინტერესებდათ ბუნებისმეტყველებს. ორგანული სამყაროს ბინადართა მრავალფეროვნების საიდუმლოების გასაღები ბიოლოგებმა სავსებით სამართლიანად დაინახეს ამ სამყაროს წარმომადგენელთა შესანიშნავი ნიშან-თვისების ქონაში — ცვალებადობის უნარში. ცოცხალ არსებათა ამ უნარის კვლევის საქმეში დიდი ღვაწლი მიუძღვის ფრანგ ბუნებისმეტყველს — ლამარკს. მისი აზრით, ყოველ ცოცხალ არსებას ახასიათებს გრადაციის უნარი — მისწრაფება გართულებისაკენ. ეს სწრაფვა მიაჩნდა ლამარკს ევოლუციის საერთო მიმართულებად. მის საფუძველში კი ცოცხალ არსებათა ორგანოების ცვალებადობის უნარი დევს. ვარჯიშის ნიადაგზე, ლამარკის აზრით, ორგანიზმში ადგილი აქვს ამა თუ იმ ორგანოს ცვალებადობას: მის შედეგად ესა თუ ის ორგანო იცვლება და ვითარდება, მის გარეშე კი, იგი თანდათან კნინდება და ბოლოს ქრება. უამრავი ფაქტიური მასალის დაკვირვების საფუძველზე ლამარკი ჩამოაყალიბებს დებულებას ორგანოთა ცვალებადობის შესახებ და მას ორგანული სამყაროს ერთ-ერთ უძირითადეს კანონად მიიჩნევს.

ცოცხალ არსებათა ცვალებადობის ფაქტი სპეციალური კვლევის ობიექტად იქცა დარვინის ევოლუციურ თეორიაში. ეს თეორია მოწოდებულია სწორედ იმისათვის, რომ ცოცხალ არსებათა მრავალსახიანობის ფაქტი ახსნას. დარვინის აზრით, ცოცხალ არსებათა ხანგრძლივი ევოლუციის პროცესში, ერთი ან რამდენიმე საერთო წინაპრიდან, წარმოიშობა სახესხვაობათა და სახეობათა მრავალფეროვნება. „სახეობათა ფაბრიკაციის“, მათი მრავალფეროვნების წარმოშობის საფუძველში ორგანულ სამყაროს ბინადართა ფუნდამენტური თვისება — ცვალებადობის უნარი დევს. ამ უკანასკნელის გარეშე, შეიძლება გადაჭრით ითქვას, ორგანული სამყაროს მრავალფეროვნება სრულიად გაუგებარი იქნებოდა. ესმოდა რა ამ გამოსავალი პრინციპის გადამწყვეტი მნიშვნელობა, დარვინი დოგმატურად არ უშვებდა ცვალებადობის ფაქტის არსებობას; იგი დეტალურად სწავლობს ორგანული სამყაროს წარმომადგენელთა ცვალებადობის მაგალითებს; ამ მიმართულებით თავს უყრის უამრავ ფაქტობრივ მასალას და საბოლოოდ მიდის იმ დასკვნამდე, რომ ცვალებადობა ორგანული სამყაროს არსებათა ერთ-ერთი არსებითი ნიშანი და უნარია, რომლის ნიადაგზე ცოცხალ ორგანიზმთა ცხოველმოქმედების პროცესში იქმნება მშობლებისაგან განსხვავებული სახესხვაობები. დარვინი ცვალებადობის ორ ძირითად ფორმას იცნობდა: განსაზღვრულსა და განუსაზღვრელს, ჯგუფურსა და ინდივიდუალურს. ცვალებადობის პირველ ფორმას დარვინი კარგად იცნობდა და მან იგი დეტალურად გამოიკვლია. ცვალებადობის მეორე ფორმის მიზეზები დარვინისათვის უცნობი დარჩა; მისი რაობა

დარვინის შემდეგდროინდელმა ბიოლოგიამ დაადგინა. ცვალებადობის ორივე ფორმა, დარვინის აზრით (და სწორედ ეს არის ამჟამად ჩვენთვის მთავარი), იძლევა მასალას ორგანიზმთა ევოლუციური ქმნადობისათვის — ორგანული სამყაროს მრავალსახიანობის შესაქმნელად. მართლაც შეუძლებელია გადაჭარბებით შეაფასო ცვალებადობის როლი ცოცხალ ორგანიზმთა მრავალფეროვნების წარმოშობაში. ამ დებულების უტყუარობა მაშინვე ნათელი გახდება, თუ ოდნავ ახლოს გავეცნობით იმ მექანიზმს, რისი მოქმედების შედეგადაც ადგილი აქვს „სახეობათა ფაბრიკაციას“. ამ მხრივ საინტერესოა შინაურ ცხოველთა და კულტურულ მცენარეთა მრავალფეროვნების მაგალითი. ცნობილია, რომ ჯიშთა ეს მრავალფეროვნება ყოველთვის არ არსებობდა; იგი ადამიანმა შექმნა თავისი სასიცოცხლო ინტერესების შესაბამისად. როგორ და რა გზით შეიქმნა იგი? როგორც ცნობილია, ჯიშთა მრავალფეროვნება ადამიანმა ხელოვნური გადარჩევის გზით შექმნა. რაში მდგომარეობს ამ უკანასკნელის არსი? ადამიანი მცენარეებსა და ცხოველებში ამჩნევს ამა თუ იმ ცვლილებას, რომელიც მის ინტერესებს შეესაბამება. ამ უკანასკნელის შესაბამისად იგი სანაშენოდ იტოვებს იმ ეგზემპლარებს, რომლებშიც ეს ცვლილება შედარებით აშკარად არის გამოხატული. ყოველ შემდგომ თაობას ამ ცვლილებებით მიღებული თვისებები გადაეცემა მემკვიდრეობით და ბოლოს მიიღება ახალი ჯიში, რომელიც საესებით შეესატყვისება ადამიანის სასიცოცხლო მოთხოვნილებებს. როგორც ჩანს, ახალი კულტურული ჯიშების გამოყვანა ხელოვნური გადარჩევის გზით ხდება. ახალ სახესხვაობებისა და პოპულაციების წარმოშობას ადგილი აქვს არა მხოლოდ კულტურულ ცხოველებსა და მცენარეებში, არამედ ბუნებრივ პირობებში მყოფ ცხოველებსა და მცენარეებშიც. ამ შემთხვევაშიც პრინციპულად იგივე მექანიზმი მოქმედებს: აქაც გადარჩევასთან გვაქვს საქმე! განსხვავებით ხელოვნური გადარჩევისაგან, რომელიც ადამიანის ნებით ხდება. გადარჩევის ამ სახეს დარვინი ბუნებრივ გადარჩევას უწოდებს. ვინ არის ამ შემთხვევაში გადამრჩევი? — თვითონ ორგანიზმი! თუ ცვლილებანი ორგანიზმის არსებობისათვის სასარგებლო იქნება. ასეთი ორგანიზმები გადარჩებიან; საწყისი სასარგებლო ცვლილებები, მაშასადამე, წარმოადგენენ ახალ სახეობათა წარმოშობის საფუძველს. ყველაფერი ეს, დარვინისა და მისი შემდეგდროინდელი ბიოლოგიური მეცნიერების თანახმად, საეჭვო არ არის. თუ ყველაფერი ეს ასეა, მაშინ ორგანულ არსებათა „სახეობათა ფაბრიკაციაში“ ცვალებადობის გადამწყვეტი როლის მნიშვნელობა აშკარაა: მის გარეშე ადამიანსა და ბუნებას არაფერი არ ექნებოდა გადასარჩევი და ვერც სახეობათა მრავალფეროვნება იარსებებდა.

სახეობათა მრავალფეროვნების ერთ-ერთ მიზეზად ევოლუციური თეორია გარემოსადმი ორგანიზმთა შეგუებას თვლის. არსებობის განსხვავებული პირობები განსხვავებულ სახეობებს წარმოშობს. წყლის სტიქია არსებობის სრულიად სხვა პირობებს ქმნის ვიდრე ხმელეთი; ამიტომაცაა, რომ მათ ბინადართ განსხვავებული სტრუქტურა და თვისებები გააჩნიათ. თუ ვივარაუდებთ, რომ ორივე რეგიონის ორგანიზმები ერთი საერთო ბიოწინაპრიდან არიან წარმოშობილი, მაშინ მათი შეგუება განსხვავებული საარსებო პირობებისადმი უთუოდ გულისხმობს ამ წინაპარის ცვალებადობის უნარით ალტერვილობას.

ჩვენ მიერ მოყვანილი მაგალითი ნათლად ადასტურებს იმ გარემოებას, რომ ცვალებადობის ფენომენი სპეციალური კვლევის ობიექტი მხოლოდ მას შემდეგ გახდა, როცა ორგანიზმი სამყაროს მრავალფეროვნება ბიოლოგიის უმნიშვნელოვანეს პრობლემად გადაიქცა. ხომ არ შეიძლება ბიოლოგიური მეცნიერებიდან მოტანილი ამ ფაქტის ანალოგი მოიძებნოს ფილოსოფიური აზრის ევოლუციაშიც? ჩვენ ამ შემთხვევაში მიზნად არა გვაქვს ფილოსოფიური აზრის ისტორიას მივყვეთ და ვაჩვენოთ, თუ სად, როდის და რომელ ფილოსოფოსთან გადაიქცა სამყაროს მრავალსახიანობის პრობლემასთან დაკავშირებით ცვალებადობის ფენომენი ფილოსოფიური კვლევის სპეციალურ ობიექტად. ასეთი ამოცანა ცალკე კვლევას მოითხოვს და მას ამჯერად გვერდი უნდა ავუქციოთ. აქ მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ ასეთი ანალოგის არსებობა სავსებით შესაძლებელია და, მაშასადამე, ცვალებადობის ფენომენის კვლევა სისტემატურ ხასიათს მიიღებს მხოლოდ მას შემდეგ, როცა ფილოსოფია უნივერსუმის მრავალფეროვნების ფაქტს პრობლემად გადააქცევს და დაიწყებს მის საფუძველდებას.

ფილოსოფიურ დოქტრინაში, რომელსაც სამყაროს ფუნდამენტურ ტენდენციად ერთიანის ინდივიდუალების და გამრავალფეროვნების პროცესი მიაჩნია, ცვალებადობის ბუნების გარკვევამ პირველ პლანზე უნდა წამოიწიოს. ამრიგად, რა არის ცვალებადობა?

3. ზემოთ აღვნიშნეთ და აქ კვლავ უნდა გავიმეოროთ ის უეჭველი დებულება, რომ არსებულის ერთ-ერთ ფუნდამენტურ ნიშნად ცვალებადობის გამოცხადება ჯერ კიდევ არ გულისხმობს მის შესახებ ზუსტი ცნებების შემუშავებას. ეს, ცხადია, არ ნიშნავს იმას, რომ ფილოსოფიური მოძღვრებანი, ძველი თუ ახალი, რომლებიც სამყაროს მარადიულ ქცევადობა-პროცესად მიიჩნევენ, ცვალებადობის ცნებაში რაღაც გარკვეულ შინაარსს არ დებდნენ. უკანასკნელის გარეშე თვით ტერმინის მოხმარებაც შეუძლებელი იქნებოდა. ჩვენ ამ შემთხვევაში მხედველობაში გვაქვს ცვალებადობის ცნების ზუსტი ლოგიკური შინაარსის გა-

მომტქმელი განსაზღვრება, რომელიც ყველა ფილოსოფიური კონცეფციისათვის იქნებოდა მისაღები.

როგორც ფილოსოფიური აზროვნების პრაქტიკა გვიჩვენებს, ძალიან ძნელია ფილოსოფიაში ფილოსოფიურ კატეგორიათა ისეთი განსაზღვრების დადგენა, რომელსაც ყველა ფილოსოფოსი დაეთანხმებოდა. აქ ნაკლებ მნიშვნელოვან როლს თვით გამოსავალი პრინციპებიც როდი ასრულებენ; მაგრამ, ჩვენი აზრით, უმთავრეს სიძნელეს მაინც ფილოსოფიაში მოხმარებულ ცნებათა თავისებურება ქმნის. უკანასკნელი იმაში მდგომარეობს, რომ ფილოსოფიურ ცნებებს (კატეგორიებს) ზღვრული ზოგადობა გააჩნიათ. ეს, ცხადია, აძნელებს მათი განსაზღვრისას ჩვეულებრივი წესის გამოყენებას. ეს, პირველ რიგში, ეხება ისეთი ფილოსოფიური კატეგორიების განსაზღვრას, როგორიცაა ყოფნა, მატერია, ცნობიერება და ასე შემდეგ, რომელთაც, როგორც წესი, გვარი არა აქვთ. მათი შინაარსის დადგენისას თავისებურ ხერხს მიმართავენ. ჩვენი აზრით, ზემოთ აღნიშნული ცნებისაგან გამორჩევით დგას ცვალებადობის ფილოსოფიური კატეგორია. ქვემოთ ჩვენ შევეცდებით ცვალებადობის ფენომენს რაღაც მასზე მაღლა მდგომი ინსტანცია (ზოგადი ნიშანი) მოვუძებნოთ და მისი გათვალისწინებით მივანიშნოთ სპეციფიკა, რითაც ის ამ გვარის სხვა წარმომადგენლებისაგან იქნება განსხვავებული. აქვე მკითხველს გვინდა მოვაგონოთ, რომ ცვალებადობის ფენომენის ჩვენ მიერ მოცემულ განსაზღვრებას სრულებითაც არა აქვს პრეტენზია იყოს უნაკლო და, მაშასადამე, კრიტიკისათვის მიუწვდომელი.

როგორც ცნობილია, განსაზღვრების ჩვეულებრივი წესის შემთხვევაში განსაზღვრებას იწყებენ განსასაზღვრი ცნების გვარის დასახელებით. რა იქნება გვარი ცვალებადობის ცნებისათვის? ასეთი ზოგადი ნიშანი, თუ შეიძლება ითქვას. მასზე მაღლა მდგომი ლოგიკური ინსტანცია, მისთვის იქნება ის, რომ იგი არსებულის სხვა განსაზღვრულობათა ანალოგიურად უნივერსუმის ატრიბუტად ცხადდება და მაშინ მისი ცნების განსაზღვრება შემდეგ დეფინიტურ ყალიბში მოექცევა: „ცვალებადობა არის არსებულის ფუნდამენტური ნიშანი, თვისება, მახასიათებელი...“ და ა. შ. ამის შემდეგ დგება მეორე მთავარი ამოცანა. რით განვასხვავოთ ცვალებადობა, ცვალებადობის ფენომენი უნივერსუმის სხვა ფუნდამენტური განსაზღვრულობებისაგან? ამ ამოცანის გადასაჭრელად, ჩვენი აზრით, საჭირო იქნება ძალზე მოკლედ და სქემატურად გავარჩიოთ საკითხი არსებულის კონსტრუქციული სახეების შესახებ და მივანიშნოთ მისი ადგილი არსებულის ამ სახეთა შორის.

როცა არსებულზე ვლაპარაკობთ, უწინარეს ყოვლისა, მხედველობაში გვაქვს საგნები და ნივთები. საგნად, ნივთად, თუ ამ ტერმინებს

ერთი და იგივე მნიშვნელობით ვიხმართ, ითვლება ყველაფერი, დაწყებული მატერიის უმცირესი და უმარტივესი ნაწილაკებიდან დამთავრებული მისი უდიდესი და ურთულესი ქმნილებებით. მატერიის ორგანიზაციის სხვადასხვა დონე შეუძლებელია წარმოვიდგინოთ ცვალებადობის გარეშე, უკანასკნელი უთუოდ წარმოადგენს პირველთა აუცილებელ მომენტს, მაგრამ მათ შორის, როგორც არსებულის განსხვავებულ სახეებს შორის, არსებითი განსხვავებაა. ცვალებადობას არსებობის სულ სხვა მოდუსი გააჩნია, ვიდრე საგნებსა და ნივთებს. თუმცა ფილოსოფიის ისტორიაში ცნობილია ისეთი ფილოსოფოსებიც, რომელთა აზრითაც, არსებობის წესის მიხედვით, ცვალებადობისა და ნივთის არა მხოლოდ დანათესავება, არამედ გაიგივებაც შეიძლება. როგორ არსებობენ საგნები და ნივთები? მათი არსებობის კიდევ ერთ ფუნდამენტურ მაქსიმას წარმოადგენს ის, რომ ისინი არ არიან უმოქმედო, ინერტული არსებანი. მათი არსებობა მათ აქტიურობას, მოქმედებას ნიშნავს; ფორმა, რომელშიც საგანთა არსებობის ეს წესი ავლენს თავისთავს, არის მათი ურთიერთზემოქმედება. თავისთავად ცხადია, ცვალებადობა, როგორც ფენომენი, აქტიურ ფუნქციას ასრულებს უნივერსუმის ერთიან „სიცოცხლესა“ და სტრატეგიაში, მაგრამ იგი უთუოდ განსხვავდება არსებულის ამ კონკრეტული სახისაგან — აქტიურობისაგან და, მაშასადამე, მის სპეციფიკად უკანასკნელის მიჩნევა არ შეიძლება. არსებულთა აქტიურობა შეუძლებელია არსებულთა კავშირ-მიმართებების გარეშე. საგანი, ნივთი, ფიქციაა თუ ის არაა მეორე საგანთან, ნივთთან კავშირმიმართებაში. ცვალებადობის ფენომენი საგანთა ურთიერთზემოქმედებაში იბადება, მაგრამ აშკარა შეცდომა იქნებოდა მისი მოქცევა არსებულის ამ სახეობაში. არსებულის კიდევ რა კონსტრუქციულ სახეს ვხვდებით უნივერსუმში? საგნებისა და ნივთების (მათ თვისებებითურთ), მათი კავშირმიმართებებისა და აქტიურობის გარდა სამყაროში ადგილი აქვს ე. წ. პროცესებს; სამყაროში არსებობს პროცესთა დაუბოლოვებელი სიმრავლე. შეიძლება გარკვეული აზრით ითქვას, რომ უნივერსუმი, მისი არსებობა არის პროცესი. ერთი სიტყვით, ცვალებადობა, ცხადია, არ არის არც საგანი, არც ნივთი, არც კავშირი, არც მიმართება, არც აქტიურობა. თუმცა იგი ამ უკანასკნელთა გარეშე არ არსებობს, მაგრამ მათგან უთუოდ განსხვავებული რამ არის. მის სპეციფიკად პროცესი, „პროცესუალობა“ უნდა მივიჩნიოთ. ამიტომ, როცა გვინდა ცვალებადობის ცნება განვსაზღვროთ, პირველ რიგში, მისი ეს სპეციფიკა, რითაც ის არსებულის სხვა კონსტრუქციული სახეებისაგან განსხვავდება, უნდა მივიღოთ მხედველობაში. ასეთია ერთ-ერთი უმთავრესი მომენტი, რომელიც უთუოდ უნდა იქნეს გათვალისწინებული ცვალებადობის ცნების განსაზღვრებისას.



4. ყველა ზემოთ დასახელებული არსებულის კონსტრუქციულ სახეობათა ერთობლივი არსებობა-მოქმედებით ერთი „საერთო საქმე“ კეთდება — ფუძნდება არსებულის ყოფნა, არსებულისა, რომლის არსებობის ფუნდამენტურ წესს სიმრავლედ არსებობა წარმოადგენს. სიმრავლე საგანთა, ნივთთა სიმრავლეა. სიმრავლის ყოველი წევრი — საგანი, ნივთი არის „ამგვარად ყოფნა“, „ამგვარი გარკვეულობა“. სხვა-ნაირად ეს იმას ნიშნავს, რომ საგანი ყოველთვის არსებობს როგორც განსაზღვრული თვისებებისა და მახასიათებლების მქონე არსება. თუ ამ უქვევლ გარემოებას გავითვალისწინებთ და მასთან ერთად ვივარაუდებთ, რომ საგნის, ნივთის, მოვლენის ცვალებადობა ნიშნავს იმას, რომ იგი არ რჩება თავისთავთან იგივეობრივი, მაშინ, საბოლოო ინსტანციაში, საგნის ცვალებადობა ეს არის მისი „ამგვარად გამრკვევი“ თვისებებისა და მახასიათებლების ცვალებადობა. როცა საქმე ეხება ცვალებადობის ცნებაში ნაგულისხმევი ლოგიკური შინაარსის წარმოჩენას, ეს მომენტიც, როგორც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მომენტი, უფროდ უნდა იქნეს მხედველობაში მიღებული. და ბოლოს, კიდევ ერთი გარემოების შესახებ.

5. უნივერსუმის ჩვენი კონცეფციის თანახმად არსებულის ყოველი სახე სრულიად სპეციფიკურ და განსაზღვრულ ფუნქციას ასრულებს უნივერსუმის საერთო სტრატეგიასა და ტენდენციაში. როცა საკითხი დგება არსებულის ამა თუ იმ კონსტრუქციული სახის ბუნების შესახებ, ჩვენი აზრით, პირველ რიგში, მისი ეს ფუნქცია უნდა იქნეს გათვალისწინებული. რა შეიძლება ითქვას ამ მხრივ ცვალებადობის ფენომენზე? ცვალებადობა არსებულის ერთ-ერთი კონსტრუქციული სახეა. რომლის ფუნქციას უნივერსუმის საერთო სტრატეგიაში წარმოადგენს ის, რომ მისი მეშვეობით იქმნება სამყაროს მრავალსახიანობა, ყოველ შემთხვევაში, მასალა ამ უკანასკნელისათვის. ეს ვითარება, ჩვენი აზრით, უფროდ უნდა ფიგურირებდეს ცვალებადობის ფენომენის ლოგიკურ განსაზღვრებაში.

თუ ყველა ამ მომენტს გავითვალისწინებდით, მაშინ ჩვენ შეგვეძლო ცვალებადობის ცნების შემდეგი განსაზღვრება ჩამოგვეყალიბებინა: არსებულთა აქტიურობისას მათ მიერ სხვადასხვა მახასიათებელთა შექმნა-დაკარგვის პროცესი, რომლის შედეგადაც არსებული არ რჩება თავისთავთან იგივეობრივი და, მაშასადამე, იქმნება საგანთა, ნივთთა, მოვლენათა მრავალსახიანობა, — არის ცვალებადობა. ცვალებადობის ამ განსაზღვრებაში, ჩვენი აზრით, თავის ასახვას პოულობს სამივე მომენტი, რომელზედაც ზემოთ იყო ლაპარაკი. განსხვავებით საგნებისა და ნივთებისაგან, რომელთა სპეციფიკას ქმნის შედარებით მყარი გარკვეულობა და დამოუკიდებლობა,

ცვალებადობა, როგორც არსებულის ერთ-ერთი კონსტრუქციული სახე, ხასიათდება პროცესუალობით; განსაზღვრული აზრით, ცვალებადობა პროცესის ეკვივალენტური ფენომენია. ცვალებადობის ზემომოყვანილ განსაზღვრებაში საკმაოდ ნათლად არის ფიქსირებული მეორე მომენტიც: საგნის თვისებასა და მახასიათებელთა შექმნა-დაკარგვის პროცესი კარგად გამოთქვამს ცვალებადობის ბუნებას და მიანიშნებს იმაზე, რომ ცვალებადობის პროცესში საგანი არ რჩება იგივეობრივი თავისთავთან, განიცდის მეტამორფოზს, გადადის ერთი მდგომარეობიდან მეორეში და ა. შ. და ბოლოს, არსებულის მიერ სხვადასხვა მახასიათებელთა შექმნა-დაკარგვა ნიშნავს მის მიერ დროის სხვადასხვა მომენტში განსხვავებულად არსებობას და, მაშასადამე, დროული მრავალსახიანობის წარმოქმნას.

ცხადია, ასეთი ნიშნებით დახასიათებული ცვალებადობის ფენომენი შეუძლებელია წინააღმდეგობის გარეშე არ აგვერიოს არსებულის სხვა კონსტრუქციულ სახეებში და მაშასადამე, ის გამორჩევით დგას და განსხვავდება უნივერსუმის სხვა ისეთი ფუნდამენტური მახასიათებლებისაგან, როგორიცაა აქტიურობა, კავშირმიმართება, ურთიერთზემოქმედება, მატერიის ორგანიზაციის დონეები და ფორმები და ა. შ.

ცვალებადობის სუბსტრატისა და მისი არსებობის  
წინის შესახებ

§ 1. ნაშრომის ამ თავს თავისი განსაზღვრული დანიშნულება გააჩნია. მისი მიზანია დაადგინოს ცვალებადობის ფენომენის შესაძლებლობის უმთავრესი პირობები. უკანასკნელნი მის დიალექტიკურ ხასიათზე მიანიშნებენ. არსებულის ერთ-ერთი ფუნდამენტური თვისება თავის საფუძველში შეუძლებელია არ იყოს დიალექტიკური ბუნების: დიალექტიკურობა ყოველგვარი სახის არსებობის საყოველთაო ნიშან-თვისებაა.

ზემოთ. როცა ჩვენ ცვალებადობის არსებაზე გვქონდა ლაპარაკი, ცვალებადობის ფენომენი მივაკუთვნეთ არსებულის განსაზღვრულ სახეს. სახელდობრ. აღვნიშნეთ, რომ ცვალებადობა ეს არის პროცესი. საყოველთაოდ ცნობილია თვისებისა და პროცესის სტატუსის შესახებ არსებულის სტრუქტურაში. ერთიც და მეორეც — თვისებაც და პროცესიც — უთუოდ გულისხმობს რაღაც სუბსტრატს, რომლის გარეშე არც ერთი მათგანი ვეღარ იარსებებს. ერთი შეხედვით აქ არაფერი არ უნდა იყოს საექვო და საკამათო. მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ასე არ არის. არსებობს ფილოსოფიური აზროვნების ისტორიაში თვალსაზრისი, რომელიც, შექველ ვითარებას საექვოდ და საკამათოდ ხდის, საქმის ნამდვილ ვითარებას სრულიად საპირისპიროდ წარმოიდგენს და მიაჩნია, რომ ცვალებადობის ფენომენი სავსებით შესაძლებელია რაიმე სუბსტრატის გარეშე. ჩვენ მხედველობაში გვაქვს ამ თვალსაზრისის კლასიკური ვარიანტი, სიცოცხლის ფილოსოფიის მეთაურის — ბერგსონის შეხედულება. როგორც ითქვა, თვისება უთუოდ გულისხმობს საგანს, რაღაც არსება-სუბსტანციას, რომლის თვისებასაც ის წარმოადგენს; თვისება, რომელსაც არა აქვს სუბსტრატი, თვისება, რომელიც რაიმე საგნის ან მოვლენის თვისებას არ წარმოადგენს, უაზრობაა. იგივე ითქმის ცვალებადობის, როგორც პროცესის, შესახებ. ცვალებადობა უთუოდ არის რაღაცის ცვალებადობა; ეს რაღაცა არის როგორც ერთის — თვისების, ისე მეორის — ცვალებადობის მატარებელი-სუბსტრატი. მაგრამ ბერგსონი ფიქრობს სულ სხვანაირად. მოვიყვან

რამდენიმე ამონაწერს: „ცვალებადობა არის, მაგრამ არ არსებობენ ცვალებადი საგნები; ცვალებადობა არ საჭიროებს საყრდენს“<sup>1</sup>; „არიან მოძრაობანი მაგრამ უცვლელ საგანთა არსებობის არავითარი აუცილებლობა არ არსებობს, საგნებისა, რომლებიც მოძრაობენ; მოძრაობა არ გულისხმობს მოძრავ საგანს“<sup>2</sup>. „ცვლილება არ გულისხმობს სუბსტანციას“, და ბოლოს, ბერგსონის დასკვნა ასეთია: „ცვლილება თვითკმარი რამაა; ის თვითონაა ნივთი“<sup>3</sup>. ამრიგად, ბერგსონის აზრით, უმთავრესი ჰეშმარიტება ისაა, რომ ცვალებადობა არის ნამდვილი თვითკმარი რეალობა; სხვა, ე. წ. სუბსტანციური რეალობა არ არსებობს. ასეთ აზრს უახლესი დროის ფილოსოფიაში ბევრი ფილოსოფოსი გამოთქვამს და იცავს<sup>4</sup>. ჩვენი არჩევანი (ზემოთ მოყვანილი ამონაწერები ბერგსონიდან) უბრალოდ იმით არის პირობადებული, რომ მათში ნათლად და არაორაზროვნადაა გამოთქმული უსუბსტრატო ცვალებადობის შესაძლებლობის იდეა.

ბერგსონის აზრით, თუ მივიღებთ იმ უმთავრეს დებულებას, რომ ცვალებადობა არის ნამდვილი, „თვითკმარი რეალობა“, მაშინ ბევრი დღემდე ამოუხსნელი ფილოსოფიური ამოცანა გაქრება. ცნობილია, თუ რა რთული ვითარება შეიქმნა ფილოსოფიური აზროვნების ისტორიაში სუბსტანციისა და ცვალებადობა-მოძრაობის ურთიერთობის პრობლემებთან დაკავშირებით. ბერგსონის აზრით, თუ ზემოთ აღნიშნული თეზისი მიღებული იქნება, მაშინ ისინი საერთოდ არ აღმოცენდებიან. სიძნელები, წარმოშობილი ძველ დროში მოძრაობასთან, ხოლო ახალ დროში სუბსტანციასთან დაკავშირებით, გაიფანტებიან თუ სუბსტანციად თავად პროცესი — მოძრაობა-ცვალებადობა იქნება გამოცხადებული.

2. ჩვენი მთავარი ამოცანაა ვაჩვენოთ უსუბსტრატო ცვალებადობის შეუძლებლობა. როგორაა შესაძლებელი ამის საწინააღმდეგო მტკიცება? მართლა ფიქრობენ ბერგსონი და სხვა სერიოზული მოაზროვნეები, რომ შესაძლებელია საქმის ვითარება სხვანაირად წარმოვიდგინოთ? ხომ არ ვიფიქროთ რომ ასეთი იდეა დაკავშირებულია მათ უცნაურ აზირობასთან და იგი უმაღვე გაქრება, როგორც კი მოიხსნება უკანასკნელი? მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ასე არ არის. ასეთი იდეის წარმოშობისათვის უთუოდ რაღაც სერიოზული საფუძველი არსებობს, რომლის არსებას ჩვეულებრივი ცნობიერება ვერ წვდება.

<sup>1</sup> ა. ბერგსონი, ცვალებადობის აღქმა, პეტერბურგი, 1913.

<sup>2</sup> ა. ბერგსონი, თხზ., ტ. 4, პეტერბურგი, გვ. 23.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 23.

<sup>4</sup> XX საუკუნის ბურჟუაზიულ ფილოსოფიაში ანტიუსტანციონალისტური ნაჯადის წარმომადგენლები არიან: ალექსანდერი, უაიტჰედი, ჰაიდეგერი და სხვები.

ყოველდღიური ცნობიერება სამყაროს საგანი-სუბსტანციების ერთობლიობად წარმოიდგენს და ცვალებადობას მათ ცვალებადობად მიიჩნევს. მაგრამ რა არის საგანი, სუბსტანცია? რას გვეუბნება თანამედროვე მეცნიერება, კერძოდ ფიზიკის მეცნიერება, ამ კითხვაზე?

მატერიის სტრუქტურის თანამედროვე კონცეფციის აღმოცენებამდე საუკუნეების განმავლობაში ბატონობდა ატომისტური თვალსაზრისი. ამ კონცეფციის თანახმად ქვეყნიერება, სამყარო, თვით სულიც კი, ატომებისაგან შედგება. ყოველდღიურ ცხოვრებაში ადამიანებს საქმე აქვთ საგნებთან: უკანასკნელნი ატომებისაგან არიან აშენებული, წარმოადგენენ ატომთა სხვადასხვანაირ აგრეგაციას. ატომები, როგორც საგანთა საწყისნი, უცვლელი და მარადიული არიან; თუ ეს ასეა, მაშინ რას ეხება და რა განიცდის ცვალებადობას? ცვალებადობა ატომიზმის მიხედვით, ნიშნავს ატომების შეერთება-დაშლას. ატომთა შეერთებით საგნები წარმოიქმნებიან, მათი დაშლის შემთხვევაში საგნები ისპობიან. ცვალებადობა, მაშასადამე, არის ატომთა შეერთება-დაშლის პროცესი. როგორც ჩანს, სამყაროს მრავალსახიანობისა და მისი მარადიული ცვალებადობის ეს კონცეფცია უთუოდ გულისხმობს ცვალებადობის სუბსტრატის არსებობას — ცვალებადობა შეუძლებელია სუბსტრატის გარეშე. ეს სუბსტრატი კი არის მყარი ატომებისაგან წარმომდგარი შედარებით უცვლელი საგნები. ბერძნული ატომიზმის ამ მონაპოვარმა ფილოსოფიაში საუკუნეების განმავლობაში იარსება. ატომიზმის პრინციპით იყო ორიენტირებული მთელი ბუნებისმეტყველების, კერძოდ, ფიზიკის მეცნიერების ევოლუცია XX საუკუნის დასაბამამდე. XX საუკუნის ბუნებისმეტყველებამ კი სრულიად ახალი პერსპექტივები დასახა. ერთ-ერთი უმთავრესი, ჩვენთვის საინტერესო პრობლემასთან უშუალოდ დაკავშირებული იდგა ახალი ფიზიკისა იმაში მდგომარეობს, რომ უკანასკნელმა, ძველი ფიზიკის საპირისპიროდ, ენერჯისა და ნივთიერების ორგანული კავშირი გამოავლინა. ამ იდეის ჩამოყალიბებაში გადამწყვეტი როლი შეასრულა ახალი ფიზიკის მეორე ფუნდამენტურმა მონაპოვარმა: განუყოფელი და უცვლელი ატომები დაიშალა ნივთიერების უფრო მცირე ნაწილებად: ელექტრონებად, პროტონებად, ნეიტრონებად და ა. შ. ახალმა ფიზიკამ, ბუნებრივია, დასვა კითხვა მატერიის თვით ამ ელემენტების ბუნების შესახებ. რას წარმოადგენენ ეს ელემენტები? ხომ არ შეასრულებენ ისინი დემოკრიტეს „განუყოფელის“ როლს? ჩვენი დროის ფიზიკის ერთ-ერთ უმთავრეს მიღწევად ამ მიმართულებით უნდა ჩაითვალოს იმ ფუნდამენტური ფაქტის დადგენა, რომ განუყოფელი, უცვლელი და მარადიული მიკრონაწილაკები საერთოდ არ არსებობენ, რომ მაკროსამყაროს ბინადართა უმთავრეს ნიშან-თვისებას წარმოადგენს მათი მარადიული ქმნადობა

და ურთიერთგარდაქმნა. ამ უკანასკნელ მომენტთან ერთად, როგორც უკვე ითქვა, ახალი ფიზიკის მიღწევებმა ნათელყო ენერჯისა და ნივთიერების ორგანული კავშირი. ტრადიციული ფიზიკა ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებულად განიხილავდა ნივთიერებასა და ენერჯიას, გაუვალ უფსკრულს ავლებდა მათ შორის; ისინი, თუ შეიძლება ითქვას, სრულიად გულგრილნი რჩებოდნენ ერთიმეორის მიმართ. მატერიის საფუძვლის დინამიური ბუნების აღმოჩენამ ორგანულად შეაკავშირა ერთიმეორესთან ნივთიერება და ენერჯია. მართლაც, რას გვეუბნება ამ მიმართულებით თანამედროვე ფიზიკის მონაცემები? აღმოჩნდა რომ ნივთიერების ყოველი ნაწილაკი განსაზღვრული ველის ქვანტია და, პირიქით, ველი ქვანტური ბუნებისაა და წარმოადგენს ნივთიერების ნაწილაკთა ერთობლიობას. სხვანაირად რომ ვთქვათ, მატერიის სხვადასხვა ნაწილაკები წარმოადგენენ განსაზღვრული ველის (ენერჯიის) მდგომარეობებს. მაგალითად, ფოტონები ელექტრომაგნიტური ველის გარკვეული მდგომარეობაა; ელექტრონები და პროტონები ელექტროპოზიტრონული ველის მდგომარეობაა და ა. შ. „მასა და ენერჯია არსებითად ერთი და იგივეა“, — ამტკიცებს ჩვენი დროის დიდი ფიზიკოსი — აინშტაინი<sup>1</sup>. მასისა და ენერჯიის ეს ორგანული კავშირი გამოთქმულია ფორმულაში:  $E=mc^2$ . ამ ფორმულის მიხედვით ყოველი სხეული პოტენციაში შეიცავს ენერჯიას, რომელიც ექნებოდა ელექტრო-მაგნიტური ველის ქვანტებს, თუ მოცემული სხეულის ნივთიერი ნაწილაკები ფოტონებად გარდაიქმნებოდნენ<sup>2</sup>.

3. ნივთიერებისა და ენერჯიის ეს შინაგანი კავშირი, რომელსაც ზემომოყვანილი ფორმულა გამოხატავს, შეიძლება სხვადასხვანაირად იქნეს ინტერპრეტირებული. ერთ-ერთი შესაძლებელი ინტერპრეტაცია ასეთია: თუ თანამედროვე ფიზიკა სერიოზულად ამტკიცებს, რომ ნივთიერების ნაწილაკი ტალღური ბუნებისაა, თუ აბსოლუტურად მკვრივი და უცვლელი კერნი — ნაწილაკი ბუნებაში არ არსებობს, მაშინ სრულიად ადვილია წარმოვიდგინოთ მოძრაობა-ცვალებადობა მატერიალური სუბსტრატის გარეშე. ცვალებადობის „სუბსტრატი“ ამ შემთხვევაში იქნება „წმინდა ენერჯია“. ყოველგვარ ნივთიერებასთან რაიმე კავშირის გარეშე. რამდენად სამართლიანია ასეთი ინტერპრეტაცია? სანამ საქმის ნამდვილ ვითარებას გავარკვევდეთ, გვინდა მოკლედ ბერსონისეულ ინტერპრეტაციაზე შევჩერდეთ..

ფიზიკის მეცნიერებას, ბერსონის აზრით, მატერია სულ უფრო და უფრო დაჰყავს მოქმედებაზე — რხევით მოძრაობაზე, რომელიც ყო-

<sup>1</sup> აინშტაინი, ფარდობითობის თეორიის საფუძვლები, მ., 1935, გვ. 41.

<sup>2</sup> ს. მელიუხინი, არაორგანული ბუნების დიალექტიკური განვითარება, მ., 1960.

ველმხრივ ვრცელდება, ისე, რომ ერთადერთ რეალობად იქცევა მოძრაობა. მეცნიერება, ამბობს ბერგსონი, ჩვეულებრივ, იწყებს იმით, რაც მოძრაობს. რაც წარმოადგენს მოძრაობის საყრდენს. მაგრამ, რაც უფრო წინ მიდის მეცნიერება, საყრდენი — მასა, ნივთიერება, მატერია, მისი აზრით. სულ უფრო და უფრო უკან იხევს. მასა — მოლეკულებში. მოლეკულები — ატომებში, ატომები — ელექტრონებში. ე. ი. თანდათან უფრო მცირე ნაწილაკებში გადაიბნევა და, ბოლოს და ბოლოს, საყრდენი ქრება — მატერია გადადის და იკარგება მოძრაობაში. რა არის, მაგალითად, მისი აზრით, მოძრავი სხეული, რომელსაც ჩვენ ვხედავთ და რომელსაც ვაკავშირებთ მოძრაობასთან? უბრალოდ, ფერადი ლაქა, რომელიც დიდი სისხირის მქონე რხევადობაზე დაიყვანება: ე. წ. მოძრაობა-ცვალებადობა საგნებისა და ნივთებისა სხვა არაფერია, თუ არა მოძრაობა<sup>7</sup>. ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ბერგსონს თავის კონცეფციაში უსუბსტრატო ცვალებადობის შესაძლებლობის შესახებ მრავალი მემკვიდრე ჰყავს: ზოგი დამოუკიდებლად, ზოგი ბერგსონზე დაყრდნობით, იცავს უსუბსტრატო ცვალებადობის იდეას. მაგრამ ახერხებენ კი ისინი ამის მიღწევას? უნდა ითქვას გადაჭრით, რომ არა! ნივთიერებასა და ენერჯიას შორის გაუვალე უფსკრულის გათხრა. რომელსაც ძველი ფიზიკა ახდენდა, ერთი მხრივ, ხოლო, ნივთიერების დაყვანა ენერჯიამდე მეორე მხრივ, რომელსაც, ახალი ფიზიკის მიღწევების არასწორი ინტერპრეტაციის საფუძველზე ზოგი ფიზიკოსი და ფილოსოფოსი ამტკიცებს, ცხადია, ორი უკიდურესობაა. რომელთაგანაც არცერთი არ არის მართალი. ამიტომაც არის, რომ, როცა ბერგსონს სურს ილაპარაკოს უსუბსტრატო მოძრაობაზე, ფაქტიურად შეუძლებელ რაღაცას უშვებს, რის გამოც იძულებული ხდება თვით მოძრაობა გამოაცხადოს მოძრაობის მატარებლად. აბა სხვას რას უნდა ნიშნავდეს მისი გამოთქმა, რომ მოძრაობა-ცვალებადობა საგნებისა და ნივთებისა, სხვა არაფერია თუ არა „მოძრაობის მოძრაობა“. ამასვე ადასტურებს ენერგეტიზმის ნამამათერის ოსტვალდის გამოთქმა იმის შესახებ, რომ ყველა გარეგანი მოვლენა შეიძლება გამოიხატოს როგორც „პროცესი-ცვალებადობა“ ენერჯიათა შორის<sup>8</sup>. უკანასკნელ შემთხვევაშიც პროცესი-ცვალებადობა უთუოდ გულისხმობს რაღაც სუბსტრატს, სულ ერთია, რა იქნება ის, მატერია თუ ენერჯია. დაჰყავს რა მატერია ენერჯიაზე, ოსტვალდი ასეთ სუბსტრატად ენერჯიას მიიჩნევს.

4. როდესაც ესა თუ ის ფილოსოფოსი იყენებს მეცნიერების მონაცემებს და მის ინტერპრეტაციას იძლევა. ამით იგი ძლევს არაკრიტიკული ცნობიერების პოზიციას და უკანასკნელისადმი კრიტიკულად

<sup>7</sup> ა. ბერგსონი, ცვალებადობის აღქმა, პეტერბურგი, 1913. გვ. 23, 24.

<sup>8</sup> ე. ოსტვალდი, ლექციები ნატურფილოსოფიაზე, გვ. 109.

განწყობა. ეს, პირველ რიგში, ეხება ჩვენთვის საინტერესო პრობლემას. არ იქნებოდა კანონიერი მეცნიერების მიერ დადგენილი ფაქტის ინტერპრეტაციაში სრული თვითნებობა და სუბიექტივიზმი მივაწეროთ ამა თუ იმ ინტერპრეტაციას. სუბიექტიურობის მომენტი უთუოდ არის მეცნიერული ფაქტის ყოველ ინტერპრეტაციაში, მაგრამ მის ამა თუ იმ მიმართულებით წარმართვას რაღაც ობიექტური საფუძველი აქვს. და, ეს უკანასკნელი, ჩვენი აზრით, თვით საკითხის სიძნელეში უნდა ვეძიოთ. რაში მდგომარეობს კონკრეტულად ეს სიძნელე, რომელიც ახასიათებს ჩვენთვის საინტერესო პრობლემას? ყველაფერი გასაგებია და თითქმის არავითარი სიძნელე არ ჩანს თუ ელემენტარულ ნაწილაკებთან შევჩერდებით და მათ მიღმა არ წავალთ. მაგრამ სიძნელე მაშინვე აღმოცენდება, როგორც კი დადგება საკითხი თვით ამ უკანასკნელთა ბუნების შესახებ. რას ამტკიცებს ამ მიმართულებით თანამედროვე ფიზიკა? ყოველი მატერიალური ქმნილება რაღაც ნაწილაკებისა და მათ შორის მოქმედი ძალების პროდუქტია. ატომბირთვები, მაგალითად, ნუკლონებისა და მათ შორის მოქმედი ბირთვული ძალების შედეგად არიან წარმოშობილი. როგორია ატომბირთვის შიგნით მოქცეული მიკროსამყაროს მექანიზმი? ერთი ელემენტარული ნაწილაკი მეორეზე მოქმედებს განსაზღვრული ველის მეშვეობით. რას წარმოადგენს თვითონ ველი? უკანასკნელი, თანამედროვე ფიზიკის თანახმად, კვლავ რაღაც ნაწილაკების ერთობლიობაა. სწორედ მათი მეშვეობით იკვრება ატომბირთვი. ამ შემთხვევაში ე. წ. მეზონები წარმოადგენენ ბირთვული ველის კვანტებს. მაგრამ თუ დავსვამთ კითხვას თვით ამ კვანტი-ნაწილაკების სტრუქტურის შესახებ, აღმოჩნდება რომ თავად ისინი წარმოადგენენ არა რაღაც უსტრუქტურო მატერიის უმცირეს ბირთვაკებს, არამედ უაღრესად რთული ორგანიზაციის მქონე მატერიალურ ქმნილებებს. სად არის დასასრული? თანამედროვე ფიზიკა ცდილობს უსასრულო რეგრესში სელა მოხსნას კვარკების ჰიპოთეზით. მაგრამ უკანასკნელი მხოლოდ ჰიპოთეზაა და ფიზიკოსები, სამწუხაროდ, პრობლემის ჰეშმარიტ გადაწყვეტისაგან ჯერ კიდევ შორს არიან. მაგრამ, ამ შემთხვევაში მთავარი ისაა, რომ როგორც არ უნდა იყოს გამალებული ძიების ფინალი, ფიზიკოსები თავიდან ვერ მოიშორებენ ნივთიერების ველისეულ ბუნებას. სიძნელე და, მაშასადამე, ობიექტური ვითარების სხვადასხვა ინტერპრეტაციათა შესაძლებლობა მუდამ ძალაში დარჩება. ისედაც დაძაბულ სიტუაციას აძლიერებს „ანიჰილაციის“ ფენომენი. ჩვენ, ამ შემთხვევაში, კონკრეტულად არ გვაინტერესებს ამ ფენომენის ფიზიკური აზრი; როგორც ცნობილია, აღნიშნული ფენომენი ნივთიერებისა და ენერჯის მუდმივობის კანონის ზუსტი დაცვით მიმდინარეობს და, მაშასადამე, ნივთიერების გაქრობასთან სრულებითაც არა



გვაქვს საქმე. მაგრამ საქმე ისაა, რომ ნიუთიერების ნაწილაკები, რომელთაც აქვთ უძრავობის მასა, გარდაიქმნებიან ფოტონებად, რომელთაც არ გააჩნიათ უძრავობის მასა. ეს კი, ცხადია, ზოგიერთ ფიზიკოსს და ფილოსოფოსს აძლევს საბაბს გააკეთოს არასწორი დასკვნა უსუბსტრატო მოძრაობა-ცვალებადობის შესაძლებლობის შესახებ.

აი, სულ მოკლედ, იმ სირთულე-სიძნელეების შესახებ, რომლებიც, საბოლოოდ, აპირობებენ ან იძლევიან გარკვეულ საბაბს დაშვებულ იქნეს უსუბსტრატო ცვალებადობის შესაძლებლობა. აქ მესიად უნდა მოგვევლინოს ფილოსოფია! მაგრამ რომელ ფილოსოფიას ძალუძს შეასრულოს მესიად ყოფნის მისია? მხოლოდ იმ ფილოსოფიას, რომელსაც უნივერსუმის არსებისა და მისი არსებობის წესების შესახებ სწორი კონცეფცია აქვს შემუშავებული. ასეთი კონცეფცია პირველ რიგში სამყაროს სუბსტანცია-სუბსტრატის შესახებ უნდა არსებობდეს.

სუბსტანცია-სუბსტრატის პრობლემის სიძნელეზე ყურადღების გამახვილებების მიზნით მოვიყვან ერთ ცნობილ ადგილს ინგლისელი ფილოსოფოსის ლოკის ნაშრომიდან: „თუ ვინმე დასვათ კითხვას ან გასინჯავს რას წარმოადგენს მისი ცნება სუბსტანციისა“<sup>9</sup>, ნახავს რომ მისი იდეა სუბსტანციისა სხვა არაფერია თუ არა რაღაც მატარებელი იმ თვისებებისა, რომელთაც იწვევენ ჩვენში „მარტივი იდეები“ და, რომლებიც ჩვეულებრივ აქციდენციებად იწოდებიან“. და, შემდეგ, განაგრძობს ლოკი, კითხვაზე რა არის ის საგანი, რომელსაც ახასიათებს ესა თუ ის ფერი ან წონა, შეუძლებელია სხვანაირი პასუხი იქნეს გაცემული თუ არა ასეთი: „მკვრივი ვრცელი ნაწილები“; ახლა კი თუ ვინმეს ჰკითხავენ: „რას მიეწერება სიმკვრივე და ვრცეულობა“ ის აღმოჩნდება იმ ინდიელის მდგომარეობაში, რომელიც ამტკიცებდა, რომ ქვეყანა დგას სპილოზე, ხოლო კითხვაზე — რაზე დგას სპილო — პასუხობდა: ფართო ზურგიან კუხეო; კითხვაზე: რაზე დგას თავად კუ, უპასუხა: „რაღაცაზე, რაც არ ვიცი რა არისო“. ამრიგად, განაგრძობს შემდეგ ლოკი, ჩვენი იდეა (წარმოდგენა), რომელსაც ჩვენ სუბსტანციას ვუწოდებთ, არის მხოლოდ წინასწარი დაშვება, მაგრამ უცნობი მატარებელი იმ თვისებებისა, რომელსაც ჩვენ არსებულად ვთვლით. რამედნადაც ჩვენ მიგვაჩნია, განაგრძობს შემდეგ ლოკი, რომ საგნის თვისებებს არ შეუძლიათ არსებობა რაღაც ისეთის გარეშე, რაც მათ

<sup>9</sup> ლოკი არსებით განსხვავებას არ ხედავს სუბსტანციასა და სუბსტრატს შორის: თუმცა მათ შორის უთუოდ უნდა დაკინახოთ განსხვავება. ამ შემთხვევაში ლოკის თვალსაზრისი სუბსტანციისა და სუბსტრატის ურთიერთმიმართების შესახებ, ძირითადად ემთხვევა ადრეული პერიოდის ბერძენი მოაზროვნეების თვალსაზრისს. სუბსტანციის პრობლემა ადრებერძულ ფილოსოფიაში სუბსტრატის პრობლემის სახით იდგა. შემდეგ კი ამ იდეამ საკმაოდ შესამჩნევი პეტამორფოზი განიცადა და ახალ დროში სუბსტანციის იდეის სახით მოგვევლინა.

არსში დევს, ჩვენ მას სუბსტანციას — თვისებათა მატარებელს ან „თვისებათა ქვეშდგომს“ ვუწოდებთო<sup>10</sup>. არ შეიძლება უფრო ნათლად გადმოსცე ბუნდოვანება და გაურკვევლობა, რომელიც ცნობიერებას ახლავს თან, როცა ის სუბსტანციის იდეას იაზრებს! სიძნელე, რაზედაც: ლოკი ლაპარაკობს, ალბათ, არის ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ სუბსტანციის ცნებაზე უარი თქვან და უსუბსტრატო ცვალებადობის შესაძლებლობა დაუშვან. მაგრამ უკანასკნელი გარემოება სრული ელიმინაციით ემუქრება ფილოსოფიის მეცნიერებას. მთავარი სტრატეგიული ხაზი, რომელიც ამ შემთხვევაში უნდა იქნეს დაცული, იმაში მდგომარეობს, რომ შენარჩუნებულ იქნეს სუბსტანციის ნაყოფიერი იდეა, იდეა, რომლის გარეშე ქვეშარიტი ფილოსოფია ვერ იარსებებს. ეს მოხდება მხოლოდ მაშინ, თუ სუბსტანციის იდეა თავის ქვეშარიტი შინაარსით მოგვევლინება. უკანასკნელი კი, თავის მხრივ, მხოლოდ მაშინ იქნება შესაძლებელი, თუ მივაგნებთ სუბსტანციის ყოფნის ქვეშარიტ წესს. უსუბსტრატო ცვალებადობის შესაძლებლობის იდეა, უნდა ითქვას გადაჭრით, არის პირდაპირი შედეგი ყოფნის ამ ქვეშარიტი წესის უგულვებელყოფისა. აქედან ყოველგვარი ეჭვის გარეშე დგას პირველხარისხოვანი მნიშვნელობა სუბსტანციისა და მისი არსებობის წესის გათვალისწინებისა ჩვენთვის საინტერესო პრობლემის დამაკმაყოფილებლად გადაწყვეტის საქმეში.

§ 2. 1. სუბსტანცია-სუბსტრატის პრობლემა არ არის ჩვენი კვლევის უშუალო ობიექტი. ეს პრობლემა ფილოსოფიური აზროვნების ისტორიაში ურთულესი და ნომერ პირველი პრობლემაა; იგი სპეციალურ კვლევას მოითხოვს. ჩვენ აქ, ცვალებადობის ფენომენის ანალიზთან დაკავშირებით, ამ პრობლემის მხოლოდ მთავარ მომენტზე შევჩერდებით. ამას კი, როგორც ითქვა, პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ძირითადი მიზნის მისაღწევად. მისი განხილვა შეიძლება ორ — ვიწრო და ფართო პლანში. პირველ პლანში საკითხის გარჩევა ჩვენ არ მიგვაჩნია საქმისათვის სასარგებლოდ, რამდენადაც ამ შემთხვევაში ბევრი რამ დარჩება ბუნდოვანი. ეს, რა თქმა უნდა, გარკვეულწილად ხელს შეუშლის ჩვენი პრობლემის ასე თუ ისე დამაკმაყოფილებელ გადაწყვეტას. ამიტომ, ჩვენ ვარჩევთ და, საქმისათვის უფრო მიზანშეწონილი იქნება სუბსტრატის პრობლემა შედარებით ფართო პლანში იქნეს განხილული. რას ნიშნავს და რაში გამოიხატება ეს უკანასკნელი?

2. სანამ ამ კითხვას ვუპასუხებდეთ, გვინდა მკითხველის ყურადღება მივაქციოთ ერთ მნიშვნელოვან ფაქტს, რომელსაც ევროპული ფილოსოფიის ისტორიაში ძალიან ხშირად ვხვდებით და მისი ევოლუციის.

<sup>10</sup> ჯ. ლოკი, ობი. ნაწ., ორ ტომად, ტ. 1, გვ. 321 (რუს.).

თავისებურებას ქმნის. საკითხი ამ შემთხვევაში ეხება უნივერსუმის ყოფნის ფუნდამენტური წესების ანსამბლიდან ერთი რომელიმე მათგანის წინა პლანზე წამოწევას და მისი როლისა და ფუნქციის უმართებულო გაზვიადებას. უკანასკნელი გამოიხატება იმაში, რომ ყოფნის ესა თუ ის კონკრეტული წესი მიჩნეულია უნივერსუმის ფუნდამენტურ ტენდენციად და მის წარმმართველ ძალად. ევროპულ ფილოსოფიურ სისტემათა უდიდესი უმრავლესობა ასეთ ცალმხრივობათა მანიფესტაციას წარმოადგენს. მოვიყვან რამდენიმე მაგალითს ამ მოსაზრების სადემონსტრაციოდ.

ა. არსებულთა „ამგვარად ყოფნა“ — გარკვეულობა უნივერსუმის ყოფნის ერთ-ერთი ფუნდამენტური წესია. ევროპული ფილოსოფიის ბევრი თვალსაჩინო წარმომადგენელი თავის ფილოსოფიურ სისტემაში ახდენს ყოფნის ამ წესის ჰიპოსტაზირებას და აცხადებს მას სამყაროს ფუნდამენტური ტენდენციის წარმმართველ პრინციპად. ანტიკურობის ისეთი დიდი ფილოსოფიური სისტემები, როგორცაა პლატონისა და არისტოტელეს ფილოსოფიური მოძღვრებანი, ამის მკაფიო მაგალითებია. იდეა პლატონთან, ფორმა არისტოტელესთან საგანთა არსებობის და, მაშასადამე, უნივერსუმის ფუნდამენტური ტენდენციის პრინციპებად არიან გამოცხადებული.

ბ. უნივერსუმის ფუნდამენტური ტენდენციის მუდმივი მოქმედების საფუძველზე წარმოშობილი ცნობიერების ფენომენის ჰიპოსტაზირებისა და მისი როლის არაკორექტულად გაზვიადების ნათელ მაგალითს წარმოადგენს იდეალიზმის მიერ ცნობიერების გადაქცევა უნივერსუმის შინაგან პრინციპად და ქვეყნიერების ფუნდამენტური ტენდენციის განმსაზღვრელ ძალად. იდეალისტური ფილოსოფია საქმის ვითარებას თავდაყირა აყენებს; ნაცვლად იმისა, რომ უნივერსუმის ფუნდამენტური ტენდენციით ახსნას ცნობიერების არსებობის ფაქტი, თავად მას გამოაცხადებს ამ ტენდენციის განმსაზღვრელ ძალად.

გ. ბევრ ფილოსოფიურ სისტემაში კანონზომიერება და წესრიგი ქვეყნიერებისა ცხადდება ამ უკანასკნელის შინაგან არსებად და უნივერსუმში მიმდინარე პროცესების წარმმართველ ძალად. ამ კონცეფციას, ბევრ შემთხვევაში, მოკლედ ასე გამოთქვამენ: „საგნებს, ნივთებს, საერთოდ, უნივერსუმს კანონები მართავენო“. ამ მოსაზრების მიხედვით კანონები და წესრიგი უკანასკნელნი ინსტანციის პრინციპია, რომელიც წარმართავს და აპირობებს უნივერსუმში მიმდინარე პროცესების აუცილებლობით ხასიათს. ასეთი მოსაზრება, ჩვენი აზრით, სრულებითაც არ არის კორექტული. საქმის ვითარება სავსებით პირიქითაა: კანონები კი არ მართავენ საგნებს და მოვლენებს, არამედ, პირიქით. საგნები და მათი შინაგანი ბუნება წარმოშობენ განსაზღვრულ წესრიგს

ბუნებაში, რომელსაც ადამიანები კანონების (აუცილებლობის) სახელით ნათლავენ.

დ. უნივერსუმის ყოველ რეგიონში ვხვდებით იმ უდავო ფაქტს, რომ საგნები შედგებიან შედარებით მარტივი ელემენტებისაგან; უკანასკნელნი თავად წარმოადგენენ უფრო მარტივი ნაწილაკების კომპოზიციას და ა. შ. ერთი სიტყვით, ყოველ არსებულს აქვს თავისი სტრუქტურა, რომელიც, უწინარეს ყოვლისა, მთელისა და მისი ნაწილაკების ორგანულ ერთიანობაში ავლენს თავის თავს. არსებულის სტრუქტურული ბუნება მისი არსებობის ერთ-ერთი ფუნდამენტური წესია. არსებულთა ყოფნის ეს წესი, ზოგიერთი ფილოსოფიური თვალსაზრისის მიერ თვითკმარ პრინციპად არის გამოცხადებული და მიჩნეულია, რომ სწორედ ყოფნის ეს წესი განსაზღვრავს ქვეყნიერების ფუნდამენტურ ტენდენციას. ასეთი თვალსაზრისის ნიმუშს წარმოადგენს პოლიზმი.

ჩვენი იდეის სადემონსტრაციოდ შეიძლებოდა ანალოგიური მაგალითების მოყვანა გავეგებებინა, მაგრამ აღნიშნულიც, ჩვენი აზრით, სავსებით საკმარისია. ამ მაგალითთა რიგს მიეკუთვნება ცვალებადობის ფენომენიც, რომელსაც უნივერსუმის საერთო სტრატეგიაში, მის სხვა ფუნდამენტურ ნიშნებთან ერთად, სრულიად განსაზღვრული ფუნქცია აქვს დაკისრებული, მაგრამ, რომელიც, ზოგიერთი ფილოსოფოსის მიერ, სრულიად არაკანონიერად, თვითკმარ ფენომენად არის გამოცხადებული. ყველა ზემოთ აღნიშნულ შემთხვევაში ცალმხრივობასთან გვაქვს საქმე: დავიწყებულია მთავარი — ყოფნის პრიმატიბუტით პირობადებული უნივერსუმის ფუნდამენტური ტენდენცია, რომლის მეშვეობითაც უნდა აიხსნას ყველა ზემოთ აღნიშნული და კიდევ მრავალი სხვა ნიშან-მახასიათებელი, რომლებიც უნივერსუმს გააჩნია და მის საერთო სტრატეგიაში სავსებით განსაზღვრულ ფუნქციას ასრულებენ.

3. ევროპული ფილოსოფიისათვის დამახასიათებელი ამ ფაქტის აღნიშვნის შემდეგ, რომელიც შესაძლებელია ჩვენი ძირითადი გზიდან ერთგვარ გადახვევად იქნეს მიჩნეული, კვლავ ვუბრუნდებით ზემოთ დასმულ კითხვას: რას ნიშნავს და რაში გამოიხატება სუბსტრატის პრობლემის შედარებით ფართო პლანში განხილვა? ამ კითხვას მოკლედ ვუპასუხებთ: სუბსტრატის პრობლემის ფართო პლანში განხილვის ქვეშ ჩვენ გვესმის ყოფნის სუბსტრატის დადგენა, — გარკვევა იმისა, თუ რა არის არსებობის ჭეშმარიტი სუბსტრატი. როცა კვლევის ამ გზას ვირჩევთ, მიგვაჩნია, რომ ყოფნა-არსებობის ჭეშმარიტი სუბსტრატის დადგენით ნათელი მოეფინება არსებულის ყველა ფუნდამენტურ ნიშანთა, მათ შორის ცვალებადობის ფენომენის სუბსტრატის პრობლე-

მასაც და, რაც მთავარია, გამოაშკარავდება უსუბსტრატო ცვალებადობის შეუძლებლობაც.

ფილოსოფიურ პრობლემატიკაში ჩახედული მკითხველი ალბათ გრძნობს თუ რა მძიმე და რთულ პრობლემასთან გვაქვს საქმე. არსებობა-ყოფნის სუბსტრატის პრობლემა ესაა უნივერსუმის სუბსტანციის პრობლემა, პრობლემა პირველსაწყისისა, რომელმაც ევროპულ ფილოსოფიაში ესოდენ დრამატიზმით სახვე ისტორია გამოიარა დაწყებული იონური ნატურფილოსოფიით, დამთავრებული თანამედროვე ფილოსოფიური სისტემებით.

4. რა არის საგანთა და მოვლენათა ნივთიერი საფუძველი? აი, რა ფორმით იყო დაყენებული ევროპული ფილოსოფიის გარეყრახზე ქვეყნიერების სუბსტანციის პრობლემა. თავდაპირველად, რამდენადაც მატერიისა და მატერიალურის ცნება გაიგივებული იყო ნივთიერებასთან. ნივთიერთან, საგანთა მატერიალური საფუძვლის, ანუ სუბსტრატის ძიება ნიშნავდა ისეთი ნივთიერების გამონახვას, რომელიც ყველა საგანთა ძირი და საფუძველი იქნებოდა. რა ძირითადი მოთხოვნები უნდა დაეკმაყოფილებინა საგანთა ამ პირველდასაბამს? როგორც თვით სახელწოდება გვიჩვენებს, ის უნდა ყოფილიყო პირველი და, მაშასადამე, უსაფუძვლო. მეორე, ის უნდა იყოს უცვლელი, მარადიული, თავისთავთან იგივეობრივი; ცვალებადი და წარმავალი საგანთა სუბსტრატად არ გამოდგება. მესამე პირობა, რომელიც აუცილებლად უნდა დააკმაყოფილოს საგანთა პირველდასაბამს ისაა, რომ ის უნდა იყოს ერთადერთი და, მაშასადამე, ყველა საგნისა და მოვლენისათვის საყოველთაო. ევროპული ფილოსოფია დაიწყო სწორედ საგანთა და მოვლენათა ამგვარი ნიშნების მქონე ნივთიერი სუბსტრატის ძიებით. რა შედეგებს მიაღწია მან ამ მიმართულებით? რა გაკვეთილები უნდა იქნეს მისგან გამოტანილი? ამ კითხვაზე ჩვენი პასუხი აბსტრაქტული რომ არ იყოს, თავად ეს გარეყრახი უნდა დაეკითხოთ კონკრეტულად.

5. ევროპული ფილოსოფიის სათავესთან მიღეთის ნატურფილოსოფიური სკოლა დგას; მისი პირველი წარმომადგენელი — თალესი საგანთა ნივთიერ დასაბამად წყალს მიიჩნევდა. წყალი მისი აზრით, არის ის პირველსაწყისი, პირველსუბსტრატი, რისგანაც საგნები შედგებიან. საგნები და მოვლენები წყლის მოდიფიკაციებია. რას ნიშნავს ცვალებადობა საგნებისა? საგნის, მოვლენის ცვალებადობა ნიშნავს იმას, რომ წყალი თავისი არსებობის ერთი ფორმიდან გადადის მეორეში, თავად კი მუდმივია და უცვლელი რჩება. წყლის არსებობა, რამდენადაც ის არის პირველსუბსტრატი, არ არის დამოკიდებული. მსგავსად საგნებისა, სხვაზე: ის პირველსაწყისია და, მაშასადამე, უსაფუძვლო, განუსაზღვრელი. საგანთა არხედ წყლის ყოფნა, ცხადია, ნიშნავს იმა-

საც, რომ ის არის საყოველთაო საგნებში, სიმრავლეში არსებული ერთი. მაგრამ აქ იბადება სიძნელე, რომელიც ქვეყნიერების პირველსაწყისად წყლის ყოფნას საექვოდ ხდის. ეს სიძნელე შეამჩნიეს თალესის მოწაფეებმა და შეეცადნენ დაეძლიათ იგი. თალესის მიერ მინიშნებული საგანთა ნივთიერი პირველსუბსტრატი მაინც კონკრეტულია თავისი ბუნებით და როგორ არის შესაძლებელი მისგან განსხვავებული, მაგალითად, ქვა, ოქრო და სხვა საგნები წარმოიშვას? როცა მინიშნებული საგანთა ერთიანი საწყისი — პირველსუბსტრატი, მაშინვე დგება ფილოსოფიის მეორე კარდინალური კითხვა: როგორ ხდება ერთი და საყოველთაო პირველსუბსტრატისაგან საგანთა სიმრავლის წარმოშობა? გამონაკლისი ამ შემთხვევაში არც თალესია. როგორ და რა გზით ჩნდება, მისი აზრით, წყლისაგან განსხვავებული საგნები? თალესისეული პასუხი ამ კითხვაზე დამაკმაყოფილებელი არ არის. ყოველ შემთხვევაში, მისი მემკვიდრეების აზრით, შეუძლებელია წყლისაგან შესქელება-გათხელების გზით თვისებრივად სრულიად განსხვავებული საგანის, ვთქვათ, მაგალითად ოქროს მიღება. ეს სიძნელე იგრძნო მისმა მოწაფემ ანაქსიმანდრემ და ამიტომ იყო, რომ მან საგანთა საწყისად მიიჩნია არა ესა თუ ის კონკრეტული მატერიალური სტიქია, არამედ განსაზღვრულ თვისებას მოკლებული, თვისებრივად განუსაზღვრელი ნივთიერება აპეირონის სახით. რის გამო ჩნდებოდა აპეირონისაგან, განუსაზღვრელისაგან — განსაზღვრული, ბოლოვადი საგნები? ანაქსიმანდრესეული პრინციპი, რის გამოც აპეირონისაგან საგნები გამოიყოფიან, სრულებითაც არაა მისაღები, მაგრამ ის სიძნელე, რომელიც გააჩნდა თალესისეულ პირველსაწყისს, მასთან ერთგვარად გადალახულია იმით, რომ აპეირონი, როგორც განუსაზღვრელი, ყველა საგანთა წარმოშობის შესაძლებლობას პოტენციურად შეიცავს. მაგრამ ეს უკანასკნელი მომენტი არ გამოდგა საკმარისი პრობლემის ქეშმარიტი გადაწყვეტისათვის. ანაქსიმანდრესეული არხე, როგორც ამას ფილოსოფიის ისტორიის მკვლევრები მიუთითებენ, იმდენად განუსაზღვრელი აღმოჩნდა, რომ მისგან განსაზღვრული და ბოლოვადი საგანთა წარმოშობა გაუგებარი ჩანს; ან, თუ განუსაზღვრელში ყველა საგანი იმთავითვეა, მაშინ მათგან განსხვავებული, მათი ამხსნელი პრინციპი — აპეირონის სახით, სრულიად ზედმეტი ხდება. მიღეთის სკოლის ზესამე წარმომადგენელი — ანაქსიმენი — შეეცდება თავისი წინამორბედების უკიდურესობანი გადალახოს. ჰაერი, ფიქრობს ანაქსიმენი, არის საგანთა პირველსაწყისი; ის არც ზედმეტად კონკრეტულია, როგორც თალესის წყალი და არც ზედმეტად გაურკვეველი და საყოველთაო, როგორც ანაქსიმანდრეს აპეირონი; მას საშუალო ბუნება გააჩნია და, მასასადამე, ყველაზე კარგად აკმაყოფილებს საგანთა სუბსტრატისადმი წაყენებულ მოთხოვნებს. მაგრამ შემდეგ, როგორც ეს ბერძნული ფი-

ლოსოფიური აზრის ევოლუციამ აჩვენა. ანაქსიმენის მიერ წამოყენებული პრინციპმა თავისი წინამორბედების ბედი გაიზიარა.

6. ზოგი ბერძენი ფილოსოფოსი, ერთიდან სიმრავლის წარმოშობის გაადვილების მიზნით, ერთი მატერიალური სტიქიის ნაცვლად ასახელებს რამდენიმეს. მაგრამ ეს გამოსავალი არღვევდა, როგორც ამას საქმეში ჩახედული მკითხველი ხვდება, სუბსტრატისადმი წაყენებულ ერთ-ერთ აუცილებელ მოთხოვნას: სუბსტრატი უთუოდ ერთი უნდა იყოს. სხვანაირად ის ვერ იქნება საყოველთაო საგანთა სიმრავლეში. ამ მოთხოვნას, ატომისტების აზრით, ყველაზე კარგად ასრულებს განუყოფელი ატომი. უკანასკნელი, ატომისტური ფილოსოფიის მიხედვით, წარმოადგენს საგანთა საყოველთაო სუბსტრატს. ცარიელი სივრცე და მასში მოძრავი ატომთა კონფიგურაცია, აი რა ქმნის ქვეყნიერების მრავალსახიანობას. ბერძნულმა ატომიზმა, როგორც ცნობილია, ფილოსოფიასა და მეცნიერებაში საუკუნეების განმავლობაში იბატონა, მაგრამ, როგორც ზემოთ ვნახეთ, ბოლოს და ბოლოს მან ვერ გაუძლო დროის გამოცდას და სხვა პრინციპების ბედი გაიზიარა. საგანთა სუბსტრატის იდეის შემდგომმა ევოლუციამ აჩვენა, რომ ეს იდეა იმ სახით როგორადაც ის არსებობდა ადრე ბერძნულ ფილოსოფიაში, საკმარისი არ იყო ქვეყნიერების ასახსნელად. ყველაზე რელიეფურად ამ იდეის უკმარისობა. ელეატური მეტაფიზიკის მიღწევების გათვალისწინებით, ატომისტურმა ფილოსოფიამ გამოავლინა. თუ საგნები — ქვეყნიერების მთელი მრავალფეროვნება ატომთა მექანიკური აგრეგაციაა, საძიებელი ხდება ატომთა შეერთება-დაშლის მიზეზი. ამან კი, როგორც ამას ბერძნული ფილოსოფიის შემდგომი ისტორია ადასტურებს, აუცილებელი გახადა საგანთა მეორე საწყისის ძებნა, რომელმაც თავისი კლასიკური გაფორმება პლატონისეული იდეის გაელით, არისტოტელეს უსიაში მიიღო. წმინდა სუბსტრატი არასაკმარისი აღმოჩნდა და საგანთა მრავალფეროვნების ასახსნელად საჭირო გახდა აქტიური ფორმის ცნების შემუშავება და მისი სინთეზი მასალასთან; ეს მოხდა არისტოტელესეულ უსიაში. აქ დუალიზმი აშკარად იჩენს თავს. მისი მოხსნა უთუოდ მოითხოვდა სუბსტრატის ცნების შემდგომ რეკონსტრუქციას და, მართლაც, ევროპული ფილოსოფიის შემდგომი ევოლუციით მოხდა სუბსტრატის თავდაპირველი იდეის ტრანსფორმაცია. სუბსტრატის უწინდელი იდეა ახალ ამპლუაში სუბსტანციის სახით მოგვევლინა. სუბსტრატის თავდაპირველ იდეაში ბოლომდე არ იყო განხორციელებული აბსოლუტური და უპირობო საყოველთაოს ცნება; მის შინაარსს აკლდა ერთი უმთავრესი მომენტი — აქტივობა. ევროპულმა ფილოსოფიამ ამას გვიან, ხანგრძლივი ევოლუციის შედეგად მიაღწია.

7. ყველაფერი, რაც აქამდე ითქვა, ევროპული ფილოსოფიური აზროვნების. მისი ერთ-ერთი უმთავრესი იდეის ტრანსფორმაციის ძალზე სქემატური კონსტანტაციაა მხოლოდ. ახლა ჩვენ საკითხს ასეთი კონკრეტული კითხვების სახით დავაყენებთ: სად არსებობს თალესის წყალი, ანაქსიმანდრეს აპეირონი და ანაქსიმენის ჰაერი, როგორც საგანთა განუსაზღვრელი საწყისი? სად არსებობს პარმენიდეს არსი? ერთი სიტყვით, სად არსებობს ევროპული ფილოსოფიის ხანგრძლივი, დრამატიზმით სავსე ევოლუციის უმთავრესი იდეის — უპირობო საყოველთაოს შესატყვისი რეალობა? იქნებ ძიება საგანთა სუბსტანციისა — უპირობო რეალობისა, სრულებითაც არ იყო სამართლიანი და, მაშასადამე, მთელი ევროპული ფილოსოფია წარმოადგენს საბედისწერო შეცდომათა ხანგრძლივ ისტორიას?

ამიტომ, ბუნებრივია, დგება შემდეგი საკითხი: რა აუცილებლობა აიძულებს ადამიანის გონებას, რომელსაც თავის პრაქტიკულ და თეორიულ საქმიანობაში, მუდამ საქმე აქვს პირობით არსებულთან, შექმნას უპირობო რეალობის იდეა? ადამიანი უნივერსუმის ნაწილია, არის სამყაროში და თავის ყოფნას აწარმოებს; ყველაფერი, რასაც ის აკეთებს, საბოლოო ინსტანციაში, ამ საქმეს ემსახურება. იმისათვის, რომ მან თავისი ამოცანა წარმატებით განახორციელოს, უნდა შეიმეცნოს სამყარო. როგორია შემეცნების განხორციელების გენერალური ხაზი? ადამიანი იმეცნებს საგნებს და მოვლენებს; უკანასკნელი ყოველთვის არსებობენ დროში, სივრცეში, ექვემდებარებიან მიზეზობრიობის კანონს. რამდენადაც შემეცნება არის დროსა და სივრცეში არსებული საგნების და მოვლენების შემეცნება, მას ფართო აზრით, ცდისეული შემეცნება შეიძლება ვუწოდოთ. ცდაში მოცემულის შემეცნება ნიშნავს ბოლოვადის, პირობითის შემეცნებას. უკანასკნელი ყოველთვის ნიშნავს და მოითხოვს სხვა მოვლენას, საგანს, რომელიც მას დროში წინ უსწრებს და სივრცეში შემოსაზღვრავს. ეს სხვა თავისი შემეცნებისთვის მოითხოვს ისევ სხვას და ა. შ. ისე, რომ ცდისეული შემეცნების ჯაჭვი უსასრულოდ გრძელდება. ცდისეულ შემეცნებას არსად არ შეუძლია შეჩერდეს და თქვას, რომ მან მიაღწია ისეთ მიჯნას, რომლის იქით აღარაფერია შესამეცნებელი და, მაშასადამე, საგნის ბუნება, რომლის დადგენა მან მიზნად დაისახა, საბოლოოდ განუხორციელებელი რჩება. საგნის შემეცნების მიზნით უსასრულო რეგრესში სვლის ეს მაგალითი თავისი ბუნებით ძალიან გავს ვითარებას, რომელმაც ბერძნული ატომიზმი წარმოშვა. რა არის თვალხილულ საგანთა და მოვლენათა უკანასკნელი სუბსტრატები? საგნის უსასრულო დანაწევრება შეიძლება და, მაშასადამე, საგნებისა და მოვლენების ჭეშმარიტი სუბსტრატები მიუღწეველი რჩება. მაგრამ, თუ ეს ასეა და, ამასთან, სამყაროს მრავალფე-



როვნების ძირში, როგორც მისი სუბსტრატი, რაღაც მიუწვდომელი რამ დევს, მაშინ საგანთა საბოლოო მიზეზსა და მის შემეცნებაზე ხელი უნდა ავიღოთ. რა გამოსავალი ნახა ბერძნულმა ატომიზმმა? სიძნელიდან გამოსავალი მონახულ იქნა ატომის სახით. განუყოფელი გახდა სწორედ ის ლოგიკური შლაგბაუმი, რითაც უსასრულობაში რეგრესი იქნა შეჩერებული. ჩვენ კარგად ვიცით ატომისტური სუბსტრატიზმის ფინალი. როგორც ითქვა, ჩვენი შემეცნებითი უნარი შემეცნების პროცესში გადადის ერთი ბოლოვადი საგნიდან მეორისაკენ, მეორიდან — მესამესაკენ და ა. შ. უსასრულოდ. რა შემთხვევაში შეუძლია ჩვენს ცნობიერებას დაადგინოს ამა თუ იმ საგნის თუ მოვლენის, საგანთა და მოვლენათა ამ უსასრულო რიგის ბუნება? მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საგანთა და მოვლენათა ამ უსასრულო რიგს შეაჩერებს ისეთი არსების დაშვებით, რომელსაც თავისი არსებობის პირობა სხვაში კი არა აქვს, არამედ თავის თავში და, მაშასადამე, ამის გამო გააჩნია ნამდვილი არსებობა. ფილოსოფია თავისი დასაბამიდან ღღემდე სწორედ ასეთ არსებას ეძებს. ამ არსების ლოგიკურ გამოხატულებას წარმოადგენს სწორედ უპირობო რეალობის იდეა. ამ იდეაზე დაყრდნობით შეუძლია ადამიანის შემეცნებით უნარს შექმნას ცოდნის უნაკლო სისტემა. გონება დაადგენს რა სამყაროს მრავალფეროვანი და მარადიულ ქმნადობაში მყოფი საგნებისა და მოვლენების საყოველთაო საფუძველს, რომელსაც თავისი არსებობის მიზეზი თავის თავში აქვს, ამ უკანასკნელისაგან მისი ფუნდამენტური, პრიმა-ატრიბუტის საფუძველზე, ატრიბუტისა, რომელიც უნივერსუმისათვის გენერალური მიმართულების მიმცემია, გამოიყვანს არსებულ სამყაროს მთელი მისი მრავალფეროვნებით, ყველა ამ ნიშნითა და თვისებით, რითაც ის ჩვენს ცნობიერებას ევლინება. სულ მოკლედ რომ ვთქვათ, ადამიანი თავის ცხოვრებისეულ ურთიერთობაში მარად ცვალებად სამყაროსთან, აყენებს სავსებით კანონიერ კითხვას ამ სამყაროს უკანასკნელი საფუძველის შესახებ. რა არის ის, რაც მას ევლინება ამ მრავალფეროვნების სახით? ამ კითხვის დაყენება არ არის მხოლოდ ადამიანის ცნობისმოყვარეობის შედეგი. მის ცნობისმოყვარეობას თვით არსებულის ობიექტური ლოგიკა აპირობებს: არც ერთ პირობით და სასრულო არსებულს არ შეუძლია იარსებოს რაღაც საერთო საფუძველისა და მასში მოქმედი ფუნდამენტური ტენდენციის გარეშე. აი სწორედ ეს აუცილებლობა ამხედრებს ადამიანის ცნობისმოყვარეობას დააყენოს საკითხი ქვეყნ-ერების უკანასკნელი და უპირობო, უსაფუძვლო საფუძველის შესახებ. ამიტომ ეს იდეა უპირობოსი არის არა შემეცნებელი ცნობიერების წმინდა სუბიექტური ახირების ნაყოფი, არამედ უნივერსუმის იმანენტური პრინციპით პირობადებული აუცილებლობის ხმა, რომელიც

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მომენტია ყოფნის პრინციპთა გამაში. ამ ობიექტური აუცილებლობით არის განსაზღვრული აგრეთვე ფილოსოფიის ფუნდამენტური იდეის შემეცნებითი ღირებულება, მისი როლი და ფუნქცია სამყაროს სურათის შექმნაში. აქვე უნდა ვეძიოთ ამ იდეის არსებობის ძირი თითქმის ყველა ფილოსოფოსთან, როგორც არ უნდა იყოს მათი დამოკიდებულება ამ იდეისადმი: დადებითი თუ უარყოფითი. ყველა დიდი მეტაფიზიკოსის ნააზრევში, როგორც სახელმძღვანელო იდეა, აშკარად თუ ფარულად ფიგურირებს ქვეყნიერების უპირობო და უკანასკნელი საფუძვლის იდეა. ჩინურ ფილოსოფიაში ეს იდეა მოგვევლინა დაო-ს სახელწოდებით; ინდოელებმა მას ბრამა შეარქვეს. ქვეყნიერების უპირობო სუბსტრატის იდეა ევროპული ფილოსოფიის გარიჟრაჟზე მრავალი სხვადასხვა სახელწოდებით მოგვევლინა: არხე, აპეირონი, არსი, ცეცხლი, ატომი, იდეა, ფორმა. ასეთივე მრავალფეროვანი სახელწოდებით არის ცნობილი ქვეყნიერების პირველსაფუძველი ახალი დროის ევროპულ ფილოსოფიაში.

8. ამ იდეას გვერდს ვერ უვლიან ისინიც კი, ვინც გააფთრებით თავს ესხმიან მას. კლასიკურ მაგალითს ამ მხრივ წარმოადგენს კანტის ნააზრევი. კანტის კრიტიკული ფილოსოფიის უმთავრეს ამოცანას წარმოადგენს აჩვენოს ძველი მეტაფიზიკის, როგორც დოგმატური მეცნიერების, შეუძლებლობა. ამ მიზნით ის თავს ესხმის მეტაფიზიკის ცენტრალურ ცნებას — უპირობო რეალობის იდეას. უკანასკნელს, კანტის აზრით, გონება აწარმოებს. როგორ მიდის გონება ამ და სხვა მის მსგავს იდეებამდე? ცდის საგნები (განსჯის სფერო) ყოველთვის სხვით არის პირობადებული. აქ, საგანთა პირველსაფუძვლის ჩვენებასთან დაკავშირებით, საქმე გვაქვს რეგრესში სვლასთან. რით შევაჩეროთ ეს სვლა? გონება, იმისათვის რომ დამშვიდდეს, ქმნის უსასრულოს, მარადიულის იდეას. ასეთი იდეა არის სწორედ უპირობო რეალობის იდეა, რომელსაც კანტმა „საგანი თავისთავად“ უწოდა. ამ იდეის ლოგიკური შესაძლებლობა და, მასთან ერთად, ადამიანის შემეცნების საქმიანობაში მისი აუცილებლობა კანტმა აღიარა და, იგი, გონების სხვა ანალოგიურ იდეებთან ერთად, რეგულატორულ პრინციპად გამოაცხადა. მაგრამ მან კატეგორიულად უარყო ამ იდეის საგნობრივი ბუნება; ამ იდეას ცლაში, რომელიც ადამიანის შემეცნებითი საქმიანობის ეოთადერთი სფეროა. აღარაფერი არ შეესაბამება და, მაშასადამე, მისი შემეცნების შესაძლებლობაზე სრული უარი თქვა. მაგრამ ამ იდეის გარეშე შემეცნება შეუძლებელია, რადგან სწორედ „საგანი თავისთავად“ (უპირობო იდეის კანტისეული ფორმა) არის აუცილებელი პირობა ცდის არსებობისათვის, ცდისა, რომელიც არის შემეცნების ერთადერთი ობიექტი. ეს კარდინალური წინააღმდეგობაა კანტის ნააზრევში, რომლის შესახებ

მისმა ერთ-ერთმა მემკვიდრემ — იაკობმა სავსებით სწორად შენიშნა, რომ ამ იდეის გარეშე ვერ შესვალ კანტის ფილოსოფიაში. მაგრამ იგივე იდეა ძირიანად ანგრევს კანტის ფილოსოფიურ ნააზრევსო. ყველაზე რადიკალური პოზიცია უპირობო რეალობის იდეის უარყოფის საქმეში დაიკავა პოზიტივიზმმა, განსაკუთრებით მისმა უკანასკნელმა გამოცემამ — ლოგიკურმა ემპირიზმმა. მან ეს ცნება უსასრისოდ გამოაცხადა. ფილოსოფიის ამ ცენტრალურ იდეაზე უარის თქმით მან ფაქტიურად გააუქმა ფილოსოფია, როგორც დამოუკიდებელი მეცნიერება. ლოგიკური ემპირიზმი თავის პოზიციას ამართლებს იმით, რომ რეალობა, რომელსედაც მიაანიშნებს აღნიშნული იდეა, არსად არ არსებობს. თანამედროვე პოზიტივიზმის უკიდურესი რადიკალიზმი უპირობო რეალობის უარყოფაში, საბოლოო ინსტანციაში იმით არის გაპირობებული, რომ მას სრულიად დამახინჯებულად ესმის ამ იდეის შესატყვისი რეალობის არსებობის წესი.

ამრიგად, როგორც ზემოთქმულიდან ჩანს, უპირობო რეალობის იდეა შესაძლებელიცაა, რამდენადაც მის ლოგიკურ ცნებაში არავითარი შინაგანი წინააღმდეგობა არ არის; იგი აუცილებელიცაა, რამდენადაც შეუძლებელია არსებობდეს პირობით არსებათა და მოვლენათა რიგი, თუ მათ საფუძველში არ დევს უპირობო და უსასრულო რეალობა და, ბოლოს, სწორედ იმის გამო, რომ უნივერსუმი არის უპირობოსა და პირობითის ერთიანობა, აღნიშნული იდეა უთუოდ დიდ როლს ასრულებს სამყაროს ფილოსოფიური სურათის შექმნაში და წარმოადგენს ყოველი, ცოტად თუ ბევრად სერიოზულად ჩაფიქრებული ფილოსოფიური სისტემის ცენტრალურ იდეას. ამიტომაც, წინააღმდეგ ყველა ჯურის პოზიტივიზმის მტკიცებისა, ევროპული ფილოსოფია სრულებითაც არ წარმოადგენს საბედისწერო შეცდომით განსაზღვრულ ფილოსოფიურ სისტემათა მონაცვლეობას. ერთი სიტყვით, უპირობო რეალობის იდეა სავსებით სამართლიანი და კანონზომიერი იდეაა ფილოსოფიაში.

9. უპირობო რეალობის იდეისა და მისი შესაბამისი რეალობის დაშვების შემდეგ დგება ფილოსოფიის მეორე უმთავრესი საკითხი: რა სახით არსებობს უპირობო რეალობა და როგორია მისი არსებობის წესი? ერთი შეხედვით, შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ უპირობო რეალობასა და მისი არსებობის წესს შორის თითქოს არ იყოს ორგანული კავშირი, რომ, მაგალითად, ესა თუ ის ფილოსოფოსი როცა იგი საგანთა მრავალსახიანობის ასახსნელად საყოველთაო არსების საფუძველდებებს ახდენს, თითქოს არავითარ ყურადღებას არ აქცევდეს იმას, თუ რამდენად ეფექტურად და მოხერხებულად შეუძლია მის მიერ ამორჩეულ საყოველთაო პრინციპს ახსნას სამყაროს ამგვარად მანიფესტაციის

ფაქტი. მართალია, საყოველთაო და უპირობო რეალობის იდეის შემეცნებითი ღირებულება და დატვირთვა სამყაროს ფილოსოფიური სურათის აგებაში ცალკე დგას და ერთგვარად ავტონომიური მნიშვნელობის მქონე საკითხია, მაგრამ ეს უკანასკნელი სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ იგი ყურადღების გარეშე ტოვებდეს ფილოსოფიის მეორე კარდინალურ კითხვას. პირიქით! ყოველი ფილოსოფოსი სამყაროს პირველსაწყისს არჩევს სწორედ იმის მიხედვით, თუ რამდენად მოხერხებულად, შინაგანი წინააღმდეგობების გარეშე შეუძლია ამორჩეულ პრინციპს ნათელი მოკვინოს უნივერსუმის ამგვარად ყოფნას. ანაქსიმანდრემ უარი თქვა საგანთა თალესისეულ საწყისზე იმიტომ, რომ წყლის შესქელება-გათხელების მექანიკური პრინციპი არ იყო საკმარისი წყლისაგან თვისებრივად სრულიად განსხვავებული ოქრო და სხვა საგნების არსებობა ახსნილი ყოფილიყო; ამიტომ მან დაუშვა აპეირონის პრინციპი. მაგრამ იგი არ გამოდგა საგანთა სიმრავლის ასახსნელად. თუ აპეირონში ყველაფრის არსებობა წინასწარ ვიგულისხმეთ, მაშინ ის ზედმეტი ხდება, როგორც სიმრავლის ამხსნელი ერთიანი პრინციპი. თუ ეს ასეა, მაშინ როგორ იქმნებიან განუსაზღვრელისაგან საგნები და მოვლენები; სიმეტრიის ანთროპოლოგისტური პრინციპი, რომელსაც ანაქსიმანდრე მიმართავს, სიძნელიდან გამოსასვლელად სრულიად უვარგისი ჩანს. ცოტა განსხვავებული, მაგრამ არსებითად იგივე დეფექტის გამო ვერ ივარგა საგანთა საწყისის იმ პრინციპმა, რომელიც ანაქსიმენმა წამოაყენა. ასე შეიძლება ითქვას საერთოდ საგანთა სიმრავლის, ქვეყნიერების ამგვარად არსებობის ახსნისათვის წამოყენებულ ყოველ პრინციპზე, რომელთაც ვხვდებით ფილოსოფიური აზროვნების ისტორიაში. იდეალიზმმა, მაგალითად, თვალხილული სამყაროს ამხსნელ პრინციპად გამოაცხადა იდეა, სული, იმიტომ რომ სრულიად გაუგებარი ჩანდა ცოცხალ არსებათა მიზანშეწონილი აგებულებისა და ცნობიერების არსებობის ფაქტი მატერიისა და მექანიკური პრინციპების ამარა. ამიტომ მან აზრის საყოველთაო პრინციპი წამოაყენა, რასაც პირველად ანაქსაგორასთან, პლატონთან და არისტოტელესთან ვხვდებით. საერთოდ შეიძლება ითქვას, რომ საყოველთაოსა და უპირობო რეალობის იდეა ამ მიმართულებით განიცდიდა ევოლუციას, ხდებოდა მისი შინაარსის თანდათან დახვეწა, სანამ მან თანამედროვე ფორმა არ მიიღო. აქაც, ისე როგორც საგანთა საყოველთაო პრინციპის ძიების შემთხვევაში, ევროპულ ფილოსოფიაში დრამატიზმით სავსე ისტორია გადაიშალა. როგორ არსებობს არსებული? ყოფნის რა წესებს ექვემდებარება იგი? ძალზე ძნელი გამოდგა საგანთა, საყოველთაო და უკანასკნელი საფუძვლიდან სასრულო ბოლოვად საგნებზე გადასვლა. სხვანაირად რომ ვთქვათ, ძველმა ფილოსოფიამ ჰეგელისა და შოპენჰაუერის ჩათვლით, ვერ მოახერხა მიეგნო უპირობო

რეალობაში ისეთი მომენტისათვის, რომელიც ნათელს მოჰყენდა უნივერსუმის არსებობის ამგვარად ყოფნას.

10. გვინდა აღვნიშნოთ მთავარი ნაკლოვანება, რომელიც გააჩნდა ძველ ფილოსოფიას უპირობო რეალობის არსებობის წესების გაგებაში. წარსული ფილოსოფიის ამ ნაკლოვანების გათვალისწინება, რასაკვირველია, ხელს შეგვიწყობს სწორად მივაგნოთ მათ.

სუბსტანციის ცნებაში, როგორც მრავალჯერ აღინიშნა, ნაგულისხმევია საგანთა საყოველთაო, უკანასკნელი და საერთო საფუძველი. სად არსებობს ასეთი არსება? ძველმა ფილოსოფიამ ასეთი არსების არსებობა დროსა და სივრცეში არსებულ საგანთა სიმრავლის მიღმა წარმოიდგინა. მართალია, წარსულში ყველა ფილოსოფოსი როდი ფიქრობდა ასე, მაგრამ მათ ობიექტურად ასე გამოუდიოდათ. უპირობო რეალობა დროისა და სივრცის გარეშე უნდა იდგეს უთუოდ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი პირობით არსებად გადაიქცევა — აი გამოსავალი პოზიცია ბევრი მეტაფიზიკოს-ფილოსოფოსისა, როცა ისინი ქვეყნიერების უპირობო საფუძველს იაზრებდნენ. უპირობო რეალობის არსებობის წესის ასე გააზრებამ განსაზღვრა სწორედ ის გარემოება, რომ წარსული ფილოსოფიის ბევრ იდეალისტურ-ონტოლოგიურ სისტემაში მატერიის უპირობო საწყისად აღიარება შეუძლებლად იქნა გამოცხადებული. თუ მხედველობაში მივიღებთ იმ წინამძღვარს. საიდანაც ისინი გამოდიოდნენ, ასეთი დასკვნის გაკეთება ლოგიკურად სავსებით კორექტული ჩანს. მატერიას, მატერიალურ სინამდვილეს სხვანაირი არსებობა არ გააჩნია თუ არა დროულ-ვრცული და, მაშასადამე, ის არ შეიძლება იყოს „ნამდვილი სინამდვილე“. ამ პოზიციაზე ერთნაირად დგას ყველა მეტაფიზიკოს-იდეალისტი, დაწყებული პლატონიდან, დამთავრებული ჰეგელითა და შოპენჰაუერით. წარსულის ფილოსოფიის ამ უმთავრესი ნაკლოვანების სხვანაირ ვარიანტსაც ვხვდებით; მას ხშირად ასე გამოთქვამენ: უპირობო რეალობა, რომელიც თავისი შინაარსის მიხედვით არის საგანთა უკანასკნელი და საყოველთაო საფუძველი ყოველგვარ განსაზღვრებათა მალა უნდა იდგეს. უპირობო იმიტომ არის საგანთა უკანასკნელი და საყოველთაო საფუძველი, რომ მას არაფერი განსაზღვრავს. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ იქნება უპირობო. უპირობო არის უსაფუძველო, რომელსაც არაფერი არ უსწრებს წინ და, ამიტომ, თავისი არსებით განუსაზღვრელია და ყოველგვარ გარკვეულობათა მიღმა დგას. უპირობო, როგორც განუსაზღვრელი და ყოველგვარ გარკვეულობათა მიღმა მდგომი რეალობა, ლოგიკურად წინ უსწრებს განსაზღვრულს, დროულ-ვრცულ არსებობას, რომელიც არის მისი გამოვლენა. მაგრამ, სანამ უპირობო და საყოველთაო თავის თავს გამოავლენდეს განსაზღვრულ, დროულ-ვრცულ არსებაში, მანამ ის არის ყოველგვარ გან-

საზღვრულობასა და გარკვეულობას მოკლებული და, მაშასადამე. განუსაზღვრელი და გაურკვეველი ერთი. ასეთი იყო ანაქსიმანდრეს აპეირონი. პარმენიდეს არსი, პლატონის სიკეთე, არისტოტელეს ფორმის ფორმა, პლოტინის ერთი, სპინოზას სუბსტანცია, ჰეგელის აბსოლუტი, შოპენჰაუერის ნება და ა. შ. ანალოგიურ ფორმაში გაიაზრებდა პირველსაფუძველს თეოლოგიური სისტემებიც. თავისთავად ცხადია, ასე გააზრებულ საგანთა საყოველთაო და განუსაზღვრელი საფუძვლიდან ძალზე ძნელი აღმოჩნდა მრავალსახიანი სინამდვილისაკენ გადასასვლელი ხიდის გადება. წარსულშივე სავსებით სამართლიანად იქნა მითითებული, რომ ყოველგვარ განსაზღვრულობათა მიღმა მდგომი, დროულ-ვრცეულ გარკვეულობას მოკლებული სინამდვილე არარაობაა. როგორაა შესაძლებელი მისგან წარმოიშვას ემპირიული სინამდვილე მთელი თავის მრავალსახიანობით? ან თუ ამგვარი შინაარსის მქონე უპირობო რეალობა არარაობა არაა, არამედ ნამდვილი რაობაა — „ნამდვილი სინამდვილეა“, საკითხავია რა ძალას შეაქვს განუსაზღვრელში განსაზღვრულობა, გაურკვეველობაში გარკვეულობა, უპირობოში პირობითი — დროულ-ვრცეული არსებობა? უკანასკნელ შემთხვევაში სიძნელიდან გამოსასვლელად საქმის ვითარების ისე დასახვა, თითქოს უპირობოსა და საყოველთაოში იმთავითვე არსებობდეს ყველაფრის გამომდინარეობის შესაძლებლობა, როგორც ამას ბევრი ონტოლოგიური სისტემის ავტორი ფიქრობს, სრულებითაც არ იქნება პრობლემის დამაკმაყოფილებელი გადაწყვეტა. აქ კვლავ დაისმება კითხვა იმ ძალის შესახებ, რომელიც საყოველთაოში არსებულ პოტენციურ შესაძლებლობას აქტუალურ სინამდვილედ გადააქცევს. ასეთი ძალის წარმოდგენა კი შინაგან წინააღმდეგობაში მოდის უპირობო რეალობის თავდაპირველ იდეასთან.

სხვათაშორის, ამ უკანასკნელ მომენტთან დაკავშირებით, ჩვენ გვინდა მკითხველის ყურადღება მივაქციოთ ერთ არსებით გარემოებას. ძველ ონტოლოგიას ამ პუნქტში ძალიან გაუჭირდა მონისტური პრინციპის თანმიმდევრული გატარება. იგი ძალიან ხშირად, თითქმის უმრავლეს შემთხვევაში, დუალიზმის გავლენის ქვეშ ექცეოდა. საგანთა საყოველთაო საფუძველმა, თუ ეს უკანასკნელი სუბსტრატის პლანში იქნება გააზრებული, მეორე საწყისის გამოქმენა აუცილებელი გახდა, რასაც მოწმობს, მაგალითად, არისტოტელეს შემდეგი გამოთქმა: ხეს ან მარმარილოს თავისთავად არ შეუძლია გადაიქცნენ საწოლად ან ქანდაკებად. საჭიროა ამ შემთხვევაში ჩაერიოს რაღაც აქტიური ძალა, რომელიც ხის მასალას საწოლად, ხოლო მარმარილოს ლოდს ქანდაკებად აქცევს. ეს კი, ფორმის სახით, ახალი დამატებითი საწყისის მოხმობაა. არისტოტელე აქ განცალკევებულად არ დგას. თვალხილული, ემპირიული სინამდვილის ასახსნელად, პასიური სუბსტრატის გარდა,

ყველა იდეალისტურ ონტოლოგიურ სისტემას დაჰირდა აქტიური საწყისი სულის სახით: მაგრამ ამ ორი საწყისის გაერთიანება მეტად ხელოვნური ჩანს და ამდენად დუალიზმი ამ სისტემებში განუყოფლად ბატონობს.

ამრიგად, წინამდებარე შრომის ამ პუნქტში ნათქვამი, მოკლედ ასე შეიძლება ჩამოყალიბდეს: ძველ ონტოლოგიას სავსებით არასწორად ესმოდა ქვეყნიერების უპირობო საფუძვლის არსებობის წესი: იგი მას დროულ-ვრცეული სამყაროს მიღმა. ამ უკანასკნელისაა ჩანსხევაებული არსებობის მქონე არსებად წარმოიდგენდა. საქმეში ჩახედული მკითხველი ალბათ, კარგად ამჩნევს ამ თვალსაზრისის უვარგისობას. როგორც აღინიშნა, ამ თვალსაზრისისთვის გადაულახავ სიძნელედ აღიშრათა საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ უნდა დაკავშირებულყო ორი სამყარო — უპირობო და პირობითი — ერთიმეორესთან. ეს სიძნელე, ცხადია, გათვალისწინებულ იქნა რიგი ონტოლოგიური სისტემების მიერ. მაგრამ მისი დამაჭერებელი გადაწყვეტა ვერ იქნა მიგნებული. რასაკვირველია, სიძნელე არ გადაწყდება ქვეყნიერების საფუძვლისა და ემპირიული სინამდვილის ერთიმეორესთან უბრალო გაიგივებით. ასეთ შემთხვევაში საერთოდ მოიხსნება ყოველგვარი პრობლემა და ფილოსოფიაზედაც უარი უნდა ითქვას.

11. როგორ უნდა გადაწყდეს პრობლემა? რა გზით უნდა წაიღეს ამ პრობლემის გადაწყვეტისას ფილოსოფია? კეშმარიტმა ფილოსოფიამ, პირველ რიგში, უნდა მოახდინოს ქვეყნიერების უპირობო საფუძვლის პოსტულაცია. მეორე აუცილებელი ნაბიჯი, უპირობო რეალობის არსებობის პოსტულაციის შემდეგ, არის საკითხის დაყენება ამ რეალობის არსებობის წესის შესახებ. ფილოსოფიის ამ კარდინალური საკითხების გადაწყვეტისას უთუოდ გათვალისწინებული უნდა იქნეს წარსული ფილოსოფიის უმთავრესი ნაკლოვანება, რის შესახებაც, ძალზე ზოგადად, წინა პუნქტში იყო მინიშნებული. ამისათვის კი გადაჭრით უნდა იქნეს უკუგდებული მთავარი გამოსავალი დებულება, რომელსაც მიაჩნია, რომ განსაზღვრულობის მქონე უპირობო რეალობის იდეა თითქოს წინააღმდეგობას შეიცავდეს და, მაშასადამე, წარმოადგენდეს უცილობელ არგუმენტს უპირობო რეალობის ყოველგვარ განსაზღვრულობათა მიღმა დგომის მტკიცებისათვის. ამ ყალბი გამოსავალი დებულების საწინააღმდეგოდ უნდა ითქვას, რომ არსებობს არა მხოლოდ გარეგანი განსაზღვრულობა, არამედ შინაგანი — იმანენტური, ე. წ. თვითგანსაზღვრულობა. უპირობო რეალობის იდეა სწორედ ასეთი განსაზღვრულობის მქონე სინამდვილის გამომთქმელი ცნებაა. უპირობო რეალობის თვითგანსაზღვრულობის პრინციპი კი უთუოდ გულისხმობს ერთ უაღრესად დიდმნიშვნელოვან მომენტს; ეს უკანას-

კნელი მდგომარეობს იმაში, რომ საყოველთაო და უსაფუძვლო არსების ინდივიდუალობისა და სიმრავლედ არსებობის ძირი თვით უპირობო რეალობაში უნდა მოვიძიოთ. ეს გარემოება თავისთავად ცხადია. უპირობოს იქით და მის მიღმა, რომელმაც შეიძლება მისი ბუნება განსაზღვროს, არაფერი არ არსებობს და, მაშასადამე, მისი ამგვარად არსებობისა და განსაზღვრულობის უკანასკნელი ძირი თვითონ მასში — უპირობო რეალობაში უნდა დაიძებნოს.

ძველმა ფილოსოფიამ ვერ მიაგნო უპირობო რეალობაში ასეთ ძირს; ან თუ მიაგნო, მეტად აბსტრაქტულად იქნა იგი წარმოდგენილი და მისგან ვერ მოხერხდა შინაგან წინააღმდეგობათა გარეშე ემპირიულ სინამდვილეზე გადასვლა. რა შეიძლება იყოს უპირობო რეალობაში, რომელიც ჩვენი ერთ-ერთი გამოსავალი პრინციპის თანახმად, დროსა და სივრცეში არსებული სინამდვილეა ასეთი ძირი? ჩვენი აზრით, უპირობო რეალობაში ასეთი ძირი არის მისივე ატრიბუტი — ყოფნა, უპირობოდ არსებულის ამ ძირეული ატრიბუტიდან უნდა გამოვიყენოთ ყველა ის ნიშან-თვისება, რომლებიც არსებულს ახასიათებენ. რამდენადაც არსებული არსებობით არის არსებული, უნივერსუმის ამ ნიშანს ჩვენ ფუნდამენტურ ატრიბუტს ვუწოდებთ, ხოლო უკანასკნელით განსაზღვრულ სხვა ნიშნებს, რომლებიც არსებულს ახასიათებენ — ფუნდამენტურ ფაქტებს ან, მოკლედ, ფუნდამენტალებს. ასეთი ფაქტებია: სიმრავლე, გარკვეულობა, ერთიანობა, აქტიურობა, ლოგოსი, ცვალებადობა და ა. შ.

აი მოკლედ იმ ზოგად-ონტოლოგიური პოზიციის შესახებ, საიდანაც ჩვენ გამოვდივართ. მომდევნო პარაგრაფში მოვახდენთ ამ ამოსავალი პოზიციის კონკრეტიზაციას თანამედროვე ბუნებისმეტყველების უახლესი მონაცემების ბაზაზე.

§ 3. 1. ზემოთ ჩვენ ვთქვით, რომ უსუბსტრატო ცვალებადობის კონცეფცია უგულვებელყოფს არსებულის არსებობის ფუნდამენტურ წესს. აქედან გამომდინარე, ამ ნაშრომის მთავარი მიზნის მისაღწევად აუცილებლად ჩავთვალეთ „ფართო პლანში“ განგვეხილა საკითხი საერთოდ სუბსტრატისა და სუბსტანციის შესახებ, მისი არსებობის წესის შესახებ. შრომის მთელი მეორე პარაგრაფი ამ საკითხს ეხება. კონკრეტულად რა წვლილი შეიტანა მან ჩვენი ძირითადი ამოცანის გარკვევაში? ერთი მთავარი შედეგი უეჭველად ცხადია: არსებობა, ყოფნა შეუძლებელია იმის გარეშე, რაც არსებობს, რაც არსებობის მატარებელია; სხვანაირად „არსებობა საერთოდ“, ყოფნა რაღაც ყოფნის მატარებელი სუბსტრატის გარეშე შეუძლებელია, როგორც ლოგიკურად, ისე რეალურად და, მაშასადამე, არსებობა ყოველთვის ნიშნავს კონკრეტულ — ამგვარად ყოფნას, ანუ არსებობა და ამ არსებობის მატარებელი მხოლოდ აბსტრაქციაში შეიძლება დავაშოროთ ერთიმეორეს.



თუ ამ ზოგად, თავისთავად ცხად პრინციპს გავითვალისწინებთ და მატერიის სახით უპირობო რეალობის პოსტულაციას მოვახდენთ, ჩვენ შეგვიძლია შემდეგი დებულება გამოვთქვათ: მატერია, როგორც არსებული, ყოველთვის არსებობს რაღაც კონკრეტული საგნის, სრულიად განსაზღვრული გარკვეულობის მქონე სუბსტრატის სახით და, მაშასადამე, მატერიის როგორც ქვეყნიერების უპირობო საფუძველის ცნება სავსებით და უნაშთოდ ემთხვევა მატერიალური სინამდვილის ცნებას. „მატერია როგორც ასეთი“, „გაურკვეველი მატერია“ არ არსებობს; ის ყოველთვის არსებობს საგნებში და მოვლენებში და არა მათ მიღმა. კონცეფცია, რომელიც სხვაგვარად დასახავს მატერიის, როგორც სუბსტანციის არსებობას, სრულიად ყალბი და მიუღებელია. თუ მხედველობაში მივიღებთ მატერიის არსებობის ამ ფუნდამენტურ წესს, მაშინ თავისთავად გასაგები გახდება ქვეყნიერების ფუნდამენტური ტენდენცია — მისი არსებობა სიმრავლის სიხით, მისი გამრავალფეროვნების მუდმივი ტენდენცია, მატერიის მარადიული ქცევადობა, მისი არსებობის და ორგანიზაციის ახალ-ახალი სახეების წარმოშობა. მაგრამ რას ნიშნავს ყველაფერი ეს? უთუოდ იმას, რომ ქვეყნიერება და მისი საფუძველი ფაქტიურად იგივეობრივი არიან. ხომ არაა ეს აშკარა წინააღმდეგობა? ტყუილად ხომ არ დაშვრნენ საუკუნეთა მანძილზე კაცობრიობის ძლიერი და გამორჩეული ინტელექტები ქვეყნიერების მოჩვენებითი საფუძველის ძიებაში?

2. ჩვენ ზემოთ ლაპარაკი გვქონდა ქვეყნიერების უპირობო საფუძველის ცნების კანონიერებისა და მისი შემეცნებითი ღირებულების შესახებ. როგორც აღინიშნა, ამ ცნების მიზანია მიანიშნოს ისეთ არსებულზე, რომლის არსებობა გარედან არაფრით არ არის განსაზღვრული და თავისი არსებობის საფუძველს თავის თავში შეიცავს. ასეთია სწორედ მატერია, მატერიალური სამყარო მთელი თავის მრავალფეროვნებით. მატერია, როგორც საფუძველი, არ უნდა ვეძიოთ სასრულო საგანთა გვერდით ან კიდევ მათ მიღმა; ასეთ შემთხვევაში იგი სასრული და პირობითი არსებობის მქონე იქნებოდა. მთელი სინამდვილე რომელიც არის მატერიალური, არაფრით არ არის განსაზღვრული და სწორედ ამ მომენტს მიანიშნებს მატერიის ცნება და ამდენად ის სრულიად კანონიერი და უთუოდ გარკვეული შემეცნებითი ღირებულების მქონე ცნებაა. რა არის ყველაფერი, რაც არსებობს? არის თუ არ ეს კითხვა კანონიერი? ჩვენ მიგვაჩნია, რომ ეს კითხვა სავსებით სამართლიანი და კანონიერი კითხვაა! როგორ უნდა ვუპასუხოთ ამ კითხვას? ჩვენი საერთო ამოსავალი პოზიცია ამ შემთხვევაში ასე შეიძლება ჩამოყალიბდეს: მატერია არის ყოველი არსებულის საფუძველი და, მაშასადამე, ფილოსოფოსთა მეცადინეობა, მიმართული იმის დასადგენად, თუ რა

არსებობს, რა არის ის, რაც ამ სახით გვევლინება, სრულებითაც არაა-  
ამაო გარჯა. ჩვენთვის საინტერესო პრობლემის ამ პლანში გადაწყვეტა  
მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ იქნება წარ-  
მოდგენილი საფუძვლისა და დაფუძნებულის ურთიერთკავშირი. ძალზე  
ხშირად დამოკიდებულება საფუძველსა და იმას შორის, რაც ამ საფუ-  
ძვლით ფუძნდება, არასწორად ესმით. ეს იმის შედეგია, რომ მათი  
ურთიერთობა ესმით როგორც გარეგანი დამოკიდებულება. საფუძ-  
ველ-შედეგის ურთიერთობის ასეთი გაგება შეიძლება გარკვეული მო-  
საზრებით გამართლებულ იქნეს, როცა საქმე ეხება ბოლოვად საგნებს,  
სადაც მათ ურთიერთობას გარემდებარების ხასიათი აქვს, სა-  
დაც, მაშასადამე, საფუძველი შედეგს, დროში წინ უსწრებს;  
მაგრამ სრულიად გაუმართლებელი და მიუღებელია მათი ასე-  
თი ურთიერთობის ექსტრაპოლაცია არსებობის წესების სფერო-  
ზე. აქ, ამ სფეროში საფუძველ-შედეგის ურთიერთობას არა აქვს და,  
არც შეიძლება ჰქონდეს დროული ხასიათი. საფუძველი და შედეგი  
უნივერსუმის ფუნდამენტში სხვა პლანში უნდა იქნეს გააზრებული.  
ისინი ამ სფეროში არა გარეგან, არამედ შინაგან, ორგანულ ურთიერ-  
ობაში არიან ერთიმეორესთან. ჩვენი მაგალითის შემთხვევაში ქვეყ-  
ნიერების უპირობო საფუძველი — მატერია და თვით ქვეყნიერება,  
დროული განზომილების პლანში ერთი და იგივეა. სხვანაირად რომ  
ვთქვათ, არ არსებობს „ჯერ“ მატერია, როგორც ასეთი, წმინდა სახით  
და შემდეგ მისგან არ აღმოცენდება მატერიალური სინამდვილე. მა-  
ტერია — ქვეყნიერების საფუძველი, არსებობს „შედეგის“ — თვით  
ამ ქვეყნიერების სახით. სხვათა შორის, მხოლოდ და მხოლოდ ამ პლან-  
ში არის კითხვა: როგორ ხდება სამყაროს ამ საყოველთაო და ერთიანი  
ძირიდან სიმრავლეზე გადასვლა? — გასაგები და მისაღები.

3. ქვეყნიერებისა და მისი უპირობო საფუძვლის ურთიერთობის  
ასეთი გაგების შუქზე ინტერესმოკლებული არ იქნებოდა რამდენიმე  
სიტყვა გვეთქვა სუბსტანციის ცვალებადობის პრობლემასთან დაკავში-  
რებით. ჩვეულებრივ, როცა ქვეყნიერების უპირობო საფუძვლის შესა-  
ხებ ლაპარაკობენ, მისი გამომთქმელი ცნების ლოგიკურ შინაარსში  
ერთ-ერთ არსებით ნიშნად შეაქვთ „უცვლელიობა“, „მარადიულობა“.  
როგორ არის საქმის ნამდვილი ვითარება: მართლაც უცვლელი და მა-  
რადიულია სამყაროს უპირობო საფუძველი თუ იგი მარად ქმნადი და  
ცვალებადია? ამ საკითხთან დაკავშირებით, როგორც ცნობილია, აზრის  
ორი ნაკადი დაუპირისპირდა ერთიმეორეს. ფილოსოფიური აზროვნე-  
ბის ისტორიაში არსებობს მრავალი ონტოლოგიური სისტემა, რომელ-  
საც ქვეყნიერების უპირობო საფუძველი ესმის, როგორც უცვლელი  
და მარადიული. ის, რაც იცვლება, რაც დროის მდინარებას ექვემდება-

რება, არ შეიძლება იყოს სამყაროს ქვემარტივი სუბსტრატი. სამყაროს უპირობო საფუძვლის ასეთი კონცეფციის კლასიკურ მაგალითებს ადრეული ანტიკური დროის ფილოსოფიაში წარმოადგენენ ელეატური მეტაფიზიკა და ატომიზმი. პარმენიდეს აზრით, ნამდვილი არსებული მხოლოდ უცვლელი და მარადიული არსი შეიძლება იყოს. იცვლება საგნები და მოვლენები; ამიტომაც, მათ არ გააჩნიათ ნამდვილი არსებობა; ისინი მოჩვენებაა. მხოლოდ საყოველთაო, აზრით მისაწვდომი სინამდვილე არის ნამდვილი. საგანთა უპირობო სუბსტრატის მარადიულობისა და უცვლელობის კონცეფციას იცავდა აგრეთვე ანტიკური ატომიზმიც. ატომი, გარდა იმისა, რომ ის არის განუყოფელი და უკანასკნელი — გონებით მისაწვდომი უმცირესი ნაწილაკი საგნებისა, ამავე დროს არის უცვლელიცა და მარადიულიც. უკანასკნელი ნიშანი თვით ატომის, როგორც განუყოფელის, ბუნებიდან გამომდინარეობს: რაც იყოფა არ შეიძლება იყოს მარადიული და უცვლელი, რამდენადაც ის, რაც იყოფა, შეიძლება დაიშალოს ნაწილებად და, მაშასადამე, ცვალებადობის პრინციპს დაექვემდებაროს. ამიტომ, მხოლოდ განუყოფელი შეიძლება იყოს საგანთა დასაბამი, მათი პირველსაწყისი. ქვეყნიერების უპირობო საფუძვლის მარადიულობისა და უცვლელობის ამ კონცეფციას ანტიკურ დროშივე დაუპირისპირდა საწინააღმდეგო თვალსაზრისი პერაკლიტეს ფილოსოფიის სახით. პერაკლიტემ ცეცხლი გამოაცხადა ქვეყნიერების უპირობო საწყისად, ცეცხლი, რომელიც არის მარადიულ ქმნადობასა და ცვალებადობაში. ქმნადი სუბსტანციის, თავად ქმნადობის სუბსტანციურობის იდეაში ბევრი რამ იყო გაუკებარი და ბოლომდე მოუფიქრებელი. ამიტომაც იყო, რომ პერაკლიტეს მემკვიდრეებმა ადვილად მოახერხეს მისი მოძღვრების დამახინჯება. თუ პერაკლიტემ ქვეყნიერება მდინარის დინებას შეადარა. დინებას, რომელშიაც ორჯერ ჩასვლა შეუძლებელია, მისმა მემკვიდრემ — კრატილმა აბსოლუტურ ქცევადობად გამოაცხადა სინამდვილე და თქვა, რომ მასში როგორც აბსოლუტურ მდინარებაში, არც ერთხელ არ შეიძლება ჩასვლაო. პერაკლიტეს თვალსაზრისი შემდეგში, სხვადასხვა ვარიაციით ძველსა თუ ახალ დროში მრავალჯერ იქნა აღდგენილი<sup>11</sup>. უპირობო საწყისის მარადიული ქცევადობის პერაკლიტესეული კონცეფცია ზოგიერთი მომენტის ბოლომდე მოუფიქრებლობის გამო. ანტიკურ დროშივე იქნა უარყოფილი. ამას მოწმობს პლატონისა და არისტოტელეს ფილოსოფიური სისტემები. პლატონისეული სიკეთე და არისტოტელეს ფორმის ფორმა ყოველგვარი ცვალებადობის მიღმა დგანან. ქმნადობა და ცვალებადობა ახასიათებს სასრულო საგნებს:

<sup>11</sup> ჩვენს დროში ბერგსონის, ალექსანდერის, უაიტჰედის ფილოსოფიური სისტემები ამის ნათელი მაგალითებია:

ისინი ნაკლოვანი არსებები არიან და მიტომაც ქმნალობენ. ნაკლოვანი არ შეიძლება იყოს ქვეყნიერების სუბსტანცია; აქედან კი, თავისთავად გამომდინარეობს დასკვნა უკანასკნელის მარადიული და უცვლელი ბუნების შესახებ. ეს მოსაზრება შემდეგ გაიზიარეს მთელი საშუალო საუკუნეების ფილოსოფიურმა და თეოლოგიურმა მოძღვრებებმა. ქვეყნიერების უპირობო საფუძველი უნაკლო და, მაშასადამე, უცვლელი და მარადიული უნდა იყოს. აღნიშნული საფუძველიდან გამომდინარე უცვლელი და მარადიული სუბსტანციის იდეას ქადაგებდა სპინოზა და ბევრი სხვა ფილოსოფოსი ახალ დროში. მაგრამ ახალ დროშივე დაიბადა ამ კონცეფციის საწინააღმდეგო თვალსაზრისიც. ამ იდეამ, რომელიც უაღრესად ნაყოფიერი აღმოჩნდა, თავისი სრული განხორციელება მარად ქმნადი სუბსტანცია-სუბიექტის ჰეგელისეულ კონცეფციაში ნახა. ყველაფერი ეს ისტორიას ეხება! რა არის მასში რაციონალური და მისაღები? ქვეყნიერების უპირობო საფუძვლის რომელ გაგებას მივანიჭოთ უპირატესობა? თუ გამოვალთ უნივერსუმისა და მისი უპირობო საფუძვლის ურთიერთობის ზემოთ აღნიშნული გაგებიდან, მაშინ უპირატესობა სუბსტანციის დინამიურობის კონცეფციას უნდა მივანიჭოთ. როგორ გავიგოთ სუბსტანციის დინამიურობა? სუბსტანცია ზომ იმას ნიშნავს, რაც უცვლელი და მარადიულია ქვეყნიერების მარადიულ ქმნალობაში და როგორ არის მისი ცვალებადობა შესაძლებელი? სუბსტანციის მარადიულობაც და მისი დინამიური ბუნებაც ნიშნავს ქვეყნიერების მარადიულობასა და მის მარადიულ ქცევადობას. ეს დასკვნა პირდაპირ გამომდინარეობს ქვეყნიერების უპირობო საფუძვლის დროულ-ვრცეული ფორმაში არსებობის ფაქტიდან. მატერია არ არსებობს დროსა და სივრცეში გაშლილი ემპირიული სამყაროს მიღმა; ის თავად თვალხილული სამყაროა და, მაშასადამე, მატერია როგორც უპირობო საფუძველი, დინამიურია. ერთი სიტყვით, მატერია არსებობს როგორც დროსა და სივრცეში გაშლილი ურთიერთკავშირსა და ურთიერთზემოქმედებაში მყოფი მოვლენებისა და საგნების დინამიური სისტემა. ამ აზრით, მატერია მარადიულ ცვალებადობასა და ქმნალობაშია. მეორე მხრივ, მატერია, რამდენადაც ის არსებობს დინამიური ქვეყნიერების სახით, ქვეყნიერებისა, რომელიც არ წარმოშობილა და არც მოისპობა თავისი დინამიურობითურთ, მარადიული და უცვლელია. მარად ცვალებადი ქვეყნიერება არც არაფრისაგან არ არის წარმოშობილი და არც არარაობაში არ გადადის და, მაშასადამე, ის მარადიული და უცვლელია. ამ ზოგადი, ჩვენი აზრით, საქმის ინტერესებისათვის სასარგებლო და აუცილებელი მომენტების აღნიშვნის შემდეგ, ვუბრუნდებით მთავარ კითხვას: რა ფორმით არსებობს სუბ-

სტანცია-მატერია? რას გვეუბნება მეცნიერება, კერძოდ, თანამედროვე ბუნებისმეტყველება, მატერიის არსებობის მთავარი წესის შესახებ?

4. თანამედროვე ბუნებისმეტყველების მონაცემები სავსებით არა-ორაზროვნად ადასტურებენ მატერიის დისკრეტული, სიმრავლის სახით არსებობის შესაძლებლობას.

მეცნიერების მონაცემების საფუძველზე თანამედროვე მატერიალისტურ ფილოსოფიაში შემუშავდა სპეციალური ტერმინები „მატერიის ორგანიზაციის დონეები“, „მატერიის ძირითადი სახეები“, „მატერიის არსებობის ძირითადი სახეები“ და სხვა გამოთქმების სახით, რომელთა დანიშნულებას წარმოადგენს გამოხატონ ის ფუნდამენტური ფაქტი, რომელსაც თანამედროვე ბუნებისმეტყველების მონაცემები ერთხმად ადასტურებენ. საქმეში ჩახედული მკითხველი ალბათ ხედავს, რომ ამ ტერმინებს „მატერიის მოძრაობის ფორმების“ ცნებისაგან განსხვავებული შემეცნებითი დატვირთვა გააჩნიათ. მატერიის არსებობის ძირითად სახეებსა და მატერიის მოძრაობის ძირითად ფორმებს შორის პირდაპირი და ორგანული კავშირის არსებობა სრულიად ნათელი და გასაგებია, მაგრამ შეუძლებელია იმ უეჭველი ფაქტის უგულებელყოფა, რომ მათ შორის არსებობს განსხვავებაც, თანაც არსებითი, რომელსაც არ შეიძლება არ გაეწიოს ანგარიში. ჩვენ არა გვაქვს საშუალება მათ შორის ამ განსხვავებაზე ვილაპარაკოთ. იგი სპეციალური კვლევის ობიექტია. აქ ჩვენ მატერიის არსებობის ძირითადი სახეების დახასიათებისას მატერიის აქტიურობის ფორმების უბრალო დასახელებით შემოვისაზღვრებით.

საერთოდ, ჩვენი პოზიციის ერთ-ერთ უმთავრეს ამოსავალ წერტილს წარმოადგენს იმ ფუნდამენტური ფაქტის გაცნობიერება, რომ არსებობა და აქტიურობა ერთიმეორესთან ორგანულად არიან დაკავშირებული; პირდაპირ და გადაჭრით რომ ეთქვათ, არსებობა ნიშნავს აქტიურობას. ამდენად მატერიის ორგანიზაციის ესა თუ ის დონე ორგანულ კავშირშია მისი აქტიურობის ამა თუ იმ ფორმასთან. და, პირიქით, მატერიის აქტიურობის მოცემული ფორმა უშუალოდ და პირდაპირ განსაზღვრავს მატერიის ორგანიზაციის რაგვარობას. ამრიგად, თანამედროვე ბუნებისმეტყველება სავსებით არაორაზროვნად ადასტურებს მატერიის დისკრეტული ფორმით არსებობის ფაქტს. მაგრამ მხოლოდ ამით არ ამოიწურება თანამედროვე ბუნებისმეტყველების მონაცემები მატერიის არსებობის წესის შესახებ. კიდევ რას გვეუბნება მეცნიერება მატერიის არსებობის უმთავრესი წესის შესახებ?

5. მატერიის არსებობა დისკრეტული საგნებისა და მოვლენების სახით არ ნიშნავს და არ უნდა გავიგოთ ისე, თითქოს საგნები და მოვლენები ერთიმეორისაგან იზოლირებულად, ერთმანეთთან კავშირის გა-

რეშე არსებობენ. სწორედ, პირიქით: მატერიის დისკრეტული ბუნება მისი არსებობა დროსა და სივრცეში გაშლილი საგნებისა და მოვლენების სახით შესაძლებელია უკანასკნელთა შორის ორგანული კავშირის მათი შინაგანი ერთიანობის საფუძველზე. დროითა და სივრცით ზღვარდებული საგნები არსებობენ მხოლოდ იმის შედეგად, რომ ისინი ერთიმეორესთან ორგანულ კავშირში იმყოფებიან როგორც არსებულნი, აქტიურად მოქმედებენ ერთიმეორეზე, აპირობებენ ერთმანეთის არსებობას და, მაშასადამე, ამ ურთიერთმოქმედებასა და ურთიერთგანპირობებულობაში ქმნიან ერთიან ანსამბლს; მთლიანად აღებული უნივერსუმი ამიტომ წარმოადგენს ერთიან მთელს. ამ ერთიანი მთელის თითოეული ნაწილი, თავის მხრივ, თავად წარმოადგენს განსაზღვრული ელემენტებისაგან წარმომდგარ მთელს, ელემენტთა ერთიან სისტემას, რომელსაც თავისი შინაგანი სტრუქტურა და ორგანიზაცია გააჩნია. ყოველი საგანი, მოვლენა, როგორც განსაზღვრული ელემენტებისაგან წარმოქმნილი სისტემა, ხასიათდება შემდეგი ნიშნებით: 1. ის, როგორც ერთიანი მთელი, აქტიურ დამოკიდებულებაშია სხვა სისტემებთან, რომელთა ერთობლიობა ქმნის მისი არსებობის განსაზღვრულ პირობებს; 2. თავად წარმოადგენს, ერთი მხრივ, უფრო ფართო სისტემის ორგანულ ელემენტს, ხოლო, მეორე მხრივ, თავის თავში ელემენტების სახით შეიცავს უფრო დაბალი რანგის ქვესისტემებს; 3. მოცემულ სისტემას ახასიათებს რა სრულიად განსაზღვრული სტრუქტურა, სხვადასხვა შინაგანი და გარეგანი ძალების მოქმედების მიუხედავად, ინარჩუნებს მას უცვლელად მთელი თავისი არსებობის განმავლობაში; დაბოლოს, 4. ყოველი სისტემის, სისტემა-საგნის, სისტემა-მოვლენის არსებობა უთუოდ დაკავშირებულია განსაზღვრულ ენერჯიასთან, ძალასთან, რომელიც მოქმედებს, ერთი მხრივ, სისტემაში შემავალ ელემენტებს შორის და, მეორე მხრივ, მოცემულ სისტემასა და მისი არსებობის გარემო პირობებს — მასთან დაკავშირებულ სხვა სისტემებს შორის. სწორედ ამ უკანასკნელი გარემოებით არის ის ფუნდამენტური ფაქტი განსაზღვრული, რომ რაიმეს არსებობა, რომელიც მის ელემენტთა სისტემის სახით არსებობას ნიშნავს, ყოველთვის დაკავშირებულია განსაზღვრულ ენერჯიასთან და, მაშასადამე, სრულიად გარკვეული აზრით შეიძლება ითქვას, რომ არსებობა არის აქტიურობა!<sup>12</sup>

აი, სულ მოკლედ იმ ზოგადმნიშვნელობის მქონე მომენტებზე, რომელთა შესახებ თანამედროვე ბუნებისმეტყველების მონაცემების ბაზაზე შეიძლება ვილაპარაკოთ. რას გვეუბნება კონკრეტულად თანამედ-

<sup>12</sup> მატერიის ორგანიზაციის ფიზიკური დონეებისა და სამყაროში მოქმედი ძალების ურთიერთმიმართების შესახებ იხ. ტ. ერდელი-გრუზის წიგნი: „მატერიის აგებულების საფუძველები“, გვ. 173 და შემდეგ. ძ., 1976.

როვე ბუნებისმეტყველება მატერიის არსებობის ფუნდამენტურ წესთან დაკავშირებით?

6. თანამედროვე ბუნებისმეტყველების თანახმად მატერია თავის საფუძველში არსებობს ველისა და ელემენტარული ნაწილაკების სახით. ერთიც და მეორეც წარმოადგენენ მატერიის არსებობის მარტივ ფორმებს და ორგანულად არიან ერთიმეორესთან დაკავშირებული. ძველი ბუნებისმეტყველება გაუვალ უფსკრულს ხედავდა მათ შორის, ეს უფსკრული ახლა ამოვსებულია: ველი კვანტებისაგან შედგება, ხოლო კვანტები ტალღურ-ველური ბუნებისა არიან. განსაზღვრულ პირობებში ისინი — ველი და ნივთიერება — ერთიმეორეში გადადიან. ამით მათი ერთიანი ბუნება მტკიცდება. მატერიის არსებობის ამ ორ ფორმას შორის, როგორც ითქვა, ორგანული კავშირია. ნივთიერების უმცირესი ნაწილაკები ერთიმეორესთან კონტაქტში მოდიან ველის საშუალებით და ასე იქმნება მატერიის პირველი მატერიალური სისტემა ატომბირთვების სახით. მატერიის უმცირეს ნაწილაკებში თანამედროვე ფიზიკა გულისხმობს ელექტრონებს, პროტონებს, ნეიტრონებს, მეზონებს და ა. შ.; რეზონანსების ჩათვლით თანამედროვე ფიზიკა იცნობს ელემენტარული ნაწილაკების 300-ზე მეტ ნაირსახეობას. შედარებით სტაბილური ელემენტარული ნაწილაკების რაოდენობა თანამედროვე ფიზიკის მონაცემებით აღწევს 35. ეს ის ნაწილაკებია, რომელთა სიცოცხლის ხანგრძლივობა გაცილებით აღემატება რეზონანსების სიცოცხლეს (10<sup>-22</sup> და 10<sup>-23</sup>-ს). როგორ იქმნება ამ დინამიური, მაგრამ შედარებით სტაბილური ელემენტარული ნაწილაკებისაგან „პირველი“ მატერიალური სისტემები ე. წ. ატომბირთვები? როგორც ზემოთ ითქვა, ყოველი მატერიალური წარმონაქმნი, სისტემა საერთოდ, ყოველი კონკრეტული არსებობა უთუოდ დაკავშირებულია სამყაროში მოქმედ რაღაც ძალასთან, ენერგიასთან. აქ გამონაკლისი არ არსებობს. ატომბირთვების არსებობა დაკავშირებულია ბირთვულ ძალებთან, რომელთა მოქმედების რადიუსია 10<sup>-13</sup> სმ. თავისთავად ცხადია, ატომბირთვები ვერ შეიქმნებიან ნუკლონებისაგან (პროტონები და ნეიტრონები) თუ მათ შორის მანძილი აღნიშნულ რაოდენობას აღემატება. და იმისათვის, რომ ნუკლონები, ვთქვათ მაგალითად, ერთნაირად დამუხტული პროტონები, ამ მანძილით დაუახლოვდნენ ერთიმეორეს, საჭიროა უკუგდების ელექტრონული ძალების დაძლევა, ე. ი. საბოლოო ინსტანციაში, როგორც ამას ფიზიკოსები იტყვიან, საჭირო ხდება ნუკლონებმა დაძლიონ ენერგიის მაღალი პოტენციური ბარიერი და დაუახლოვდნენ ერთმანეთს ბირთვული ძალების მოქმედების მანძილზე. ეს შესაძლებელია მაშინ, თუ მათ ექნებათ ენერგია 10—15 მილიონი ელექტროვოლტის რაოდენობით. ასეთი ენერგია მათ უვითარდებათ მხოლოდ მაშინ,

თუ გარემოს, რომელშიც ისინი „ცოცხლობენ“, ექნება ათეული მილიონობით გრადუსი ტემპერატურა. ბუნებაში ასეთი ტემპერატურა არსებობს ცრაიციკული ძალების მოქმედებით წარმოქმნილი ნივთიერების უზარმაზარი მასების — ვარსკვლავების წიაღში, სადაც ამის გამო ბუნებრივად მიმდინარეობს ატომბირთვების დაშლა-წარმოქმნის უწყვეტი რეაქციები. ატომბირთვები „პირველი“ რთული სუბსტრატის მასალაა, რისგან შემდეგ უფრო რთული სტრუქტურის მქონე მატერიალური წარმონაქმნები ჩნდებიან. რიგით მეორე, ბუნებაში საყოველთაოდ გავრცელებულ, მატერიალურ სისტემებს წარმოადგენენ ატომები — ატომბირთვებისა და ელექტრონებისაგან წარმოქმნილი მატერიის ორგანიზაციის ახალი დონე. ამ შემთხვევაში არ არის საჭირო მაღალენერგიული პოტენციური ბარიერის გადალახვა. გარკვეულ პირობებში ატომბირთვები იტაცებენ მათ გარშემო თავისუფალ მდგომარეობაში მყოფ ელექტრონებს; უკანასკნელნი განსაზღვრული წესის დაცვით ქმნიან ატომბირთვების გარშემო ე. წ. ელექტრონულ გარსებს. ატომი ატომბირთვებისა და ელექტრონული გარსების მყარი და რთული სისტემაა. ატომების წარმოქმნაში ბირთვული ძალები უკვე აღარ ღებულობენ მონაწილეობას. ეს გამოწვეულია იმით, რომ ატომების მოცულობა გაცილებით აღემატება ბირთვული ძალების მოქმედების რადიუსს. ატომების შემთხვევაში თვისებრივად ახალი ძალები ე. წ. ელექტრომაგნიტური ძალები იწყებენ მოქმედებას. ძალიან ფართოა ამ ძალების მოქმედების დიაპაზონი. ელექტრომაგნიტური ძალები მოქმედებენ ატომთა სამყაროდან დაწყებული ურთულესი შემადგენლობის მქონე მაკრომოლეკულებამდე და განსაზღვრავენ მათ სტრუქტურასა და მოქმედებას. ამ ძალების მოქმედება მრავალი სხვადასხვა ფორმით ვლინდება ბუნებაში. მაგალითად, ე. წ. ქიმიური ძალები, რომლებიც განსაზღვრავენ ნივთიერების ახალ სისტემურ წარმონაქმნებს, ელექტრომაგნიტური ძალების მოქმედების ერთ-ერთი ფორმაა. საერთოდ ატომების აქტიურობას ელექტრომაგნიტური ძალების მოქმედება უდევს საფუძვლად. ატომები ნივთიერების სტრუქტურაში უფრო რთული მატერიალური წარმონაქმნების — ე. წ. მოლეკულების შემადგენელ ელემენტებად გამოდიან. რას წარმოადგენენ უკანასკნელნი? ორი ან ორზე მეტი ატომისაგან განსაზღვრული წესით ერთ მთლიანობად გაერთიანებულ სისტემას მოლეკულას უწოდებენ. როგორც ითქვა, მოლეკულები ატომებისაგან იქმნება ელექტრომაგნიტური ძალების ერთ-ერთი ფორმის — ქიმიური ურთიერთემოქმედების (ძალების) შედეგად. მოლეკულა, მსგავსად ყველა სხვა მატერიალური სისტემისა, არაა მისი შემადგენელი ატომების უბრალო მექანიკური ჯამი და აგრეგაცია; ის არის ატომთა თვისებრივად ახალი მთლიანი სისტემა. მის



მთლიანობას კონტაქტში მყოფი ატომების გარე გარსზე მოძრავი ელექტრონების მოძრაობის თავისებური კანონზომიერება უდევს საფუძვლად. მატერია-სუბსტრატი, მისი ორგანიზაციის რა დონესთანაც არ უნდა გვეკონდეს საქმე, ყოველთვის აქტიურ ურთიერთობაშია გარესამყაროსთან. ეს გარემოება ყოველი არსებულისა და არსებობის აუცილებელი მახასიათებელია. გამონაკლისი ამ შემთხვევაში არც მოლეკულაა. ატომთა აქტიურობით (ურთიერთზემოქმედებით) შექმნილი მოლეკულები თავად იმყოფებიან აქტიურ ურთიერთზემოქმედებაში ერთიმეორესთან და განსაზღვრული „საარსებო სიტუაციის“ პირობებში ქმნიან მატერიის ორგანიზაციის ახალ დონეს — მაკროსხეულებს. იმისდა მიხედვით თუ როგორი იქნება მატერიის ორგანიზაციის ამ დონეზე მოქმედი ძალების ხასიათი, მატერია-სუბსტრატი თავისი არსებობის სხვადასხვა ფორმას ღებულობს. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ჩვენ მიერ აქამდე დახასიათებული მატერიალური სისტემები ერთიმეორის სუბსტრატად გვევლინებიან: ყოველი ნაკლებმარტივი სისტემა წარმოადგენს უფრო რთული სისტემის „საშენ მასალას“ — სუბსტრატს. ელემენტარული ნაწილაკები მათ შორის მოქმედი ძალებითურთ ატომბირთვებისა და ატომების სუბსტრატია. თავად ატომები მოლეკულათა ელემენტებად გამოდიან და ა. შ.

7. მცირე მიკროსხეულებიდან გრავიტაციული ძალების მოქმედების შედეგად იქმნება კოსმოსი მისი „კუნძულოვანი“ სტრუქტურით. ეს არის მატერიის ორგანიზაციის ერთი განშტოება; მატერია ამ პლანში არსებობს დიფუზური მატერიის და ციური სხეულების — პლანეტების, ვარსკვლავების, გალაქტიკების, მეტაგალაქტიკების სახით. უკანასკნელთა ევოლუციის დასაბამ ფორმას, თანამედროვე ასტრონომიული მეცნიერების აზრით, წარმოადგენს მატერიის არსებობის დიფუზური ფორმა. მისი საშუალო სიმჭიდროვე სივრცის ერთ კუბიკურ სანტიმეტრზე უდრის  $2,10^{-23}$  გრამს. მიუხედავად ასეთი დაბალი სიმჭიდროვისა, მატერიის ამ ფორმას იმდენად დიდი სივრცე უჭირავს, რომ მასში არსებული ნივთიერება თავისი რაოდენობით დაახლოებით ჩვენს გალაქტიკაში შემავალი ყველა ვარსკვლავისა და ციური სხეულის ნივთიერების ტოლია<sup>13</sup>. აი, სწორედ ამ „თავდაპირველი“ ნივთიერებისაგან იქმნება ვარსკვლავები და მათი ანსამბლი — გალაქტიკების სახით, რომელთა რაოდენობას თანამედროვე ასტრონომია მილიარდამდე ითვლის. როგორ იქმნება ამ „საწყისი ნივთიერებიდან“ კოსმოსი? განსაზღვრულ პირობებში, როცა დიფუზური ნისლოვანედის სიმჭიდროვე

<sup>13</sup> მატერიის ფუნდამენტური სტრუქტურა, მ., 1984; ს. მელიუხინი, არაორგანული ბუნების განვითარების დიალექტიკის შესახებ, 1960; გ. მიაკიშევი, ელემენტარული ნაწილები, მ., 1979.

ერთ კუბიკურ სანტიმეტრზე მიაღწევს 20—30 ატომს, მოქმედებას იწყებენ გრავიტაციული ძალები; მათი მუდმივი მოქმედების შედეგად წარმოიშობიან ასტეროიდები, რომელთა ირგვლივ შემდგომ ეტაპზე ხდება ნივთიერების თანდათან კონდენსაცია. ერთი ცენტრის ირგვლივ ნივთიერების კონდენსაციის შედეგად მოცემული სისტემა ხურდება; სისტემის შიგნით ტემპერატურა კოლოსალურ სიდიდეს აღწევს. მალა-ლი ტემპერატურისა და სისტემის შიგნით უზარმაზარი წნევის შედეგად ატომები ელექტრონული გარსების გარეშე რჩებიან, ხდება ნუკლონების ურთიერთდაახლოება ბირთვული ძალების მოქმედების მანძილზე და იწყება თერმობირთვული რეაქცია, რაც იმის მომასწავებელია, რომ საქმე გვაქვს ჩამოყალიბებულ ვარსკვლავთან. ვარსკვლავის წარმოშობისათვის, როგორც ამას სათანადო გაანგარიშებანი და მონაცემები ადასტურებენ, საჭიროა ნივთიერების გარკვეული მინიმუმის ერთი ცენტრის გარშემო კონდენსაცია; მისი რაოდენობა უნდა იყოს მზის მასის არანაკლებ ორი მეასედიდან ხუთ მეასედამდე. წინააღმდეგ შემთხვევაში შედარებით დაბალი წნევისა და ტემპერატურის გამო თერმობირთვული რეაქციები არ განვითარდებიან. სხვა შედეგებს იძლევა ნივთიერების უზარმაზარი რაოდენობით კონდენსაცია ერთი ცენტრის გარშემო. თუ უკანასკნელი მიაღწევს მზის მასის ათეულ და ასეულჯერ მეტ რაოდენობას, მაშინ ასეთი სისტემის შიგნით თერმობირთვული რეაქციები ისეთი ინტენსივობით განვითარდებიან, რომ გრავიტაციულ ძალებს უკვე აღარ ძალუძთ მოცემული სისტემის წონასწორობაში მოყვანა; სისტემა იშლება და მისგან ვარსკვლავთა მთელი ჯგუფი წარმოიშობა. ალბათ, ამ სიბრტყეში უნდა ვეძიოთ ვარსკვლავთა უზარმაზარი გაერთიანებების — გალაქტიკების წარმოშობაც. აქ, ვარსკვლავთ წარმოქმნის ამ სფეროში, ჯერ კიდევ ბევრი აქვს მეცნიერებას საფიქრალი; ამ მიმართულებით თანამედროვე შეხედულებებში ბევრი კორექცია იქნება მომავალში მოსალოდნელი. მაგრამ, როგორც არ უნდა იყოს ეს კორექციები, ერთი მუდამ უეჭველი დარჩება: ნივთიერება, მატერია, რა სახითაც არ უნდა არსებობდეს იგი — გაზობრივ თუ კონდენსირებულ მდგომარეობაში, — ყოველთვის არსებობს განსაზღვრულ ფორმაში, გარკვეული სისტემის სახით. ერთი სიტყვით, კოსმოსი, მთელი თავისი მრავალსახიანობით „კუნძულოვანი“ აგებულებისაა და მისი ეს ძირეული ბუნება განუყრელ კავშირშია მასში ერთობლივად მოქმედ უნივერსუმის ფიზიკურ ძალებთან.

8. მეორე განშტოება მაკროსამყაროსი, რომელსაც განსაზღვრული კოსმიური და გეოლოგიური პირობების არსებობა უდევს საფუძვლად, მატერიის ორგანიზაციის თვისებრივად ახალი სახეა და წარმოადგენს უნივერსუმის ფუნდამენტური ტენდენციის თავისებურ გამოვლენას.

ჩვენ მხედველობაში გვაქვს სიცოცხლე და მისი გვირგვინი — ადამიანი. აქაც, სამყაროს ამ თვისებრივად ახალ რეგიონში, მატერიის არსებობის იგივე წესი ბატონობს. სიცოცხლის სუბსტრატს, თანამედროვე ბუნებისმეტყველების, კერძოდ თანამედროვე ბიოლოგიის თანახმად, წარმოადგენს ნუკლეინის მჟავები და ცილოვანი ნივთიერება. როგორ იქმნებიან ისინი? მრავალი სხვადასხვა ჰიპოთეზა არსებობს მატერიის არსებობის ამ სახის წარმოშობის შესახებ. ერთ-ერთი ჰიპოთეზის მიხედვით, რომელიც ა. ოპორინს ეკუთვნის, სიცოცხლე გაჩნდა წყლის მონაწილეობით ნახშირწყალბადის, ნახშირბადის, ამიაკის და სხვა ქიმიურ ნივთიერებათა სინთეზის შედეგად. მას მიმართულებითი ხასიათი ჰქონდა და, ხანგრძლივი ევოლუციის შედეგად, რთული ორგანული ნაერთების წარმოშობამდე მიგვიყვანა. ამ ნაერთების ურთიერთზემოქმედებამ წარმოშვა პირველადი ცილოვანი სისტემები, რომელთაც ნივთიერებათა ცვლის უნარი ჰქონდათ. უკანასკნელის ხანგრძლივი ევოლუციის შედეგად გაჩნდნენ პირველი ცოცხალი არსებები — ერთუჯრედიანი ორგანიზმები. რას წარმოადგენენ უჯრედები და ერთუჯრედიანი ცოცხალი არსებები? უჯრედი არის უაღრესად რთული სისტემა ერთიმეორესთან ორგანულად დაკავშირებული ორგანოიდებისა, რომელთა საერთო ფუნქციაა მრავალფეროვანი პროცესების საფუძველზე შეინარჩუნოს უჯრედის, როგორც ასეთის, სიცოცხლე. უკანასკნელი სწორედ განსაკუთრებულად ორგანიზაციაქმნილი სისტემის თვისებაა და ყველაფერი მის მოქმედებაში ამ თვისების შენარჩუნებას ემსახურება. მაგრამ ყველაზე მთავარი ამ შემთხვევაში ჩვენთვის ისაა, რომ ცოცხალი მატერია, მსგავსად სხვა ყველაფრისა, არსებობს როგორც სხვადასხვა ელემენტთა ორგანული სისტემა. ხანგრძლივი ევოლუციის შედეგად ერთუჯრედიანი ცოცხალი არსებებისაგან წარმოიშვა მრავალუჯრედიანი, რთული ცოცხალი ორგანიზმები. ორგანული სამყაროს ამ რთულ წარმონაქმნში უჯრედი უკვე „საშენ მასალად“ გვევლინება. მისგან შედგება ქსოვილები; უკანასკნელთაგან ორგანოები; ორგანოები ქმნიან ერთიან მთელს — ორგანიზმს. როგორც ჩანს, ორგანული მატერია მის ამ მონაკვეთში ყოველთვის არსებობს კონკრეტული სუბსტრატის სახით, როგორც ესა თუ ის სისტემა, სრულიად განსაზღვრული ელემენტებით, მათი ურთიერთზემოქმედებით და, მაშასადამე, სრულიად გარკვეული ფუნქციებითა და სტრუქტურით.

9. არსებობის იგივე წესს ამჟღავნებს ორგანიზმთა (ინდივიდთა) გაერთიანებანი, მთელი ბიოსფერო. რა კონკრეტულ მასალას იძლევა ამ მიმართულებით თანამედროვე ბიოლოგია? როგორც ცნობილია, ცოცხალი არსება — ინდივიდი — ყოველთვის არსებობს როგორც ამა თუ იმ ბიოლოგიური სახეობის წარმომადგენელი, ესა თუ ის კონ-

კრეტული არსება; მაგრამ ეს მისი არსებობის წესის ერთი მხარეა მხოლოდ. მეორე მნიშვნელოვან მომენტს ამ წესში წარმოადგენს ის, რომ იგი გვევლინება როგორც რაღაც უფრო დიდი მთელის ელემენტი. რა არის ასეთი უახლესი მთელი მისთვის? ესაა პოპულაცია. უკანასკნელი მოცემული სახეობის წარმოადგენელთა ერთობლიობაა, რომელიც მოცემული სახეობის საარსებო არეალის ამა თუ იმ უბანზე ცხოვრობს. თავად პოპულაციები ერთიმეორესთან მკიდრო ორგანულ კავშირში იმყოფებიან, რის გამოც თითოეული მათგანი გვევლინება, როგორც „ერთი ინდივიდი“. თავად პოპულაციები ქმნიან ბიოსფეროს ახალ სტრუქტურას ე. წ. ბიოცენოზის სახით. ბიოცენოზი მოცემულ გარემოსთან ერთიანობაში წარმოადგენს ბიოგეოცენოზს, რომელსაც სხვა-ნაირად ეკოსისტემას უწოდებენ. უმათავრესი ამ იერარქიაში დაწყებული პოპულაციებით და ბიოსფეროთი დამთავრებული, ისაა, რომ აქ განუწყვეტლივ მიმდინარეობს ენერჯისა და ნივთიერებათა ცვლა. ამიტომ ყოველი რგოლი, ბიოსფეროში ორგანულად უკავშირდება სხვა დანარჩენს და ამის გამო მთელი ბიოსფერო წარმოადგენს ერთიან მთელს — ერთ ორგანიზმს, რომელსაც თავისი შინაგანი რითმი და ლოგოსი გააჩნია.

10. ყოფნის იმავე წესს ემორჩილება ადამიანთა საზოგადოებაც. საზოგადოება, კაცობრიობა არ არსებობს როგორც უსახო მასა. ამოსავალი, ძირეული ელემენტი საზოგადოებისა განსაზღვრული ბიოლოგიური სტრუქტურისა და ორგანიზაციის მქონე ინდივიდებია, რომლებმაც თავიანთი ყოფნა უნდა აწარმოონ. მართალია, ადამიანები თავიანთ ცხოვრებას სხვა არსებათაგან განსხვავებული მეთოდებით აწარმოებენ, მაგრამ ისინი უნივერსუმის ყველა რეგიონისათვის სავალდებულო და აუცილებელი ყოფნის წესს ემორჩილებიან; ყოფნის სტიქია განუყოფლად ბატონობის უნივერსუმის ყველა სფეროში და მისი რეალიზაცია ერთიანი წესით ხორციელდება. საზოგადოება, სოციალური ორგანიზმი, მსგავსად მატერია-სუბსტანციისა, არსებობს არა საერთოდ, არამედ საწყისი ელემენტების — ინდივიდების, ინდივიდთა შორის ოჯახური კავშირების, ეროვნული და სახელმწიფოებრივი ერთეულების, ინდივიდთა განსაზღვრულ საწარმოო კავშირებად, შრომით კოლექტივებად, სხვადასხვა სოციალურ ჯგუფებად გაერთიანების სახით; საზოგადოება, მთელი კაცობრიობა მათი ერთიანობაა. რა თქმა უნდა, ერთნაირი სტაბილურობით არ ხასიათდებიან ადამიანთა აღნიშნული ერთობები. როგორც ყველგან, აქაც, ისტორიზმის პრინციპი უთუოდ მოქმედებს და, მაშასადამე, ზოგი მათგანი ისტორიული ხასიათისაა. მაგალითად, საზოგადოებრივ ინდივიდთა დაყოფა კლასებად განსაზღვრულ ისტორიულ პირობებთან — საწარმო ძალთა განვითარების შედარებით დაბალი დონის არსებობასთან არის დაკავშირებული და ამ პირობების მოხს-

ნასთან ერთად მისი ელიმინაციაც მოხდება. მაგრამ ამ ბედს ვერ გაიზიარებენ ინდივიდთა ისეთი ერთობები, როგორცაა ოჯახი და ერი. როგორც არ უნდა იყოს ადამიანის მიერ თავისი ყოფნის წარმოების განვითარების დონე, ადამიანთა ეს ერთობანი, როგორც კაცობრიობის ინდივიდუალურობის ფორმები, ძირითადად სტაბილური უნდა დარჩეს. ერთი სიტყვით, მეცნიერებისა და ცხოვრების მონაცემები ნათლად ადასტურებენ იმ უეჭველ ფაქტს, რომ მატერია — სუბსტანცია, მისი არსებობის რა სფეროსთანაც არ უნდა გვეკონდეს საქმე, ყოველთვის არსებობს კონკრეტული საგნებისა და მოვლენების სახით, რომ ის არის არა რაღაც გარკვეულობას მოკლებული უსახო მასა, არამედ სრულიად განსაზღვრული სტრუქტურისა და ორგანიზაციის მქონე არსებობა ორგანული ერთობლიობა. მისი სტრუქტურისა და ორგანიზაციის ძირითადი სახეები ჩვენ ზემოთ ჩამოვთვალეთ. მატერია, როგორც სუბსტანცია, ყოველთვის ამ სახეთა, მატერიის ორგანიზაციის ამ დონეთა სახით არსებობს და ცვალებადობაც, თავის სუბსტრატად, ყველგან და ყოველთვის სწორედ მათ გულისხმობს და, მაშასადამე, უსუბსტრატო ცვალებადობის იდეა, რომელსაც სუბსტანციონალიზმის შიშით ბერგსანი და მისი თანამოაზრენი გვთავაზობენ, უთუოდ ყალბი და მიუღებელი იდეაა<sup>14</sup>. ყველაფერი ეს, ჩვენი აზრით, საესებით ცხადია და მასში ეჭვი არ უნდა შევიტანოთ. მაგრამ ერთგვარ ეჭვს ბადებს და, საესებით სამართლიანად, ის დასაბამი, საიდანაც გამოვედით. მატერიის ორგანიზაციის დონეთა დახასიათება ჩვენ დავიწყეთ ელემენტარული ნაწილაკებითა და ველით. რამდენად სწორია ეს გზა? ასეთი დასაწყისი ხომ არ ნიშნავს აბსოლუტური კერნის დაშვებას? სხვაგვარად როგორ უნდა ავიცილინოთ სიძნელე, რომელსაც მატერიის აქტივობის ფორმა. — ურთიერთზემოქმედება შეიცავს? უსასრულო რეგრესში სელისაგან ხომ არ დავიზღვიეთ თავი ძველი ატომიზმის ცნობილი ხერხით? და, თუ არა, ხომ არ დარჩა ძალაში ბერგსონისეული საბუთი? სხვანაირად, რომ ვთქვათ, ეს კითხვები ელემენტარული ნაწილაკების სტრუქტურის შესახებ საკითხის დაყენებაა. რას გვეუბნება თანამედროვე ფიზიკა ამასთან დაკავშირებით? ეს საკითხი თანამედროვე ფიზიკაში მწვავედ დგას. შეიქმნა ელემენტარული ნაწილაკების კვარკული თეორია. არ არის გამორიცხული სხვა მრავალი თეორიის წარმოშობა: როგორც არ უნდა იყოს ამ მიმართულებით ფიზიკოსთა მეცადინეობა, ერთი ფუნდამენტური გარემოება დღემდე უეჭველი ჩანს და, ალბათ, მომავალშიც ასე დარჩება: უსტრუქტურო, აბსოლუტური კერნი შესაძლებლობის დაშვება ეწინააღმდეგება ყოფნის ფუნდამენტურ წესს. თანამედროვე

<sup>14</sup> „...მოდრობა, ამბობდა ჯერ კიდევ არისტოტელე, საგანთა გარეშე არ არსებობს“ (იხ. არისტოტელე, თხზ., ტ. 3, მ., 1981, გვ. 103).

ფიზიკის უახლოესი მონაცემები ადასტურებენ, რომ ე. წ. „ელემენტარული“ ნაწილაკები სრულებითაც არაა ელემენტარული ისინი რთული სტრუქტურის მქონენი არიან და, ამით, საბოლოოდ, ძალაში რჩება ყოფნის უნივერსალური წესი. ამ წესის მთავარი მოთხოვნა ისაა, რომ შეუძლებელია მივიღეთ ისეთ პუნქტამდე სადაც მხოლოდ „წმინდა ნივთიერება“ ან „წმინდა ენერგია“ იარსებებს. ყოველი არსებული მათი ერთიანობაა და, მაშასადამე, დინამიური — მარად ცვალებადი ბუნებისა. დაბოლოს, ცვალებადობის ფენომენის შესაძლებლობის კიდევ ერთი უმთავრესი პირობის შესახებ, პირობისა, რომელიც წარმოადგენს ცვალებადობის ფენომენში მოქმედი ჩვენ მიერ დახასიათებული და ფიქსირებული ყოფნის ფუნდამენტური წესის კონკრეტულ გამოვლენას.

§ 4. 1. როგორც ზემოთ ითქვა, ბერგსონი სიცოცხლის ფილოსოფიის სათავეებთან დგას. ის არ იშურებს ძალასა და ენერგიას რაციოს წინააღმდეგ ბრძოლაში; რატომ ებრძვის იგი ასე გააფთრებით გონებას? გონება, განსჯა, აზროვნება, ბერგსონის აზრით, ამახინჯებს „ნამდვილ სინამდვილეს“. სამყაროს ღრმა საფუძველში მდებარე „სიცოცხლის სწრაფვა“ მარად მიუწვდომელია დისკუსიული აზროვნებისათვის. სავსებით კორექტული ჩანს ბერგსონის გალაშქრება მექანიციზმის წინააღმდეგ. მთელი არამც და არამც არაა ნაწილთა მექანიკური ჯამი. იგივე ითქმის ცვალებადობის, როგორც პროცესის შესახებ: ცვალებადობა არაა უცვლელობათა ჯამი, მოძრაობა — უძრაობათა ჯამი. ვინც ამას იტყვის ის უთუოდ ამახინჯებს სინამდვილეს და ამაში ბერგსონს არ შეიძლება არ დავეთანხმოთ. ტრადიციული ფილოსოფიის მიერ შექმნილი წარმოდგენა სუბსტანციის შესახებ შეუცნობადობის სფეროში სწორედ მექანიციზმმა გადააგდო და მას არ შეიძლება არ დავეთანხმოთ ამაშიც. სად ეძებს ბერგსონი გამოსავალს? „ნამდვილი სინამდვილის“ დამახინჯებაში ბრალი გონებას მიუძღვის; ის აქუცმაცებს, ანაწევრებს „უწყვეტ პროცესში“ ჩართულ სინამდვილეს, აქცევს მას უსიცოცხლო ატომარულ ელემენტებად. აი, მოკლედ, იმ ზოგადგნოსეოლოგიური საბუთის შესახებ, რომელზე დაყრდნობითაც ბერგსონი საბოლოოდ მიდის მოძრაობა-ცვალებადობის სუბსტანციალობის აღიარებამდე. რამდენად სწორია ბერგსონი? განა მართლაც გონებაა დამნაშავე იმაში, რომ უნივერსუმს კვანტური და კუნძულოვანი ხასიათი აქვს? სამყაროს დისკრეტული ბუნება ბერგსონს ინტელექტის შემოქმედებად მიაჩნია. აქ საქმის ვითარება თავდაყირაა დაყენებული და, როგორც ითქვა, ეს იმის ბრალია, რომ მას არ ესმის ან არ უნდა გაიგოს ქვეყნიერების არსებობის ფუნდამენტური წესი.

2. არსებობის ამ წესს ექვემდებარება ყოველი არსებული; მას უნდა დაექვემდებაროს ცვალებადობაც, რამდენადაც ის არის არსებულის

ერთ-ერთი სახე. როგორ და რა შემთხვევაში არის ცვალებადობის, როგორც არსებულის ერთ-ერთი სახის, არსებობა შესაძლებელი? აქ მკითხველს უნდა მოვაგონოთ ჩვენ მიერ მრავალჯერ ნათქვამი, ჩვენი ერთ-ერთი მთავარი ამოსავალი დებულება: რა არის ან რას ნიშნავს არსებობა? ყოფნის (არსებობის) საყოველთაო და უნივერსალური ატრიბუტის ჩვეულებრივი წესით განსაზღვრების მოთხოვნა, ჩვენი აზრით, არაკანონიერი მოთხოვნაა. ამის საფუძველი იმაში უნდა ვეძიოთ, რომ არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს უფრო მაღალი ინსტანცია, ვიდრე თავად ყოფნა-არსებობაა. მაშინ როგორ უნდა მოვიქცეთ როცა დაყენებულია საკითხი ყოფნის რაობის შესახებ? ჩვენი ღრმა რწმენით, როცა საკითხი ეხება ყოფნის ბუნების დადგენას, კითხვა უნდა დაისვას არა იმის შესახებ, თუ რა არის ყოფნა, არამედ იმის თაობაზე, თუ რას ნიშნავს რაიმეს ყოფნა, რაიმეს არსებობა. რაიმეს ყოფნა, არსებობა ბევრ რამეს ნიშნავს<sup>15</sup>. მაგრამ, უწინარეს ყოვლისა და უმთავრესად, რაიმეს ყოფნა-არსებობა მის „ამგვარად ყოფნას“ — გარკვეულობას ნიშნავს<sup>16</sup>. მაგრამ რა არის საჭირო რაიმეს გარკვეულობისათვის, მისი „ამად ყოფნისათვის“? უთუოდ რაღაც სხვა, რომელიც ზღვარს დაუდებს ამ რაიმეს და მისცემს იმ განსაზღვრულობას, რომელიც მას აქცევს იმად, რაც ის არის. რა არის ეს „რაღაც სხვა“, რომელიც, ჩვენს კონკრეტულ შემთხვევაში, ცვალებადობას ცვალებადობად აქცევს? ცვალებადობა არ არის საგანი-ნივთი; არ არის ის არც კავშირ-მიმართება სხვასთან, არც აქტიურობა. თუმცა, რომელიმე მათგანის გარეშე ის შეუძლებელია და არ არსებობს. ის, რაც ცვალებადობას, როგორც არსებულის განსაზღვრულ სახეს, ხდის იმად, რაც ის არის, ესაა „მისი სხვა“ — უცვლელობა. აი სწორედ ცვალებადობაში უცვლელის, ცვალებადობის ფენომენში, უცვლელობის — თავისთავთან იგივეობრივად დარჩენის ფენომენის ბაზაზე ხდება შესაძლებელი თავად ცვალებადობის ფენომენი. თუ საგანი, ნივთი, მოვლენა ცვალებადობისას დროის განსაზღვრულ მონაკვეთში არ დარჩებოდა იგივეობრივი თავისთავთან, მაშინ საერთოდ შეუძლებელი იქნებოდა მის ცვალებადობაზე გველაპარაკა. მხოლოდ იმის წყალობით, რომ რაღაც არის „ამად ყოფნა“, — ასეთი და ასეთი გარკვეულობის მქონე და, მაშასადამე, რჩება თავისთავთან იგივეობრივი, მხოლოდ ამის გამო შეიძლება ვილაპარაკოთ მის ცვალებადობაზე. რაიმეს ცვალებადობის პროცესში მის აბსოლუტურად სხვა რაიმედ გადაქცევის შემთხვევაში, ცხადია,

<sup>15</sup> ეს პრობლემა ცალკე კვლევის საგანია და მის შესახებ სპეციალურად სხვა შრომაში იქნება ლაპარაკი.

<sup>16</sup> აქ, ამ პუნქტში, უნდა ვეძიოთ პლატონისეული იდეისა და არისტოტელისეული ფორმის თეორიათა შექმნის პირველდასაბამი.

ჩვენ არ გვექნებოდა შესაძლებლობა გვეთქვა, რომ იგი შეიცვალა. რადგან ის, მისი აბსოლუტური ცვალებადობის გამო, აღარ არსებობს. ჩვენ ვლაპარაკობთ, მაგალითად, კაპიტალიზმის, როგორც ადამიანთა საზოგადოებრივი ცხოვრების წესის ცვალებადობაზე. რა გვაძლევს ამის უფლებას? უთუო ის უექველი ფაქტი, რომ იგი, დროის გარკვეულ მონაკვეთში, თავისთავთან იგივეობრივი რჩება. რას ნიშნავს ეს უკანასკნელი? ყოველ საგანს, ნივთს, არსებას, მოვლენას, რა გვარისაც არ უნდა იყოს იგი, თავისი ელემენტები, ამ ელემენტთა კავშირი და შინაგანი სტრუქტურა, მასთან ორგანულად დაკავშირებული ნიშან-თვისებები გააჩნია. არც ერთი საგანი, ნივთი და ა. შ. არ არსებობს იზოლირებულად; ის არის განსაზღვრულ მიმართებაში სხვა საგნებთან, მოვლენებთან და ა. შ. არის არსებულთა შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირის და, მაშასადამე, განსაზღვრული დროული პროცესის რეზულტატი და ა. შ. და ა. შ. ამ მრავალგვარ შინაგან და გარეგან ფაქტორთა ერთიანი მოქმედებით იქმნება განსაზღვრული საგანი, ნივთი, მოვლენა და ა. შ. ყველაფერი ეს ეხება ჩვენ მიერ მოყვანილ მაგალითსაც. კაპიტალიზმს, როგორც საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ფორმაციას, თავისი სოციალურ-ეკონომიკური შინაგანი სტრუქტურა და მით პირობადებული ნიშან-თვისებები და მახასიათებლები აქვს. კაპიტალიზმი, როგორც სხვა ყველაფერი ამ სამყაროში, ექვემდებარება ცვალებადობის საყოველთაო პრინციპს. და ეს შესაძლებელია იმის წყალობით, რომ იგი იგივეობრივი რჩება თავის თავთან. თავის თავთან მისი იგივეობრიობა იმას ნიშნავს, რომ მისი შინაგანი სტრუქტურა, მისი არსებითი ნიშან-თვისებები და მახასიათებლები, რითაც ის სხვა საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციებისაგან განსხვავდება, უცვლელი რჩება. კაპიტალიზმი ვთქვათ, მაგალითად, XVIII საუკუნისა, რასაკვირველია, განსხვავდება XIX საუკუნის კაპიტალიზმისაგან და ორივესაგან კიდევ უფრო მკვეთრად განირჩევა XX საუკუნის კაპიტალიზმი. მაგრამ მისი ბუნება ყველა ეპოქაში იგივეობრივი დარჩა, მისი მრავალი სხვადასხვა ნიშან-თვისებისა და მახასიათებლების საკმაოდ რადიკალური ცვალებადობის მიუხედავად. „დროის გარკვეული მონაკვეთი“ ცვალებადობაში მყოფი სხვადასხვა საგნის თუ მოვლენისათვის, ცხადია, სხვადასხვა იქნება; მაგალითად, თუ დროის ეს მონაკვეთი ელემენტარული ნაწილაკების ქცევადობაში წამის წარმოუდგენლად უმცირეს ნაწილს ნიშნავს, საზოგადოებრივი ცხოვრების ცვალებადობაში საუკუნეებითა და ათასწლეულებით განიზომება, ხოლო ციურ სხეულთა ევოლუციაში მილიარდობით წლებს უდრის. არსება კი, ყველა შემთხვევაში, ერთია: რა ტემპითა და სიჩქარით არ უნდა მიმდინარეობდეს რაიმეს ქცევადობა, უკანასკნელი შეუძლებელია თუ ცვალებადობაში მყოფი არსებული თავის თავთან რალაცნაირად იგივეობრივი არ დარჩება, თუ ცვა-



ლებადობაში არ „ჩასახლდება“ უცვლელი, უწყვეტობაში — წყვეტილობა<sup>17</sup>.

3. ერთი სიტყვით ცვალებადობის ფენომენი გაორებული ბუნებისაა: ის არის ცვალებადობისა და უცვლელიობის დიალექტიკური ერთიანობა. საქმის ასე დასახვა სრულ შესატყვისობაშია უნივერსუმის ფუნდამენტურ ტენდენციასთან. ფილოსოფიამ, სხვათა შორის, ნიშანთვისება, რომელიც ახასიათებს არსებულს, უნივერსუმის ფუნდამენტური ტენდენციის პლანში უნდა განიხილოს. სამყაროს რაიმე ნიშანთვისება და მახასიათებელი, ე. წ. ფუნდამენტალი, რომელიც არ მიესადაგება უნივერსუმის მთავარ სტრატეგიას, სამყაროში თავის ადგილს ვერ დაისაკუთრებს. აქ გამონაკლისი გამორიცხულია; ცვალებადობის ფენომენმაც, თავისი ბუნებით, ცხადია, ეს მოთხოვნა უნდა დააკმაყოფილოს. როგორაა საქმის ვითარება ამ მხრივ?

უნივერსუმის საერთო სტრატეგიაში ცვალებადობის ფენომენის ადგილისა და ფუნქციის შესახებ სპეციალურად ჩვენი შრომის IV თავშია ლაპარაკი. იქ ნათქვამიდან ჩვენ მკითხველს ერთ მთავარ მომენტზე წინასწარ მივანიშნებთ. არსებულებს გააჩნიათ საყოველთაო თვისება (უნარი) ცვალებადობის სახით. ეს თვისება, უნარი არსებულისა, როგორც იქ არის ნათქვამი, ქმნის მასალას და, მაშასადამე, შესაძლებლობას სამყაროს შემდგომი გამრავალფეროვნებისათვის. უნივერსუმმა ამ მხრივ თავისი ფუნდამენტური ტენდენციის შესატყვისი, მეტად დახვეწილი და ფაქიზი მექანიზმები და საშუალებები შეიმუშავა. მათი ანალიზი სპეციალური კვლევის საგანია. აქ მხოლოდ ერთი დამახასიათებელი მაგალითის აღნიშვნით დაკმაყოფილდებით. პირველი საფუძველი, საიდანაც ყველაფერი იღებს დასაბამს, არის: სუბსტრატი — ელემენტი, მისი აქტიურობა და მათი ორგანული ერთიანობა. მაგრამ უკანასკნელი არ არის საკმარისი „ამად ყოფნისათვის“. არსებულის „ამად ყოფნას“ უზრუნველყოფს ბუნების მიერ შემუშავებული გარკვეულობის სპეციალური ფორმები — სტრუქტურა. სისტემა. ფორმა და მრავალი სხვა. ეს სახეები გარკვეულობისა ის საშუალებები და მექანიზმია, რომელთა მეშვეობითაც უნივერსუმი, თუ შეიძლება ითქვას, უზრუნველყოფს თავისი არსებობის ფუნდამენტურ წესსა და ტენდენციას. სტრუქტურის, სისტემისა და გარკვეულობის სხვა ამგვარი სახე-

<sup>17</sup> სრულებითაც არ არის მართალი, ამიტომ, ბერგსონი. როცა ის ამტკიცებს, რომ „...ყოველგვარი ცვალებადობა, ყოველგვარი მოძრაობა აბსოლუტურად განუყოფელია“. იხ. ბერგსონი, თხზ., ტ. IV, პეტროგრადი, გვ. 17 (ხაზი ჩემია — ა. ც.). საინტერესოა, რომ კანტს დებულება უცვლელის ცვალებადობის შესახებ პარადოქსულადაც კი ესახებოდა, მაგრამ ცვალებადობის არსებობის პირობად უცვლელი (სუბსტანცია) მიაჩნდა (იხ. კანტი, თხზ., ტ. 3, მ., გვ. 257).

ების მეშვეობით ხდება სწორედ არსებულის „ფიქსაცია“, მისი მუდამ ქცევადობაში მყოფი ელემენტების „დამაგრება“, მათი გაფორმება „ამგვარ არსებობად“ — სუბსტანცია-არსებებად. მათ გარეშე ყველაფერი მართლაც, ბერგსონისეულ წმინდა (აბსოლუტურ) პროცესად იქცეოდა და, მაშასადამე, არარობაში გადავიდოდა.

4. ფუნდამენტური ტენდენცია, რომელსაც მთელი უნივერსუმი ამჟღავნებს, ძალზე გარკვეულად ჩანს ორგანული სამყაროს ევოლუციაში. უნივერსუმის ამ რეგიონში ბუნებამ საკუთარი გამრავალფეროვნების უზრუნველსაყოფად მეტად დახვეწილი მექანიზმი შეიმუშავა. როგორც ცნობილია, სიცოცხლე ცილებთან და მისი სინთეზის უნართან არის დაკავშირებული. თავისი ხანგრძლივი ევოლუციის პროცესში ორგანულმა სამყარომ შექმნა ე. წ. ნუკლეინის მჟავები და მათ მეტად საპატიო როლი დააკისრა სიცოცხლის მრავალფეროვანი სახეების წარმოებაში. ცილები და ორგანული სამყაროს პირველი სახეები ევოლუციის ხანგრძლივი პროცესის პროდუქტია. მათი წარმოშობა უნივერსუმის არსებობის ახალი ფორმით გამდიდრებას და, საბოლოოდ, მის გამრავალფეროვნებას ნიშნავდა. თუ ცვალებადობა ცალმხრივი, მხოლოდ წმინდა ცვალებადობა იქნებოდა, მაშინ, ცხადია, ბუნების უდიდესი „მეცადინეობითა და გარჯით“ მოპოვებული არსებულის ახალი ფორმა — სიცოცხლე უმაღლე გაქრებოდა და, მაშასადამე, უნივერსუმის ამ რეგიონში მის გამრავალფეროვნების ფუნდამენტურ ტენდენციაზე ლაპარაკი შეუძლებელი გახდებოდა. ბუნების ამ „მეცადინეობასა და გარჯას“ ამოდ რომ არ ჩაველო, მან შექმნა აგრეთვე საოცრად მოქნილი და მარჯვე მექანიზმი ნუკლეინის მჟავების სახით. რა როლი დააკისრა მათ ბუნებამ? მათი როლი, უწინარეს ყოვლისა, იმაში მდგომარეობს, რომ ისინი გადამწყვეტ როლს ასრულებენ ცილების ბიოსინთეზში და, ამასთან, რაც მთავარია და, რასაც ჩვენთვის საინტერესო საკითხთან დაკავშირებით პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს, იმაში მდგომარეობს, რომ ისინი უზრუნველყოფენ შვილეულ უჯრედებში იგივეობრივი სტრუქტურისა და შემადგენლობის მქონე ცილების სინთეზს, როგორც გააჩნიათ დედისეულ უჯრედებს. ძნელი არაა მივხედეთ უკანასკნელი ვითარების მნიშვნელობას: უჯრედები ხომ ის აგურებია, რომელთაგანაც შენდება ორგანული სამყარო. თუ ამ აგურების სტრუქტურა მუდმივი არ დარჩებოდა, თავისთავად ცხადია, საფუძველი გამოეცლებოდა ცოცხალ ბუნებას.

5. წინააღმდეგ ძველი ბიოლოგიისა, დარვინი და თანამედროვე ბიოლოგია იმას ამტკიცებენ, რომ ევოლუციურ პროცესს აქვს დივერგენციული ხასიათი და, მაშასადამე, სიცოცხლის ერთი საწყისი ფორმიდან წარმოიშობა ორგანული სამყაროს მთელი მრავალფეროვნება. რა შემთხვევაშია ეს შესაძლებელი? მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ბუნების

ხანგრძლივი მეცადინეობითა და ჯაფით ნამოღვაწარი — სიცოცხლის მრავალფეროვანი სახეები შენარჩუნებული იქნებიან. როგორ და რანაირი გზით ახერხებს ამას ბუნება? მემკვიდრეობითობის გზით! უკანასკნელი არის თვისება ორგანიზმებისა, გადასცენ მომავალ თაობებს ნიშან-თვისებები და თავისებურებანი, რომლებიც მათ ახასიათებენ. ეს უნარი ცოცხალი არსებისა უზრუნველყოფს მათ სახეობათა მუდმივობას. ამ უნარის გარეშე, თავისთავად ცხადია, ყოველგვარი ცვალებადობა ყველაფრის ყველაფერში გადასვლას გამოიწვევდა და, საბოლოო ინსტანციაში, სრული გაურკვევლობის ქაოსში — არარობაში აღმოჩნდებოდა. მაგრამ ეს ასე არ ხდება იმიტომ, რომ ყოველ ცოცხალ არსებაში არსებობენ გენები, რომლებიც მოცემული არსების თავისებურებებსა და ნიშან-თვისებებს გადასცემენ შთამომავლობას. გენები, რომელთა მატერიალურ საფუძველს წარმოადგენს დნმ, — ეს ის მექანიზმია, რომელიც ორგანიზმმა ბუნებამ ხანგრძლივ პროცესში შეიმუშავა და რომელთა საშუალებითაც ყოველი ცოცხალი არსება, დაწყებული უმარტივესითა და უმცირესით, დამთავრებული ურთულესითა და უდიდესით, ცვალებადობის პროცესში თავის თავთან იგივეობრივი რჩება და, მაშასადამე, როგორც ზემოთ არაერთხელ აღინიშნა, უზრუნველყოფს, თავად ორგანიზმის არსებობასა და მისი ცვალებადობის შესაძლებლობას. მაგრამ გენი აბსოლუტურად უცვლელი არ შეუქმნია ბუნებას; ასეთ შემთხვევაში ის „მეორე უკიდურესობაში გადავარდებოდა“. ბუნება თავის მეცადინეობისას სრულ ჰარმონიაშია უნივერსუმის ფუნდამენტურ ტენდენციასთან; იგი „ყურს უგდებს“ უკანასკნელის მოთხოვნებს და დიალექტიკური პრინციპით „ხელმძღვანელობს“. გენით განსაზღვრული გენოტიპი და თვით გენი არ რჩება იგივეობრივი თავის თავთან; ის იცვლება. მუტაციის უნარის გარეშე ორგანიზმი სამყაროს დივერგენციული ბუნება გაუგებარი იქნებოდა. რაღაც სასწაულით ერთხელ წარმოშობილი ცოცხალი არსებები მუდამ თავის თავთან იგივეობრივი დარჩებოდნენ და, მაშასადამე, ორგანიზმი სამყაროს მრავალფეროვნება სრულიად გაუგებარი გახდებოდა. ამრიგად, შედარებით მდგრადი გენის გარეშე სახეობათა სიმრავლე ვერ იარსებებდა. იმავდროულად მუტაციას უნარმოკლებული გენი ვერ გახდებოდა ცოცხალი ბუნების გამრავალფეროვნების აუცილებელი პირობა. როგორც ჩანს, საბოლოო ინსტანციაში, თვით გენი აღმოჩნდა დიალექტიკური ბუნების; ის ერთდროულად საპირისპირო თვისებებს ამჟღავნებს: ცვალებადიცაა და უცვლელიც. ეს უკანასკნელი ფაქტი კიდევ ერთი ახალი დადასტურებაა ყოველი არსებულის და, მათ შორის ცვალებადობის ფენომენის დიალექტიკური ხასიათისა. უკანასკნელი კი მისი არსებობის ერთ-ერთი მთავარი აუცილებელი პირობაა.

ცვალებადობის სახეებისა და მათი ურთიერთობის  
შისახებ

§ 1. 1. წინამდებარე შრომის პირველ თავში ჩვენ შევეცადეთ გაგვემიჩნა ცვალებადობის ფენომენი უნივერსუმის სხვა მახასიათებლებისაგან, დაგვედგინა ცვალებადობის ცნების ლოგიკური შინაარსი და ყველა ამ პროცედურის შემდეგ მოგვეცა მისი განსაზღვრება. შესაძლებელია ცვალებადობის ცნების ავტორისეულმა განსაზღვრებამ ვერ დააკმაყოფილოს მაღალკვალიფიციური მკითხველის ფილოსოფიური გემოვნება. ყოველ შემთხვევაში, ცვალებადობის ცნების ჩვენ მიერ მოცემული განსაზღვრება სრულ შესატყვისობაშია ქვეყნიერების ფუნდამენტური ტენდენციის მოთხოვნასთან და, რაც მთავარია, აკმაყოფილებს საკითხთა განხილვის ჩვენს მთავარ მაქსიმას, რომლის მიხედვითაც სამყაროს ყოველი ძირეული მახასიათებელი — ფუნდამენტალი — განხილული და გაგებული უნდა იქნეს უნივერსუმის ფუნდამენტური ტენდენციის თვალსაწიერიდან. როცა ვამბობთ, რომ ცვალებადობა არის პროცესი, რომლის საფუძველზედაც იქმნება არსებულთა მრავალფეროვნება, ამით, ჩვენი აზრით, მინიშნებულია ცვალებადობის ფენომენის არსი და იგი სავსებით უკონფლიქტოდ ჯდება უნივერსუმის საერთო ტენდენციასა და სტრუქტურაში. ამ შემთხვევაში ჩვენ მიუყვებით ფილოსოფიის დიდ მოძღვართა ტრადიციას. პირველ რიგში, მხედველობაში გვაქვს არისტოტელეს ფილოსოფიური სისტემა. პერაკლიტემ სამყაროს მარადიული ქმნადობის კონსტატაცია მოახდინა მხოლოდ. პლატონისთვის ცვალებადობის ფენომენი, როგორც ცნობილია, სავსებით არათავსებადი იყო ნამდვილად არსებულთან. არისტოტელე, ფილოსოფიური აზროვნების ისტორიაში იმ მცირერიცხოვან ფილოსოფოსთაგან, ალბათ, ერთ-ერთი პირველთაგანია, რომელმაც სამყაროს მეტაფიზიკურ სტრუქტურაში თავისი ადგილი მიუჩინა ცვალებადობის ფენომენს. ბერძნული მეტაფიზიკა არისტოტელეს ახალ საფეხურზე აპყავს. მისი აზრით, არსებული, სამყარო, ორი პრინციპის — მატერიისა და ფორმის ორგანული ერთიანობაა. მატერია ფორმის გარეშე მოკლებულია რეალობას; ის ყოველთვის მიილტვის ფორმისაკენ. მატერია

შესაძლებლობაა, ფორმა ნამდვილობა; ისინი არ არსებობენ ერთიმეორის გარეშე: მათი ნაერთი — უსიაა. სამყარო, ბუნება უკანასკნელთა ერთობლიობაა. ყოველ არსებულში ფორმა ნაწილობრივ არის განხორციელებული; ამიტომ ის ნაკლოვანი არსებაა და ყოველთვის ელტვის გახდეს სრული, უნაკლო არსება. აი, სწორედ ეს ლტოლვა არსებულთა სრულქმნილი და უნაკლო არსებობისაკენ არის მოძრაობა. ამრიგად, სამყაროს არისტოტელესეულ სტრუქტურაში, ცვალებადობის ფენომენი თავის რაციონალურ გაგებას და ახსნას უნივერსუმის ფუნდამენტურ ტენდენციაში პოულობს.

ანალოგიურ ვითარებასთან გვაქვს საქმე ჰეგელის მეტაფიზიკური სისტემის შემთხვევაშიც. ჰეგელს სამყაროს არსებად აბსოლუტური იდეა — სპეკულატური ცნება მიაჩნია. აბსოლუტი მრავალგანსაზღვრებათა ტოტალობაა. ამ განსაზღვრებათა შორის ერთ-ერთი არის იდეის წინსვლის პრინციპი, რომელიც ჰეგელს უმრავლეს შემთხვევაში ესმის როგორც განვითარება. რა აუცილებლობა აპირობებს სპეკულატური ცნების წინსვლა-განვითარებას ჰეგელისეულ მეტაფიზიკაში? აბსოლუტს აქვს მიზანი, რომელიც საკუთარი თავის შემეცნებაში მდგომარეობს. აი სწორედ ეს მიზანი განსაზღვრავს სამყაროს ამგვარად მანიფესტაციის ფაქტს, მის ყველა ფუნდამენტურ მახასიათებელთა არსებობას სამყაროს სტრუქტურაში. თვითშემეცნების იმანენტური პრინციპი აიძულებს აბსოლუტურ იდეას იმოძრაოს „წმინდა აზრის სტიქიაში“, გახსნას თავისი შინაარსი მრავალგანსაზღვრებათა სახით. ეს არის მისი თვითმოძრაობა-ცვალებადობის პირველი ეტაპი. განვითარების მეორე ეტაპზე იდეა განესხვისება თავის თავს, გადავა სხვაში — ბუნებაში და მოძრაობს ამ სხვადასხვის ფორმაში მანამ, სანამ არ წარმოშობს სუბიექტურ სულს — ადამიანის აზროვნების სახით. უკანასკნელის საშუალებით აბსოლუტური იდეა უბრუნდება თავის თავს და ადამიანური აზროვნების სხვადასხვა ფორმაში აღწევს თავის მიზანს — იმეცნებს საკუთარ თავს. ჰეგელის აზრით, ეს მიზანი მიღწეულია მის ფილოსოფიურ სისტემაში და მსოფლიო-ისტორიული პროცესიც ამით მთავრდება. ამრიგად, როგორც ჩანს, იდეის თვითმოძრაობა, მისი დიალექტიკური ბუნება, იდეის, რომელიც არის სამყაროს სუბსტანცია — სუბიექტი, არ არის უკანასკნელის რაღაც შემთხვევითი და ეპიფენომენური მახასიათებელი; ის ამ იდეის შინაგანი მიზნით განსაზღვრული და მისგან აუცილებლობით გამომდინარე ფენომენია და მაშასადამე, მისი არსებობა საეგებით ბუნებრივი ჩანს აბსოლუტის სხვა ფუნდამენტურ ნიშან-თვისებათა გვერდით.

მაგრამ, როგორ უნდა მოვიქცეთ იმ შემთხვევაში, როცა ცვალებადობის ფენომენის საფუძველდების ზემოთ აღნიშნული კონცეფციები

უკუვადებულა? დაკვირვებული მკითხველისათვის, ალბათ, სახეებით-  
ნათელია, თუ რა მძიმე მდგომარეობაში ვარდება ყოველი მეტაფიზი-  
კური თეორია (მათ შორის პირველ რიგში, მატერიალისტური კონცეფ-  
ცია), რომელიც უნივერსუმის ქმნადობის ფაქტს მასში არსებული რა-  
ღაც ფუნდამენტური ტენდენციის გარეშე წარმოიდგენს. ჩვენ კვლავ  
ვიმეორებთ მრავალჯერ ნათქვამს, რომ სამყაროს ამგვარად მანიფესტა-  
ციის ფაქტი არ არის შეუძლებელი ბრალი; რომ ნიშან-თვისებები,  
რომლებიც უნივერსუმს გააჩნია, მიანიშნებენ იმაზე, რომ მასში რაღაც  
არსებითი ხორციელდება, რომ იგი რაღაც ფუნდამენტურ ტენდენციას  
აჩვენებს. ამ ტენდენციის გათვალისწინებით უნდა მოხდეს სამყაროს  
ყველა მახასიათებელთა გამომქმელი ცნებების განსაზღვრებაც. ცვა-  
ლებადობის ფენომენის ზემოთ მინიშნებულ განსაზღვრებაში ეს მაქსიმალ-  
ადაა თუ ისე დატულია და ამიტომ მისი შეწყნარება სახეებით შესაძლე-  
ბელად მიგვაჩნია. ყოველ შემთხვევაში მას შეუძლია ერთგვარი ორი-  
ენტირის ფუნქცია შეასრულოს ცვალებადობის სახეების კლასიფიკა-  
ციისა და მათი მოკლე დახასიათების საქმეში. ამ მხრივ კი, როგორც  
აშას ქვემოთ ვნახავთ, ფილოსოფიურ ლიტერატურაში მდგომარეობა,  
სამწუხაროდ, დამაკმაყოფილებელი არ არის. რაში გამოიხატება ეს  
უკანასკნელი?

2. ცვალებადობის ბუნების დადგენის შემდეგ კვლევა-ძიების პირ-  
ველ ამოცანად დგება ცვალებადობის სახეთა პრობლემა. რამდენგვარი,  
რა და რა სახის ცვალებადობა არსებობს სამყაროში? ამ კითხვით, ალ-  
ბათ, ბერძნული ფილოსოფიის კლასიკურ პერიოდამდე ბევრი ფილო-  
სოფოსი დაინტერესებულა, მაგრამ მათ შეხედულებებს ამ საკითხთან  
დაკავშირებით ჩვენამდე არ მოუღწევია. სამწუხაროდ, ყველა წყარო  
ამ მიმართულებით, დუმს. ცვალებადობის ფენომენის სახეთა პირველი  
სისტემატიკოს-მკვლევარი — არისტოტელე, რამდენადაც ეს ჩვენთვის  
არის ცნობილი, თავის წინაპართაგან არავის არ ასახელებს. ამიტომ,  
ძალაუნებურად, ცვალებადობის სახეთა კვლევის სათავეში არისტოტე-  
ლე უნდა დავაყენოთ. როგორც ითქვა, ყველაფერი ეს არ ნიშნავს იმას,  
რომ ცვალებადობის ფენომენის სახეებზე არისტოტელემდე არავითარი  
წარმოდგენა არ ჰქონდათ. საქმის ვითარება სწორედ პირიქით უნდა  
ვიგულოვოთ: არსებულთა საყოველთაო ცვალებადობის იდეა (ცნება)  
მის კონკრეტულ სახეთა გენერალიზაციის ნაყოფად უნდა მივიჩნიოთ.  
მაგრამ არისტოტელე, ჩვენამდე მოღწეული წყაროების მიხედვით, პირ-  
ველად აქცევს ცვალებადობის ფენომენის სახეთა დადგენასა და კლასი-  
ფიკაციას ფილოსოფიური რეფლექსის ობიექტად და ამიტომაც დგას  
ის ამ საქმის სათავესთან.

ცვალებადობის სახეთა რაოდენობისა და მათი კლასიფიკაციის საკითხთან დაკავშირებით სიძნელეს ქმნის და მკვლევართა შორის დავას იწვევს თავად კლასიფიკაციის პრინციპი. ფილოსოფიური აზროვნების ისტორიაში გავრცელებული ერთ-ერთი თვალსაზრისის მიხედვით ცვალებადობის სახეების მინიშნებასა და კლასიფიკაციას საფუძვლად უნდა დაედოს ცვალებადობაში მყოფი საგნებისა და მოვლენების რაგვარობა. ამ მოსაზრებას იცავდა ცვალებადობისა და მისი სახეების პირველი დიდი მკვლევარი და კლასიფიკატორი — არისტოტელე. მისი ამოსავალი დებულება ამ შემთხვევაში ჩვენთვის უკვე ცნობილია: ცვალებადობა-მოძრაობა საგანთა გარეშე არ არსებობს. ცოტა ქვემოთ, იმავე შრომაში, არისტოტელე წერს: „...მოძრაობისა და ცვალებადობის სახეები იმდენია, რამდენიც არსებულის გვარები“<sup>1</sup>. ცვალებადობის სახეთა კლასიფიკაციის ამ პრინციპის მიხედვით არისტოტელემ ცვალებადობის ფენომენი რაზდენიმე სახედ დაყო; მაგრამ ის ამ შემთხვევაში თანმიმდევრული არ არის და, ცვალებადობის შესახებ თავის გამოკვლევებში, სხვადასხვა ადგილას ცვალებადობის სახეთა სხვადასხვა რაოდენობას ასახელებს. მაგალითად, კატეგორიების შესახებ დაწერილ ტრაქტატში ის ცვალებადობის ექვს სახეზე მიანიშნებს. „არსებობს, — წერს იგი, — მოძრაობის ექვსი სახე: წარმოშობა, მოსპობა, გადიდება, შემცირება, გარდაქმნა და გადაადგილება“<sup>2</sup>. ფიზიკის მესამე წიგნში არისტოტელე მოძრაობის ოთხი სახის დასახელებით ისაზღვრება. „...ყველა ცვალებადი ყოველთვის იცვლება, — წერს იგი, — ან არსების, ან რაოდენობის, ან თვისებრიობის, ან ადგილთან მიმართებაში...“<sup>3</sup>. შემდეგ კი, იმავე შრომაში, არისტოტელეს ცვალებადობის სახეთა რაოდენობა დაჰყავს სამამდე. ამასთან დაკავშირებით ის წერს: „...აუცილებლობით უნდა არსებობდეს სამი ტიპი მოძრაობისა: თვისებრივი, რაოდენობრივი და სივრცეში გადაადგილება“<sup>4</sup>. ცვალებადობის სახეთა რაოდენობის სამამდე დაყვანის საფუძველს არისტოტელე იმაში ხედავს, რომ, მისი აზრით, უსიას მიმართებაში ცვალებადობა არ შეიძლება ნამდვილი ცვალებადობა იყოს. „არსების კატეგორიის თვალსაზრისით ცვალებადობა არ შეიძლება რამდენადაც მას (უსიას — ა. ც.) არსებულთაგან

<sup>1</sup> არისტოტელე, ტ. 3, მ., 1981, გვ. 104, განსხვავებულად გამოთქვამს ამავე აზრს „მეტაფიზიკაში“ (იხ. ტ. 1, მ., 1976, გვ. 288—289); აქ, იგი „არსებულის გვარების“ ნაცვლად ხმარობს გამოთქმას: „არსებულის სახეები“.

<sup>2</sup> არისტოტელე, ტ. 11, მ., 1978, გვ. 88.

<sup>3</sup> არისტოტელე, ტ. 111, მ., 1981, გვ. 103—104. ცვალებადობის ოთხ სახეს ასახელებს აგრეთვე არისტოტელე ტრაქტატში — „სულის შესახებ“. (იხ. არისტოტელე, ტ. 1, მ., 1976, გვ. 380).

<sup>4</sup> არისტოტელე, ტ. 3, მ., 1981, გვ. 163, იხ. აგრეთვე, არისტოტელე, ტ. 1, მ., 1976, გვ. 296.

არაფერი არ უპირისპირდება“<sup>5</sup>. რამდენად სწორია ამ შემთხვევაში არისტოტელეს საბუთი?<sup>6</sup> უნდა ითქვას გადაჭრით, რომ არისტოტელეს საბუთი ამ შემთხვევაში არ უნდა იყოს საფუძვლიანი. არსებული, როგორც უსია, როგორც „ამად ყოფნა“, როგორც ასეთი და ასეთი გარკვეულობის მქონე არსებობა, თავის თავში შეიცავს თავის საწინააღმდეგოს — თავის ნეგაციას. ამ ლოგიკურ ვითარებას სავსებით თვალსაჩინოს ხდის ემპირიული რეალობა: აბა რა უნდა იყოს იმაზე უფრო ძირეული ცვალებადობა არსებულთა (უსიათა) ვიდრე საგნებისა და მოვლენების ერთი რიგის შეცვლა მეორეთი, — მათი წარმოშობა-მოსპობა? განა სხვა ყოველგვარი სახე ცვალებადობისა, საბოლოო ინსტანციაში, არსებათა ქმნადობა-ცვალებადობას — მათ წარმოშობა-მოსპობას არ ემსახურება და არ ნიშნავს? საგნის ძირეული თვისებრივი ცვლილებები, ხდებიან ისინი საგნის რაოდენობრივი ცვლილების თუ სივრცეში მათი ადგილმონაცვლეობის შედეგად, საზოგადოდ, ერთი საგნის მეორეთი შეცვლას და, მამასადამე, წარმოშობა-მოსპობას არ მოასწავებს? ერთი სიტყვით, განა ყოველგვარი ცვლილება, რომელსაც კი ვხვდებით არსებულთა სამეფოში, საბოლოოდ, მის რადიკალურ ფორმაში, — წარმოშობა-მოსპობის ფენომენში არ იყრის თავს? შესაძლებელია ამ შემთხვევაში არისტოტელეს მოსაზრებას, განსაზღვრული მიმართებით, რაღაც გამამართლებელი მოტივი გამოუძებნოთ, სხვა მხრივ კი, მისი საბუთი სრულებითაც არ ჩანს დამაჯერებელი; მაგრამ ყველაფერი ეს ჩვენ მანაც მეორეხარისხოვან ვითარებად უნდა ჩავთვალოთ, რამდენადაც ყოველი საქმის დასაბამს ყოველთვის თან ახლავს ბურუსი და ერთგვარი გაურკვეველობა. მთავარი და არსებითი ის არის, რომ არისტოტელემ, პირველად ფილოსოფიური აზროვნების ისტორიაში, ცვალებადობის ფენომენს სამყაროს მეტაფიზიკურ სტრუქტურაში თავისი ადგილი გამოუძებნა, დააკისრა მას სრულიად განსაზღვრული ფუნქცია, გარკვეული პრინციპის ნიადაგზე მოგვეცა მისი სახეების პირველი კლასიფიკაცია და ანალიზი. ეს კი დიდი სტაგირელის

<sup>5</sup> იქვე, გვ. 163.

<sup>6</sup> არისტოტელეს არგუმენტაციასთან სოლიდარობაშია, ალბათ, ვინდელბანდი, რამდენადაც იგი ცვალებადობის პრობლემასთან დაკავშირებით არისტოტელეს თვალსაზრისის დასაგებისას, ყოველგვარი შენიშვნის გარეშე მოძრაობა-ცვალებადობის სამ სახეს ასახელებს (იხ. ვ. ვინდელბანდი, ძველი ფილოსოფიის ისტორია, მ., 1911, გვ. 278); არისტოტელეს საბუთი სამართლიანად მიაჩნია ცვალებადობის პროცესის ერთ-ერთ საბჭოთა მკვლევარს — სტოლიაროვს, როცა ის თავის ნაშრომში — „ცვალებადობის პროცესი და მისი შემეცნება“ — წერს: „არ არის მართებული წარმოშობისა და მოსპობის გამოყოფა ცვალებადობის ცალკე ტიპად“ (იხ. დასახ. ნაშრ., მ., 1966 გვ. 73).



ერთ-ერთი წარუვალნი დამსახურებაა საკაცობრიო ფილოსოფიური აზროვნების წინაშე.

გაკვირვებას იწვევს ის ფაქტი, რომ არისტოტელეს ეს დამსახურება ბევრ შემთხვევაში სწორად არ არის გაგებული; ხშირად მას ამახინჯებენ, ხანდახან ზერელედ ეკიდებიან. მე მხედველობაში მაქვს შემდეგი გარემოება, რომლის შესახებ არ შეიძლება არ ითქვას ორიოდ სიტყვა.

3. როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, არისტოტელემ ცვალებადობა-მოდრობის ფენომენის სახეთა კლასიფიკაციას საფუძვლად დაუდო არსებულის გვარები და, ამაში იგი, ბოლომდე თუ არა, ნაწილობრივ სწორი უნდა იყოს. არსებულის გვარები ეს არის საგნის ძირეული განსაზღვრებანი, რომელთა მეშვეობითაც საგანი (არსებული) არის ასეთი და ასეთი გარკვეულობის მქონე. თვისებრიობის, რაოდენობრიობის, ადგილის და სხვა ასეთი განსაზღვრულობათა ფლობის გამო არის საგანი ასეთი და არა სხვანაირი<sup>7</sup>. და, მაშასადამე, საგნის, მოვლენის ცვალებადობა, ცხადია, ნიშნავს იმ განსაზღვრულობათა ცვალებადობას, რომლებიც მას ახასიათებენ. თუ ამ პრინციპს მივიღებთ მხედველობაში, მაშინ ცვალებადობის სახეები იმდენი იქნება, რამდენიც არსებულის გვარები. ცვალებადობის ფენომენის სახეთა კლასიფიკაციის ეს პრინციპი ბევრმა ფილოსოფოსმა გაიზიარა. ამ პრინციპით განსაზღვრული თვისებრივი და რაოდენობრივი ცვალებადობის სახეებისა და მათი ურთიერთობის კლასიკური კვლევა მოახდინა ჰეგელმა თავის ფილოსოფიურ სისტემაში<sup>8</sup>. ჰეგელის უშუალო გავლენით, ამ პრობლემასთან დაკავშირებით საკმაოდ მდიდარი ლიტერატურა შეიქმნა მარქსისტულ ფილოსოფიაშიც. მაგრამ, საბოლოო ჯამში, ჩვენი აზრით, კვლევა-ძიება ამ მიმართულებით მაინც არ არის დამაკმაყოფილებელი და, შეიძლება ითქვას, რომ იგი ცალმხრივადაც წარმართა. ეს გარემოება, ვიმეორებთ კვლავ ზემოთ ნათქვამს, განაპირობა ამ პრობლემის კვლევის საქმეში არისტოტელესეული პოზიციის არასწორმა გაგებამ. აქ, ჩვენი აზრით, საკმაოდ განმსაზღვრელი როლი ითამაშა ტერმინოლოგიურმა უზუსტობამაც.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, არისტოტელე ტერმინებს: ცვა-

<sup>7</sup> ამ პუნქტში არისტოტელეს თვალსაზრისი ბოლომდე ნათელი არ არის. საგანი — უსია, არისტოტელეს მხედველით, ასეთი და ასეთია არა მხოლოდ იმიტომ, რომ მას გვარობითი განსაზღვრულობანი აქვს, განსაზღვრულობანი, რომელიც ათ ემპირიულ ურთიერთობაში იქმნება, არამედ უმთავრესად იმიტომ, რომ მასში მონაწილეობს წარმოუშობადი და უცვლელი ფორმა. თუ როგორ არის თავსებადი აზრის ეს ორი ნაკადი ერთმეორესთან არისტოტელეს მეტაფიზიკურ კონცეფციაში, როგორც ითქვა, ბოლომდე ნათელი არ არის.

<sup>8</sup> ჰეგელი, ლოგიკის მეცნიერება, I წიგნი, II და III განკ., მ., 1929.

ლებადობასა და მოძრაობას ხან ერთი და იგივე მნიშვნელობით, ხან კიდევ სხვადასხვა მნიშვნელობით ხმარობს; ბევრ შემთხვევაში იგი მათ შინაარსს აიგივებს და მის ქვეშ გულისხმობს პროცესს, რომლის რეალური შინაარსი არის შესაძლებლობის სინამდვილედ გადაქცევა. თუ ცვალებადობის ფენომენის სახეთა რაოდენობის განსაზღვრისას და, ხანდახან კლასიფიკაციის პრინციპის გატარებაში, როგორც ზემოთ ითქვა, არისტოტელე არ არის თანმიმდევრული, აქ, ამ პუნქტში ის მკაცრად თანმიმდევრულია და ყოველთვის მხედველობაში აქვს თავად ცვალებადობის შინაარსი. არისტოტელეს თვალსაზრისი უფრო ნათელი რომ იყოს ჩვენ გვინდა მკითხველს განმარტებითი ხასიათის შემდეგი ინფორმაცია მივაწოდოთ<sup>9</sup>. ცვალებადობის ფენომენის სახეთა კლასიფიკაციის პრინციპი შეიძლება იყოს და არის კიდევაც სხვადასხვანაირი. იმის მიხედვით, თუ რა თვალსაზრისით მიუღდგებით ცვალებადობის ფენომენის შესწავლას. როგორც ზემოთ ითქვა, ცვალებადობის ფენომენი უთუოდ გულისხმობს რაღაც სუბსტრატს — იმას, რაც იცვლება, რაც იმყოფება ცვალებადობის პროცესში. ამ შემთხვევაში, აქ ორი შესაძლებლობა ისახება: ერთ შემთხვევაში ცვალებადობის სუბიექტად მოგვევლინება მატერიის აქტიურობის განსაზღვრული ფორმით პირობადებული მისი ორგანიზაციის ესა თუ ის დონე. ამ უკანასკნელთა იერარქიის შესახებ ძალზე ზოგადად უკვე იყო ლაპარაკი. ამ შემთხვევაში ცვალებადობის სუბიექტად გამოდის მატერიის ორგანიზაციის სხვადასხვა დონე, დაწყებული კვარკებით, დამთავრებული ურიცხვი გალაქტიკებით. თავისთავად ცხადია, მატერიის ორგანიზაციის სხვადასხვა დონეზე ცვალებადობის პროცესი სხვადასხვანაირად მიმდინარეობს. სხვანაირად იცვლებიან მოლეკულები ვიდრე ატომები; უკანასკნელნი ცვალებადობის სხვა წესს ემორჩილებიან ვიდრე ელემენტარული ნაწილაკები; განსხვავებულად მიმდინარეობს ცვალებადობის პროცესი, ადამიანთა საზოგადოებაში ვიდრე უჯრედში და ა. შ. თუ ცვალებადობის ფენომენს შევისწავლით ცვალებადობის ამა თუ იმ სუბიექტში — მატერიის ორგანიზაციის ამა თუ იმ საფეხურზე მიმდინარე პროცესთა თავისებურების მიხედვით, ცხადია, საქმე გვექნება მის სახეთა სრულიად განსაზღვრულ კლასიფიკაციასა და რაოდენობასთან. ეს იქნება ერთი შესაძლებლობა.

არსებობს „ცვალებადობის სუბიექტის“ თვალსაზრისით ცვალებადობის ფენომენის კიდევ სხვა წესით განხილვის შესაძლებლობა. როგორც ცნობილია, საგნებს, ნივთებს, ხდომილობებს მრავალი სხვადასხვა მახასიათებელი გააჩნია. თითოეული მათგანი სხვა დანარჩენისაგან

<sup>9</sup> ამასთან დაკავშირებით იხ. ვ. სტოლიაროვი, ცვალებადობის პროცესი და მისი შემეცნება, მ., 1966, გვ. 72—96.

განსხვავდება თავისი თვისებებით, სტრუქტურით, შემადგენელი ელემენტებით, ფუნქციებით და ა. შ. ცვალებადობა, როგორც ეს მრავალჯერ იყო აღნიშნული, ნიშნავს ცვალებადობაში მყოფი საგნის, ხდობილობის მახასიათებელთა ცვალებადობას; სხვანაირად რომ ვთქვათ, საგანი. მოვლენა იცვლება ნიშნავს იმას, რომ იცვლება მისი თვისება, სტრუქტურა, შემადგენელი ელემენტები და ა. შ. თუ ამ გარემოებას მივიღებთ მხედველობაში, ე. ი. თუ ცვალებადობის სუბიექტად გამოვაცხადებთ არსებულთათვის დამახასიათებელ ძირეულ ნიშან-თვისებებს, მაშინ, ცხადია, საქმე გვექნება ცვალებადობის თავისებურ სახეებთან: თვისებების ცვალებადობა, სტრუქტურის ცვალებადობა, ელემენტებისა და მათი კავშირშიმართულების ცვალებადობა და ა. შ.

არსებობს ცვალებადობის ფენომენის სახეთა კლასიფიკაციის კიდევ ერთი შესაძლებლობა, რომელიც, თავისი ბუნებით არსებითად განსხვავდება წინა ორისაგან. თუ უკანასკნელ შემთხვევაში ცვალებადობის ფენომენის სახეთა კლასიფიკაციას საფუძვლად ედო „ცვალებადობის სუბიექტის“ რაგვარობა, უკანასკნელი მესამე შესაძლებლობა, მას მხედველობაში არ იღებს. ცვალებადობის ფენომენის სახეთა კლასიფიკაციის საფუძვლად ის აცხადებს თავად ცვალებადობის შინაარსს; სხვანაირად რომ ვთქვათ, კლასიფიკაციის ამ შესაძლებლობას აინტერესებს არა ის, თუ რა იცვლება ცვალებადობის სუბიექტში და რას ეხება იგი, არამედ ის, თუ რა მოსდის საგანს საკუთრივ ცვალებადობის შინაარსის მიხედვით.

ცვალებადობის ფენომენის სახეთა კლასიფიკაციისას არისტოტელეს ყოველთვის მხედველობაში აქვს არსებულთა ცვალებადობა არსებულის გვარების მიხედვით და ყველგან იკვლევს იმას, თუ რა ემართება საგანს, მოვლენას საკუთრივ ცვალებადობის შინაარსის მიხედვით. აი სწორედ ეს უკანასკნელი მომენტი, ჩვენი აზრით უმთავრესი გარემოება, არ არის სწორად გაგებული და სათანადოდ შეფასებული ცვალებადობის ფენომენის სახეთა არისტოტელესეულ კვლევაში. ამიტომ წარიმართა, ალბათ, ამ მიმართულებით არისტოტელეს შემდგომდროინდელი კვლევა-ძიება ცალმხრივად. აქ, როგორც ითქვა, უთუოდ უარკვეული როლი ითამაშა ტერმინოლოგიურმა უზუსტობამაც. ყოველ შემთხვევაში, როცა არისტოტელე მსჯელობს ცვალებადობის სახეებზე და ახდენს მათ კლასიფიკაციას, მას ყოველთვის მხედველობაში აქვს საკუთრივ ცვალებადობა. ამ უკანასკნელს კი, ჩვენი დროის ფილოსოფიურ ლიტერატურაში, განსაკუთრებით მარქსისტულ ფილოსოფიაში, სათანადო ყურადღებას არ აქცევენ და, ამიტომაც, ნაცულად იმისა, რომ გამოიკვლიონ საკუთრივ ცვალებადობის ფენომენი და მისი სახეები, იკვლევენ მატერიის მოძრაობის ფორმებს. ამ უკანასკნელთა გამოკვლე-

ვა, ცხადია, საჭირო და სასარგებლო საქმეა, მაგრამ ფილოსოფიური კვლევა მხოლოდ ამით არ უნდა შემოისაზღვროს. ყოველ შემთხვევაში მატერიის მოძრაობის ფორმების შესახებ კვლევა-ძიების შედეგები არ უნდა იქნეს გასაღებული ცვალებადობის ფენომენისა და მისი სახეების შესახებ მოძღვრებად. ამ მოთხოვნის უგულებელყოფამ არ შეიძლება არ გამოიწვიოს თვალშისაცემი უხერხულობანი. არისტოტელე არ იკვლევდა ან, ყოველ შემთხვევაში, მისი სპეციალური კვლევის ობიექტს არ წარმოადგენდა მატერიის მოძრაობის ფორმები იმ შინაარსით, რა შინაარსითაც ის ახალი დროის მეცნიერებასა და ფილოსოფიაში დამკვიდრდა ენგელსის ზეგავლენით, განსაკუთრებით ჰეგელის შემდეგ. არისტოტელე სპეციალურად არ იკვლევდა მოძრაობის ფორმებს არა იმიტომ, რომ მან დაუდევრობა გამოიჩინა და ყურადღება არ მიუქცია კვლევის ამ სფეროს. ის თავის მრავალრიცხოვან გამოკვლევაში ხშირად ლაპარაკობს მექანიკურ, ფიზიკურ, ასტრონომიულ მოვლენებზე; ამ უკანასკნელისაგან განასხვავებს სიცოცხლის მოვლენებს, სიცოცხლის გვირგვინი — ადამიანი მიაჩნია „პოლიტიკურ ცხოველად“ და ა. შ. კიდევ მეტიც: არისტოტელე თავისი მთავარი მეტაფიზიკური პრინციპიდან გამოსული, მთელ სინამდვილეს წარმოიდგენს საგანთა და მოვლენათა განსაზღვრული იერარქიად. ყველაფერი ეს, კაცმა რომ თქვას, შეესატყვისება არსებულთა იმ იერარქიას, რომელსაც თანამედროვე მეცნიერებასა და ფილოსოფიაში მატერიის მოძრაობის ფორმებსა და მით პირობადებულ მატერიის ორგანიზაციის დონეებს უწოდებენ. მაგრამ, ყოველივე ეს მას თავისი სპეციალური კვლევის საგნად არ გაუხდია. ყოველ შემთხვევაში ცვალებადობის სახეთა შესახებ არისტოტელესეულ მოძღვრებაში ეს შინაარსი არამც და არამც არ იგულისხმება.

მატერიის მოძრაობის ფორმების შესახებ ფილოსოფიური მოძღვრების არარსებობას ანტიკურ ფილოსოფიაში თავისი მიზეზი აქვს: ელიზური ბუნებისმეტყველება არ იდგა განვითარების ისეთ სიმაღლეზე და თავისი შინაარსით არ იყო ისე მდიდარი და მრავალმხრივი, რომ მის შესახებ ანტიკური დროის ფილოსოფოსებს სპეციალური ფილოსოფიური თეორია შეექმნათ. ყველაფერი ეს დღესავით ნათელია და საექვოდ არ უნდა გავხადოთ.

ყოველივე ამის შემდეგ გაუგებრობად გამოიყურება, ერთი მხრივ, მატერიის მოძრაობის ფორმებისა და, მეორე მხრივ, ცვალებადობის სახეების შესახებ არისტოტელესეული მოძღვრების ერთნაირი შინაარსით წარმოდგენის ფაქტი, რომელსაც ზოგიერთი ავტორი აკეთებს. ამ მიმართებით მოვიყვან რამდენიმე დამახასიათებელ მაგალითს.

პირველი მაგალითი. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს, წერია ფილოსოფიის ისტორიის ერთ-ერთ სახელმძღვანელოში<sup>10</sup>, არისტოტელეს მოძღვრება მოძრაობის ფორმების შესახებ. არისტოტელემდე, ნათქვამია იქვე, ფილოსოფოსი მატერიალისტები ძირითადად იკვლევდნენ მატერიის მოძრაობის ამა თუ იმ სახეს, მაშინ, როცა არისტოტელე შეეცადა მოეხდინა ბუნებაში არსებული მოძრაობის ყველა სახის კლასიფიკაცია და შეესწავლა ისინი. თითქოს საკამათო და საეჭვო არაფერი არ უნდა იყოს ცვალებადობის შესახებ არისტოტელეს შეხედულებათა გადმოცემაში. მაგრამ ეს შეიძლება ასე იყოს საქმეში ნაკლებად ჩახედული მკითხველისათვის. თუ გამოვალთ იქიდან, რომ არისტოტელე ხშირად სხვადასხვა მნიშვნელობით ხმარობს მოძრაობისა და ცვალებადობის ტერმინებს, მაშინ მოძრაობის ფორმების შესახებ არისტოტელესეული კონცეფციის ამგვარი გადმოცემა ყოველგვარი კომენტარის გარეშე მკითხველს, რომელიც გათვითცნობიერებულია მატერიის მოძრაობის ფორმების შესახებ თანამედროვე მოძღვრებით, გაურკვევლობის სფეროში ავდებს. მართლაც, რა უნდა იგულისხმოს მან გამოთქმაში, რომელიც იქვე ასე არის ფორმულირებული: „მოძრაობის ფორმათა შესწავლას არისტოტელე იწყებს წარმოშობისა და მოსპობის გამოკვლევით“<sup>11</sup>. მეორე მაგალითი. „უძველესი დროიდან დღემდე დაობენ იმის შესახებ, თუ რა უნდა ჩაითვალოს მოძრაობის (საერთოდ ცვალებადობის) ფორმად ან რის მიხედვით უნდა მოხდეს მოძრაობის ფორმების კლასიფიკაცია. ცნობილია მოძრაობის მრავალგვარი ფორმა: მექანიკური, ფიზიკური, ქიმიური, ბიოლოგიური, სოციალური და ა. შ.“<sup>12</sup>. ამ ზოგადი დებულების შემდეგ ავტორი მიმართავს ფილოსოფიური აზროვნების ისტორიას და მოძრაობის ფორმების პირველ კლასიფიკატორად არისტოტელეს ასახელებს. არისტოტელე, განაგრძობს ავტორი და მიუთითებს „...მოძრაობის ექვს ფორმაზე: წარმოშობა, მოსპობა, ზრდა, შემცირება, თვისებრივი ცვალებადობა და სივრცეში გადაადგილება. რასაკვირველია, — ასკენის ავტორი, — ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ ეს კლასიფიკაცია არადაამკამაყოფილებელია“<sup>13</sup>. რა შეიძლება ითქვას მოყვანილი ამონაწერების შესახებ? ამ ამონაწერების მიხედვით ავტორი ერთიმეორეში ურევს მატერიის მოძრაობის ფორმებს და ცვალებადობის სახეებს. „პირველი კლასიფიკაცია“, რომელიც არისტოტელემ მოგვცა, ეხება არა მატერიის მოძრაობის ფორმებს, არამედ ცვალებადობის სახეებს. ამიტომ ცვალებადობის სახე-

<sup>10</sup> ფილოსოფიის ისტორია, ტ. I, მ., 1941.

<sup>11</sup> იქვე, გვ. 197.

<sup>12</sup> ს. ავალიანი, ბუნების მეცნიერების ფილოსოფია, თბ., 1974, გვ. 162.

<sup>13</sup> იქვე, გვ. 162—163.

ბის კლასიფიკაციის ზემომოყვანილი შეფასება სრულებითაც არ არის კორექტული და, რაც მთავარია, მკითხველს გზა-კვალს ურევს. ანალოგიურ თვალსაზრისს ვხვდებით მეორე ავტორთან. მისი მოსაზრება მოკლედ ასე შეიძლება გადმოიციეს მატერიის მოძრაობის ფორმები ერთიმეორესთან ჯარკვეულ ურთიერთობაში არიან და ამიტომ მათი კლასიფიკაცია შეიძლება მათთვის დამახასიათებელი საერთო ნიშნის მიხედვით. ფილოსოფიის ისტორიაში, არისტოტელედან დაწყებული, არაერთხელ იქნა მოძრაობის ფორმათა კლასიფიკაცია ნაცადი, მაგრამ, მიუხედავად ცალკეული წარმატებისა, მისი მეცნიერული კლასიფიკაცია ვერ მოხერხდა. „ნამდვილად მეცნიერული კლასიფიკაცია მატერიის მოძრაობის ფორმებისა“, ასკენის ავტორი, პირველად ენგელსის შემთხვევით გახდა შესაძლებელი<sup>14</sup>. თავისთავად ცხადია, რომ მატერიის მოძრაობის ფორმების მეცნიერული კლასიფიკაცია ენგელსის მიერ მხოლოდ მას შემდეგ გახდა შესაძლებელი, როცა ბუნებისმეტყველებამ საკმარის მდიდარი მასალა დააგროვა მატერიის სტრუქტურის შესახებ. მაგრამ რა შუაშია აქ არისტოტელე, რომელსაც ავტორი იხსენიებს? მას სრულებითაც არ ჰქონდა მხედველობაში მატერიის მოძრაობის ფორმები, როცა ის ცვალებადობის სახეთა კლასიფიკაციას იძლეოდა. არისტოტელეს ასეთი კრიტიკა, უბრალოდ, საქმის ნამდვილ ვითარებაში გაურკვეველობას ემყარება. დაბოლოს, კიდევ ერთი მაგალითი ცოტა განსხვავებული ნიუანსით. „ფილოსოფიურ ენციკლოპედიაში“ მოძრაობის კატეგორიას, სავსებით კანონიერად, საკმარის მოზრდილი სტატია აქვს მიძღვნილი. განმსაზღვრელი პათოსი, რითაც, ჩვენი აზრით, არის და უთუოდ უნდა იყოს გამსჭვალული მოძრაობის ფენომენზე დაწერილი სტატია, იმაში მდგომარეობს, რომ მოძრაობის ქვეშ ნაგულისხმევია აქტიურობა, თვითმოძრაობა, რომელიც მატერიას, როგორც არსებულს, იმთავითვე შინაგანად ახასიათებს. მატერია მოძრაობა იმას ნიშნავს, რომ ის აქტივობაა, თვითმოძრაობაა. ჩვენ მიერ მითითებულ სტატიაში ძირითადად ეს აზრია გატარებული და, უნდა ითქვას, რომ სავსებით სამართლიანად. და, აი, აქ, ამ სტატიის დასაწყისში ვხვდებით შემდეგ დებულებას: „არისტოტელე განასხვავებდა მოძრაობის ექვს სახეს“: და შემდეგ ჩამოთვლილია არისტოტელეს მიერ მინიშნებული ცვალებადობის სახეები<sup>15</sup>. რამდენად სწორია, ამ შემთხვევაში, როცა საქმე ეხება მატერიის თვითაქტივობის პრობლემას, მივმართოთ არისტოტელეს? ჩვენი აზრით, ასეთი მანიპულაცია სრულებითაც არ არის გამართლებული. ცნობილია ის უეჭველი ფაქტი, რომ, არისტო-

<sup>14</sup> ა. ბუტაკოვი, მატერიის მოძრაობის ძირითადი ფორმები და მათი ურთიერთკავშირი თანამედროვე მეცნიერების შუქზე, მ., 1974.

<sup>15</sup> ფილოსოფიური ენციკლოპედია, ტ. I, მ., გვ. 433.

ტელეს აზრით, მატერია თავიდან ბოლომდე პასიური, ინერტული მასალაა. აქტიურობა, არისტოტელეს აზრით, მხოლოდ ფორმას გააჩნია და ყოველი არსებული იმდენად არის აქტიური, რამდენადაც მასში რეალურია აქტიური ფორმა. მაგრამ ეს არაა ამჟამად მთავარი. მთავარი ისაა, რომ მოყვანილ ამონაწერში არისტოტელეს მხედველობაში აქვს არა ფორმის აქტიურობა, არამედ ცვალებადობა და მისი სახეები. მართალია, ცვალებადობა არ არსებობს აქტიური საწყისის გარეშე, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ცვალებადობის ფენომენი გაიგივებულ იქნეს აქტიურობასთან. ერთი სიტყვით, მოყვანილ ამონაწერში არისტოტელეს მხედველობაში აქვს არა აქტიურობის, არამედ ცვალებადობის სახეები.

ერთი მხრივ, აქტიურობის, მეორე მხრივ, ცვალებადობის სახეების პრობლემა ორი ერთიმეორისაგან განსხვავებული საკითხია და, მაშასადამე. მათი აღრევა სრულიად მიუტევებელია და, რაც მთავარია, საქმისათვის საზიანო. ჩვენ ეს უკანასკნელი მომენტი გვაინტერესებს; სხვა მხრივ კი არისტოტელეს ჩვენი დაცვა არ ჰქირდება; ფილოსოფოსი, რომლის ნაწარმოებებმა მრავალი საუკუნის გამოცდას გაუძლო — კვლავაც დიდ პატივში იქნება ჩვენი დაცვის გარეშეც. დასანანი ის არის, რომ მის მიერ დაწყებულმა საქმემ, ზერელე მიდგომის გამო, ღირსეული გაგრძელება ვერ მიიღო და, როგორც ითქვა, ცვალებადობის ფენომენის კვლევა ჩვენს ფილოსოფიურ ლიტერატურაში ცალმხრივად და არასწორად წარიმართა.

როგორია ჩვენი პოზიცია? რა უნდა ვიღონოთ შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით? ერთი უდავოდ ცხადია: წინამდებარე შრომის ამ ნაწილში, ცოტა გაჭიანჭრებულს, მაგრამ, ჩვენი აზრით, მაინც სამართლიანი შენიშვნების შემდეგ, სულ მუდამ მხედველობაში გვექნება საკუთრივ ცვალებადობის ფენომენი და მისი სახეები. მაგრამ ცვალებადობის სახეების დეტალურ კვლევას ჩვენ არ ვისახავთ მიზნად: ეს დიდი სამუშაოა და სხვა დროისათვის უნდა გადაიდოს. ჩვენ გვინდა შემოვისაზღვროთ და პრობლემის ანალიზი ერთი გარკვეული მიმართულებით წარვმართოთ. რა გვაქვს კონკრეტულად მხედველობაში? სანამ ამ კითხვას ვუპასუხებდეთ, მკითხველს, ცვალებადობის ფენომენის სახეთა კლასიფიკაციის პრინციპთან დაკავშირებით, ჩვენი პოზიციის შესახებ გვინდა მოვახსენოთ. ეს, ჩვენი აზრით, ნათლად წარმოაჩენს საკითხის კვლევის მთავარ მიმართულებასაც.

4. ცოტა ზემოთ ლაპარაკი იყო ცვალებადობის სახეთა კლასიფიკაციის შესახებელი პრინციპების შესახებ. ჩვენ სამი ასეთი შესახებლობა დავასახელოთ. როგორ უნდა შეფასდეს ისინი?

როგორც ითქვა, ცვალებადობა ყოველთვის არის საგნისა და მოვლენის, საერთოდ არსებულთა, მათი მახასიათებლების — თვისებათა, სტრუქტურათა კავშირმიმართებათა და ა. შ. ცვალებადობა, სხვანაირად რომ ვთქვათ, არ არსებობს უსუბსტრატო (უსუბიექტო) ცვალებადობა და, მაშასადამე, რამდენადაც ზემოთ აღნიშნული კლასიფიკაციები ცვალებადობის ამ არსებით მომენტს ითვალისწინებენ, საერთოდ, დადებით შეფასებას იმსახურებენ. ამიტომაც არის, რომ ცვალებადობის სახეების არისტოტელესეულ კლასიფიკაციას, ზოგიერთი მომენტის გამოკლებით, დღესაც არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა. მაგრამ ცვალებადობის სახეების კლასიფიკაციის ზემოთ აღნიშნული ვარიანტებიდან ყველა ერთნაირი ღირებულების მქონე არ არის. დასახელებული კლასიფიკაციის რიგით პირველი ვარიანტი, ჩვენი აზრით, არ უნდა იყოს ფილოსოფიური თვალსაზრისით სრულფასოვანი; ის უთუოდ შეიცავს ცვალებადობის ფენომენის — უნივერსუმის ამ ერთ-ერთი არსებითი მახასიათებლის, ფილოსოფიური განხილვის მიღმა დარჩენის საშიშროებას. უკანასკნელი გარემოება ჩვენ გვინდა ორიოდ მაგალითით ნათელვყოთ. პირველი მაგალითი. როგორც ცნობილია, ბიოლოგიურ მეცნიერებაში ერთ-ერთ ნომერ პირველ პრობლემად დგას ცოცხალ არსებათა ცვალებადობის საკითხი; ჩვეულებრივ მიანიშნებენ მათი ცვალებადობის ორ მთავარ სახეზე — მოდიფიკაციურ და მუტაციურ ცვალებადობაზე. მოდიფიკაციური ცვალებადობა ესაა ორგანიზმთა არამემკვიდრეობითი ცვალებადობა, რომელიც გავლენას არ ახდენს გენოტიპის ცვალებადობაზე და, საბოლოოდ, დამოკიდებულია იმ პირობებზე, რომელშიც ამ თუ იმ ორგანიზმს უწევს ცხოვრება. ცვალებადობის ამ სახეს საფუძვლად უდევს გენოტიპისა და სასიცოცხლო პირობების ურთიერთქმედება. ცვალებადობის მოდიფიკაციური სახისაგან არსებითად განსხვავდება მუტაციური ცვალებადობა; უკანასკნელის წარმმართველ ფაქტორებს წარმოადგენენ მუტაგენები, რომლებიც ორგანიზმში გენურ და ქრომოსომულ მუტაციებს განსაზღვრავენ. ბიოლოგიამ ძალიან დიდი ნაბიჯი გადადგა წინ ორგანიზმთა მოდიფიკაციური და მუტაციური ცვალებადობის ზუსტი მექანიზმის დადგენის საქმეში; ამ მიმართულებით მწყობრი თეორიაა შექმნილი. მაგრამ არის კი მასში რაიმე ფილოსოფიური?

მეორე მაგალითი. ანტიკური დროიდან მოყოლებული, ელინური ნატურფილოსოფიასა და ბუნებისმეტყველებას მტკიცედ სწამდა ქვეყნიერების სტრუქტურისა და მისი ცვალებადობის დემოკრიტესეული ინტერპრეტაცია. დემოკრიტეს მიხედვით საგნები და მოვლენები, არა-ცოცხალი და ცოცხალი ბუნება ატომებისგან არის აშენებული. ატომი ქვეყნიერების მარადიული და უცვლელი ელემენტია. მრავალსახიანობა



და ცვალებადობა, უნივერსუმის ამ კონცეფციის მიხედვით, ნიშნავს და გულისხმობს უცვლელი ელემენტების სხვადასხვანაირ კომბინაციას და კომბინაციის ნგრევა-შენებას — მის ქმნადობას. ეს თვალსაზრისი განუყოფლად ბატონობდა XIX საუკუნის დასასრულამდე. ჩვენი საუკუნის ფიზიკამ ბოლო მოუღო ამ შეხედულებას; დემოკრიტიკული „განუყოფელი“ მატერიის კიდევ უფრო ელემენტარული ნაწილაკების რთული კომბინაცია აღმოჩნდა. მთავარი ფაქტი, რომელიც XX საუკუნის ფიზიკამ დაადგინა და, რომელიც ამჯერად ჩვენი ინტერესის უმთავრეს ობიექტს წარმოადგენს, იმაში მდგომარეობს, რომ მატერიის არც ერთი ელემენტარული ნაწილაკთაგანი არ არის „უკვდავი“ და „უცვლელი“<sup>16</sup>. უდიდესი უმრავლესობა ახლად აღმოჩენილი ნაწილაკებისა ცოცხლობენ წამის რაღაც წარმოდგენლად მცირე ნაწილის განმავლობაში. მხოლოდ პროტონს, ელექტრონს, ფოტონს და ნეიტრონს შეუძლიათ იყვნენ უცვლელი და, მაშასადამე, უკვდავი, თუ თითოეული მათგანი ერთადერთი იარსებებდა ამ სამყაროში. მაგრამ, რამდენადაც ასეთი რამის რეალური შესაძლებლობა არ არსებობს, მათი ბუნებაც, მსგავსად სხვა ელემენტარული ნაწილაკებისა, უაღრესად დინამიურია. ამრიგად, მატერიის ელემენტარულ ნაწილაკთა მარადიული ქმნადობა და მათი ურთიერთ გარდაქმნა, აი, უტყუარი ფაქტი, რაც ჩვენი დროის ბუნებისმეტყველებამ დაადგინა. ამიტომ შეიძლება თანამედროვე ბირთვულ ფიზიკას ვუწოდოთ მატერიის „უმცირეს ნაწილაკთა“ ურთიერთგადასვლის, მათი მარადიული ცვალებადობის შესახებ მოძღვრება.

როგორც პირველი, ისე მეორე მაგალითიდან ჩანს (ასეთი მაგალითების რიცხვი შეიძლება დაუსრულებლად გაგვედიდებინა): თანამედროვე მეცნიერებები დეტალურად სწავლობენ არსებულის ამა თუ იმ რეგიონში მიმდინარე ცვალებადობის პროცესებს, ადგენენ მათ თავისებურებებს, ახდენენ მათ კლასიფიკაციას, იკვლევენ ამ პროცესების რთულ მექანიზმს და ა. შ. და ა. შ. ყველაფერი ეს სავსებით კანონზომიერია: ცვალებადობა უნივერსუმის საყოველთაო ნიშანია; მას ყველგან და ყოველთვის აქვს ადგილი და, ცხადია, სრულებითაც არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ მის შესახებ მეცნიერებანი სპეციალურ თეორიებს, მთელ მოძღვრებებს ქმნიან. მაგრამ ყოველივე ამაში არა გვეგონია ჭერ-ჭერობით რაიმე ფილოსოფიური იყოს. მასში უთუოდ არის ფილოსოფიისათვის საინტერესო მასალა, მაგრამ მხოლოდ მასალა. არსებულთა ცვალებადობის კვლევის კონკრეტულობაში არ უნდა დაგვეკარგოს მთავარი და არსებითი; მან თავისი კვლევის ობიექტის „სარკმელიდან“ უნდა შეხედოს ყოველივე ამას. ფილოსოფია, უმთავრესად და უწინა-

<sup>16</sup> გ. მიაკიშევი, ელემენტარული ნაწილაკები, მ., 1979.

რეს ყოვლისა, უნდა დაინტერესდეს საკუთრივ ცვალებადობის, როგორც ასეთის, შინაარსით. ცვალებადობის, როგორც ასეთის, არსი გახსნილი იქნება მხოლოდ მაშინ. თუ იგი (ფილოსოფია) ცვალებადობის ფენომენს, მისი სახეების კლასიფიკაციას მოახდენს და შეისწავლის იმისდა მიხედვით, თუ რა „წვლილი“ შეაქვს მას და მის სახეებს ყოფნის ფუნდამენტური ატრიბუტით პირობადებული უნივერსუმის საერთო სტრატეგიაში. სწორედ ეს უკანასკნელი უნდა იყოს, ჩვენი ღრმა რწმენით, ის ერთადერთი ორიენტირი, რითაც უნდა იხელმძღვანელოს ცვალებადობის ფილოსოფიურმა კვლევამ. ერთი სიტყვით, ქვეყნიერების ფუნდამენტური ტენდენციის თვალსაწიერიდან უნდა გაიშიფროს ცვალებადობის ფენომენის შინაარსი და, მაშასადამე, ამავე პრინციპითვე უნდა მოხდეს ცვალებადობის სახეთა დახასიათებაც.

აი სწორედ, ჩვენი კვლევა ცვალებადობისა და მისი სახეებისა ამ მიმართებით წარმართება. კვლევის ასეთი შემოსაზღვრა, ჩვენი აზრით, სრულ შესატყვისობაშია წინამდებარე მონოგრაფიის მთავარ ამოცანასთან: მას ხომ ყოფნისა და ცვალებადობის ურთიერთობის პრობლემა აინტერესებს? ცვალებადობის ფენომენის სხვა, თავისთავად საინტერესო დეტალები ჩვენთვის, ამჟერად. საინტერესო არ არის. საკითხის კვლევის ამ მიმართულებამ უნდა განსაზღვროს, ჩვენი აზრით, ცვალებადობის სახეთა კლასიფიკაციის საფუძველიც.

5. ისმება კითხვა: ცვალებადობის სახეთა კლასიფიკაციის ზემოთ მინიშნებული შესაძლებლობებიდან რომელი უფრო შეესაბამება ჩვენი კვლევის მიმართულებას? მკითხველი, ალბათ, დაგვეთანხმება თუ ჩვენი პასუხი იქნება ასეთი: რიგით მესამე შესაძლებლობა. ჩვენ გვაინტერესებს არა ის, თუ რა თავისებურება გააჩნია არსებულის რომელიმე რეგიონში მიმდინარე ცვალებადობის პროცესს, ცვალებადობის სუბიექტის მახასიათებლებიდან რომელი მათგანი — თვისება, სტრუქტურა, ფუნქცია ან სხვა რომელიმე ნიშან-თვისებათაგანი განიცდის ცვალებადობას, არამედ, ის, თუ რა „ემართება“ ცვალებადობის პროცესში მყოფ საგანს — ცვალებადობის სუბიექტს — წარმოიშობა თუ ისობა, გადადის ერთი თვისებრივი მდგომარეობიდან მეორეში და ა. შ. ე. ი. ჩვენ გვაინტერესებს თავად ცვალებადობის, როგორც ცვალებადობის შინაარსი, ცვალებადობის თითოეული სახე უნივერსუმის ფუნდამენტურ ტენდენციაში თავისი წვლილის შეტანის თვალსაზრისით. მართალია, ცვალებადობა, ცვალებადობის პროცესი, ყოველთვის და ყველა შემთხვევაში ცვალებადობის პროცესში მყოფი საგნებისა და მოვლენების მახასიათებელთა ცვალებადობის გზით ხდება, მაგრამ ფილოსოფიური კვლევისათვის მთავარია ის მექანიზმი და მისი ბუნება, რითაც თავად არსებულთა და მათი მახასიათებლების ცვალებადობა მიმდინარეობს.

პრობლემის ამგვარად გადაწყვეტის შეუძლებლობაში, რომელიც, ჩვენი აზრით, ყველაზე ახლოს უნდა იყოს ჭეშმარიტებასთან, მკითხველს არ შეიძლება არ დაებადოს შემდეგი კითხვა: როგორ მივიღეთ ამ მექანიზმამდე და რა პრინციპის ნიადაგზე დავადგინეთ მისი შემადგენელი ელემენტები? რამდენად სწორია ეს კითხვა? არის თუ არა ის კანონიერი? ასეთი კითხვის დაყენების ერთგვარი საფუძველი მართლაც არსებობს და იგი გარკვეულ სიძნელეს ქმნის. როგორ დავაღწიოთ მას თავი? სიძნელიდან გამოსასვლელად, ისევ და ისევ უმაღლეს ინსტანციას — უნივერსუმის ფუნდამენტურ ატრიბუტს — ყოფნას უნდა მივმართოთ. ყოფნის პორიზონტიდან უნდა შევხედოთ ცვალებადობის ცნების შინაარსს — მის ლოგიკურ ელემენტებს. ყოფნა-არყოფნის მიმნიშნებელი წარმოშობა-მოსპობის ტერმინებით გამოთქმულია არსებულთა ცვალებადობის ყველაზე რადიკალური სახეები. ეს გასაგებია; მაგრამ საიდან პოულობენ ცვალებადობის სხვა სახეები — ზრდა, შემცირება. სივრცეში გადაადგილება, თვისებრივი ცვალებადობა აჩსებობის უფლებას ცვალებადობის ცნების ლოგიკურ ელემენტთა შორის? კვლავ და კვლავ ყოფნის ფუნდამენტური ატრიბუტით! თვისებრივი და რაოდენობითი მახასიათებლები, რომლებიც ყოველ არსებულს ახლავს თან, გარკვეულობათა სახეებია, რომელთა ერთობლიობა არსებულს აქცევს იმად, რაც ის არის. ჩვენი ერთ-ერთი უმთავრესი ამოსავალი პრინციპის თანახმად ყოფნა არის „ამად ყოფნა“ — გარკვეულობა. თუ ეს ასეა, მაშინ, ერთი მხრივ, ყოფნასა და, მეორე მხრივ, გარკვეულობის სახეებს შორის შინაგანი და ორგანული კავშირია და, მაშასადამე, სრულებათაც არაა შემთხვევითი, რომ ცვალებადობის ცნების ლოგიკური შინაარსის ელემენტთა შორის არსებულთა თვისებრივი და რაოდენობრივი მახასიათებლების გამომთქმელი ტერმინები ფიგურირებენ. ეს მომენტიც, როგორც მკითხველი ხედავს, გასაგებია. მაგრამ როგორ დაისაკუთრა ცვალებადობის სახეთა გვერდით ადგილი არსებულთა სივრცეში განაცვლებამ? ხომ არაა იგი ამ სახეთა შორის შემთხვევით მოხვედრილი? ყოფნის ფუნდამენტური ატრიბუტი არისტოტელეს უნივერსუმის სხვა განსაზღვრულობებისაგან ცალკე არ გამოუყვია და აშკარად ყველაფრის ამხსნელ პრინციპად არ გამოუცხადებია. მაგრამ ის ფარულად, ღორმის პრინციპის სახით, სულ მუდამ დომინანტობს მის მეტაფიზიკურ კონსტრუქციაში. ამით უნდა აიხსნას, ჩვენი აზრით, ის გარემოება, რომ არისტოტელე ცვალებადობის სახეთა რაოდენობის დადგენისა და მათი კლასიფიკაციის შემთხვევაში, თავისი ღრმა ინტუიციით, მღუმაზრედ ეყრდნობა ყოფნის პრინციპს და სწორედ ამიტომ პოულობენ ამ კლასიფიკაციაში ადგილს არსებულის ისეთი განსაზღვრულობანი როგორცაა თვისებრიობა და რაოდენობრიობა. ამავე ინტუიციის ძალით ფი-

ვურიტებს, ალბათ, ცვალებადობის სახეთა შორის არსებულთა სივრცეში ადგილმონაცვლეობა, რამდენადაც ყოფნა არის და ნიშნავს აქტიურობას<sup>17</sup>, ხოლო სივრცეში მოძრაობა რომელსაც არისტოტელე მოძრაობა-ცვალებადობის ძირითად სახეთ თვლის<sup>18</sup> და ამიტომ დეტალურადაც იკვლევს, განსაზღვრული სახის აქტიურობაა.

რა „ემართება“ არსებულს ცვალებადობის პროცესში ყოფნის თვალსაზრისით? — აი, საიდან, რა პოზიციიდან უნდა მოხდეს ცვალებადობის ფენომენის სახეთა კლასიფიკაცია. ვითვალისწინებთ რა ზემოთ ნათქვამს, ჩვენ ძალაში ვტოვებთ ცვალებადობის სახეთა არისტოტელისეულ კლასიფიკაციას, ერთი კორექტივით: არისტოტელეს მიერ დასახელებული ცვალებადობის ექვს სახეს ჩვენ ვუმატებთ მეშვიდეს — განვითარების ფენომენის სახით. თუ ამ კორექტივს მივიღებთ მხედველობაში, მაშინ ჩვენ გვექნება ცვალებადობის შემდეგი სახეები: წარმოშობა, მოსპობა, ზრდა, შემცირება, თვისებრივი ცვლილება, სივრცეში გადაადგილება და განვითარება. რაც შეეხება ცვალებადობის უკანასკნელ სახეს — განვითარებას — არისტოტელესათვის იგი ცნობილია, მაგრამ არა იმ აზრით რა აზრითაც იგი პეგელის შემდეგ, ახალი და უახლესი ან, კიდევ, ჩვენი დროის ფილოსოფიურ ლიტერატურაში დამკვიდრდა. მთელი ემპირიული სამყარო, არისტოტელეს აზრით, თუ შეიძლება ითქვას, „პირველმატერიასა“ და „ფორმის ფორმას“ შორის დევს. ქვეყნიერება ამ ორი პრინციპის კონკრეტულ შეერთებათა საფეხურებრივ იერარქიას წარმოადგენს, რომელსაც არისტოტელე ხშირად განვითარების საფეხურებს უწოდებს; უკანასკნელნი, მსგავსად კიბის საფეხურებისა, ერთდროულად არსებობენ. ცხადია, ასე გაგებული განვითარება და მისი საფეხურები არ შეიძლება ცვალებადობის სახედ იქნას მიჩნეული. ამიტომ მან, სავსებით კანონიერად, ცვალებადობის სახეთა არისტოტელესეულ კლასიფიკაციაში ადგილი ვერ ჰპოვა.

ამრიგად, ჩვენ ზემოთ აღნიშნული კორექტივით, მიეყვებით დიდი სტაგირელის გზას და გვინდა ვაჩვენოთ, თუ როგორ ფუნქციონირებს თავისი „წვლილით“ თითოეული ზემოთ დასახელებული სახე ცვალებადობისა უნივერსუმის ფუნდამენტური ტენდენციის განხორციელებაში. ამ „წვლილის“ მინიშნება, ვფიქრობთ, მათი თავისებურებათა დახასიათებაც იქნება მათი ამ წვლილისა და თავისებურებების შესახებ.

<sup>17</sup> ამიტომ აღქურვა, ალბათ, არისტოტელემ ფორმის პრინციპი აქტიურობის ატრიბუტით.

<sup>18</sup> მოძრაობა-ცვალებადობის ამ სახეს, როგორც ძირითად სახეს, თვლის არისტოტელე ცვალებადობის სხვა სახეების, თუ შეიძლება ითქვას, პირობად. ამ შემთხვევაში მოძრაობა-ცვალებადობაზე იგი ლაპარაკობს აქტიურობის თვალსაზრისით. არისტოტელე აქ, ისე როგორც ბევრ სხვა შემთხვევაში, არ არის თანმიმდევრული და ამიტომ ნათელი.

§ 2. 1. წარმოშობა ცვალებადობის ერთ-ერთი საყოველთაოდ გავრცელებული სახეა, რომელიც მოსპობის ფენომენთან ერთად, ყველაზე ნაკლებად არის შესწავლილი. ფილოსოფოსთა შორის ძალზე ხშირად ვხვდებით გამოთქმებს ყოველი არსებულის მარადიული ცვალებადობის, ყველაფრის ნგრევა-შენების, მოსპობა-წარმოშობის შესახებ. დიალექტიკას საგანთა და მოვლენათა წარმოშობა-მოსპობის შესახებ მეცნიერებასაც კი უწოდებენ ხანდისხან. ყველაფერი თითქოს თავისთავად გასაგები და ნათელია: აბა რა უნდა იყოს საიდუმლო და გაუგებარი როცა ვლაპარაკობთ საგანთა და მოვლენათა წარმოშობა-მოსპობაზე? დუმს ამიტომ ჩვენი ლექსიკონები და სახელმძღვანელოები იმის თაობაზე, თუ რა არის წარმოშობა და მოსპობა. ყველაზე საგულისხმო, რაც შეიძლება კაცმა მოიგონოს წარმოშობა-მოსპობის ცნების შესახებ საკაცობრიო ფილოსოფიური აზროვნების ისტორიიდან, ეს არის არისტოტელეს გამოთქმა: წარმოშობა არის პროცესი არყოფნიდან ყოფნისაკენ, არარსებობიდან არსებობისაკენ, ხოლო მოსპობა კი, პირიქით, პროცესი ყოფნიდან არყოფნისაკენ, არსებულისაგან — არარსებულისაკენ<sup>19</sup>.

წარმოშობა-მოსპობის პრობლემასთან დაკავშირებით მრავალი გაშოცანა აღიმართება კეშმარიტების მაძიებელი გონების წინაშე. უწინარეს ყოვლისა, დგება საკითხი თავად წარმოშობის ფენომენის რაობის შესახებ: როგორ უნდა გამოვთქვათ მისი არსება ლოგიკურად? ამ კითხვას, როცა წარმოშობის ფენომენს კვლევის ობიექტად იხდიან, უმრავლეს შემთხვევაში, პასუხგაუცემლად ტოვებენ და კმაყოფილდებიან ბუნებრივი ინტუიციის მონაცემებით. მაგრამ ეს უკანანეული ხომ შეიძლება სხვადასხვანაირი იყოს? ცოდნა, რასაკვირველია, უნდა დაეყრდნოს ინტუიციას, მაგრამ დისკურსიასთან ერთად. საგნის არსების დაჭერა ორივეს სიმბიოზური თანამშრომლობით შეიძლება მხოლოდ. საპირისპირო ვითარებამ შეიძლება სუბიექტივიზმსა და გაურკვევლობაში გადაგვადგოს. ამიტომაც არის, რომ ცნება — წარმოშობა-მოსპობის უნაკლო, და ყველასათვის მისაღებ ლოგიკურ განსაზღვრებას ძნელად თუ შევხვდებით ფილოსოფიაში! სხვაგან კი, სად, რომელი მეცნიერების სფეროში უნდა მოვიკითხოთ წარმოშობის ფენომენის არსებისა და ფუნქციის შესახებ? ალბათ, არსად! ეს ერთი! შემდეგ, წარმოშობის ფენომენს როგორც სხვა ყველაფერს, უთუოდ თავისი არსებობის პირობები გააჩნია. მათი დადგენის გარეშე ჩვენ ვერ გავარკვევთ ვერც მის არსებას, ვერც იმ ფუნქციას, რომელსაც ის ასრულებს უნივერსულის ფუნდამენტურ ტენდენციაში. ფილოსოფიური აზროვნების ისტო-

<sup>19</sup> არისტოტელე, ტ. 3, წარმოშობისა და მოსპობის შესახებ, მ., 1981, გვ. 381—440.

რიაში ყოველთვის განსაკუთრებული სიმწვავეით იღვას და დღესაც დგას საკითხი იმის შესახებ, თუ რას ნიშნავს და რის წარმოშობაზე შეიძლება ლაპარაკი; ოდითგანვე ცნობილია, რომ არარაობისაგან არაფერი არ წარმოიშობა და არც არაფერი არ გადადის არარაობაში. თუ ამ ვითარებას მივიღებთ მხედველობაში, მაშინ რა უნდა ვიგულისხმოთ ახლის წარმოშობაში ან ძველის მოსპობა-გაქრობაში? როგორ ჩნდება, მაგალითად, რაიმე ნივთისაგან მისგან განსხვავებული, თუ ეს უკანასკნელი მასში იმთავითვე არ არის მოცემული? და, თუ მოცემულია, მაშინ ხომ ზედმეტია მის წარმოშობაზე ლაპარაკი? გამოდის, რომ რაიმეს წარმოშობა-მოსპობაზე ლაპარაკი შეცდომაა და უფრო სწორი იქნებოდა, მსგავსად ეშპედოკლესი, წარმოშობისათვის შეერთება, ხოლო მოსპობისათვის განცალკევება გვეწოდებინა. შემდეგ. წარმოშობა-მოსპობის ტრადიციულ გაგებაში არსებითი კორექტივი შეიტანა თანამედროვე ბუნებისმეტყველების, განსაკუთრებით XX საუკუნის ფიზიკამ. თუ უწინ, ტრადიციული წარმოდგენის თანახმად, წარმოშობა-მოსპობა, უმთავრესად და უმეტეს წილად ნიშნავდა სამყაროს საწყის ელემენტთა შეერთება-დაშლას, ჩვენი დროის ფიზიკის მონაცემების მიხედვით. მიკროარსებები „იშლება“ ისეთ ელემენტებად, რომლებიც სრულებითაც არ არსებობენ გამოსავალ საწყის ელემენტში; ან კიდევ, ესა თუ ის მიკრონაწილაკი, რომელსაც განსაზღვრული მასა გააჩნია, ისპობა და გარდაიქმნება ისეთ ელემენტებად, რომლებიც მოკლებულნი არიან უძრავობის მასას! რას ნიშნავს პირველ შემთხვევაში წარმოშობა, ხოლო, მეორე შემთხვევაში მოსპობა და რა პირობების ნიადაგზე არის შესაძლებელი ასეთი გარდაქმნა-ცვლადობა? საუკუნეების განმავლობაში გამოუცნობ პარადოქსად ჩანდა და ჩანს დღესაც საგანთა წარმოშობა-მოსპობის ერთიანობა, მათი ურთიერთ დადგენა სამყაროს მარადიული ქმნადობის ერთიან პროცესში.

კიდევ მრავალი სხვა გამოცანა წამოიჭრება ადამიანის გონების წინაშე წარმოშობა-მოსპობის პრობლემასთან დაკავშირებით. ყველა ეს და სხვა ანალოგიური საკითხი ძალზე საინტერესო საკითხებია, რომელთა დეტალური გამოკვლევა ცვლადობის თეორიის პირველხარისხოვან და გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენს. აქ კი, ჩვენი კვლევის ძირითად მიმართულებასთან კავშირში, ზოგიერთ მათგანზე ძალზე ზოგადად და სქემატურად შევიჩერდებით.

პირველ რიგში გვინდა მკითხველის ყურადღება მივაპყროთ ერთ საინტერესო და რთულ პრობლემას, რომელიც ოდითგანვე იწვევდა ფილოსოფოსთა ინტენსიურ ინტერესს და რომლის გარშემო, უძველესი დროიდან დღემდე, ცხარე კამათი მიმდინარეობს. საკითხი ამ შემთხვევაში ენება იმას, თუ რის წარმოშობაზე შეიძლება ვილაპარაკოთ, სხვანაირად რომ ვთქვათ, რა ექვემდებარება წარმოშობა-მოსპობის.

პროცესს? არსებულთა წარმოშობა-მოსპობის, მათი მარადიული ქცევა-დობის უცილობელმა ფაქტმა მისცა სწორედ იმპულსი ადამიანის გონებას ეძია ისეთი არსებული, რომელიც წარმოშობა-მოსპობის პროცესის მიღმა დგას და ამ უკანასკნელს არ ექვემდებარება? თუ საგანთა საფუძვლის ძიება კანონიერია, მაშინ რა ხასიათის უნდა იყოს იგი? ან ეს მოთხოვნა არ არის სამართლიანი და მაშინ ფილოსოფიამ ხელი უნდა აიღოს საგანთა დასაბამის ძიებაზე და ეს ნიშნავს საკუთარ არსებობაზედაც უარის თქმას; ან, თუ, როგორც ითქვა, მოთხოვნა კანონიერია, მაშინ როგორი ბუნებისა უნდა იყოს საგანთა საფუძველი? უთუოდ უცვლელი და მარადიული; ყველაფრის პირველი საფუძველი არ შეიძლება არც წარმოიშვას და არც მოისპოს; ის არ ექვემდებარება ქმნადობის ულმობელ კანონს. ევროპული ფილოსოფიის გარეყრაზე ფილოსოფოსებს სწამდათ საგანთა ასეთი საყოველთაო საფუძვლის არსებობა. ყველაზე რადიკალური სახით, ეს დიდი ქეშმარიტება პლატონამდე და არისტოტელემდე პარმენიდემ გამოთქვა და თავისებური არგუმენტაციით დაასაბუთა კიდევაც მისი სრული ქეშმარიტება. ეს თვალსაზრისი შემდეგ, ევროპულ ფილოსოფიაში თითქმის ყველა ფილოსოფოსმა გაიზიარა. განა ასეთი მარადიული არსებობა არ გააჩნია ყველა საყოველთაოს, დაწყებული თაღისის წყლით და ანაქსაგორას ნუსით, დამთავრებული თანამედროვე ფილოსოფიის ძირითად მიმდინარეობათა მიერ აღიარებული ქვეყნიერების ყველაზე უფრო დახვეწილი იდეალური და მატერიალური საწყისებით? თაღისის წყალი, როგორც საგანთა დასაბამი, თავის თავთან მუდამ იგივეობრივი რჩება; ის არც წარმოიშობა და არც ისპობა. მაშ, რას ნიშნავს უკანასკნელი? წყლისაგან მისი შესქელება გათხელების გზით საგანთა წარმოშობა-მოსპობას! ანაქსიმანდრეს უსაზღვრო, მიუხედავად მისი მარადიული ქცევადობისა, მუდამ თავის თავის ტოლია; აპეირონის უმცირესი რაოდენობით გაქრობა ან წარმოშობა მთლიანად სამყაროს გაქრობა-წარმოშობის მომასწავებელი იქნებოდა. მაშ, რას გულისხმობს ანაქსიმანდრე საგანთა წარმოშობა-მოსპობაში? საგნის წარმოშობა აპეირონისაგან მის გამოყოფას, გამოცალკეებას ნიშნავს. საგნები და მოვლენები, დროის განსაზღვრული ინტერვალის შემდეგ ისევ უსაზღვროში შთაინთქმებიან; განუყოფელის მარადიულობის პრინციპს თავგამოდებით იცავდა ბერძნული ატომისტიკა და მისი მემკვიდრეები; წარმოშობა-მოსპობის პროცესი საგანთა საწყისს — ატომებს აღარ ეხება. მაშ, რა ექვემდებარება წარმოშობა-მოსპობის ულმობელ კანონს? საგნები, ატომისტიკის მიხედვით, ატომთა სხვადასხვანაირი კომბინაციაა. აი სწორედ მათი ეს კომბინაცია ჩნდება და ქრება, წარმოიშობა და ისპობა. სამყარო ამიტომაც არის მარადიული ქმნადობის პროცესში.

საწყისის მარადიულობის პრინციპს იცავდა ჰერაკლიტე; მიუხედავად ამისა, მისი ცეცხლი მარადიულ ქცევადობაშია, ხოლო წარმოშობა-მოსპობა — ამ ქცევადობის აუცილებელი მომენტები.

საგანთა საწყისის მარადიულობის პრინციპი კიდევ უფრო ფართო გაგებით — თვისებრივი თვალთახედვითაც, — ბოლომდე მკაცრად გატარდა ელინურ მეტაფიზიკაში. ბერძნულ ფილოსოფიაში, მის კლასიკურ პერიოდამდე, გამოუცნობი რჩებოდა საგანთა თვისებრივი მრავალფეროვნების წყარო და საფუძველი. როგორ ჩნდებიან თავისი არსებით საგანთა ერთნაირი დასაბამისაგან თვისებრივად სრულიად განსხვავებული საგნები? ან რა ემართებათ მათ მოსპობა-გაქრობის შემთხვევაში? სხვანაირად, რომ ვთქვათ, სანამ საგანთა თვისებრივი განსხვავების ერთადერთ საფუძველად საწყისთა რაოდენობრივი კომბინაცია არის გამოცხადებული, მანამ იღუმალების ბურუსში არის უთუოდ გახვეული საგანთა მრავალფეროვნების წარმოშობა-მოსპობის საკითხი. აქ ბერძნულმა მეტაფიზიკამ კიდევ ერთი გადაწყვეტი ნაბიჯი გადადგა წინ: პოსტულირებულ იქნა საგანთა თვისებრივი გარკვეულობის მარადიულობაც. პლატონმა „ნამდვილად არსებულთა“ აბსოლუტური მარადიულობა აღიარა. იდეები, პლატონის მეტაფიზიკაში არ ჩნდებიან და არ ქრებიან; მათი ხვედრი ზედროულობაა. ამიტომაც არის, რომ პლატონისეული „ნამდვილი სინამდვილის“ სამეფოში ცვალებადობის ფენომენი ყველა მისი სახით, მათ შორის წარმოშობა-მოსპობით, ვერავითარ მეტაფიზიკურ გამართლებას ვერ პოულობს. არისტოტელე შეეცდება უფრო ახლოს მივიდეს ემპირიულ სინამდვილესთან — ბუნებასთან და ახსნას მისი ამგვარად მანიფესტაციის ფაქტი. მაგრამ არც ერთი პრინციპი, რომელთაც ის ქვეყნიერების ასახსნელად იყენებს, წარმოშობა-მოსპობის კანონს არ ექვემდებარება. მატერია მარადიულია: მისი რაოდენობა სამყაროში არც მატულობს და არც კლებულობს. მარადიულია თვით ფორმაც, რომელიც აფორმებს მასალას და ყოველ არსებულს არსებობის საგზურს აძლევს. წარმოშობა-მოსპობის პრინციპს მხოლოდ ემპირიული საგნები ექვემდებარებიან, რომლებიც მასალისა და ფორმის კონკრეტულ-დროულ ერთიანობას წარმოადგენენ.

საგანთა სუბსტრატის მარადიულობის პრინციპი, რომელიც ძველი ელადის მეტაფიზიკამ შეიმუშავა, საკაცობრიო ფილოსოფიური აზროვნების უთუოდ დიდი მონაპოვარია<sup>20</sup>. ახალი და უახლესი დროის მეც-

<sup>20</sup> რაც შეეხება საგანთა თვისებრივი მრავალსახიანობის განმსაზღვრელი პრინციპის პრობლემას, რომელიც ბერძნული ფილოსოფიის კლასიკურ ხანაში პლატონისა და არისტოტელეს მიერ (პირველთა იდეის, მეორესთან ფორმის მარადიულობის სახით) იქნა შემუშავებული. ჩვენ აქ სპეციალური კვლევის საგნად არ ვხდით. აქ მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ ამ არასწორი თვალსაზრისის შექმნას მნიშვნელოვანწილად ელინურ ფილოსოფიაში გაბატონებულმა მექანიციზმის პრინციპმა შეუწყო ხელი.



ნიერებამ ექსპერიმენტულად დაადასტურა ათეული საუკუნის წინათ გამოთქმული საგანთა დასაბამის მარადიულობის იდეის სრული კეშმარიტება. არისტოტელეს სიტყვებით რომ ვთქვათ არ არსებობს არაფერი, რომელიც შეიძლება მთლიანად მოისპოს ან წარმოიშვას; ყველაფერი რაღაცისაგან წარმოიშვება და რაღაცაში გადადის<sup>21</sup>. ერთი სიტყვით, საგანთა არხე, საყოველთაო, არ ექვემდებარება წარმოშობა-მოსპობის პრინციპს. უპირობო და საყოველთაო, თავისი ცნების მიხედვით, არის ის, რასაც თავისი არსებობის პირობა და საზღვარი თავის გარეთ არა აქვს და, მაშასადამე, თავისი არსებობის საფუძველს თავის თავში შეიცავს. ასეთი არსება ყოველგვარი წარმოშობა-მოსპობის მიღმა დგას. მაშ რა წარმოიშობა და რა ისპობა? წარმოიშობიან და ისპობიან სასრულო არსებანი; ცვალებადობა უკანასკნელთა წარმოშობა-მოსპობის, მათი მეტამორფოზის დაუბოლოებელი პროცესია. ჩვენ ვამბობთ მზის სისტემის წარმოშობაზე, სიცოცხლის წარმოშობის შესახებ, ამა თუ იმ სოციალური სისტემის ჩამოყალიბებაზე და ა. შ. და ა. შ. ყველა, ამ, და სხვა ანალოგიურ შემთხვევაში სრულიად განსაზღვრული პირობების არსებობა იგულისხმება: მზის სისტემის წარმოშობას წინ უსწრებს ნივთიერებისა და ენერჯიის გარკვეული ფორმით არსებობა, რომლის გარეშე ამ კონკრეტულ შემთხვევაში, მატერიის ევოლუცია და მისგან მოცემულ რეგიონში მზის სისტემის სახით ჩამოყალიბება სრულიად გაუგებარი იქნებოდა. იგივე ითქმის უკლებლივ ყველა სასრულო არსებულთა წარმოშობა-მოსპობის შესახებ. ყველაფერი ეს დღესავით ნათელია. მაგრამ თუ ეს ასეა, თუ რაიმეს წარმოშობა-მოსპობა არსებულის მეტამორფოზს — სხვაში გადასვლას ნიშნავს და, როგორც ითქვა, იგი არასდროს არ შეიძლება იყოს რაიმეს წარმოშობა-გაქრობა ამ ტერმინთა პირდაპირი და აბსოლუტური მნიშვნელობით, მაშინ როგორ უნდა გავიგოთ რაიმესაგან განსხვავებული „სხვის“ წარმოშობა? რა აძლევს ამ რაიმეს, რომელიც წარმოიშვა სხვისგან სხვად ყოფნის შესაძლებლობას? სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, როგორ ჩნდება საგანთა ნგრევა-შენების პროცესში ახალი? ჩვენ ყველაზე უფრო მეტად, სწორედ, ეს პრობლემა გვაინტერესებს.

ზემოთ ვახსენეთ სიცოცხლის წარმოშობა. თანამედროვე ბუნებისმეტყველების მონაცემების თანახმად სიცოცხლე არ წარმოშობილა ცარიელ ადგილას. ის მატერიის ევოლუციის სრულიად განსაზღვრულ საფეხურზე წარმოიშვა. როგორ და რა გზით? ამ მეტად საინტერესო კითხვაზე პასუხი ფილოსოფიას უშუალოდ არ აინტერესებს. ბუნებისმეტყველების მთელი რიგი დარგები ამ კითხვის გარშემო დაძაბულად მუშაობენ. სიცოცხლის წარმოშობის საიდუმლოებათაგან ბევრი ამოც-

<sup>21</sup> არისტოტელე, ტ. 3, მ., 1981, გვ. 389.

ნობილია, ბევრი ჭერაც გაუხსნელი რჩება. მაგრამ ეს არაა მთავარი. მთავარი და არსებითი, რომელიც ჩვენ ამჟამად გვაინტერესებს, მდგომარეობს იმაში თუ როგორ გაჩნდა ახალი — სიცოცხლის სახით — არაცოცხალისაგან, თუ უქანასკნელში პირველი რალაცნაირად იმთავითვე არ იმყოფებოდა? თუ ორგანული არაორგანულში თავიდანვე იყო, მაშინ, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, წარმოშობის ნამდვილობაზე ლაპარაკი ზედმეტია. მაგრამ, თუ ეს ასე არ არის, თუ სიცოცხლე, მართლაც, ახალი რამ არის არსებულთა შორის და მისი „თესლი“ არც ერთ ფორმაში არ არსებობდა თავად სიცოცხლის წარმოშობამდე, მაშინ უნდა დავუშვათ, რომ იგი წარმოშობილია არარაობისაგან. მაგრამ, ეს ხომ სასწაულია, რომელიც არ თავსდება მეცნიერების საუფლოში? ასეთი შესაძლებლობის დაშვებას, ძველი ბერძნები, საღი და ბუნებრივი ინტუიციის ნიადაგზე, სავსებით კანონიერად უარყოფდნენ<sup>22</sup>.

<sup>22</sup> საკითხი, რომელიც აქ არის დაყენებული. ოდითგანვე აწუხებს ადამანის მუთუ-თვარე გონებას და დღესაც მისი ცხოველი ინტერესისა და ცხარე კამათის ობიექტს წარმოადგენს. მრავალი სხვადასხვა თვალსაზრისი წარმოიშვა ფილოსოფიური აზროვნების ისტორიაში აღნიშნულ პრობლემასთან დაკავშირებით, ერთ-ერთი თვალსაზრისის მიხედვით (პრეფორმიზმი) სამყაროში ახალი არაფერი არ წარმოიშობა; და თუ ცვალებადობის ფაქტი არსებობს, ეს სხვა არაფერს ნიშნავს, თუ არა რაოდენობრივ ცვალებადობას, უკვე არსებულის ზრდა-შემცირებას. ახალმა დრომ პრეფორმიზმის კონცეფცია აშკარად მიუღებელი გახადა. უამრავი ფაქტობრივი მასალის საფუძველზე, რომელიც სხვადასხვა მეცნიერებაში, განსაკუთრებით ბიოლოგიის სფეროში დაგროვდა, დასაბამი მისცა ახალ კონცეფციას — ტრანსფორმიზმს. ახლა უკვე აღარაფერ არ იზიარებდა სამყაროს, კერძოდ, ორგანული ბუნების უცვლელობის იდეას. ევოლუციონიზმის იდეა მტკიცედ დამკვიდრდა მეცნიერებაში. მაგრამ კამათი მაინც არ შეწყვეტილა, პირიქით, უფრო გამწვავდა. განსაკუთრებით გამწვავდა იგი ორი მიმართულებით: ახლის წარმოშობის მექანიზმისა და მისი წარმართველი ძალის საკითხთან დაკავშირებით. ახლის წარმოშობის მექანიზმის საკითხთან დაკავშირებით მრავალი სხვადასხვა თვალსაზრისი დაუპირისპირდა ერთმეორეს — მექანიცისტური ევოლუციონიზმი, „შემოქმედებითი ევოლუცია“, ემერჯენტ თეორია, დიალექტიკური თეორია. კიდევ უფრო მწვავე ხასიათი მიიღო ახლის წარმოშობის წარმართველი ძალის საკითხთან დაკავშირებით გამართულმა კამათმა. ღმერთი, „ლტოლვა მთლიანობისაკენ“ („პოლოზმი“), ნიუტონი, „ლტოლვა სიცოცხლისაკენ“, „შემოქმედებითი ძალა“ — აი, არასრული სია ახლის წარმოშობის მამოძრავებელი ძალებისა, რომელიც ახალი და უახლესი დროის ბერეუაზიულმა ფილოსოფიამ წამოაყენა. პრობლემა, როგორც ჩანს, მეტად რთული და საინტერესოა; იგი დამოუკიდებელ კვლევას მოითხოვს (მკითხველს აღნიშნულ პრობლემასთან დაკავშირებით შეუძლია მიმართოს ა. ბოგომოლოვის გამოკვლევა: „განვითარების იდეა ბერეუაზიულ ფილოსოფიაში“, მ., 1962).

წინამდებარე შრომის ავტორი განვითარების მექანიზმის საკითხთან დაკავშირებით, დიალექტიკის თეორიას იზიარებს, ხოლო მისი მამოძრავებელი ძალის გაგებაში უნივერსუმის ფუნდამენტური ატრიბუტის და მით პირობადებული ტენდენციის კონცეფციიდან გამოდის.

ზემოთ ჩვენ მოვიტანეთ წარმოშობა-მოსპობის ფენომენთა არისტოტელესეული დახასიათება. ჩვენ ვფიქრობთ, რომ იგი ყველაზე კარგად და ამასთან ნათლად გამოთქვამს ცვალებადობის ამ სახეებში მთავარსა და არსებითს და, რაც მთავარია, ყველაზე მარჯვედ არის მორგებული ჩვენი კვლევის მთავარ მიმართულებასთან; როგორ უნდა შეფასდეს, ამ მხრივ, წარმოშობის ფენომენი? თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ წარმოშობა ესაა არსებულის (საყოველთაოს) ცვალებადობა არყოფნიდან ყოფნისაკენ, — ახალი თვისებრივი მახასიათებლების მქონე არსების გამოჩენა ყოფნის სარბიელზე, ცხადია, ეს ნიშნავს იმას, რომ ქვეყნიერება არსებობის ახალი ფორმით გამდიდრდა, მის მრავალფეროვნებას კიდევ ახალი ინდივიდი — ეგზემპლარი შეემატა და, მაშასადამე, კიდევ უფრო მრავალსახიანი გახდა. კიდევ მივმართოთ სიცოცხლის მაგალითს. თანამედროვე ბუნებისმეტყველება ამტკიცებს, რომ იგი ჩვენს პლანეტაზე ყოველთვის არ არსებობდა; სიცოცხლე დედამიწის გეოლოგიური ევოლუციის განსაზღვრულ საფეხურზე წარმოიშვა. მისი წარმოშობა, ცხადია, უნივერსუმის ბინადართა კიდევ ერთი ნაირსახეობით გამდიდრებას ნიშნავდა. საყოველთაოს არსებობის წესი მისი სიმრავლის სახით არსებობაა, და, მაშასადამე, არსებულთა არსენალის ახალ-ახალი ფორმებით გამდიდრება თავად მისი საკუთარი ყოფნის დაფუძნებას ნიშნავს; ამ პროცესს, პირველ რიგში, წარმოშობის ფენომენი ასრულებს.

როგორ აკეთებს ამას მისი ანტიპოდი — გაქრობა (მოსპობა)? რაიმე არ იყო — წარმოიშვა, გაჩნდა; რაიმე იყო, არსებობდა — გაქრა, მოისპო; ორივე შემთხვევაში არსებულში მიმდინარე რადიკალურ ცვლილებებთან გვაქვს საქმე და, მაშასადამე, ორივე — წარმოშობაც და მოსპობაც — ცვალებადობის ფენომენის ტიპური სახეებია; ამაში არავითარი ეჭვის შეტანა არ შეიძლება. მაგრამ როგორ ემსახურება მოსპობა (განადგურება) არსებულთა ახალი სახეებით გამდიდრებას, მათ გამრავალფეროვნებას? ქმნადობა ყოფნიდან არყოფნისაკენ იმას ნიშნავს, რომ რაიმე დროის გარკვეულ მომენტამდე არსებობდა, განსაზღვრული მომენტის შემდეგ კი წყვეტს თავის არსებობას; რაიმე არსებულის მიერ არსებობის შეწყვეტა, მისი გადასვლა ყოფნიდან არყოფნაში, რასაკვირველია იმას ნიშნავს, რომ უნივერსუმს ერთი არსება — სახე არსებულისა დააკლდა, ე. ი. კი არ გამდიდრდა ქვეყნიერება, როგორც ამას ყოფნის ატრიბუტით პირობადებული მისი ფუნდამენტური ტენდენცია გულისხმობს, არამედ პირიქით, და, მაშასადამე, ცვალებადობის ეს სახე უთუოდ კოლიზიაში მოდის უკანასკნელთან. ეს კი შეუძლებელია. არ არსებობს და არ შეიძლება უნივერსუმს გააჩნდეს ისეთი მახასიათებელი, რომელიც სრულ სიმბიოზში არ იქნება

მის ფუნდამენტურ ტენდენციასთან. თუ ასეთი რამ არსებულთა მახასიათებლებს შორის შემთხვევით გამოჩნდება, მან არ შეიძლება დიდხანს გაისაძღოს; ადრე თუ გვიან იგი უთუოდ უნდა გაქრეს ყოფნის სარბიელიდან. მოსპობა, ჩვენი ღრმა რწმენით, სრულებითაც არ არის ასეთი შემთხვევითი ფენომენი; მის გარეშე, ყოფნის ერთ-ერთი ფუნდამენტური კანონის თანახმად, თავად წარმოშობის აქტიც შეუძლებელი იქნებოდა. ამიტომაც სრულებითაც არ იქნებოდა პარადოქსული თუ ვიტყვით, რომ წარმოშობა-მოსპობა, როგორც ცვალებადობის სახეები, მართალია, სრულიად საპირისპირო ნიშნებით ხასიათდებიან, მაგრამ მათი როლი და ფუნქცია უნივერსუმის საერთო სტრატეგიაში სავესებით ეკვივალენტურია. ცვალებადობის პროცესში წარმოშობა-მოსპობის შინაგანი ერთიანობის უეჭველი ფაქტი ფილოსოფიურ სიმალლეზე ჯერ კიდევ ჰერაკლიტემ გააცნობიერა. „ცეცხლი ცოცხლობს ჰაერის სიკვდილით, ჰაერი კი ცეცხლის სიკვდილით; წყალი მიწის სიკვდილით ცოცხლობს, მიწა — წყლის სიკვდილით“, — ამბობს ჰერაკლიტედან ჩვენამდე მოღწეული ერთი ფრაგმენტი<sup>23</sup>. ერთი სიტყვით, ეს ორგანული კავშირი წარმოშობა-მოსპობას შორის იმაში გამოიხატება, რომ ყოველი წარმოშობა თავის საფუძველში იმავდროულად არაა მოსპობა და ყოველი მოსპობა—წარმოშობა. მათ შორის დროული ზღვარის გაყვანა შეუძლებელია. საწინააღმდეგოს დაშვება სამყაროში აბსოლუტური წარმოშობა-მოსპობის მომასწავებელი იქნებოდა. მართლაც, რას ნიშნავს რაიმეს წარმოშობა? განსაზღვრული ენერჯის (აქტიურობის) ბაზაზე ნივთიერების გარკვეული ელემენტების სტრუქტურული კავშირის შექმნას! როდის არის ასეთი პროცესი შესაძლებელი? მხოლოდ მაშინ, თუ ამ პროცესის შესაბამისად და მის პარალელურად მიმდინარეობს ახალი არსების არსებობის დაფუძნებისათვის საჭირო „საშენი მასალის“ წარმოქმნა, რომელიც ყოველთვის და ყველა შემთხვევაში, რაღაც სხვა არსების (თუ არსებულის) მოსპობასა და განადგურებას ნიშნავს; უკანასკნელი სულ მუდამ აუცილებელია, რამდენადაც აბსოლუტურად თავისუფალი „საშენი მასალა“, რომელიც აღარ არის სხვა არსებულის ნაწილი ან სხვა რაიმესაგან წარმომდგარი, სამყაროში არ არსებობს. ერთი სიტყვით, სიცოცხლისაკენ (წარმოშობისაკენ) მიმავალი გზა სიკვდილის ტერიტორიაზე გაივლის და, პირიქით, სიკვდილისაკენ (მოსპობისაკენ) მიმავალმა გზამ სიცოცხლის საუფლოში უნდა გაიაროს. აი, სწორედ წარმოშობა-მოსპობის ურთიერთ დადგენის ეს პროცესი აპირობებს ცვალებადობის დაუბოლოვებელ ხასიათს, უნივერსუმისა და მისი ცალკეული რეგიონების მარადიულ ქცე-

<sup>23</sup> უ. გათრი, ბერძენი ფილოსოფოსები, თბ., 1983, გვ. 61. თარგმანი: გ. ნოდიასი.

ვადობას. ეს იმას ნიშნავს, რომ წარმოშობა-მოსპობის პროცესი ერთნაირად მონაწილეობს უნივერსუმის ფუნდამენტურ ტენდენციაში და ორივეს ერთად სავსებით ტოლფასოვანი „წვლილი“ შეაქვს მასში. ქვეყნიერების გამრავალფეროვნების პროცესში ცვალებადობის ამ საპირისპირო სახეთა ეკვივალენტურობა, მათი შინაგანი, ორგანული ერთიანობა განსაკუთრებული რელიეფურობით ვლინდება ელემენტარული ნაწილაკების არსებობის წესში: ერთის მოსპობა მეორის დაბადებას ნიშნავს და, პირიქით; ისე, რომ საქმე გვაქვს ენერჯისა და ნივთიერების მუდმივობის ყველა წესის უმკაცრესი დაცვით, არა უკვე არსებული ელემენტების შეერთება-დაშლასთან, არამედ „ნამდვილ გარდაქმნასთან“<sup>24</sup> და, მაშასადამე, მიკროსამყაროს თვისებრივად სრულიად ახალი არსებებით გამდიდრებასთან.

2. რაიმეს ყოფნა, კვლავ ვიმეორებთ ჩვენ მრავალჯერ ნათქვამს, პირველ რიგში, არის და ნიშნავს ამგვარად ყოფნას, ასეთი და ასეთი გარკვეულობის (ინდივიდუალობის) ფლობას. საგანთა და ხთომილობათა „ამად ყოფნას“ ფუნდამენტურ მახასიათებელთა მთელი კომპლექსი ქმნის. უკანასკნელთა შორის პირველხარისხოვანი ადგილი უჭირავთ თვისებრივ და რაოდენობრივ განსაზღვრულობებს. ბუნებრივია, ამიტომ ცვალებადობის სახეთა შორის, არისტოტელეს დროიდან დღემდე, უცვლელად ფიგურირებენ თვისებრივი და რაოდენობრივი ცვლილებები.

არისტოტელემ თავის შრომებში საკმაოდ ვრცლად და დეტალურად გადმოგვცა ცვალებადობის ამ სახეთა ბუნება, ანალიზი გაუკეთა არსებულთა თვისებრივ ცვლილებებს მათი კერძო შინაარსის მიხედვით; მანვე რაოდენობრივი ცვლილებები ორ დიდ ქვესახედ (გადიდება-შემცირება) დაყო და კონკრეტული მაგალითების ბაზაზე მოგვცა მათი დახასიათება. თავის გამოკვლევაში არისტოტელემ ცვალებადობის ამ სახეთა ურთიერთობაზედაც მიუთითა, აღნიშნა, რომ ისინი ერთიმეორისაგან იზოლირებულად არ მიმდინარეობენ. მაგრამ ეს მხოლოდ მიხედვით იყო ცვალებადობის ფენომენის შესახებ მის საერთო კონცეფციაში. არისტოტელესდროინდელი ბუნებისმეტყველების განვითარების დონე თვისებრივ და რაოდენობრივ ცვლილებებს შორის კავშირის საფუძვლიანი კვლევის საშუალებას არ იძლეოდა; მაგრამ ყველაფერი ის, რაც არისტოტელემ გააკეთა, საქმის დასაწყისისათვის სავსებით საკმარისი იყო. ინტენსიური და საფუძვლიანი კვლევა-ძიება ამ მიმართულებით, კერძო მეცნიერებათა ძალოვანი განვითარების ნიადაგზე, ახა-

---

<sup>24</sup> ფიზიკოსები ამ გამოთქმას ხშირად ხმარობენ, როცა სურთ მიანიშნონ სამყაროს „საშენი მასალის“ — ელემენტარული ნაწილაკების — ცვალებადობის თავისებურება.

ლი დროის ფილოსოფიაში გაიშალა. ამ მხრივ ყველაზე მეტ ყურადღებას იმსახურებს და საკითხების გამოკვლევაში ახალ საფეხურს ქმნის ჰეგელის ფილოსოფიური სისტემა. ჰეგელის შემდეგ საკმაოდ ნაყოფიერი მუშაობა ამ მიმართულებით ჩატარდა მარქსისტულ ფილოსოფიაში. ეს უკანასკნელი ვითარება, ჩვენი აზრით, ქმნის საკმაო საფუძველს იმისათვის, რომ გავათავისუფლოთ წინამდებარე შრომის ეს მონაკვეთი რიგი საკითხების გადმოცემისაგან. როგორც აქამდე, მთავარ ყურადღებას კვლავ ჩვენი კვლევის ძირითად მიმართულებას მივაქცევთ.

უწინარეს ყოვლისა, თვისებრივი და რაოდენობრივი ცვლილებების სტატუსის შესახებ. ის ფაქტი, რომ საგნები და მოვლენები თვისებრივ ცვალებადობას განიცდიან და რომ ცვალებადობის ამ სახეში ცვალებადობის ფენომენი საკმარისი სისრულით არის გამოვლენილი, ამაში დაეჭვება არ შეიძლება. საეჭვო არ არის ის გარემოებაც, რომ არსებულთა თვისებრივ ცვალებადობას უაღრესად დიდმნიშვნელოვანი „წვლილი“ შეაქვს საყოველთაო ინდივიდუალების, მისი გამრავალფეროვნების პროცესში და, ამდენად, დიდი და შეუწავლელია ცვალებადობის ამ სახის როლი და ფუნქცია უნივერსუმის ფუნდამენტურ ტენდენციაში. უაღრესად მრავალფეროვანია საგანთა, ხდომილობათა თვისებრივი ცვალებადობის ფორმები; მათ მრავალი სხვადასხვა დეტერმინანტი აქვთ და აპირობებთ. მეცნიერული ცოდნის სისტემაში თვისებრივ ცვალებადობათა საფუძვლების ძიებას ერთ-ერთი პირველი ადგილთაგანი უკავია. როგორც აღინიშნა, შედარებით კარგად არის დამუშავებული მარქსისტულ ფილოსოფიურ ლიტერატურაში ცვალებადობის ამ სახის ფილოსოფიური პრობლემები. ამიტომ მის შესახებ აქ სპეციალურად არ შევჩერდებით. უფრო მეტ ყურადღებას ჩვენ გავამახვილებთ ცვალებადობის იმ სახეზე, რომელიც რაოდენობრივი ცვალებადობის სახელწოდებით არის ცნობილი და რომლის სახეებად არისტოტელემ დაასახელა გადიდება და შემცირება<sup>25</sup>.

დაუსრულებლად შეიძლება მაგალითების მოყვანა ცვალებადობის ამ სახეთა საილუსტრაციოდ. მათ რეალობაში ექვის შეტანა შეუძლებელია. ექვს იწვევს და, ამ შემთხვევაში, პრობლემური ხდება ცვალებადობის ამ სახეთა „წვლილი“ უნივერსუმის საერთო ტენდენციაში. როგორი ღირებულება გააჩნიათ მათ და რა ფუნქციას ასრულებენ ისინი

---

<sup>25</sup> ტერმინები გადიდება და შემცირება არ უნდა აეუროთ ზრდა-განლევასთან. არისტოტელე ამ ტერმინების ორივე წყვილს ხმარობს, მაგრამ განსხვავებული მნიშვნელობით. ყოველი ზრდა, ცხადია, არის გადიდება და ყოველი განლევა შემცირება. მაგრამ პირიქით არ შეიძლება ითქვას, რამდენადაც ზრდა და განლევა ორგანულ არსებებთან არის დაკავშირებული. პირობით შეიძლება ითქვას, რომ „ქვა იზრდება“, მაგრამ ეს ფიგურალური გამოთქმა უფროა, ვიდრე საქმის არსების გამომხატველი.

'საყოველთაოს ინდივიდუალის საქმეში? აქ შეიძლება ასეთი მოსაზრება დაიბადოს და სრულიად სამართლიანადაც: განა წყალი წყლად არ ჩნება ექნება მას მაღალი თუ დაბალი ტემპერატურა, მდინარის კალაპოტში იქნება მოქცეული თუ კასრში იქნება ჩასხმული? ერთი შეხედვით, ამ და სხვა ანალოგიური მაგალითების მიხედვით გამოდის რომ რაოდენობრივ მახასიათებელთა ცვალებადობას, რომელიც ამ მახასიათებელთა შემცირება-გადიდების ფორმაში გვევლინება, არავითარი გავლენის მოხდენა არ შეუძლია არსებულთა თვისებრივ განსაზღვრულობებზე. მათ არსებაზე და, მაშასადამე, ცვალებადობის ამ სახეების როლი და ცუნქცია არსებულის ფუნდამენტურ ტენდენციაში სრულე-ბითაც არ უნდა იყოს მხედველობაში მისაღები. რამდენად სწორია ასეთი მოსაზრება? თუ საქმის ვითარებას არსებითად განვიხილავთ აღმოჩნდება, რომ ასეთი მოსაზრება არ არის კორექტული. ეს მოსაზრება, ჭერ ერთი, არ არის სწორი იმიტომ. რომ იგი ივიწყებს ერთ უქველ ფაქტს. უკანასკნელი იმაში მდგომარეობს, რომ სამყაროში არსებობს არა მხოლოდ თვისებრივი მრავალფეროვნება, არამედ რაოდენობრი-ვიც; რამდენადაც საგნის „ამად ყოფნაში“, მის გარკვეულობაში ორი-ვე — როგორც თვისებრივი, ისე რაოდენობრივი განსაზღვრულობა — ერთნაირად ლებულობს „მონაწილეობას“, რომელიმე მათგანს არ შე-იძლება პრივილეგირებული მდგომარეობა მიეკუთვნოთ. წყალი ცივი და წყალი ცხელი, წყალი კასრში და წყალი ზღვის სახით არსებული, ბუნების, უთუოდ თავისებური მრავალფეროვნებებია. რომელთა უგუ-ლებელყოფა სინამდვილესთან აშკარა წინააღმდეგობაში მოქცევის გა-რეშე არ შეიძლება. მეორე, აღნიშნული მოსაზრება არ არის სწორი იმიტომაც, და, ესაა ამ შემთხვევაში მთავარი, რომ იგი ვერ ხედავს ან არ უნდა დაინახოს კავშირი საგანთა და ხდომილობათა რაოდენობ-რივ და თვისებრივ ცვალებადობათა შორის. უკანასკნელთა შორის კი შინაგანი, ორგანული კავშირი არსებობს. ამ თეზისის ნათელსაყოფად ჩვენ მოგვიწევს ზოგიერთი, საყოველთაოდ ცნობილი მომენტის გახსე-ნება.

რას ეხება, რის გადიდება-შემცირებაზე შეიძლება ვილაპარაკოთ? 'საგანი, ხდომილება, საერთოდ ყოველი არსებული შეიძლება განვიხი-ლოთ მისთვის დამახასიათებელი რაოდენობრივი მაჩვენებლების მი-ხედვით. რას ეხება, რას ნიშნავს კონკრეტულად რაოდენობრივი მაჩვენებელი? რაოდენობრიობის აბსტრაქცია არსებულის სხვა მახასიათებ-ლებისაგან, რა თქმა უნდა, შეიძლება და. ეს არის კიდევაც აუცილებე-ლი პირობა იმისა, რომ იგი რეფლექსიის დამოუკიდებელ ობიექტად იქცეს. ამას მართლაც აკეთებენ მათემატიკური მეცნიერებანი. მაგრამ ეს არ ნიშნავს მისი აბსტრაქტული არსებობის შესაძლებლობას. რაო-

დენობრივი მახასიათებელი (რიცხოობრიობა, სიდიდე, მოცულობა, ინტენსიურობა და ა. შ.) ყოველთვის არის და არ შეიძლება არ იყოს რაიმეს რიცხოობრიობა, რაიმეს სიდიდე და ა. შ. ფიზიკურ საგნებს, ხდომილობებს ყოველთვის აქვთ მასა, ენერგია, იმპულსი, მოცულობა, შემადგენელი ელემენტები, ღრეულობა და ა. შ. მათი ერთობლივი თავმოყრა განსაზღვრულ ფიზიკურ არსებაში ქმნის „ამად ყოფნას“. ჩვენ სწორედ ეს უკანასკნელი მომენტი გვაინტერესებს. ვთქვათ, მაგალითად, მასის რაოდენობრიობა არ რჩება ინდიფერენტული საყოველთაოს ამგვარად არსებობისადმი. მისი რიცხოობრივი სხვადასხვაობა — მასის შემცირება-გადიდება — ქმნის არსებათა მრავალფეროვნებას. ამ მხრივ ძალზე საინტერესო მასალას იძლევა თანამედროვე ბირთვული ფიზიკის მონაცემები. ძველი ფიზიკა მას მუდამ თავის თავთან იგივეობრივ სიდიდედ, ნივთიერების ინერტულობის ზომად თვლიდა. ეს თვალსაზრისი რადიკალურად შეიცვალა. თანამედროვე ფიზიკის თანახმად, მასა სრულებითაც არ არის მუდმივი სიდიდე: ის დამოკიდებულია და განისაზღვრება იმ აქტიურობით, რომელსაც ესა თუ ის ნაწილაკი ავლენს სხვა ნაწილაკებთან ურთიერთქმედებაში. მასა ელემენტარული ნაწილაკების ერთ-ერთი ძირითადი დამახასიათებელი ნიშანია, ისე, რომ თვით კლასიფიკაცია ელემენტარული ნაწილაკებისა, რომელსაც თანამედროვე ფიზიკა ახდენს, თავად მასის რაოდენობრივი მაჩვენებლების მიხედვით კეთდება. სხვანაირად ეს იმას ნიშნავს, რომ მასის რაოდენობა არ რჩება გულგრილი მატერიის ფუნდამენტის ბინადართა „ამგვარად ყოფნისადმი“; მისი სხვადასხვაობა ელემენტარული ნაწილაკების მრავალფეროვნების საფუძველში დევს. სხვანაირად რომ ვთქვათ, თითოეული მათგანის მასის შემცირება-გადიდება იძლევა მათთვის მრავალფეროვნებას. მიუ-მეზონის მასა 206,7 ელექტრონის მასის ტოლია<sup>26</sup>; პი-მეზონისა 264-ისა და 273-ისა; კა-მეზონისა 966-ისა; პროტონისა და ნეიტრონისა — შესაბამისად 1836,1 და 1838,6-ისა და ა. შ. არსებულთა მრავალფეროვნებასა და მასის გადიდება-შემცირებას შორის შინაგანი ორგანული კავშირი ძალაშია არა მხოლოდ მიკრო, არამედ მაკრო სამყაროშიც. მოვიყვან დამახასიათებელ მაგალითს კოსმოლოგიის სფეროდან.

თანამედროვე ასტრონომიას ცის უზარმაზარ ბინადართა — ვარსკვლავების — წარმოქმნა დაახლოებით ასე აქვს წარმოდგენილი. ისინი ჩნდებიან მატერიის დიფუზური ღრუბლებისაგან; ამ უკანასკნელში, გრავიტაციული ძალების მოქმედებით, იზრდება ნივთიერების კონდენსაცია. კონდენსაციის პროცესი უფრო და უფრო ინტენსიური ხდება,

<sup>26</sup> ბირთვულ ფიზიკაში ელექტრონის მასა ეტალონად არის მიღებული; სხვა ელემენტარული ნაწილაკების მასის სიდიდეს ელექტრონის მასით ზომავენ.



რამდენადაც გრავიტაციული ძალები კონდენსირებული ნივთიერების მასის ზრდასთან ერთად და მის პარალელურად მატულობს. მასის გადიდება იწვევს წარმოქმნილი მატერიალური სისტემის შიგნით წნევისა და ტემპერატურის ზრდას. როცა ამ სისტემის შიგნით წნევა და ტემპერატურა განსაზღვრულ რაოდენობრივ მაჩვენებლებს მიაღწევს, იწყება თერმობირთვული რეაქცია — თვისებრივად ახალი სახე ცვალებადობისა. რა შემთხვევაში და რის გამო აღწევს სისტემის შიგნით წნევა და ტემპერატურა, რომელთა გარეშე შეუძლებელია თერმობირთვული რეაქცია, განსაზღვრულ რაოდენობრივ მაჩვენებლებს? ამისათვის აუცილებელია ნივთიერების მასის რაოდენობამ კრიტიკულ წერტილს მიაღწიოს. ასეთ „კრიტიკულ მასას“ შეადგენს ნივთიერების რაოდენობა (მასა), რომელიც უთუოდ უნდა იყოს არანაკლები 0,02—0,05 მზის მასისა. მასის აღნიშნული რაოდენობის შემდგომი შემცირება, ცის სხეულთა ახალ სახეობას — პლანეტების არსებობას აძლევს დასაბამს. საინტერესოა შემდეგი ფაქტიც. წარმოქმნილ, თვისებრივად ახალ მატერიალურ სისტემებს — ვარსკვლავებს აქვთ აგრეთვე კრიტიკული მასის ზედა ზღვარიც; მათი მასა არ შეიძლება აღემატებოდეს 200 მზის მასას, რამდენადაც ასეთი რაოდენობის მასის ერთად თავმოყრის შემთხვევაში, თერმობირთვული რეაქციები ისეთ ინტენსიურ ხასიათსღებულობენ, რომ გრავიტაციული ძალები უძლური ხდებიან ერთ მთლიანობად შეკრან წარმოქმნილი მატერიალური სისტემა. უკანასკნელი ინგრევა და მის ადგილზე ჩნდება რამდენიმე ახალი ვარსკვლავი. მიკრო და მაკრო სამყაროდან მოყვანილი ეს ორი მაგალითი ნათლად ადასტურებს ცვალებადობის ზემოთ აღნიშნული სახეების გადიდებისა და შემცირების, ამ შემთხვევაში ნივთიერების მასის გადიდება-შემცირების „წვლილს“ უნივერსუმის ფუნდამენტურ სტრატეგიაში. კიდევ ერთი მაგალითი. ზემოთ ნივთიერებისა და ენერგიის ერთიანობის შესახებ თანამედროვე ფიზიკის წარმოდგენაზე ჩვენ უკვე გვქონდა ლაპარაკი, აღინიშნა, რომ ნივთებს, საგნებს, რომლებიც „აშენებული“ არიან მატერიისაგან, გარდა მასისა (ნივთიერება), ახასიათებთ ენერგია. მრავალფეროვანია მისი სახეები და ფორმები. ერთ-ერთი ასეთი საყოველთაოდ გავრცელებული ფორმა ენერგიისა არის სითბო. ჩვეულებრივ პირობებში, ყოველ მატერიალურ სხეულს აქვს, თუ შეიძლება ითქვას, „ფლობს“ განსაზღვრულ სითბოს. ამ ვითარებას ხშირად ასე გამოთქვამენ: სხეულს აქვს ტემპერატურა და მას სპეციალური ხელსაწყოთი ზომავენ. სხეულის ტემპერატურის რაოდენობა განსაზღვრულ მიმართებაშია სხეულის სხვა მახასიათებლებთან<sup>27</sup>. მოვიყვანოთ საყოველ-

<sup>27</sup> როცა ჩვენ სხეულის ტემპერატურაზე ვლაპარაკობთ, მხედველობაში არ გვაქვს წვის ან სხვა ქიმიური რეაქციის შედეგად გამოყოფილი სითბოს რაოდენობა. ეს უკა-

თაოდ ცნობილი მაგალითი. წყალს, როგორც ქიმიურ ნივთიერებას, ყოველთვის აქვს განსაზღვრული ტემპერატურა და ამის მიხედვით ის სამ აგრეგატულ მდგომარეობაში გვევლინება. ცელსიუსით  $0^{\circ}$ -ის ქვემოთ ის არის მყარ მდგომარეობაში,  $0^{\circ}$ -დან  $100^{\circ}$ -მდე თხიერ მდგომარეობაშია, ხოლო  $100^{\circ}$ -ის ზემოთ გაზობრივ მდგომარეობაში გადადის. ცხადია, წყლის აგრეგატული მდგომარეობანი სრულიად განსაზღვრულ და თავისებურ მრავალფეროვნებას ქმნიან ბუნებაში, მაგრამ ტემპერატურის ცვალებადობის გავლენა, საერთოდ ნივთიერების, კერძოდ, წყლის მდგომარეობაზე, ამით არ ამოიწურება. წყალი სამივე აგრეგატულ მდგომარეობაში მინც წყლად რჩება. მისი ყოველი მოლეკულა, იქნება იგი ორთქლის, ყინულის თუ სითხის შემადგენლობაში, ორი ატომი წყალბადისა და ერთი ატომი ჟანგბადისაგან შედგება. ტემპერატურის შემდგომი გადიდება წყლის მოლეკულის დაშლას გამოიწვევს და წყალი, როგორც ქიმიური ნივთიერება, აღარ იარსებებს. სხვანაირად რომ ვთქვათ, მოლეკულათა არსებობა ტემპერატურის განსაზღვრულ ფარგლებში არის შესაძლებელი. ტემპერატურის შემდგომი გადიდება თავად ატომების დაშლას იწვევს და თერმობირთვულ რეაქციებს აძლევს დასაბამს. მოყვანილი მაგალითები ნათლად მიანიშნებენ იმას, თუ რა გავლენას ახდენს მასისა და ტემპერატურის გადიდება-შემცირება არსებულთა მრავალფეროვნების წარმოშობაზე. მათი რიცხვი შეიძლებოდა უსასრულოდ გაგვედიდებინა. მაგრამ ეს არ არის აუცილებელი. საქმის არსების გამოსახატავად ისინი სავსებით საკმარისია.

აქ, რაოდენობრივი ცვალებადობის პრობლემასთან დაკავშირებით, ყურადღება კიდევ ერთ მომენტზე გვინდა გავამახვილოთ. ამ შემთხვევაში საქმე ეხება რაოდენობრივი ცვალებადობის (გადიდება-შემცირების) ერთ თავისებურებას, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ იგი ყოველთვის და ყველგან მიმდინარეობს თანდათანობითი წესით. ამით განსხვავდება რაოდენობრივი ცვალებადობა თვისებრივი ცვალებადობისაგან. უკანასკნელს, პირველისაგან განსხვავებით, ნახტომისებური ხასიათი აქვს. წყალი, მაგალითად, მისი ტემპერატურის გადიდების ან შემცირების დროს, თხიერი მდგომარეობიდან მყარ ან გაზობრივ მდგომარეობაში გადადის არა ნელა, თანდათანობით, არამედ ნახტომისებურად: იგი  $0^{\circ}$ -ის ქვევით იქცევა ყინულად, ხოლო  $100^{\circ}$ -ზე ორთქლად. ეს წესი ძალაშია ყველა თვისებრივი ცვალებადობის მიმართ, რომელთაც ადგილი აქვთ სამყაროში. განსხვავებით ამისაგან, როგორც უკვე ითქვა, რაოდენობრივი ცვლილებები, ვთქვათ, მაგალითად, მასის ტემპერატურის გადიდება ან შემცირება ყოველთვის თანდათანობით ხდება;

---

ნასკნელი სრულიად სხვა არის და მისი არევა სხეულის ტემპერატურასთან, ცხადია, არ შეიძლება.

შეუძლებელია, მაგალითად, წყლის ტემპერატურა გაიზარდოს ერთიდან 5°-მდე თუ წყალმა თანდათანობით არ მიიღო 2, 3, 4 გრადუსი ტემპერატურა. ასევე: არ შეიძლება ხუთი ელექტრონის მასა გავზარდოთ ათამდე თუ მას თანდათან არ მივემატეთ კიდევ 5 ელექტრონი. ორივე შემთხვევაში, როგორც ჩანს, რაოდენობრივი ცვალებადობა (გადიდება-შემცირება) ხდება თანდათანობითი წესით. რაოდენობრივი ცვალებადობის ეს თავისებურება ხდის სწორედ, როგორც ეს ზემოთ უკვე აღინიშნა, საეჭვოდ მის სრულფასოვნებას უნივერსუმის ფუნდამენტურ ტენდენციაში. ამიტომ მიუთითებდა ჰეგელი, რომ რაოდენობრიობა ეს არის არსის ისეთი განსაზღვრულობა, რომელიც განსაზღვრულ ფარგლებში გულგრილია საგანთან იგივეობრივი თვისებრივი გარკვეულობისადმი. მაგრამ მხოლოდ „განსაზღვრულ ფარგლებში“!; ამ ფარგლებს იქით რაოდენობრივი განსაზღვრულობა თვითონ წარმოადგენს რაღაც თვისებრიობას, რომელიც ამის გამო ერთიანობაში მოდის ამ უკანასკნელთან და ხდება მისი ჰეგელიანობა. რაოდენობრიობისა და თვისებრიობის ამ ერთიანობას ჰეგელი ზომას უწოდებდა. აი სწორედ ამ ზომას წარმოადგენენ ის „ფორმები“ — ელემენტარული ნაწილაკები. და მათი ყოველგვარი მიკრო და მაკრო გაერთიანება, რომელთა სახითაც არსებობს მატერია. თითოეული ეს „ფორმა“-ელემენტი<sup>28</sup> წარმოადგენს განსაზღვრული რაოდენობრიობისა და მასთან ორგანულად შერწყმული თვისებრიობის ერთიანობას. ერთი სიტყვით, ის გარემოება, რომ რაოდენობრივი ცვალებადობა (გადიდება-შემცირება) ხდება თანდათანობითი წესით და განსაზღვრულ ფარგლებში გულგრილი რჩება საყოველთაოს „ამგვარად ყოფნისადმი“, სრულებითაც არ ამცირებს მის როლსა და ფუნქციას ქვეყნიერების საყოველთაო ტენდენციაში; ცვალებადობის ორივე სახე — რაოდენობრივი და თვისებრივი ცვლილებები, მათი ყოველნაირი სახესხვაობები, ერთნაირად „იღწვიან“ უნივერსუმის საერთო სტრატეგიის განხორციელებაში.

3. ცვალებადობის კიდევ ერთ საყოველთაოდ გავრცელებულ სახეს წარმოადგენს საგნებისა და ხდომილობების გადაადგილება სივრცეში. მათი სივრცობრივი ურთიერთობათა ცვალებადობა. ადამიანს თავის ყოველდღიურ ცხოვრებაში ცვალებადობის ამ სახის ურიცხვ მაგალითებთან აქვს საქმე. მისი ცხოვრებისეული აქტივობა, ბევრ შემთხვევაში ცვალებადობის ამ სახის გამოვლენას წარმოადგენს. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ადამიანი ყველაზე პირველად და ყველაზე ახლოს ცვალებადობის ამ სახეს გაეცნო. ამიტომაც არის, რომ მის შესახებ მას

<sup>28</sup> ტერმინი „ელემენტი“, ამ შემთხვევაში, იხმარება ძალზე ფართო მნიშვნელობით; ის შეიძლება იყოს ყველაფერი, დაწყებული კვარკებით, დამთავრებული გალაქტიკებით!

საკმაოდ მდიდარი ცოდნა გააჩნია. ფილოსოფიური რეფლექსიაც ადამიანმა ცვალებადობის ამ სახეზე მოახდინა და, მისი ბუნების დადგენიდან გამოსული, შეეცადა მისი მეშვეობით აეხსნა არსებულთა მრავალფეროვნება, ამასთან დაკავშირებით ურიგო არ იქნებოდა ძალზე ზოგადად მოგვეგონებინა დემოკრიტესა და არისტოტელეს თვალსაზრისი.

დემოკრიტეს მიხედვით საგანთა დასაბამი არის ატომები. როგორ ჩნდებიან ატომებისაგან საგნები? საგნების გაჩენა დემოკრიტეს აზრით, ნიშნავს ატომების შეერთებას, ხოლო საგანთა მოსპობა — მათ დაშლას. რას ნიშნავს ატომთა შეერთება და დაშლა? — ცხადია, მათ სივრცეში გადაადგილებას! ატომთა შეერთება ნიშნავს მანამდე სივრცეში გაბნეული და ერთიმეორისაგან დაშორებული ატომების ერთ ადგილას თავმოყრას; დაშლა კი, პირიქით, ერთ ადგილას თავმოყრილი ატომების სივრცეში გაფანტვას, მათი ერთიმეორისაგან დაშორებას. ორივე პროცესი სხვა არაფერია თუ არა სივრცეში საწყისთა გადაადგილების პროცესი და, მაშასადამე, ცვალებადობის ეს სახე უდევს საფუძვლად საგანთა მრავალფეროვნებას. აღსანიშნავია, რომ დემოკრიტე უფრო შორსაც მიდის და საგანთა მრავალფეროვნების ახსნას შეეცდება არა მხოლოდ ატომთა შეერთება-დაშლით, არამედ მათი წყობითაც და, ეს უკვე, როგორც ამას მკითხველი ხედავს, ნიშნავს საგანთა სტრუქტურის შესახებ გარკვეული თვალსაზრისის შექმნაზე განცხადების გაკეთებას. მაგრამ ეს მომენტი მასთან გენიალურ მიხვედრად დარჩა. ამ მიხვედრის მიღმა კი, ატომიზმის პოზიციებიდან, ბევრი რამ ამოუხსნელი და გაუგებარი რჩებოდა. როგორ უნდა აიხსნას ატომთა შეერთება-დაშლით ისეთი რამის არსებობა, რაც თავად ატომებს არ გააჩნიათ? ატომები მოკლებულნი არიან გრძნობად თვისებებს; საგნებს კი ისინი აქვთ და მათი არსებობა მათ გარეშე წარმოუდგენელია. როგორ ჩნდებიან ისინი? მაგრამ უნდა ვიყოთ სამართლიანი და ზომიერნი: საქმის დამწყებს ყველაფერი არ უნდა მოვთხოვოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში, ისტორია არ გვექნებოდა.

ძალზე დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა არისტოტელე ცვალებადობის ამ სახეს. მართალია, მან იგი ცვალებადობის ერთ-ერთ სახედ დაასახელა, მაგრამ, როგორც მისი შრომების ანალიზი გვიჩვენებს, ცდილობდა ყველა სახე ცვალებადობისა, საბოლოოდ, სივრცეში სხეულთა გადაადგილებით აეხსნა და, მაშასადამე, იგი, ცვალებადობის ძირითად სახედ გამოეცხადებინა. ასე, მაგალითად, იგი თვლის რომ ცვალებადობის ისეთი სახეების საფუძველში, როგორიცაა შემცირება და გადიდება, არისტოტელეს აზრით, საბოლოო ინსტანციაში, სივრცეში სხეულთა გადაადგილება დევს. მართლაც, მსჯელობს არისტოტელე, რას ნიშნავს რაიმეს შემცირება და გადიდება? სხვს არაფერს თუ არა, პირველ შემთხვევაში, საგანს მისი შემადგენელი ელემენტებიდან რაღაც აკლდება,

ზოლო, მეორე შემთხვევაში, სხვა საგნის ნაწილებიდან საგანს რაღაც ემატება. რა შემთხვევაში არის ეს შესაძლებელი? რა თქმა უნდა იმ შემთხვევაში. თუ ერთი საგნიდან მეორეში სხეულის ნაწილები გადაადგილდებიან; ეს კი სხვა არაფერია თუ არა სივრცეში ცვალებადობა. სივრცეში გადაადგილება მიაჩნია არისტოტელეს საგანთა თვისებრივი ცვალებადობის, მათი წარმოშობა-მოსპობის უკანასკნელ საფუძვლად<sup>29</sup>. ყველა მდგომარეობათა საწყისი, წერს იგი, არის შეკუმშვა და გაშლა... შეკუმშვა-შეერთებაა, გაშლა-დანაწევრება; შეერთება-დანაწევრების შედეგად ჩნდებიან და ილუპებიან არსებები. მაგრამ რა არის შეერთება და დანაწევრება? ცხადია, სტიქიათა ადგილმონაცვლეობა<sup>30</sup>. ერთი სიტყვით, არისტოტელემ ცვალებადობის ყველა სახის საფუძვლად სივრცეში არსებულთა გადაადგილება გამოაცხადა და ამით თითქოს ხელი გაუწოდა ატომისტურ თვალსაზრისს, მაგრამ, როგორც ამას სავსებით სამართლიანად აღნიშნავენ ცვალებადობის შესახებ მისი მოძღვრების კომენტატორები, არისტოტელეს თვალსაზრისი მექანიციზმად არ გადაუქცევია. ელემენტთან და ატომისტიკასთან შედარებით მას უფრო სწამს სამყაროს იმ სურათისა, რომელსაც ჩვენი გრძნობათა ორგანოები აფიქსირებენ<sup>31</sup>. ამაში მას შველის და მექანიციზმისაკენ გზას უხშობს ფორმა-მასალის მეტაფიზიკური პრინციპი, რომელმაც თავისი კონკრეტული რეალიზაცია ჰპოვა მოძღვრებაში შესაძლებლობისა და სინამდვილის შესახებ. მაგრამ ეს არ არის ამჯერად მთავარი. როგორც არ უნდა იყოს განსხვავება დემოკრიტესა და არისტოტელეს თვალსაზრისთა შორის, ერთი უდავოდ ცხადია: ერთი და მეორეც არსებულთა მრავალფეროვნების წარმოქმნის საქმეში ძალზე დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ სხეულთა სივრცეში გადაადგილებას.

ბუნებისმეტყველების ევოლუციამ, განსაკუთრებით მისმა უახლესი დროის მიღწევებმა, სივრცეში სხეულთა გადაადგილების ბუნების გაგებაში არსებითი კორექტივი შეიტანა. კლასიკური მექანიკა აქსიომად თვლიდა, რომ სხეული სივრცეში გადაადგილებისას არავითარ ცვლილებას არ განიცდიდა: აბსოლუტურად იგივეობრივი რჩებოდა თავის თავთან. სავსებით უგულვებელყოფილი იყო მასზე სიჩქარის გავლენა, რომელსაც ის ავითარებდა სივრცეში გადაადგილებისას; არ იყო მხედ-

<sup>29</sup> აქ, არისტოტელე, ისე როგორც ბევრ სხვა შემთხვევაში, თანმიმდევრული არ არის. თუ საგანთა წარმოშობის ამ მიზეზს მივიღებთ მხედველობაში, მაშინ გაუგებარი გახდება რისი მაქნისია ფორმა. სავსებით სწორია, ამ შემთხვევაში, ვინდებლანდი, როცა ის არისტოტელეს თვალსაზრისს პლატონისა და დემოკრიტეს შეხედულებათა შერიგებად მიიჩნევს (იხ. ვინდებლანდი, ძვ. ფილოსოფიის ისტორია, მ., 1911, გვ. 274).

<sup>30</sup> არისტოტელე, ტ. 3, მ., 1981, გვ. 245.

<sup>31</sup> არისტოტელე, ტ. 1, ასმუსის კომენტარები, მ., 1976, გვ. 34.

ველობაში მიღებული „ნივთიერი გარემო“, რომელშიც, როგორც წესი, ყოველთვის ჩნდება და მიმდინარეობს სხეულთა გადაადგილება და სხვ. ნივთიერების, მასის, ველის და ფიზიკის სხვა ფუნდამენტური ცნებების ახლებურმა გააზრებამ სხეულთა სივრცეში გადაადგილების ცნება რადიკალურად შეცვალა და ახალი შინაარსით გაამდიდრა. ის უკვე არ ნიშნავს სხეულთა წმინდა მექანიკურ გადაადგილებას, როგორც ეს კლასიკურ ფიზიკას ჰქონდა წარმოდგენილი. მის ახალ შინაარსში იგულისხმებოდა ისეთი მოვლენები, როგორიცაა გრავიტაციული და ელექტრომაგნიტურ ველთა აგზნებადობის გავრცელება სივრცეში, ატომთა და ატომბირთვთა ნაწილაკებს შორის არსებული სხვადასხვა ველთა კვანტების ურთიერთ გაცვლა და ა. შ.<sup>32</sup> თუ ყველაფერ ამას გავითვალისწინებთ, მაშინ, ექვეები, რომლებიც ქვეყნიერების გამრავალფეროვნებაში სხეულთა სივრცეში გადაადგილების ძველ გაგებასთან დაკავშირებით შეიძლებოდა დაბადებულიყო, ახლა საფუძველგამოცლილად უნდა ჩავთვალოთ. სხეულთა სივრცეში გადაადგილების ახალმა გაგებამ ნათელყო ცვალებადობის ამ სახის საყოველთაობა, მისი არსებობა და მონაწილეობა მატერიალური ობიექტების თვისებრივი ევოლუციის თითქმის ყველა პროცესში. სხვანაირად არც შეიძლებოდა ყოფილიყო, რამდენადაც „სცენა“, რომელშიც საარსებოდ გამოდიან და თავიანთ „როლს თამაშობენ“ არსებულები, არის სივრცე. უკანასკნელი არსებულთა თანაარსებობისა და ურთიერთზემოქმედების წესრიგია და, მაშასადამე ყოველგვარ ცვალებადობას, რომელსაც შეიძლება საერთო ადგილი ჰქონდეს უნივერსუმში, ამ სცენაზე მოუწევს თავისი თავის დემონსტრირება. სწორედ აქ, ამ პუნქტში იჩენს თავს ყველაზე რელიეფურად ცვალებადობის (დროულობის) და სივრცის შინაგანი, ორგანული ერთიანობა. ამ ზოგადი და საყოველთაოდ აღიარებული კონცეფციის უტყუარობის ნათელსაყოფად ჩვენ მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს.

როგორია სივრცეში სხეულთა გადაადგილების როლი მაკროსამყაროს ბინადართა გამრავალფეროვნების საქმეში? არ არსებობს, ან თითქმის არ არსებობს საგანი ან ხდომილება, რომლის შექმნაში მნიშვნელოვან როლს არ ასრულებდეს სივრცეში მატერიალური ობიექტების გადაადგილება. ამ უეჭველი გარემოების ნათელსაყოფად მკითხველს, ჩვენთვის საინტერესო ასპექტით, შევახსენებთ მაგალითს, რომელიც ცოტა ზემოთ იყო მოყვანილი. საქმე ეხება ნივთიერების კონდენსაციის გზით ვარსკვლავების წარმოშობის ფაქტს. რა არის და რას ნიშნავს ნივთიერების კონდენსაცია? ფაქტიურად ის არის გრავიტაციული ძა-

<sup>32</sup> ს. მელიუხონი, მატერია მის ერთიანობაში, უსასრულობასა და განვითარებაში, მ., 1966, გვ. 102—103.

ლების მოქმედების შედეგად ნივთიერების ნაწილაკების გადაადგილება და ერთ, სივრცის შედარებით პატარა ნაწილში, თავმოყრა, რომელსაც კრიტიკული მომენტის შენდეგ, თან მოჰყვება თვისებრივად ახალი ძალების ამოქმედება და, მასასადამე, მატერიის ორგანიზაციის ახალი ფორმების წარმოშობა. მთელი ამ პროცესის სათავესთან, ცხადია, დგას ცვალებადობის თავისებური სახე — სივრცეში მატერიალური სხეულების გადაადგილება.

მეორე მაგალითი. ცვალებადობის ამ სახის პირველხარისხოვანი მნიშვნელობა მიკროსამყაროს ბინადართა მრავალფეროვნების წარმოქმნასა და მის შენარჩუნებაში სრული სიცხადით დაადასტურა კვანტური მექანიკის მიღწევებმა. საყოველთაოდ ცნობილია ფიზიკოსთა ხანგრძლივი და დაძაბული მეცადინეობა მოეძებნათ „შუამავალი“ სხეულებს შორის მათი ურთიერთხემოქმედების პროცესში. მის გარეშე არსებათა წარმოქმნის პროცესი გაუგებარი რჩებოდა. ამ ძიებამ ფიზიკოსები მიიყვანა ელექტრომაგნიტური ველის არსებობის დაშვებამდე. უკანასკნელი ითვლებოდა უწყვეტ სუბსტანციად, რომელიც ამა თუ იმ მუხტის ირგვლივ არსებობდა და ვრცელდებოდა. აშკარა დუალიზმი მატერიის ტალღურ და კორპუსკულარულ ბუნებას შორის და მისი გადალახვის კანონიერი სურვილი ფიზიკოსებს აიძულებდათ ეძიათ უწყვეტობაში — წყვეტილობა, უწყვეტელში — კვანტები. და მართლაც, დაძაბულმა ძიებამ გამოიღო თავისი შედეგი; ფიზიკოსთა წინაშე ასეთი სურათი გადაიშალა: დამუხტული ნაწილაკი გამოყოფს ფოტონს, რომელსაც შთანთქავს მასთან ურთიერთხემოქმედებაში მყოფი სხვა დამუხტული ნაწილაკები; უკანასკნელი თავის მხრივ აგრეთვე უშვებს ფოტონს, რომელიც ასევე შთაინთქმება მასთან კავშირში მყოფი ნაწილაკის მიერ; ერთი სიტყვით, ურთიერთხემოქმედებაში მყოფი მიკრონაწილაკები, ვთქვათ, მაგალითად, წყალბადის ატომში — პროტონი და ელექტრონი — კვანტების (ფოტონების) ურთიერთგაცვლით ერთ მთელად იკრება და ასე, ამგვარად, იქმნება მყარი სისტემა, რომლის დანგრევისათვის საჭიროა სრულიად განსაზღვრული ენერგია<sup>33</sup>. რას ნიშნავს ყველაფერი ეს? ცხადია, ცვალებადობის ჩვენთვის საინტერესო სახის — სივრცეში მიკრონაწილაკების გადაადგილებას, რომლის გარეშე, საბოლოო ინსტანციაში, არ გვექნებოდა მიკროსამყაროს ბინადართა მრავალფეროვნება. აქ არ შეიძლება არ აღინიშნოს მოყვანილი მაგალითის ერთი თავისებურება: კვანტთა ურთიერთგაცვლა პროტონსა და ელექტრონს შორის, რომელსაც ხშირად ფიზიკოსები ფრენბურთის თამაშს ადარებენ, ერთიან მთელად კრავს ურთიერთხემოქმედებაში

<sup>33</sup> ვ. გ რ ი გ ო რ ი ე ვ ი, გ. მ ი ა კ ი შ ე ვ ი, ბუნების ძალები, მ., 1983, გვ. 257—258.

მყოფ ნაწილაკებს და ქმნის წყალბადის ატომს; უკანასკნელი არსებობს მანამდე, სანამ ეს ურთიერთგაცვლა ხდება. ამ შემთხვევაში, მატერიალური ნაწილაკების სივრცეში გადაადგილება, განსაზღვრული აზრით, შეიძლება წყალბადის ატომის არსებობის და, მაშასადამე, მრავალფეროვნების შენარჩუნების ხერხად მივიჩნიოთ. მაგრამ ცვალებადობის ამ სახის როლი და ფუნქცია მიკროსამყაროში სრულებითაც არ ამოიწურება მის ბინადართა არსებობის შენარჩუნებით. ტერმინი „შენარჩუნება“ აქ პირობით არის ნახმარი: ფაქტიურად, ზემოთ მოყვანილი მაგალითის შემთხვევაში, ჩვენ საქმე გვაქვს მრავალფეროვნების არა შენარჩუნებასთან, არამედ შექმნასთან. ამ გარემოების ნათელი დემონსტრირება შეიძლება კიდევ შემდეგი მაგალითებით. როგორც ცნობილია, ელემენტარული ნაწილაკების ერთ-ერთი ფუნდამენტური თვისება იმაში მდგომარეობს, რომ ისინი „ბადებიან“ ურთიერთზემოქმედების პროცესში. ასე, მაგალითად, პიმეზონები აღმოცენდებიან ნუკლეონების შეჯახებისას. ატომბირთვის სიახლოვეს და მის გავლენით ფოტონები „ბადებენ“ ელექტრონებსა და პოზიტრონებს; უკანასკნელნი, ურთიერთშეჯახებისას, ისევ ფოტონებს წარმოშობენ<sup>34</sup>. რას ნიშნავს და რის საფუძველზე ხდება ყველაფერი ეს? „შეჯახება“ სხვანაირად შეუძლებელია ინტერპრეტირებულ იქნეს თუ არა ურთიერთზემოქმედებაში მყოფი ელემენტარული ნაწილაკების ურთიერთდაახლოება და პირდაპირი კონტაქტი; სხვანაირად ეს სივრცეში გადაადგილებას ნიშნავს.

სივრცეში ელემენტთა სხვადასხვანაირი კონფიგურაციების როლი და მნიშვნელობა არსებათა მრავალფეროვნების შექმნაში, რომელსეც შორეულ წარსულში დემოკრიტე მიუთითებდა, სრულიად არაორაზროვნად დაადასტურა თანამედროვე ბუნებისმეტყველებამ. ცნობილია, რომ ყოველ არსებულს აქვს თავისი სტრუქტურა. არსებობის ეს წესი ერთნაირად სავალდებულოა ყოველი არსებულისათვის, იქნება ის მატერიალური თუ იდეალური ბუნების. მატერიალური ბუნების მქონე ქმნილებებში ეს ნიშანი ელემენტთა ორგანიზაციის შინაგანი ფორმით, მათი მყარი კავშირით და ურთიერთზემოქმედებით, საბოლოო ინსტანციაში, სტრუქტურის სახით ვლინდება. არსებულს აქვს სტრუქტურა ნიშნავს, რომ ის არის ასეთი და ასეთი ნიშნების მქონე საგანი — „ამად ყოფნა“. აი სწორედ ამ სტრუქტურაში და, მაშასადამე, არსებულთა მრავალფეროვნების წარმოშობაში დიდი როლი ენიჭება ამა თუ იმ საგნის სტრუქტურის შემქმნელ ელემენტთა სივრცობრივ კონფიგურაციას. მაგალითად, სტრუქტურაში ელემენტთა ადგილმონაცვლეობა უთუოდ იწვევს საგნის შეცვლას განსაზღვრული მიმართულ-

<sup>34</sup> ნ. ბუდრიკო, მატერიის საილუმოებათა შემეცნება, მ., 1962, გვ. 128.



ბით. ამის ნათელ მაგალითს წარმოადგენენ იზომერები. უკანასკნელნი წარმოადგენენ ერთნაირი შემადგენლობისა და მოლეკულური წონის მქონე რთულ ქიმიურ ნაერთებს, რომელთაც აქვს სხვადასხვანაირი აგებულება და ამის მიხედვით გააჩნიათ განსხვავებული ფიზიკური და ქიმიური თვისებები. მაგრამ რას ნიშნავს იზომერების „სხვადასხვანაირი აგებულება“? სხვა არაფერს თუ არა სივრცეში მოცემული სტრუქტურის ელემენტთა სხვადასხვანაირ განლაგებას, მათ განსხვავებულ სივრცობრივ კონფიგურაციას. აქედან სავსებით ნათელია, თუ რა მნიშვნელობას იძენს არსებულთა მრავალფეროვნების დაფუძნებაში მათი შემადგენელი ელემენტების სივრცობრივი გადაადგილება და განლაგება. ყველაფერი ეს მზესავით ნათელია: არსებულთა სივრცეში გადაადგილებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს არაორგანულ სამყაროში, იქნება ის მაკრო თუ მიკრო სამყარო. მაგრამ, რაც საეჭვო არ არის არსებულთა ამ რეგიონებისათვის, შეიძლება საეჭვო და საკამათო გახდეს ორგანული სამყაროსათვის, რამდენადაც, უკანასკნელ შემთხვევაში საქმე გვაქვს მატერიის ორგანიზაციის უმაღლეს დონესთან, რომელსაც სრულიად თავისებური თვისებრივი განსაზღვრულობა გააჩნია. როგორ არის არსებულის ამ საუფლოში საქმე? რჩება თუ არა არაორგანული სამყაროს შესახებ ნათქვამი აქაც ძალაში? დიახ, რჩება! მის დასადასტურებლად შეიძლებოდა ურიცხვი მაგალითები მოგვეტანა; მაგრამ ეს სრულებითაც არ არის ამჯერად აუცილებელი. ერთი ტიპური მაგალითის მოყვანაც, მაგალითისა, რომელიც ადეკვატურად გამოთქვამს სიცოცხლის თავისებურებასა და არსებას, ჩვენი აზრით, სავსებით საკმარისია. რა წარმოადგენს სიცოცხლის უნივერსალურ თვისებას? ყოველი ცოცხალი ორგანიზმი წარმოადგენს ღია სისტემას, რომელიც სიცოცხლის დაფუძნებისა და შენარჩუნების მიზნით, თვითრეგულაციის გზით, დღენიადაც აწარმოებს გარემოსთან ნივთიერებისა და ენერჯიის გაცვლა-გამოცვლას. თუ ეს დებულება სწორია და, ჩვენ ვფიქრობთ, რომ იგი სავსებით ეთანხმება თანამედროვე ბუნებისმეტყველების მონაცემებს, მაშინ, თავისთავად ცხადია სივრცეში ნივთიერებისა და ენერჯიის გადაადგილების — ცვალებადობის ამ სახის როლი და ფუნქცია სიცოცხლისა და მისი თვალშეუვლები მრავალფეროვნების წარმოების საქმეში. „ნივთიერებისა და ენერჯიის გაცვლა-გამოცვლა“ არა მხოლოდ ორგანიზმსა და გარემოს შორის, არამედ თვით ორგანიზმის შიგნით მის სხვადასხვა ნაწილს შორის, სხვა არაფერია თუ არა „არსებულთა გადაადგილება“ სივრცეში. ერთი სიტყვით, ყველა ზემოთ მოყვანილი მაგალითი, ჩვენი აზრით, სავსებით ნათლად და არაორაზროვნად ადასტურებს სივრცეში სხეულთა გადაადგილების დიდ-

მნიშვნელოვან როლსა და ფუნქციას უნივერსუმის უკლებლივ ყველა რეგიონის გამრავალფეროვნებაში.

და, ბოლოს, ცვალებადობის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი სახის — განვითარების როლისა და ფუნქციის შესახებ უნივერსუმის საერთო სტრატეგიაში.

4. განვითარების ცნებასა და კონცეფციას ხანგრძლივი ისტორია აქვს. ძველ ბერძნებს ჰქონდათ გარკვეული წარმოდგენა განვითარების ფენომენის შესახებ, თუმცა სპეციალური თეორია მის შესახებ არ შეუქმნიათ. ისინი ლაპარაკობდნენ საგანთა შექმნაზე, მათი ქმნადობის ევოლუციაზე. თაღესი, ანაქსიმანდრე, ანაქსიმენი ლაპარაკობდნენ არხესაგან საგანთა წარმოქმნაზე; ცეცხლის სტიქიის მარადიულ ქმნადობაზე მიაწინებდა ჰერაკლიტე თავის კოსმოლოგიაში და ა. შ. მაგრამ ყველაფერი ეს იყო საყოველთაოსაგან ერთეულ არსებათა წარმოშობის შესახებ მსჯელობა, და ცხადია, იგი არ უნდა ავეურობო: განვითარების შესახებ რაიმე კონცეფციის ჩამოყალიბებასთან. ეს საკითხი, ბერძნული მეტაფიზიკის ადრეულ პერიოდში, ჯერ კიდევ არ იყო ნათლად თემატიზებული. ის უფრო მისი გვიანდელი ხანის ნაყოფია და თანაც წარმოდგენის დონეზე.

პირველ თვალსაჩინო რეფლექსიას ამ მიმართულებით ჩვენ ვხვდებით ემპედოკლესთან. იგი, როგორც მისი ნაშრომებიდან დღემდე მოღწეული ფრაგმენტების მიხედვით ირკვევა, ლაპარაკობს ცოცხალ არსებათა ევოლუციაზე, რომლის შინაარსი რალაცნაირად უახლოვდება განვითარების ფენომენს. საინტერესოა ემპედოკლეს აზრი იმის შესახებ თუ როგორ იჭრება ცოცხალ სამყაროში მის არსებათა შემეკრელი ძალა სიყვარულის სახით, ავიწროებს არსებათა გამთიშველ ძალას — სიძულვილს და, სინთეზის გზით, აქამდე ცალ-ცალკე წარმოშობილ ორგანიზმთა ნაწილებისაგან ქმნის სრულყოფილ ცოცხალ არსებებს<sup>35</sup>. ცხადია, ამ შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს ორგანული სამყაროს ევოლუციის სრულიად გულუბრყვილო თვალსაზრისთან, მაგრამ აქ პირველად არის დაყენებული ცოცხალ არსებათა ევოლუციური წარმოშობის პროლემა და ამდენად რალაცნაირად საქმე გვაქვს განვითარების იდეის პირველ ფორმასთან. ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ და აქ კვლავ ვიმეორებთ იმ აზრს, რომ პლატონის მეტაფიზიკურ სისტემაში საერთოდ ცვალებადობის, კერძოდ კი „ნამდვილ არსებულთა“ ევოლუციის იდეამ ვერავითარი ადგილი ვერ ჰპოვა. პლატონის იდეები მარადიულნი არიან. ამ უკანასკნელი თეზისის ერთგვარი შერბილება განიზრახა არისტოტელემ, როცა მან ფორმა საგანში ჩაასახლა და ქვეყნიერება წარმოიდგინა როგორც არსებულთა იერარქია. უსიათა ერთ-ერთი

<sup>35</sup> ს. დანელია, ანტიკური ფილოსოფიის ნარკვევები, თბ., 1983, გვ. 188—189.

დასაბამი — ნივთიერება, როგორც შესაძლებლობა, მუდამ ესწრაფვის ფორმას; ასე იქმნება არსებულთა იერარქია, რომელიც, გარკვეული აზრით, არის განვითარების საფეხურები. მაგრამ განვითარებას არისტოტელესთან არა აქვს დინამიური ხასიათი. საერთოდ ფორმა, რომლისაკენაც ისწრაფვის ყოველი საგანი, არისტოტელესთან არაქმნადი და უცვლელია. აქ იგი თავისი დიდი მასწავლებლის — პლატონის ერთგული რჩება.

განვითარების კემპარიტმა ცნებამ მტკიცე მოქალაქეობრივი უფლებები ჰეგელთან და, მისი მეშვეობით, ჰეგელის შემდეგდროინდელ ფილოსოფიაში მოიპოვა. ჰეგელის გავლენით იგი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კატეგორიათაგანია მარქსისტულ ფილოსოფიაში. ჩვენ არა გვაქვს განზრახვა მკითხველს განვითარების თეორიის ისტორია წარმოუდგინოთ; არც განვითარების ფენომენის ცოტად თუ ბევრად დეტალური ანალიზის სურვილი არ გვა მოძრავებს. როგორც აქამდე, ჩვენი კვლევის მთავარი მიზანი არის იმის გარკვევა, თუ რა წვლილი შეაქვს განვითარების ფენომენს სამყაროს ფუნდამენტურ ტენდენციაში. ერთგულად მივყევით ჩვენს მთავარ მაქსიმას და კვლავ ვიმეორებთ მრავალჯერ ნათქვამს: ყველაფერი და ყოველივე ამ სამყაროში განხილული და ინტერპრეტირებული უნდა იქნეს მისი ფუნდამენტური ატრიბუტისა და მით პირობადებული გენერალური ტენდენციის თვალსაწიერიდან. ამისათვის კი, პირველ რიგში, უნდა ვიცოდეთ თუ რა არის განვითარება. მაგრამ, სანამ ამას გავარკვევდეთ, გვინდა მკითხველს ზოგადი ხასიათის ინფორმაცია მივაწოდოთ, ინფორმაცია, რომელშიც განვითარების პრობლემასთან დაკავშირებით ჩვენი პოზიცია იქნება გამოხატული და, რომელიც, ჩვენი აზრით, ხელს შეუწყობს მისი ცნების ზუსტი შინაარსის დადგენას.

პირველ რიგში გვინდა მკითხველის ყურადღება მივაქციოთ ერთ არსებით მომენტს. როგორც ცნობილია, ცვალებადობის სახეთა პირველ სისტემატიკოსსა და მკვლევარს — არისტოტელეს, — განვითარება ცვალებადობის სახედ არ გამოუცხადებია. რამდენად სამართლიანია ჩვენ მიერ განვითარების ფენომენის ცვალებადობის ერთ-ერთ სახედ გამოცხადება? ხომ არ მოდის იგი კოლიზიაში ტრადიციასთან, რომლის მიხედვით დიალექტიკა არის მოძღვრება სინამდვილის (სამყაროს) განვითარების უზოგადესი კანონების შესახებ? ერთი შეხედვით, თითქოს ყველაფერი ნორმალურად უნდა იყოს, მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით არის ასე; ფაქტიურად კი განვითარების ფენომენის ცვალებადობის სახედ გამოცხადება უთუოდ გარკვეულ კონფლიქტში მოდის დამკვიდრებულ ტრადიციასთან! მართლაც, განა შეიძლება დიალექტიკის — მთელი ფილოსოფიური თეორიის შინაარსი შემოისაზღვროს

ცვალებადობის ერთი სახის შესწავლით? რა თქმა უნდა, ცვალებადობის ყოველ სახეზე და, მათ შორის, განვითარებაზე შეიძლება გარკვეული ფილოსოფიური თეორია შეიქმნას. აქ არავითარი შეუსაბამობა და წინააღმდეგობა არ არის. ამ შემთხვევაში გაუგებრობას იწვევს დიალექტიკის შესასწავლი ობიექტის ასე დაიწროება და მისი, როგორც ზოგადფილოსოფიური თეორიის ინტერესების შემოსაზღვრა განვითარების ფენომენის შესწავლით, და ეს კეთდება მაშინ, როცა სავსებით უუქველად არის მიჩნეული მოძრაობისა და ცვალებადობის ცნებებთან შედარებით განვითარების ცნების ნაკლებზოგადობა. რატომ, რა საბუთით უნდა შემოსაზღვროს დიალექტიკამ თავისი კვლევა-ძიება განვითარების ფენომენით? იმის თქმა, რომ განვითარება არის ცვალებადობის თავისებური სახე, რომ იგი თავის შინაარსად გულისხმობს ცვალებადობის სხვა სახეებს, და, მაშასადამე, თავად განვითარების ცნება რომ გამოიყენოთ, არის ცვალებადობის განვითარებული სახე, მაშინ, როცა ცვალებადობის სხვა სახეებზე ეს არ ითქმის, სრულებითაც არ არის საკმარისი არგუმენტი იმისათვის, რომ დიალექტიკის თეორიის ინტერესები შემოსაზღვროს განვითარების ფენომენის შესწავლით. განვითარება, უნივერსუმის სხვა ფუნდამენტურ მახასიათებლებს შორის ერთ-ერთია და, მაშასადამე, მისთვის პრივილიგებული ადგილის მინიჭება სრულებითაც არ არის კორექტული. საქმის ვითარების უფრო ნათლად წარმოდგენის მიზნით მოგვიწევს ამ საკითხზე უფრო დეტალურად შევჩერდეთ. აქ, სხვათა შორის, არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ქეშმარიტებისაკენ მიმავალ გზაზე ერთ-ერთ ბარიერად კვლავ ტერმინოლოგიური აღრევის აჩრდილიც დგას; მაგრამ ამჯერად მას ყურადღებას არ მივაქცევთ. ჩვენ სულ სხვა მიმართულებით გვინდა მსჯელობა წარვმართოთ.

5. როგორც აღინიშნა, განვითარების ცნება ფილოსოფიურ აზროვნებაში მტკიცედ ჰეგელთან და ჰეგელის შემდეგ მკვიდრდება. მისი გავლენით მარქსისტულ ფილოსოფიაში დიალექტიკა მატერიის განვითარების ზოგადფილოსოფიურ თეორიად არის მიჩნეული. აი სწორედ დიალექტიკის ამ განსაზღვრების შესახებ გვინდა ამჯერად ყურადღება შევიჩეროთ. მარქსისტულ ფილოსოფიაში დიალექტიკის განსაზღვრების მრავალი სხვადასხვა ვარიანტი არსებობს. მათ ვხვდებით ყველგან — ცალკეული ავტორების მონოგრაფიულ გამოკვლევებში, დიალექტიკის შესახებ სახელმძღვანელოებსა და ფილოსოფიურ ლექსიკონებში. დიალექტიკის ერთ-ერთ განსაზღვრებაზე ჩვენ უკვე მივუთითეთ. სრული ფორმით ეს განსაზღვრება ასე გამოიყურება: დიალექტიკა არის მეცნიერება ბუნების, საზოგადოებისა და აზროვნების განვითარების უზოგადესი კანონების შესახებ. არსებობს დიალექტიკის კიდევ სხვა გან-

საზღვრებანიც. ასე, მაგალითად, დიალექტიკას ხშირად ასე განსაზღვრავენ: დიალექტიკა ეს არის მოძღვრება საგნებსა და მოვლენებს შორის არსებული საყოველთაო კავშირების შესახებ. ხშირად დიალექტიკის ასეთ განსაზღვრებასაც ვხვდებით: დიალექტიკა ეს არის მოძღვრება სამყაროს ცვალებადობის შესახებ. საკმაოდ ფართოდ არის გვრცელებული დიალექტიკის ასეთი განსაზღვრაც: დიალექტიკა არის მოძღვრება საგნებსა და მოვლენებში არსებული შინაგანი წინააღმდეგობის შესახებ და ა. შ. რამდენად სწორია ეს განსაზღვრებები? არც ერთი მათგანი არ არის შეცდომა, რამდენადაც თითოეულ ამ განსაზღვრებაში ფიქსირებულია უნივერსუმის ესა თუ ის ფუნდამენტალი — ძირეული მახასიათებელი. მაგრამ უნივერსუმს, გარდა ზემოთ აღნიშნულისა, კიდევ მრავალი სხვა ფუნდამენტური მახასიათებელი გააჩნია. ის უთუოდ არის სიმრავლე, მასთან ერთად, მრავალთა ერთიანობა. სამყაროში რაღაც წესრიგი — ლოგოსი ბატონობს. არსებულებს, რომელთა ერთობლიობაა ბუნება, სტრუქტურა და სისტემურ-მთლიანობითი ხასიათი გააჩნიათ. საგნებისა და მოვლენების არსებობა მათ აქტიურობას გულისხმობს უთუოდ, აქტიურობას, რომელსაც მრავალი სხვადასხვა ფორმა გააჩნია და ა. შ. და ა. შ. და, მაშინ, რა საფუძვლით უნდა შევზღუდოთ დიალექტიკის განსაზღვრებათა რიცხვი ზემოთ აღნიშნულით? უფრო ლოგიკური ვიქნებით თუ დიალექტიკის ზემოთ აღნიშნულ განსაზღვრებებს კიდევ ასეთი განსაზღვრებებით გავამდიდრებთ: დიალექტიკა არის მოძღვრება სამყაროს მრავალფეროვნებისა და ერთიანობის შესახებ, სამყაროს სტრუქტურისა და მისი ორგანიზაციის დონეების შესახებ, არსებულთა არსებობისა და აქტიურობის ფორმების შესახებ და ა. შ. დიალექტიკის ყოველი ასეთი განსაზღვრება, როგორც ზემოთ ითქვა, არ იქნება შეცდომა, მაგრამ მის არც დამაკმაყოფილებელ განსაზღვრებასთან გვექნება საქმე. ჩვენ ამჟერად სწორედ ეს უკანასკნელი გარემოება გვაინტერესებს. დიალექტიკის ყოველი ზემოთ მოყვანილი და მათი ანალოგიური შესაძლებელი განსაზღვრებები ცალმხრივია და, მაშასადამე, ლოგიკურად ნაკლოვანი. განსაზღვრება კი, საერთოდ და, კერძოდ დიალექტიკისა, უნდა იყოს ლოგიკურად უნაკლო, სრულყოფილი. ჩვენს კონკრეტულ შემთხვევაში არის თუ არა ეს შესაძლებელი და რა გზით? თითოეული ზემოთ აღნიშნული განსაზღვრება დიალექტიკისა უნივერსუმის ამა თუ იმ მხარეს, ფუნდამენტურ ნიშანთვისებას აქცევს ყურადღებას და, დიალექტიკაც ამ ცალმხრივი მხარის მიხედვით არის განსაზღვრული, ეს არ არის კორექტული, რა თქმა უნდა, უხერხულობას ქმნის ყველა ამ მხარის ერთად ჩამოთვლა. როგორ უნდა მოვიქცეთ? ჩვენი აზრით უნდა მივანიშნოთ ის მთავარი და არსებითი, რაც უნივერსუმში ხორციელდება და რომელსაც უნივერსუმის თითოეული ფუნდამენტალი ემსახურება. ესაა — ყოფნის ფუნდა-

მენტური ატრიბუტი. ყოველი ნიშან-თვისება არსებულისა მისი ყოფნის წესია და, საბოლოო ინსტანციაში, ყოფნის ამ ფუნდამენტური ატრიბუტის განხორციელებას ემსახურება. სხვანაირად ეს იმას ნიშნავს, რომ დიალექტიკას საქმე აქვს არსებულის არსებობის წესებთან; მისი მიზანი და ამოცანა ამ უკანასკნელთა დადგენაა. თუ ამ არსებით გარემობას მივიღებთ მხედველობაში, მაშინ, იგი შეიძლება საბოლოოდ ასე განიმარტოს: დიალექტიკა არის მეცნიერება უნივერსუმის ყოფნის წესების შესახებ.

განვითარების ფენომენი, რომელსაც ჩვენ მიერ ზემოთ მოყვანილი განსაზღვრება დიალექტიკის გამორჩეულ ობიექტად ხდის, არსებულთა მხოლოდ ერთ-ერთი მახასიათებელთაგანია და, მაშასადამე, დიალექტიკის, როგორც ზოგადფილოსოფიური თეორიის შემოსაზღვრა მხოლოდ განვითარების შესახებ მოძღვრებით უმართებულად უნდა მივიჩნიოთ. ამრიგად, რა ირკვევა საბოლოოდ? თუ დიალექტიკის თეორიას, მის მიზნებსა და ამოცანებს განვითარების ფენომენის შესწავლით შემოვსაზღვრავთ, მაშინ ცვალებადობის სახეთა რიგში განვითარების ფენომენის მოქცევა უთუოდ კოლიზიაში მოდის ტრადიციასთან, რომელსაც განვითარების თეორია სამყაროს ზოგადფილოსოფიურ კონცეფციად მიაჩნია. ამიტომ აუცილებელი ხდება დიალექტიკის განსაზღვრების სრული რეკონსტრუქცია. თუ ამ უკანასკნელს მოვახდენთ, მაშინ, თავისთავად ცხადია, განვითარების გამოცხადება ცვალებადობის ერთ-ერთ სახედ არავითარ შეუსაბამობაში არ იქნება სამყაროს ზოგადფილოსოფიურ კონცეფციასთან და არც არავითარ გაუგებრობებს არ გამოიწვევს.

6. არ შეიძლება მკითხველს კიდევ ერთი მომენტის შესახებ არ მოვახსენოთ. ამ შემთხვევაში საქმე ეხება იმას, რომ ზემოთ აღნიშნული ცალმხრივი განსაზღვრება დიალექტიკისა შეიძლება გახდეს და ხდება კიდევაც წყარო სხვა გაუგებრობისაც. ჰეგელი დიალექტიკას განსაზღვრავდა. როგორც სულის განვითარების შესახებ მოძღვრებას. მისი აზრით, ნამდვილად არსებული არის იდეა და სწორედ მხოლოდ იდეა (სპეკულატური ცნება) შეიძლება იყოს განვითარების უნარმქონე. განვითარების ცნებას ჰეგელთან სრულიად განსაზღვრული მეტაფიზიკური დატვირთვა გააჩნია და იგი ორგანულად არის დაკავშირებული იდეის სუბსტანციურობასთან. იდეა რომ არ იყოს ქვეყნიერების სუბსტანცია, განვითარების ფენომენის არსებობას უნივერსუმის სტრუქტურაში ჰეგელი ვერ გაამართლებს. ინერტული მატერია მოკლებულია თვითგანვითარების უნარს. რატომ? იმიტომ, რომ მას არ შეიძლება მიზანი ჰქონდეს. მხოლოდ ტელოსის მქონე არსებას შეუძლია წინ წავიდეს, მიუახლოვდეს თავის მიზანს. განვითარება სხვა არაფერია,

თუ არა მიზნისკენ სვლა, მიზანთან მიახლოება. იდეის მიზანი საკუთარი თავის შემეცნებაა და სწორედ მისი ამ მიზნით არის განვითარების მთელი პროცესი პირობადებული ჰეგელის კონცეფციაში. როგორ არის ყველაფერი ეს წარმოდგენილი ჰეგელის ფილოსოფიაში? აბსოლუტის დახასიათება იწყება უაბსტრაქტულესი ცნებით — ყოფნით და მთავრდება აბსოლუტური იდეით. ამით მთავრდება განვითარების ერთი ციკლი. მაგრამ რა არის აბსოლუტური იდეა და სად არსებობს იგი? აბსოლუტური იდეა — ღვთაება არის ლოგიკურ განსაზღვრულობათა ტოტალობა, მათი კონკრეტული ერთიანობა<sup>36</sup>. სად არსებობს იგი? აქ ჰეგელი რადიკალურად განსხვავდება პლატონისაგან. უკანასკნელის მიხედვით იდეათა სამყარო ემპირიული სინამდვილისადმი ტრანსცენდენტურია; პირველი მეორის მიღმა არსებობს. ჰეგელი ასეთ შესაძლებლობას ვერ დაუშვებს. მან კარგად იცის ასეთი დაშვების სიძნელეები. სპეკულატური იდეა იმანენტურია სამყაროსადმი. მაგრამ, მიუხედავად ასეთი გამოსავალი პოზიციისა, მას უფრო დიდი სიძნელე ელოდება წინ ვიდრე პლატონს: როგორ უნდა მოხდეს გადასვლა აბსოლუტური იდეიდან (რომელმაც რალაც სასწაულად ბინა ჰეგელის თავში დაიღო) სინამდვილისაკენ? როგორ უნდა იქცეს საყოველთაო ინდივიდუალურ არსებად? აქ ისევე მორიგი სასწაულო ხდება სიძნელის გადალახვა. სპეკულატური ცნება (აბსოლუტური იდეა) „განესხვავება“ თავის თავს და „გადავა“ ბუნებაში და იწყება ახალი ციკლი „სულის წვალებისა“ და, ყველაფერ ამას, საბოლოო ინსტანციაში, ტელოსი განსაზღვრავს. ასე არის გამართლებული განვითარების ფენომენი ჰეგელის კონცეფციაში. ასეთი მეტაფიზიკური კონცეფცია სავსებით გასაგებს ხდის გამოთქმებს: „უნივერსუმის განვითარება“, „აბსოლუტის განვითარება“, „სულის განვითარება“ და ა. შ. ერთი სიტყვით, განვითარების ფენომენს სამყაროს ჰეგელისეულ მოდელში თავისი ადგილი და კონკრეტული გამართლება გააჩნია.

მაგრამ განვითარების ფენომენი და მისი გამომთქმელი ცნება სრულიად შეუსაბამოდ ჩანს, როცა მოხსნილია სულის სუბსტანციურობის შესაძლებლობა და არსებულთა არსებად მიჩნეულია მატერია. ამ უკანასკნელს არა აქვს არავითარი მიზანი და მაშინ რას უნდა ნიშნავდეს მისი განვითარება ან, საერთოდ, არის თუ არა შესაძლებელი მატერიის

<sup>36</sup> საკითხი იმის შესახებ, თუ რატომ გააჩნია ღვთაებას ასეთი და არა სხვანაირი განსაზღვრულობები, ჰეგელთან ძალზე ბუნდოვნად და არაერთნიშნად არის წარმოდგენილი; მასთან შედარებით ნათელი და გასაგებია ბუნებისა და სასრულო სულის, მათი მრავალფეროვან გამოვლენათა არსებობის საფუძველი. აზრის განვითარების „წმინდა სტიქიაში“ ის მიჰყვება ისტორიას; მაგრამ რით უნდა გამართლდეს ლოგიკისა და ისტორიის უს დამთხვევა?

განვითარებაზე ლაპარაკი? სამყაროს მატერიალისტურ კონცეფციაში, კერძოდ, მარქსისტულ ფილოსოფიაში, ხშირად ლაპარაკობენ სამყაროს, მატერიის განვითარებაზე. ბევრ შემთხვევაში მატერიის განვითარების შესაძლებლობის დაშვება პირდაპირ ფიგურირებს მატერიალისტური დიალექტიკის განსაზღვრებაში. რამდენად კანონიერია ასეთი მოსაზრება? უნდა ითქვას გადაჭრით, რომ ასეთი თვალსაზრისი სრულებითაც არ არის სწორი და უბრალოდ გაუგებრობას ემყარება. უკანასკნელი სრულიად მარტივი მანიპულაციის ნაყოფია: მატერიალისტურ კონცეფციაში ქვეყნიერების სუბსტანციად გამოცხადებულია მატერია; თუ იდეის განვითარება შეიძლება, რატომ არ შეიძლება ვითარდებოდეს მატერია, რომელმაც ჰეგელისეული იდეის ადგილი დაიკირა სამყაროს მეტაფიზიკურ კონცეფციაში? საკითხის ასე მარტივად გადაწყვეტა გონივრულ საფუძველს არის მოკლებული. ჰეგელისეული იდეის განვითარებაზე ლაპარაკი შეიძლება, მაგრამ ის, რაც შესაძლებელია იდეის შემთხვევაში, გამორიცხულია მატერიის მიმართ.

ჩვენ ცოტა ზემოთ ლაპარაკი გვქონდა განვითარების ფენომენის ჰეგელისეულ გამართლებაზე. როგორ და რა გზით მოახერხა იგი ჰეგელმა? მან უნივერსალური ტელოსით ზღვარი დაუდო აბსოლუტს, ფაქტიურად აქცია იგი, სრულიად საპირისპიროდ მისი გამოსავალი პრინციპისა, მიზნის მქონე სასრულო არსებად და განვითარების შესაძლებლობა სავსებით გასაგები გახდა. მაგრამ როგორ უნდა მოვიქცეთ იმ შემთხვევაში, როცა ასეთი „ბოლო მიზანი“ არ ჩანს და ქმნადობის პროცესი უსასრულობაში იკარგება?<sup>37</sup> ამ კითხვასთან დაკავშირებით გადაჭრით უნდა ითქვას შემდეგი: მატერია, სამყარო, უნივერსუმი საერთოდ არ ვითარდება და არც შეიძლება განვითარდეს; არსებულებს, რომელთაგანაც, თუ შეიძლება ითქვას, „შედგება“ მატერია, არ შეუძლიათ მიაღწიონ ისეთ მდგომარეობას, რომლის იქით მათი ქცევადობა შეუძლებელი გახდებოდა. ასეთი ვითარების დაშვება მომასწავებელი იქნებოდა სრული ფინალიზმის და იგი წინააღმდეგობაში მოექცეოდა უნივერსუმის ფუნდამენტურ პრიმატრიბუტთან — ყოფნასთან, რომელიც არის მარადიული აქტიურობა, რომლის გამოც სამყარო არის მარადიული ქმნადობა — დაუბოლოვებელი გამრავალფეროვნება. ერთი სიტყვით, მატერია, უნივერსუმი არ ვითარდება. ეს თვალსაზრისი არ არის

---

<sup>37</sup> ცხადია, ეს არ ნიშნავს იმას, რომ განვითარების ფენომენი თითქოს ყოველთვის დაკავშირებული უნდა იყოს მიზანთან, ე. ი. იქ, სადაც არ არის მიზანი, თუნდაც გაუცნობიერებელი, არც განვითარება იყოს. ასეთი შინაგანი კავშირი მათ შორის არ არსებობს. ჩვენს შემთხვევაში ლაპარაკია იმაზე, რომ ჰეგელმა ტელოსის ფენომენით აქცია უნივერსუმი (დაუბოლოვებელი) ზღვარდებულ სისტემად და ამით გაამართლა მისი განვითარების შესაძლებლობა.



უცხო თანამედროვე მატერიალიზმისათვის. მისი ერთ-ერთი ფუძემდებელი — ფრ. ენგელსი მოძრავი მატერიის წრებრუნვის თვალსაზრისზე იღვავა. „ფიზიკა, ისევე როგორც უფრო ადრე ასტრონომია, იმ შედეგამდე მივიდა, რომელიც აუცილებლობით მიუთითებდა მოძრავი მატერიის მარად წრებრუნვაზე, როგორც მეცნიერების უკანასკნელ დასკვნაზე“<sup>38</sup>... „...დამტკიცდა, — წერს იგი ამავე საკითხთან დაკავშირებით, — რომ მთელი ბუნება მარად მდინარებასა და წრებრუნვაში მოძრაობს“<sup>39</sup>. წრებრუნვის თეორია უთუოდ სწორია იმაში, რომ იგი უარყოფს უნივერსუმის (მატერიის) „საბოლოო მდგომარეობის“ კონცეფციას, მაგრამ ის გარკვეულად ხარკს უხდის მას, იმით რომ იგი განსაზღვრულ ინტერვალში უშვებს „მთელი სამყაროს“ განვითარების შესაძლებლობას განსაზღვრული მიმართულებით. ის *implicite* ემყარება რაღაც მარტივის არსებობას, რომლის განვითარება მიმდინარეობს დროის გარკვეულ ინტერვალში, აღწევს გარკვეულ საფეხურს, მატერიის ორგანიზაციის განსაზღვრულ დონეს, რომელსაც თან ახლავს გონის წარმოშობა; შემდეგ კი ეს ორგანიზაცია იშლება და პროცესი ხელახლა იწყება. ამ შემთხვევაში სიცოცხლე და მასთან დაკავშირებული ვონი, გვინდა თუ არ გვინდა, აღიარებულა საერთოდ მატერიის (უნივერსუმის) განვითარების უმაღლეს საფეხურად<sup>40</sup>. აქ კვლავ იგრძნობა ქვეყნიერების განვითარების ჰეგელისეული მოდელის გავლენა<sup>41</sup>. მატერია განსაზღვრული მიმართულებით არასდროს არ ვითარდება და როცა ასე ვლაპარაკობთ ყოველთვის მხედველობაში უნდა გვქონდეს არა „მატერია საერთოდ“, არამედ მისი ესა თუ ის რეგიონი, ესა თუ ის მატერიალური სისტემა. ამიტომ არ არის მართალი არც წრებრუნვის თეორია, როდესაც მას წრებრუნვის ქვეშ მთელი ბუნების წრებრუნვა ესმის. ქვეყნიერების მარადიული მდინარება არ ნიშნავს მის მარადიულ წრებრუნვას. უკანასკნელი დებულება იმითაც არის საგულისხმო, რომ იგი საფუძველს აცლის ერთსა და იგივეს განმეორების შესაძლებლობას. სამყარო არ ვითარდება, მაგრამ ის არც წრეში ტრიალია. სამყა-

<sup>38</sup> ფრ. ენგელსი, ბუნების დიალექტიკა, თბ., 1954, გვ. 16.

<sup>39</sup> იქვე, გვ. 18.

<sup>40</sup> ამასთან დაკავშირებით იხ. ფრ. ენგელსი, ბუნების დიალექტიკა, გვ. 25—28.

<sup>41</sup> ჰეგელის მეტაფიზიკა სამყაროს დედამიწისეული მოდელია. არასწორად მიგვაჩნია მისი უნივერსალიზაცია, რომელიც, ჩვენი აზრით, საფუძვლად უდევს წრებრუნვის თეორიას. ჰეგელთან გონი უმაღლესი ინსტანციაა, საიდანაც ქვეყნიერება მიემართება და, მამასადამე, წარმოდგენს უნივერსუმის წარმართველ ძალას. ჩვენთვის ეს თვალსაზრისი მიუღებელია. გონის წარმოშობას თავად აქვს უფრო ღრმა საფუძველი.

როს მდინარება არ ნიშნავს ერთი და იგივეს განმეორებას<sup>42</sup>. სასრულო: არსებათა შედარებითი სტაბილურობა სრულებითად არ ნიშნავს მათ მარადიულობას. დედამიწა არსებობს მზის სისტემაში; იგი შეუჩერებელი ბრუნავს თავის ღერძის გარშემო, გარემოიქცევა მზის ირგვლივ; ადამიანები დასაბამიდან დღემდე, დღენი დაღე და ჯაფითა და რუღუნებით აწარმოებენ თავიანთ ყოფნას, და ა. შ. და ა. შ. ყველაფერი ეს მიმდინარეობს და მეორდება უხსოვარი დროიდან დღემდე, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ყველაფერი ეს ასე იყო ყოველთვის და ასე იქნება. მომავალშიც. იყო დრო, როცა საერთოდ არ არსებობდა მზის სისტემა. მასში შემავალი პლანეტებითურთ. არც დედამიწა არ ბრუნავდა თავისი ღერძის გარშემო; არც ადამიანები არ არსებობდნენ მის ზედაირზე და არც მდინარეები მიედინებოდნენ ზღვისკენ. ყველაფერი ეს გაჩნდა. და, ის, რაც წარმოიშვა უთუოდ დაიღუპება. მის ნანგრევებზე ახალი სამყარო აღმოცენდება, მაგრამ, ის არავითარ შემთხვევაში არ იქნება ძველის განმეორება, ისე როგორც არც ერთი დღემდე მკვდარი ადამიანი ხელახლა არ დაიბადება. აი, სწორედ, ეს მუდმივი განახლება არის არსებულთა არსებობის აუცილებელი პირობა. ყველაფერი, რაც იბადება უთუოდ განახლებული, ძველისაგან რალაციტ განსხვავებული იბადება, რამდენადაც ეს დაბადება ხდება სხვა დროს, სხვა სივრცეში, სხვა სიტუაციაში, მიზეზ-შედეგობრივი ჯაჭვის სხვა რგოლში. ამრიგად, ქვეყნიერების მარადიული მდინარება, მიუხედავად იმისა, რომ ის არ არის განვითარება, არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავს ერთსა და იგივეს განმეორებას — წრეში ტრიალს. ამ აზრით შეიძლება ითქვას, რომ სამყაროს მდინარება არის წინსვლა და არა წრებრუნვა, რამდენადაც ყოველი სასრულო არსების წარმოშობა არის უნივერსუმის გამრავალფეროვნება, დღემდე არარსებულის გამოჩენა ყოფნის სცენაზე.

ყველაფერი ის, რაც ამ პუნქტში აქამდე ითქვა, ჩვენი აზრით, ხელს უწყობს უფრო ზუსტად დადგინდეს განვითარების ცნების შინაარსი, გაირკვეს, თუ რა ვითარდება, რის განვითარებაზე შეიძლება ლაპარაკი.

ამრიგად, რა გამომდინარეობს ზემოთ გაკეთებული შენიშვნებიდან? უწინარეს ყოვლისა ის, რომ სამყარო, მატერია საერთოდ არ ვითარდება, რომ უნივერსუმის განვითარების კონცეფცია არ არის მართალი. მაშ, რა ვითარდება, რის განვითარებაზე შეიძლება ვილაპარაკოთ? ვითარდება და შეიძლება ვილაპარაკოთ მხოლოდ სასრულო არსების გან-

---

<sup>42</sup> სრულებითაც არ არის მართალი, ამიტომ ბიბლია, როცა ის მზის ქვეშეთში მიმდინარე პროცესების მარადიულ და წრებრუნვით ბუნებაზე მიანიშნებს: მდინარეები მიედინებიან ზღვისკენ, მაგრამ ზღვა აღარ ივსება; იმ ადგილს, საიდანაც ისინი მოედინებიან, ისევ უბრუნდებიან, რათა კვლავ იდინონ; რაც იყო ის იქნება; რაც: კეთდებოდა ის გაკეთდება და აღარაფერი არ არის ახალი მზისქვეშეთში..

ვითარებაზე, სულ ერთია, არსებულის რა სახეს მიეკუთვნება იგი; ვითარდება ესა თუ ის კოსმიური სისტემა, ვთქვათ, მაგალითად, მზის სისტემა, გალაქტიკა; ვითარდება ესა თუ ის ცოცხალი ორგანიზმი, სიცოცხლე, საზოგადოება, ესა თუ ის მეცნიერული თეორია და ა. შ. ერთი სიტყვით, ვითარდება ესა თუ ის კონკრეტული სისტემა, რომელსაც დასაბამი და დასასრული აქვს დროში, არსებობს სივრცის განსაზღვრულ მონაკვეთში და შემოსაზღვრულია სხვა სასრულო არსებით. მაგრამ რას ნიშნავს დროსა და სივრცეში, სხვანაირად რომ ვთქვათ, კონკრეტულ სიტუაციაში ყოფნა? უთუოდ იმას, რომ მოცემულ კონკრეტულ სისტემას (სასრულო არსებას) აქვს თავისი ინტეგრაციული თვისებები, რითაც ის განსხვავდება სხვა, ყოფნის კონკრეტულ სიტუაციაში მყოფი არსებებისაგან. მრავალნაირია ამ ინტეგრაციულ თვისებათა საფუძველი და პარამეტრები, მათი ცვალებადობის წყარო, დინამიკა და კანონზომიერება. ჩვენი მიზანი ამჯერად არ არის მათი სპეციალური კვლევა. ეს ცალკე შრომის ამოცანაა. მთავარი, რაც ჩვენ გვინტერესებდა, უკვე ითქვა: ვითარდება და განვითარების პროცესს ექვემდებარება სასრულო არსებები. ამის შემდეგ ჩვენი ინტერესის მთავარ ობიექტს წარმოადგენს განვითარების ფენომენის შინაარსის დადგენა. ამ უკანასკნელის დადგენით გაირკვევა მისი როლი და ფუნქციაც უნივერსუმის სტრუქტურაში, რომელიც, როგორც ეს ამ პუნქტის დასაწყისში ითქვა, წარმოადგენს ჩვენს საბოლოო მიზანს.

7. ზემოთ ჩვენ განვითარების ფენომენი ცვალებადობის სახეთა რიგში მოვაქციეთ. ეს იმას ნიშნავს, რომ მისი გვარი არის ცვალებადობა და ამ შემთხვევაში საკამათო არაფერი არ უნდა იყოს; მაგრამ სიძნელე იქმნება და საკითხი საკამათო ხდება მაშინ, როცა დგება განვითარების ფენომენის სპეციფიკურობის პრობლემა. ზოგი ავტორის მიხედვით განვითარება არის ცვალებადობა, რომლის დროსაც ხდება გადასვლა მარტივიდან რთულისაკენ, დაბალიდან მაღლისაკენ. ზოგი ავტორის აზრით განვითარება არის თვისებრივი ცვალებადობა საერთოდ; ზოგი ფილოსოფოსი თვლის, რომ განვითარება არის ისეთი თვისებრივი ცვლილებები, რომელთაც აქვთ შეუქცევადი ხასიათი; ზოგი ავტორი ფიქრობს, რომ განვითარება არის საგნებისა და ხდომილობების სტრუქტურათა თვისებრივი ცვალებადობა და ა. შ. რა შეიძლება ითქვას აზრთა ამ მრავალსახიანობის შესახებ? ყველა ზემოთ აღნიშნულ თვალსაზრისს თან ახლავს სათანადო არგუმენტაცია, რომელიც უთუოდ უნდა იქნეს მხედველობაში მიღებული; მიუხედავად ამისა, ყოველი მათგანი რაღაც გადაუწყვეტელი სიძნელის წინაშე დგას, რაც მათ შეწყნარებას შეუძლებელს ხდის. მიუხედავად ამისა, საბოლოო ინსტანციაში, მთავარი და არსებითი ის არის, რომ ყოველი ზემოთ მინიშნებული მოსაზ-

რება უეჭველად შეიცავს რაღაც რაციონალურ მარცვალს, რომელიც უთუოდ უნდა იქნეს მხედველობაში მიღებული. უკანასკნელი გარემოების გამო ყოველი მათგანი ცალ-ცალკე და ყველა ერთად აღებული, უთუოდ იმსახურებენ იმას, რომ ისინი დეტალური ანალიზისა და შეფასების ობიექტებად იქცნენ; მაგრამ ეს საქმე სხვა დროისათვის უნდა გადაიდოს. ჩვენ აქ მოკლედ ჩამოვყალიბებთ ჩვენს მოსაზრებას განვითარების ფენომენის შესახებ.

განვითარება, როგორც ეს ზემოთ დადგინდა, არის სასრულო არსების განვითარება. ეს მომენტი უთუოდ უნდა ფიგურირებდეს განვითარების ცნების განსაზღვრებაში.

შემდეგ: სასრულო არსება ყოველთვის არის რაღაც ელემენტების, იქნებიან ისინი მატერიალური თუ იდეალური ბუნების, სტრუქტურული ერთიანობა და ორგანული კავშირი, რომელიც არსებობს და ფუნქციონირებს სრულიად განსაზღვრულ ყოფნით სიტუაციაში. ეს გარემოება მოცემულ სასრულო არსებას აქცევს განსაზღვრული ინტეგრაციული თვისებების მქონე არსებად, რომელიც არის ასეთი და არა სხვანაირი გარკვეულობის მქონე. მისი განვითარება, პირველ რიგში, ნიშნავს მისი თვისებების ცვალებადობას. რასაკვირველია, სრულიად განსხვავებულია ერთმანეთისაგან ერთუჯრედიანი და მრავალუჯრედიანი ცოცხალ არსებათა თვისებები. ყველაფერი ეს საესებით ცხადი და ნათელია. მაგრამ თვისებრივი ცვალებადობა ჭერ კიდევ არ ნიშნავს განვითარების ფენომენის სახეზე ყოფნას. შესაძლებელია საქმე გვექონდეს ამა თუ იმ სასრულო სისტემის აშკარა თვისებრივ ცვალებადობასთან, მაგრამ ეს უკანასკნელი არ იყოს მოცემული სისტემის განვითარება. სხვანაირად ეს იმას ნიშნავს, რომ თვისებრივი ცვალებადობა უთუოდ არის განვითარების აუცილებელი მომენტი მაგრამ არა საკმარისი. ასე, მაგალითად, ესა თუ ის ცოცხალი არსება განსაზღვრულ სიტუაციაში, თავისი სიცოცხლის შენარჩუნების მიზნით, ეგუება ამ უკანასკნელს. შეგუების პროცესი უთუოდ ნიშნავს მისი თვისებრივი მახასიათებლების შეცვლას. მაგრამ ბევრ და უმრავლეს შემთხვევაში ასეთი ცვალებადობა არ ნიშნავს განვითარებას — მოცემული ცოცხალი არსებისაგან ახალი სახესხვაობის წარმოქმნას. კიდევ რა არის საჭირო იმისათვის, რომ თვისებრივმა ცვალებადობამ განვითარების ხასიათი მიიღოს? საჭიროა ცვალებადობას ჰქონდეს შეუქცევადი ბუნება. მაგრამ არც ეს მომენტი არ არის საკმარისი. ცვალებადობის შექცევადობა, ცხადია, არ მოგვცემს ახალ არსებას. წყალი შეიძლება ორთქლად ვაქციოთ და, პირიქით, ორთქლი წყლად; ორივე შემთხვევაში საქმე გვექნება თვისებრივ ცვალებადობასთან: მოცემული ქიმიური ნივთიერების აგრეგაციულ მდგომარეობათა ცვალებადობასთან. მაგრამ ეს არ იქნება ამ ნივ-

თიერების განვითარების მომასწავებელი, რამდენადაც წყალი ორივე შემთხვევაში, თხიერი იქნება ის თუ გავზობრივ მდგომარეობაში, მაინც წყლად რჩება და, მაშასადამე, განვითარების თვალსაზრისით არავითარ წინსვლასთან არ გვექნება საქმე. სულ სხვა ვითარება იქმნება ცვალებადობის შეუქცევადობის შემთხვევაში. ადამიანის მსგავსი მაიმუნი, შრომის პროცესში, ხანგრძლივი ევოლუციის შედეგად, იქცევა სრულიად ახალ სახეობად — homo sapiens-ად. ორგანული სამყაროს ახალი არსებით — ადამიანით, — გამდიდრების პროცესი შეუქცევადია. შეუქცევადობა ამ შემთხვევაში ნიშნავს სრულიად ახალი თვისებრივი შესაძლებლობების წარმოშობას, შესაძლებლობებისა, რომლებიც, თუ ჩვენი მაგალითის მიხედვით ვიმსჯელებთ, არ არსებობდა მაიმუნთან და წარმოიშვა ადამიანში. მაგრამ არც ეს ნიშანი არ არის საკმარისი იმიტათის, რომ ცვალებადობამ მიიღოს განვითარების<sup>1)</sup> ხასიათი. განვითარების ფენომენის მკვლევარები ასახელებენ კიდევ ერთ მომენტს, რომელიც სხვა, ზემოთ მინიშნებულ მომენტებთან ერთად, აუცილებელია იმისათვის, რომ განვითარების ფენომენმა თავისი სრული ფორმით იარსებოს. ეს არის ცვალებადობის შედეგად მიღებული ახალი ინტეგრაციული მახასიათებლების მქონე არსებაში ძველის შემონახვის ფაქტი. რას ნიშნავს ეს? ეს ნიშნავს იმას, რომ განვითარების შემთხვევაში ცვალებადობის სხვადასხვა ეტაპს შორის არსებობს არა ინდიფერენტული დამოკიდებულება, არამედ დროში გაშლილ ამ ეტაპებს შორის იბმება აკუმულატორული კავშირი: ცვალებადობის ყოველი შემდგომი ეტაპი თავის წიაღში ინახავს და, თუ შეიძლება ითქვას, აგროვებს ცვალებადობის წინა ეტაპებზე მიღწეულ შედეგებს, შემოინახავს მათ თავის თავში და ასე, ამრიგად, ხდება ცვალებადობის ახალი ეტაპის გამოსავალი პუნქტი. ცვალებადობის ამგვარ პროცესს აქვს მიმართულებითი ხასიათი და, ცხადია, წარმოადგენს ახლის წარმოშობის ყველაზე ოპტიმალურ შესაძლებლობას. ამრიგად, თუ ერთ დებულებაში გავაერთიანებთ იმ ფუნდამენტურ ნიშნებს, რომლებიც ცვალებადობის ყველა სახისაგან განსხვავებით, ახასიათებს განვითარების ფენომენს, მაშინ მისი ცნების დეფინიცია შეიძლება შემდეგნაირად ჩამოყალიბდეს: სასრულო არსებათა თვისებრივი ცვალებადობა, რომელსაც აქვს მიმართულებითი და შეუქცევადი ხასიათი და რომლის საფუძველზე ჩნდება თვისებრივად ახალი და დამოუკიდებელი არსება, არის განვითარება. ანდა: ძველის შემონახვის გზით ახლის წარმოშობის პროცესს, რომელსაც აქვს მიმართულებითი ხასიათი, ჩვენ განვითარებას ვუწოდებთ. განვითარების ფენომენის დახასიათებას (განსაზღვრებას) სრულებითაც არა აქვს სრულყოფილების პრეტენზია. მის არც ავტორისეულობაზე არ ვაცხადებთ რაიმე უფლებას. ცვალებადობის პროცესში ახლის

წარმოშობის მომენტი მოცემულ განსაზღვრებაში უთუოდ სწორად და კანონიერად არის ფიქსირებული; მთავარი და არსებითი ამჟებრად სწორედ ეს არის. განვითარების ფენომენის ამ დახასიათებიდან ამჟებრად ჩანს და ყოველგვარი ეჭვის გარეშე დგას მისი უდიდესი „წვლილი“ სამყაროს ფუნდამენტურ ტენდენციაში.

8. საერთოდ ცვალებადობის ყველა სახის და, განსაკუთრებით, მისი თავისებური ფორმის — განვითარების ფენომენთან დაკავშირებით, არ შეიძლება ორიოდ სიტყვა არ ითქვას უარყოფის ფენომენზე, რომელიც არის ყოველგვარი ცვალებადობის აუცილებელი მომენტი.

უარყოფის ფენომენის საყოველთაოა და მისი განსაკუთრებული როლი უნივერსუმში მაშინვე მღავენდება, როგორც კი დაისმება კითხვა ამ უკანასკნელის ფუნდამენტური ატრიბუტის — ყოფნის ბუნების შესახებ. რას ნიშნავს ყოფნა, არსებობა? როცა ვლაპარაკობთ ყოფნაზე, როგორც არსებულთა ატრიბუტზე, ჩვენ მხედველობაში გვაქვს მათი ყველაზე უნივერსალური და საყოველთაო ნიშანი, რომლის „მიღმა და იქით“ აღარაფერი არ არსებობს. ყოფნა არის პირველი და, მაშასადამე, მას გვარი არა აქვს. სხვანაირად ეს იმას ნიშნავს, რომ მისი განსაზღვრება ჩვეულებრივი ლოგიკური წესით შეუძლებელია. მაგრამ, მიუხედავად ყოველივე ამისა, ჩვენ „ეფლობთ“ ამ ცნებას და როცა ვლაპარაკობთ მის შესახებ გარკვეულ შინაარსს ვდებთ მასში: სხვანაირად შეუძლებელი იქნებოდა მისი არსებობა ჩვენს ცნობიერებაში და ამ უკანასკნელის მიერ ყოფნის ნიშნის მიწერა ან მიკუთვნება რაიმე სუბიექტისადმი. ჩვენ ვლაპარაკობთ, მაგალითად, სკამის არსებობაზე, სამყაროს ყოფნაზე და ა. შ. მართალია, სკამის, სამყაროს ცნებაში არ იგულისხმება მათი არსებობა და, ამაში კანტი უთუოდ მართალი იყო, მაგრამ სკამის როგორც არსებულის, სამყაროს როგორც არსებულის, საერთოდ არსებულის ცნებაში უთუოდ იგულისხმება არსებობა, ყოფნა და, მაშასადამე, სკამზე, სამყაროზე და არსებულზე ჩვენ ვლაპარაკობთ და შეიძლება ვილაპარაკოთ იმის გამო, რომ ჩვენს ცნობიერებაში რაღაც შინაარსით ფიგურირებს ყოფნის ცნება. სხვანაირად შეუძლებელი იქნებოდა სკამზე, სამყაროზე გვეთქვა, რომ ის არსებობს; საერთოდ, არსებულზე გვეთქვა, რომ ის არის და გავვემიჯნა იგი იმისაგან, რაც არ არის, რაც არ ყოფიბს, რაც არ არსებობს. მაგრამ რის საფუძველზე არის ასეთი გამიჯვნა შესაძლებელი? აქ გადამწყვეტ როლს უარყოფის ფენომენი ასრულებს! ყოველგვარი გამიჯვნა, შემოსაზღვრა, საბოლოო ინსტანციაში გარკვეულობა, უარყოფის ფენომენით არის შესაძლებელი. ყოველი განსაზღვრულობა (გარკვეულობა) უარყოფითაა, — ამბობს ახალ დროში სპინოზა: ერთი სიტყვით, უარყოფის

ფენომენი, რომელიც ესოდენ ორგანულად არის შეწნული უნივერსუმის ფუნდამენტურ ატრიბუტთან, შეუძლებელია გადამწყვეტ როლს არ ასრულებდეს ცვალებადობის სახეთა რეალიზაციაშიც და, მართლაც, ცვალებადობის პროცესი, მისი ყოველი სახე, ამ სახეთა შორის განვითარება, თავისი დიალექტიკური უარყოფით ყოველთვის არის რაიმეს სხვად ქცევის, სხვად ქმნადობის პროცესი და, მაშასადამე, ნეგაციათა აქტების დაუბლოგებელი რიგი — საყოველთაოს ახალ, განუმეორებელ არსებებად ჩამოყალიბების უსასრულო პროცესი.

ცვალებადობის ადგილი და როლი სამყაროს  
ფუნდამენტურ ტენდენციასა და სტრუქტურაში

წინათქმაში, ძალზე ზოგადად მივიანიშნეთ უნივერსუმის იმ ფუნდამენტური ტენდენციის შესახებ, რომლის თვალსაწიერიდან უნდა იქნეს ინტერპრეტირებული სამყაროსათვის დამახასიათებელი ყველა არსებითი ნიშან-თვისება, და, მათ შორის, ცვალებადობის ფენომენი. ამჯერად ჩვენ გვინდა ცოტა უფრო ფართოდ დავახასიათოთ სამყაროს ეს ფუნდამენტური სტრატეგია, მისი საფუძველი და კონკრეტულად რამდენიმე მაგალითის ფონზე ვაჩვენოთ ცვალებადობის როლი და ფუნქცია მასში.

რატომ არსებობს სამყარო ასე? რა უდევს თავის უღრმეს საფუძველად სამყაროს ამგვარად მანიფესტაციას და რა ფუნდამენტურ ტენდენციას ამჟღავნებს იგი? აი ძირეული კითხვები, რომლებსაც უნდა უპასუხოს მეტაფიზიკამ მას შემდეგ, რაც ის მოახდენს უპირო რეალობის — თავისთავადი სამყაროს არსებობის პოსტულაციას.

1. სამყაროს, რომელშიც ადამიანები ცხოვრობენ, მრავალი სხვადასხვა ნიშან-თვისება და სრულიად განსაზღვრული სტრუქტურა გააჩნია. მისი ყველაზე თვალსაჩინო და საყოველთაო ნიშან-თვისება, რომელსაც ადამიანი მასთან პრაქტიკულ და თეორიულ ურთიერთობაში ყოველ ნაბიჯზე ხვდება ისაა, რომ სამყარო არსებობს მრავალსახიანი საგნებისა და მოვლენების სახით. სადაც არ უნდა შევიხედოთ, არსებულის რა სფეროსკენ არ უნდა მიმართოს ადამიანმა თავისი მზერა ყველგან და ყველაფერში, მრავალსახიანობას აღმოაჩენს. გაკვირვებას იწვევს არა მხოლოდ სხვადასხვა გვარობის არსებათა სიმრავლე, არამედ მრავალსახიანობა ინდივიდუალური არსებებისა, რომელთაგანაც მოცემული გვარი შედგება. საგანთა და მოვლენათა მრავალსახიანობის უნივერსალურ პრინციპს ერთნაირად ექვემდებარება ყოველი არსებული — უსულო და სულიერი, დაწყებული უმცირესით, დამთავრებული უღრმესით. ერთი სიტყვით, როგორც პოეტი ამბობს, ქვეყანა ჩვენ ადამიანებს „გვაქვს უთვალავი ფერთა“. და, აი, ჩვენი აზრით, სავსებით კანონზომიერი იქნება დაისვას კითხვა: შეიძლება თუ არა ქვეყნიერე-



ბის მრავალსახეობა, მისი ინდივიდუალურ საგნებად და მოვლენებად არსებობა იყოს უნივერსუმის შემთხვევითი მახასიათებელი?

მეორე უმთავრესი ნიშან-თვისება სამყაროსი, რომელსაც მასში დღენიდაც ვხვდებით ისაა, რომ საკუთარი ინდივიდუალობის მქონე, თუ შეიძლება ითქვას, უნივერსუმის „კვანტები“ — საგნები და მოვლენები — არ არსებობენ ერთიმეორისაგან იზოლირებულად, ერთიმეორესთან კავშირის გარეშე. ყველაფერი ყველაფერთან არის კავშირში; სამყარო არსებულთა ერთიანობაა და ეს უკანასკნელი არის არა მხოლოდ სუბსტრატული, ე. ი. მათ შორის კავშირი მხოლოდ იმას არ ნიშნავს, რომ მათ საფუძველში რაღაც ერთიანი მასალა დევს. ეს, რა თქმა უნდა, თავისთავად იგულისხმება. მაგრამ, ამჯერად ჩვენ მხედველობაში გვაქვს სხვა მომენტი, სახელდობრ ის, რომ სამყაროში არ არსებობს არც ერთი საგანი, არც ერთი მოვლენა სხვა საგანთან, სხვა მოვლენასთან კავშირ-მიმართების გარეშე და რომ მათ შორის კავშირურთიერთობას აქვს საყოველთაო ხასიათი. ერთი სიტყვით, არსებულთა მრავალსახიანობას, ყველგან და მუდამ, ყოველგვარი გამონაკლისის გარეშე, თან ახლავს მათი ორგანული კავშირი, მათი ურთიერთგანპირობებულობა. რატომ არის ეს ასე? შეიძლება თუ არა უნივერსუმის ბინადართა ცხოვრების ეს წესი შემთხვევით ფაქტად ჩაითვალოს?

როგორც ითქვა, ყოველ არსებულს აქვს „კვანტური“ ბუნება; უნივერსუმში შედარებით დამოუკიდებელ არსებათა — საგანთა და მოვლენათა ერთობლიობაა. ყოველ მათგანს სპეციფიკური, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ინდივიდუალური ნიშან-თვისებები გააჩნია. საგანი, მოვლენა განსაზღვრული სიტუაციის ფარგლებში ამჟღავნებს და ინარჩუნებს თავის ინდივიდუალურ ნიშან-თვისებებს, რჩება თავის თავთან იგივეობრივი. ადამიანის ცხოვრებისეული წარმატებანი საგანთა და მოვლენათა ამ თვისების გარეშე, თავისთავად ცხადია, შეუძლებელი იქნებოდა. არსებულთა ამ საყოველთაო ნიშან-თვისებას ადამიანი ყოველგვარი ეჭვის გარეშე, ბუნებრივი ინტუიციით ემყარება. ხომ არაა იგი არსებულთა შემთხვევითი ნიშან-თვისებას?

† ამ ნიშანთან — თავის თავთან იგივეობრივად დარჩენის ტენდენციასთან ერთად, და მის პარალელურად, არსებულები ამჟღავნებენ მის საპირისპირო ნიშან-თვისებას — ცვალებადობის უნარსაც. არაფერი არაა მუდმივი და უცვლელი; ყველაფერი მარადიული ქმნადობისა და ცვალებადობის პრინციპს ექვემდებარება. ყოველი არსებულის — დაწყებული კვარკებით, დამთავრებული მეტაგალაქტიკებით — მარადიული ქცევადობისა და ცვალებადობის ფაქტი საყოველთაო და ექვიუტანელია. ხომ არაა არსებულის ეს თვისება მისადმი გარეგნული და შემთხვევითი? რატომ არ შეიძლება სხვანაირად იყოს?

ადამიანს უნივერსუმი წარმოუდგება როგორც კოსმოსი. პირველი მეცნიერული შეხედულება სამყაროზე, როგორც ერთიან კოსმოსზე, განსხვავებულთა მოწესრიგებულ სისტემაზე, ელინურ კულტურაში შეიქმნა. ბერძენმა ფილოსოფოსმა ჰერაკლიტემ სამყარო ერთიან, კანონზომიერ პროცესად გამოაცხადა და მას ლოგოსი უწოდა. შემორჩენილია ფრაგმენტი, რომელიც ადასტურებს მის ამ შეხედულებას: „მზეს არ შეუძლია გადაუხვიოს მისთვის დაწესებულ გზას, წინააღმდეგ შემთხვევაში მას წამოეწევიან დიკეს (სამართლიანობის, წესრიგის — ა. ც.) დარაჯები — ერიები და დასჯიან წესრიგის დარღვევისათვის“. წესრიგი და კანონზომიერება ბატონობს ყველგან: ცაში და მიწაზე, არაორგანულ და ორგანულ სამყაროში. ერთი სიტყვით, სამყარო მრავალსახიანი საგნებისა და მოვლენების კანონზომიერი ერთიანობაა. რატომ არის ეს ასე? რატომ არ შეიძლება სხვანაირად იყოს? ქვეყნიერების კანონზომიერად არსებობა ხომ არაა მისი შემთხვევითი ნიშანი?

ჩვენ აღვნიშნეთ, რომ უნივერსუმი არსებობს მრავალსახიანი არსებების — სიმრავლის სახით. უკანასკნელნი ერთიმეორესთან კავშირურთიერთობაში არიან. ეს, როგორც ითქვა, საყოველთაო ფაქტია, მაგრამ ამით არ მთავრდება ყველაფერი. მთავარი და არსებითი არსებულთა კავშირურთიერთობაში ამის შემდეგ იწყება: საგნები და მოვლენები, უბრალოდ არ არიან ერთიმეორესთან კავშირურთიერთობაში; მათი კავშირურთიერთობა მათ აქტიურობას ნიშნავს. ესა თუ ის არსება კავშირურთიერთობაშია სხვასთან, ნიშნავს იმას, რომ ის აქტიურია, აქტიურად ზემოქმედებს სხვაზე და ამ აქტიურობაში ავლენს თავის არსებობას, თავის ამგვარად გარკვეულობას. არც ერთი საგანი თუ მოვლენა არ არსებობს ასეთი აქტიურობის გარეშე. საგნის, მოვლენის არსებობა მის აქტიურობას, სხვასთან მის აქტიურ ურთიერთობაში ყოფნას ნიშნავს. არსებულთა აქტიურობა, მათ ერთიანობასთან ერთად, საყოველთაო ფაქტია, რომელსაც ადამიანი ყოველ ნაბიჯზე ხვდება: მას გამონაკლისი არა აქვს. შეიძლება თუ არა საგანთა არსებობის ეს წესი შემთხვევით ფენომენად ჩაითვალოს?

საგანთა და მოვლენათა არსებობის ამ წესთან ორგანულ კავშირშია კიდევ ერთი საყოველთაო ფაქტი. საგნები, მოვლენები, განსხვავებული არსებები თავიანთი აქტიური ურთიერთზემოქმედების ბაზაზე ერგებიან ერთიმეორეს, ერთიმეორესთან სიმბიოზურ ერთიანობაში მოდიან და ქმნიან შედარებით დამოუკიდებელ არსებებს, რომელთაც გააჩნიათ სისტემური, სტრუქტურული, მთლიანობითი ხასიათი. შეიძლება საყოველთაო ფაქტად მივიჩნიოთ ის გარემოება, რომ ყოველი არსებული არის სისტემა რაღაც ელემენტებისა, რომელსაც თავისი სტრუქტურა გააჩნია და, მაშასადამე, წარმოადგენს მთელს, რომელსაც მასში შემა-

ჯალი კომპონენტებისაგან სრულიად განსხვავებული თვისებები გააჩნია და გარკვეულ, მისთვის სპეციფიკურ კავშირურთიერთობაში მოდის გარემოსთან, სხვა არსებებთან. ერთი სიტყვით, შეუძლებელია სინაქდვილესთან აშკარა კოლიზიაში მოქცევის გარეშე უგულებელვყოთ არსებულთა სისტემური, სტრუქტურული და მთლიანობითი ხასიათი. შეიძლება თუ არა უნივერსუმის ბინადართა არსებობის ეს წესი შემთხვევით ფენომენად ჩაითვალოს?

განსხვავებულთა სიმბიოზური მორგებისა და მათი სინქრონული ურთიერთთანამშრომლობის გასაოცარ მაგალითს წარმოადგენს მიზანშეწონილობის საყოველთაო ფაქტი, რომელსაც ორგანულ სამყაროში აქვს ადგილი. ყოველი ცოცხალი არსება, მისი უმარტივესი ფორმით — უჯრედით დაწყებული, დამთავრებული ევოლუციის უმაღლეს საფეხურზე მდგარი ურთულესი ცოცხალი ორგანიზმებით, მიზანშეწონილობის ამ საყოველთაო ფაქტის საუკეთესო დემონსტრაციაა. განსხვავებულთა ფუნქციური ერთიანობის, მათი კოორდინაციისა და სუბორდინაციის კიდევ ერთ საუკეთესო მაგალითს წარმოადგენს კარგად ორგანიზებული სოციალური ორგანიზმი, რომელსაც ადამიანები ქმნიან თავიანთი საზოგადოებრივი ცხოვრების წარმოებისას. სხვადასხვა სოციალური ინსტიტუტების მიზანშეწონილი, ერთმეორესთან სინქრონულად შეთანხმებული მოქმედება ორგანულ სამყაროსთან ერთად, მუდამ თან ახლავს ადამიანთა საზოგადოებრივ ცხოვრებას. შეიძლება თუ არა მიზანშეწონილობა არსებულთა ამ რეგიონების შემთხვევით მახასიათებლად მივიჩნიოთ?

დაბოლოს, სიცოცხლისა და მისი თანმხლები გონის შესახებ. სიცოცხლე, როგორც ცნობილია, სრულიად განსახლვრულ ცოცხალ მატერიალურ სისტემათა სპეციფიკური თვისებაა. როგორ, რა საფუძვლით უნდა გავხადოთ გასაგები სიცოცხლისა და გონის არსებობა უნივერსუმში? არის ის უნივერსუმში მოქმედი რაღაც იმანენტური ტენდენციის გამოვლენა და, მასადაამე, მასთან აუცილებლობით დაკავშირებული ატრიბუტი თუ მისი რაღაც შემთხვევითი 'ეპიფენომენი, ჩვენს პლანეტაზე სრულიად შემთხვევით შექმნილი უნიკალურ პირობებთან დაკავშირებული მოვლენა, ამრიგად, აქაც, ისე როგორც ყველა ზემოთ აღნიშნულ შემთხვევაში. დგება სამყაროს საერთო სტრატეგიასა და სტრუქტურაში სიცოცხლისა და გონის არსებობის სტატუსის საკითხი.

ჩვენ ზემოთ ძალზე ზოგადად ჩამოვთვალეთ ზოგიერთი მთავარი და არსებითი ნიშან-თვისება, რომლებიც ახასიათებენ უნივერსუმს და რომელთა უგულებელყოფა სინამდვილესთან კოლიზიაში მოქცევის გარეშე შეუძლებელია; უნივერსუმის ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ნიშან-თვისების თუ ფუნდამენტალების არსებობა საყოველთაო ფაქტია. ყვე-

ლა ის და სხვა ანალოგიური ნიშან-თვისება ერთიანობაში ქმნის მის სრულიად განსაზღვრულ სტრუქტურას; თავად უნივერსუმი სხვა არაფერია თუ არა მათი მანიფესტაცია. განა შეიძლება იმის მტკიცება, რომ სამყარო შემთხვევით არის სიმრავლე, განსხვავებულ არსებათა ორგანული ერთიანობა, საგნებისა და მოვლენების ურთიერთკავშირი, მათი აქტიური ურთიერთზემოქმედება? განა შეიძლება რეალურ სინამდვილესთან წინააღმდეგობაში მოქცევის გარეშე ვამტკიცოთ ლოგოსისა და ცვალებადობის, არსებულთა სტრუქტურული და მთლიანობითი ბუნების, სიცოცხლისა და გონის და სხვა ფუნდამენტური ფაქტების შემთხვევითი არსებობა უნივერსუმში? ცხადია, არა! და რაზე მიანიშნებს ამ ფაქტების არსებობა? უთუოდ იმაზე, რომ სამყაროში რაღაც არსებითი და მთავარი, რაღაც შინაგანი ხორციელდება, რომ უნივერსუმის ამგვარი სტრუქტურით არსებობის ფაქტი არ არის შემთხვევითობის ბრალი. ერთი სიტყვით, სამყაროს ამგვარად მანიფესტაციას უთუოდ რაღაც საფუძველი უნდა ჰქონდეს, უნივერსუმში მოქმედი რაღაც შინაგანი ძალა უნდა აპირობებდეს. სხვანაირად გაუგებარი, გონებისათვის სრულიად მიუწვდომელი იქნებოდა სამყაროს ამგვარად მანიფესტაციის უეჭველი ფაქტი.

რა არის უნივერსუმში მოქმედი ეს შინაგანი მამოძრავებელი ზამბარა, რომელიც, საბოლოო ინსტანციაში, გასაგებს ხდის ქვეყნიერების ამგვარად მანიფესტაციას, მიმართულებასა და საზრისს აძლევს სამყაროში მიმდინარე ყველა პროცესს, ყველა ფუნდამენტურ მახასიათებელს, რომლებიც მას გააჩნია? ერთი სიტყვით, სამყაროში რაღაც მთავარი და არსებითი ხორციელდება; მას აქვს მიმართულება, ავლენს ფუნდამენტურ ტენდენციას. სად დევს მათი სათავე? აი, ყოველგვარი მეტაფიზიკის უზენაესი კითხვა.

2. სანამ მეტაფიზიკის ამ კარდინალურ კითხვაზე ვუპასუხებდეთ, ჩვენ გვინდა მკითხველს ძალზე მოკლედ და სქემატურად ზოგიერთი საყოველთაოდ ცნობილი მომენტი შევახსენოთ ევროპული მეტაფიზიკის ისტორიიდან. მეტაფიზიკის ამ უზენაეს კითხვასთან დაკავშირებით ფილოსოფოსთა შორის ერთიანობა არ არის. ზოგი ფილოსოფოსი ფიქრობს, რომ მეტაფიზიკამ თავი უნდა შეიკავოს ისეთი მალაღმარებელი და პრეტენზიული კითხვებზე პასუხის გაცემისაგან, როგორცაა: რატომ არსებობს ეს სამყარო ასე? სად უნდა ვეძიოთ ფუნდამენტურ ფაქტთა არსებობის ძირი და ა. შ. ფილოსოფია უნდა დაკმაყოფილდეს ამ ფაქტთა კონსტატაციით და თავისი ამოცანები შემოსაზღვროს მათი უბრალო აღწერით. ფილოსოფოსთა მეორე ჯგუფი ფუნდამენტურ ფაქტთა საფუძვლების მოთხოვნას საერთოდ არაკანონიერად მიიჩნევს. კანტისა და კანტიანური ფილოსოფიის წარმომადგენელთა თვალსაზრისით ემპირ-

რიული სინამდვილის საფუძვლების შესახებ საკითხის დაყენება არ არის კანონიერი კითხვა; ის სცილდება მეცნიერებების (თეორიის) ფარგლებს და წარმოადგენს რწმენის საგანს. ანალოგიურ თვალსაზრისს, უფრო რადიკალურ ფორმაში, ავითარებს პოზიტივისტური ფილოსოფია. უკანასკნელის მიხედვით, რატომ არის ემპირიული სამყარო მრავალსახიანი, კანონზომიერი, ცვალებადი და სხვა ანალოგიური კითხვები, მეტაფიზიკური ხასიათისა; ამგვარ ფაქტთა საფუძვლის ძიებას არავითარი აზრი არა აქვს.

ზემოთ აღნიშნულ მოსაზრებებს დიამეტრულად უპირისპირდება ფილოსოფიური აზროვნების განვითარების გენერალური ხაზი, რომლის მიხედვითაც სამყაროს ფუნდამენტურ ფაქტთა საფუძველდება<sup>1</sup> მოთხოვნა სავსებით კანონიერ პრობლემად არის გამოცხადებული და მიჩნეულია სამყაროს ფილოსოფიური კვლევის ნომერ პირველ ამოცანად. სამყაროს მანიფესტაციის საფუძველდების კანონიერების აღიარება, უთუოდ ნიშნავს იმის გულგებას, რომ მასში რაღაც არსებითი და მთავარი ხორციელდება, რომ მას აქვს განსაზღვრული მიმართულება, რომ, მაშასადამე, მასში უთუოდ არსებობს რაღაც შინაგანი მამოძრავებელი ძალა, რომელიც საზრისს აძლევს მისთვის დამახასიათებელ ყველა ფუნდამენტურ ნიშან-თვისებას, ყველა სამყაროსეულ პროცესსა და რეგიონის არსებობას.

რას მიიჩნევდა ძველი მეტაფიზიკა ასეთ ძალად?

დასაბამიდანვე მეტაფიზიკის ამ კარდინალური პრობლემის გადაწყვეტის ორი შესაძლებელი გზა დაისახა, იმისდამიხედვით, თუ რას მიიჩნევდა მეტაფიზიკის ესა თუ ის სახე საგანთა დასაბამად.

რა გზით წავიდა მატერიალისტური მეტაფიზიკა? „არიან ისეთი ფილოსოფოსებიც, — წერს არისტოტელე, — რომლებიც ჩვენი ცისა და ყველა მსოფლიოს მიზეზად თელიან თვითნებობას. ისინი თელიან, რომ თავისით წარმოიშობა გრიგალი და მოძრაობა, რომელიც სამყაროს მოცემულ წესრიგამდე მივყავართ“<sup>1</sup>. არისტოტელეს ამ შემთხვევაში მხედველობაში აქვს ატომისტური ფილოსოფია. ცარიელი სივრცე, ატომები და მათი მოძრაობა — აი, ყველაფერი, რითაც შეიძლება აიხსნას სამყაროს „ამგვარად მანიფესტაცია“. ატომისტურ ფილოსოფიას ზევრი მომხრე გაუჩნდა. მისი ერთ-ერთი მიმდევარი იყო რომაელი პოეტი და ფილოსოფოსი — ლუკრეციუსი. სად უნდა ვეძიოთ „შეუქმნად საწყისთაგან“ ასეთი ნიშნების მქონე სამყაროს შექმნის მიზეზი? ამ კითხვაზე იგი ასეთ პასუხს იძლევა: „საგანთ საწყისნი“ — უგონო ატომები, რომელთაც დასაბამიდანვე თან დაჰყვით თვისება მოძრაობისა, ქმნიდნენ უსასრულოდ მრავალგვარ კავშირებსა და კომბინა-

<sup>1</sup> არისტოტელე, ტ. 3, მ., 1981, გვ. 91.

ციებს; დაუბოლოვებელ დროში მიმდინარე ეს პროცესები, როგორც ლუკრეციუსი ამბობს, „რას არ შექმნიდნენ ერთმანეთთან შეერთებისას“<sup>2</sup>. ასე შეიქმნა მთელი მრავალფეროვნება საგნებისა და მოვლენებისა მათთვის დამახასიათებელი სიმბიოზური ერთიანობით, ურთიერთ-მორგებულობით, მიზანშეწონილობით და ა. შ. ამ გზით ჩაისახა, ალბათ, პირველი სიცოცხლეც. როგორც მკითხველი ხედავს, ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს სამყაროს შესახებ მექანიცისტური შეხედულების კლასიკურ ფორმასთან. ძალზე ძნელი წარმოსადგენია რაღაც მიმართულების მიმცემი ძალის გარეშე, ნივთიერების განუყოფელ ნაწილაკთაგან შემთხვევითი კომბინაციების გზით, როგორც ამას მექანიციზმი ვარაუდობს. წარმოშობილიყო, ვთქვათ, მაგალითად, სიცოცხლის „აგური“ — უჯრედი.

როგორც ცნობილია, ყოველ უჯრედში მილიონობით ატომია. ატომებისაგან აშენებულია სხვადასხვა სახის მოლეკულები, უკანასკნელთა კომბინაცია ქმნის უჯრედის ორგანოიდებს, რომელთა რიცხვი ყოველ უჯრედში საკმაოდ დიდია. სანამ უჯრედი წარმოიშობოდა, უნდა შექმნილიყო ატომთა გაერთიანებანი — მოლეკულები. მათი გაერთიანებით უნდა შექმნილიყო ე. წ. დაბალი მოლეკულური ნაერთები: უკანასკნელთა განსაზღვრულ კომბინაციას მაღალმოლეკულური გაერთიანებანი უნდა მოეცა. შემდეგ ეტაპზე ამ შენაერთებისაგან უნდა წარმოქმნილიყო უჯრედის ცალკეული ნაწილები: ბირთვი, ციტოპლაზმა, მიტოქონდრიები, რიბოსომა, გოლჯის კომპლექსი, ენდოპლაზმური ბადე და ა. შ. ახლა ყველაფერი ეს ერთ მთლიან არსებად — უჯრედად უნდა შეიკრას. მაგრამ უჯრედი არაა მათი უბრალო მექანიკური ჯამი. შეუძლებელია, მაგალითად, რიბოსომა უჯრედის ბირთვში იყოს მოთავსებული, მას როგორც „ამწყობ კონვეიერს“ უჯრედის ორგანიზმში სრულიად განსაზღვრული ადგილი უჭირავს; რიბოსომები ენდოპლაზმური ბადის მემბრანების ზედაპირზე ლაგდებიან. ძნელი წარმოსადგენია ბრმა შემთხვევითობის ამარა, მექანიკური ადგილმონაცვლეობის გზით როგორ დალაგდნენ უჯრედის სხვადასხვა ნაწილები თავიანთ ადგილას და როგორ შექმნეს ერთი მთლიანი ორგანიზმი ცოცხალი უჯრედის სახით. ერთი სიტყვით, მექანიციზმის პოზიციებიდან ძნელია, თითქმის შეუძლებელი საქმეა, სიცოცხლის ფენომენისა და მისთვის დამახასიათებელი მიზანშეწონილობის საკვირველი ფაქტის დამაჯერებელი ახსნა. მართლაც, ძალზე ძნელი წარმოსადგენია იმის დაშვება, რომ სტამბური ნიშნების შემთხვევითმა თავმოყრამ „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტი მოგვეცეს. მაგრამ „არსთა“ წარმოქმნის მექანიცისტურ კონცეფციაში უთუოდ არის დადებითი მომენტები, რომელთაც უნდა მიექცეს ჯე-

<sup>2</sup> ლუკრეციუსი, საგანთა ბუნებისათვის, თბ., 1958, გვ. 152.

როვანი ყურადღება. მისი ეს დადებითი მომენტი პირველ რიგში იმაში მდგომარეობს. რომ ატომისტიკა (მექანიციზმი) უნივერსუმის ამგვარად მანიფესტაციის საფუძველს თვით „არსთა“ დასაბამში — ატომებში პოულობს და გადაჭრით უარს ამბობს ზებუნებრივ ძალებზე. მეორე უთუოდ დადებითი მომენტი ატომისტიკაში ის არის, რომ საწყისებისაგან საგანთა წარმოქმნის პირველმიზეზად მას მისთვის დასაბამიდანვე დამახასიათებელი მოძრაობის უნარი მიაჩნია. ამით ის, ასე თუ ისე, გრძნობს სამყაროს ამგვარად მანიფესტაციის განმსაზღვრელი ძალის დაშვების აუცილებლობას და, მაშასადამე, ბერძნული აზროვნების ტრადიციების გამგრძელბელია<sup>3</sup>.

მეტაფიზიკის ისტორიაში, გარდა ატომისტიკისა, არსებობს უნივერსუმის ამგვარად მანიფესტაციის ახსნის სხვა ვარიანტიც. ამ შეხედულების მიხედვით სამყაროს ამგვარად არსებობის განმსაზღვრელ ძალას (საფუძველს) წარმოადგენს კანონები, რომლებიც მართავენ სამყაროს. ეს თვალსაზრისიც, ჩვენი აზრით, აშკარა შეუსაბამობას შეიცავს: ისე როგორც ატომისტიკაში დაშვებული საწყისთა მექანიკური მოძრაობა მოითხოვს საფუძველდებს. ასევე უნივერსუმის კანონზომიერი ხასიათი არ შეიძლება მისი მანიფესტაციის უკანასკნელი ძირი იყოს: წესი და რიგი სამყაროში რაღაც უფრო ძირეულის გამოვლენა და, მაშასადამე, მსგავსად მოძრაობისა, თავად უნდა დაფუძნდეს.

საპირისპირო გზით წავიდა მეტაფიზიკის მეორე ნაკადი — იდეალისტური მეტაფიზიკა. ნატურალისტური მეტაფიზიკის პოზიციებიდან სამყაროს მანიფესტაციის ახსნას იგი საერთოდ შეუძლებლად მიიჩნევს. მატერიას, რომელიც მატერიალიზმმა საგანთა დასაბამად გამოაცხადა, იდეალისტური მეტაფიზიკა უასახო, ინერტულ მასალად მიიჩნევს: მას არავითარი პარკვეულობა არ გააჩნია, მოკლებულია აქტიური მოქმედების უნარს. მატერიის ამარა საგნები ვერ შეიქმნებოდნენ: უნივერსუმი, როგორადაც ის ჩვენ გვევლინება, ვერ იარსებებდა. მატერიის შესახებ ასეთ წარმოდგენას პლატონმა და არისტოტელემ ჩაუყარეს საფუძველი. უნივერსუმის ამგვარად მანიფესტაციის ასახსნელად, სამყაროში მიმდინარე პროცესების მიმართულების მიმკემ ძალად იდეალისტური მეტაფიზიკა ზებუნებრივ არსებას უხმობს. რა არის ეს ძალა, ზებუნებრივი არსება, რომელმაც მიმართულება უნდა მისცეს სამყაროს

<sup>3</sup> როგორც ცნობილია, პირველი ბერძენი ფილოსოფოსები, რომლებიც ქვეყნიერების არხედ ბუნების სტიქიონებს აღიარებდნენ, როგორც წესი, ამ უკანასკნელად გასულიერებულად მიიჩნეოდნენ. ასეთი თვალსაზრისი სამყაროს ამგვარად მანიფესტაციის განმსაზღვრელი ძალის აღიარების თაუდაპირველი, გულუბრყვილო ფორმა იყო. ანაქსიმანდრესთან ასეთ „ძალად“ არსებთა სიმეტრიკე იყო გამოცხადებული: ემპედოკლემ სიყვარული და სიძულვილი ზაასახლა საგნებში, როგორც „არსთა შექმნის“ წყარო და საფუძველი.

და გასაგები უნდა გახადოს ქვეყნიერების ამგვარად არსებობის ფაქტი? არისტოტელე „მეტაფიზიკაში“ „დაუფიქრებლად მოლაპარაკე წინაპართა შორის“ ქება-დიდებათ იხსენიებს ანაქსაგორას, რომელმაც, როგორც ცნობილია, ასეთ ძალად ნუსი გამოაცხადა<sup>4</sup>. ანაქსაგორას ეს აზრი აიტაცა იდეალისტურმა მეტაფიზიკამ და იგი თითქმის 25 საუკუნეა, რაც ევროპული მეტაფიზიკის ისტორიაში ერთ-ერთ ძლიერ ნაკადს ქმნის. ამ იდეამ ბერძნულ ფილოსოფიაშივე მიიღო დახვეწილი სახე და ჩამოყალიბდა ისეთი დიდი მეტაფიზიკური სისტემების სახით როგორცაა პლატონისა და არისტოტელეს ფილოსოფია. პლატონმა სამყაროს ამგვარად მანიფესტაციის საფუძველში იდეები მოაქცია, ხოლო არისტოტელემ ფორმის ფორმას უხმო. პლატონისა და არისტოტელეს მთელი შემდეგდროინდელი იდეალისტური მეტაფიზიკა სხვადასხვა ვარიანტით იმეორებს ამ ძირითად აზრს. სამყარო ღვთაებრიობის ემანაციაა — იტყვის პლატონი; სამყაროში აბსოლუტური იდეა ხორციელდება — ამტყობს ჰეგელი; ქვეყნიერება ნების განხორციელებაა — ფიქრობს შოპენჰაუერი და ა. შ.

რა შეიძლება ითქვას უნივერსუმის ამგვარად მანიფესტაციის საფუძველდების ასეთი კონცეფციის შესახებ? როგორც ცნობილია, ყველა დიდი მეტაფიზიკოს-იდეალისტი, პირდაპირ თუ არაპირდაპირ, აშკარად თუ ფარულად, აღიარებს სამყაროში მიმდინარე პროცესების მიმართულებით ბუნებას, გრძნობს და ასაბუთებს, რომ უნივერსუმს რაღაც შინაგანი რითმი და აუცილებლობა განაგებს, რომ მასში რაღაც არსებითი ხდება და ხორციელდება. სხვანაირად შეუძლებელი იქნებოდა მექანიციზმის პრინციპიდან გამომდინარე შეუსაბამობათა გადალახვა. ამ პრინციპის გადალახვის მოთხოვნა უშუალოდ მნიშვნელოვანი და ყურადსაღები მომენტია იდეალისტურ მეტაფიზიკაში. მაგრამ ამ დადებით მომენტთან ერთად მას ახასიათებს რიგი ნაკლოვანებებისა, რომლებიც ეწინააღმდეგებიან მეცნიერული ფილოსოფიის მოთხოვნებს. ერთ-ერთი ასეთი არსებითი ხასიათის ნაკლი მდგომარეობს იმაში, რომ ის სამყაროს მანიფესტაციის საფუძველად უხმოებს ზებუნებრივ ძალას. ასეთ ძალად ინტელექტუალისტურ მეტაფიზიკაში მიჩნეულია გონი, ხოლო ვოლუნტარისტულ მეტაფიზიკაში — ნება. აზრის ამ ნაკადის მეორე უმთავრესი ნაკლი იმაში მდგომარეობს, რომ ამ ზებუნებრივ ძალას ის დამოუკიდებელ სუბსტანციად აქცევს და ყველაფერს, რაც არის და რაც ხდება, მის რეალიზაციად მიიჩნევს. სამყაროს წარმმართველი ზებუნებრივი ძალის დამოუკიდებელ არსებად გამოცხადებით, იდეალისტური მეტაფიზიკა ადამიანის გონებას გადაუწყვეტელი პრობლემის წინაშე აყენებს. როგორ არის შესაძლებელი კავშირი და

<sup>4</sup> არისტოტელე, მეტაფიზიკა, თბ., 1964, გვ. 33.



თავსებადობა იდეალურ და მატერიალურ, რაციონალურ და ირაციონალურ საწყისებს შორის? ყველაზე რელიგიურად ეს დუალიზმი არისტოტელეს ნააზრევში გამოვლინდა. უკანასკნელის აზრით, საგანთა არსებობის ორი საწყისი არსებობს: ფორმა და მასალა (მატერია). ფორმა არის ის, რაც რაიმეს „ამად“ ხდის, ანუ არსება. არსება, ფორმა არის სწორედ ის მიზანი და, მაშასადამე, *causa finalis* საითეკნაც საგანი მიისწრაფვის. ფორმა საგანთა არსებობის მიზეზია, არისტოტელესთან იმასაც ნიშნავს, რომ იგი არის მასალის ორგანიზატორი; იგი უფრო მომასალას უკეთებს ორგანიზაციას და აძლევს გარკვეულ ფორმას და, მაშასადამე, წარმოადგენს მიმართულების მიმცემ ძალას. როგორაა საგანთა სრულიად განსხვავებულ საწყისთა ასეთი კავშირი შესაძლებელი? ეს კავშირი იდეალისტურ მეტაფიზიკაში გამოცანად რჩება. საიდან უხმო იდეალიზმმა ამ ძალას? იდეალისტური მეტაფიზიკა უნივერსუმის კერძო ფენომენიდან — ადამიანის არსებობის ფაქტიდან გამოდის და მისთვის დამახასიათებელ ნიშნებს (გონებას, ნებას) აერცელებს მთელ სამყაროზე. სული, ყველა მისი რადიკალებით, განაგებს ადამიანის სხეულს, აწესრიგებს მის ცხოვრებას. ამ ანალოგიით უდგება იდეალისტური მეტაფიზიკა სამყაროსაც: მსოფლიო გონი და ნება განაგებს და აწესრიგებს უნივერსუმის ამგვარად არსებობას, მასში მიმდინარე ყველა პროცესს. ადამიანთან რაღაცნაირად საქმე გვაქვს სულისა და სხეულის ერთიანობასთან, მაგრამ, სად არის სული უნივერსუმში? სად უნდა ვეძიოთ მისი მატარებელი სუბიექტი? იდეალისტური მეტაფიზიკის ყოველგვარი სახესხვაობა უძლურია პასუხი გასცეს ამ კითხვებს. ცდა ასეთ რამეს არ აჩვენებს. ცდა და მეცნიერება იმას გვეუბნება, რომ სიცოცხლე, სული, ცნობიერება მატერიის ორგანიზაციის განსაზღვრულ დონესთან არის დაკავშირებული და, მაშასადამე, არ შეიძლება ფლობდეს დამოუკიდებელ, სუბსტანციონალურ არსებობას.

3. ამრიგად, რაზე მიანიშნებენ ზოგიერთი, საყოველთაოდ ცნობილი მომენტები ევროპული მეტაფიზიკის ისტორიიდან? ევროპულ მეტაფიზიკას სავსებით გაცნობიერებული აქვს ის გარემოება, რომ უნივერსუმის ამგვარად მანიფესტაციის ფაქტი არ არის შემთხვევითობის ბრალი და იგი სავსებით კანონიერად და სამართლიანად ეძებდა ამ ფაქტის უკანასკნელ საფუძვლებს. მაგრამ მისი თანმიმდევრული და დამაჭერებელი გადაწყვეტა ევროპული მეტაფიზიკის ვერც ერთმა ნაკადმა ვერ შეძლო. ჩვენ ძალზე მოკლედ ვთქვით თითოეული ამ ნაკადის ნაკლოვანებაზე. სამყაროს იდეალისტური კონცეფცია სრულებითაც არაა მართალი იმაში, რომ ის უნივერსუმის ამგვარად მანიფესტაციის განმსაზღვრელ ძალად სულს თვლის, სულს, რომელსაც ის სუბსტანციონალურ არსებობას ანიჭებს. მატერიისაგან განსხვავებული სუბსტან-

ციის შემოყვანით მან საქმე კიდევ უფრო დახლართა; ახალი სიძნელე წარმოშვა. ამ მხრივ აშკარა უპირატესობა აქვს ძველი მეტაფიზიკის მატერიალისტურ ნაკადს, რომელიც არსებულის იქით აღარ მიდის და მატერიალური სამყაროს ამგვარად მანიფესტაციის ამხსნელ პრინციპს. თვით მატერიის ნიშან-თვისებაში ეძებს. ეს იდეალისტური სუბსტანციონალიზმის სრულიად საპირისპირო გზაა და თავის ძირითად იდეაში უთუოდ კორექტულია. მაგრამ ის სრულებითაც არაა მართალი, როცა უნივერსუმის მანიფესტაციის უკანასკნელ საფუძველს მის ისეთ ფუნდამენტალებში ეძებს, რომლებიც თავად მოითხოვენ საფუძველდებასა და გამართლებას.

სად დევს უნივერსუმის ამგვარად მანიფესტაციის ქეშმარიტი სათავე? რა არის ის უკანასკნელი საფუძველი, რითაც შინაგანად გამსჭვალულია ქვეყნიერება? სამყაროს ამგვარად მანიფესტაციის სათავე, ძალა, რომელიც წარმართავს ყველა სამყაროსეულ პროცესს, დღენიადგ მოქმედებს და ხორციელდება უნივერსუმში, არის არსებულის (უნივერსუმის) ფუნდამენტური ნიშან-თვისება — ყოფნა, არსებობა. ყოფნით არის, თუ შეიძლება ითქვას, „მომართული“ ქვეყნიერება; მასში ყოფნა, არსებობა ხორციელდება და, ამდენად, იგი სამყაროს ამგვარად მანიფესტაციის საფუძველია. ყოფნა სამყაროს „შინაგანობაა“, მისი მამოძრავებელი ზამბარაა; ეს ის დინამიური ძირია, საიდანაც და რის გამოც იბადება ყველაფერი, დაწყებული უმცირესითა და უმარტივესი, დამთავრებული უდიდესითა და ურთულესით.

უნივერსუმის ფუნდამენტური ატრიბუტი — ყოფნა დევს სამყაროს ფუნდამენტური ტენდენციის საფუძველში. ყოფნა რაიმესი მის ამგვარად ყოფნას ნიშნავს. ეს შეუძლებელია სხვასთან მიმართების გარეშე; სამყარო ამიტომ არის განსხვავებულთა სიმრავლე და სწორედ მისი ფუნდამენტური ტენდენციაც, ყველგან და ყოველთვის, მის უსასრულო გამრავალფეროვნებაში მდგომარეობს. საკუთარი თავის დაუბოლოვებელი გამრავალფეროვნებით უნივერსუმში თავის საკუთარ „შინაგანობას“ — თავის ყოფნას ავლენს და არა მხოლოდ ავლენს და ამჟღავნებს, არამედ აღგენს კიდევაც. აი სწორედ სამყაროს ამ ფუნდამენტურ ტენდენციაში, რომელიც არსებულის საყოველთაო და ფუნდამენტური ატრიბუტით არის პირობადებული, ჩართულია მისი ყველა ძირეული ნიშან-თვისება და თითოეული მათგანი სრულიად განსაზღვრული მიმართულებით ემსახურება მის რეალიზაციას.

უნივერსუმის ამ ფუნდამენტალებს შორის ერთ-ერთი მთავარი და საპატიო ადგილი ცვალებადობის ფენომენს უჭირავს. რა როლსა და ფუნქციას ასრულებს იგი ყოფნის ფუნდამენტური ატრიბუტით პირობადებულ ქვეყნიერების სტრუქტურასა და ტენდენციაში?

4. თანამედროვე ბიოლოგიური მეცნიერების მონაცემების თანახმად, ჩვენს პლანეტაზე ბინადრობს ორ მილიონ სახეობაზე მეტი ცხოველი და მცენარე. როგორ წარმოიშვა ორგანული სამყაროს ეს მრავალფეროვნება? ბიბლიაში მოთხრობილია იმის შესახებ, თუ როგორ შექმნა შემოქმედმა მცენარეები და ცხოველები, შემდეგ კი ადამიანი. მრავალი საუკუნის განმავლობაში ბატონობდა ადამიანთა გონებაზე კრეაციონისტული იდეა. ძველი ბიოლოგია ემყარებოდა შემდეგ დოგმას: ორგანული სამყაროს მრავალფეროვნება, რომელიც მის სახეობათა სიმრავლეს ნიშნავს, უცვლელი და მარადიულია; არაფერი ახალი არ წარმოიშობა, სახეობანი არსებობს იმდენი, რამდენიც შექმნა თავდაპირველად მისმა შემოქმედმა. სახეობის შიგნით ინდივიდები ჩნდებიან და ისობიან, მაგრამ თვით სახეობა არ წარმოიშობა და არ ქრება; ის უცვლელი და მარადიულია. საუკუნეების განმავლობაში გაბატონებულ ამ დოგმატს დაუპირისპირდა ახალი ბიოლოგია, რომლის სათავესთან დგას ჩარლზ დარვინი თავისი ევოლუციური თეორიით. ძირითადი იდეა, რომელსაც ეს თეორია ავითარებს იმაში მდგომარეობს, რომ ორგანული სამყაროს სახეობათა მრავალფეროვნება არ არის კრეაციის ნაყოფი. სახეობანი, მსგავსად მასში შემავალი ინდივიდებისა, წარმოიშობიან და ქრებიან; სახეობათა სიმრავლე, რომელსაც ორგანულ სამყაროში ვხვდებით, ხანგრძლივი ევოლუციის შედეგია. „საინტერესოა იდგე სქლად დაბარდულ მრავალრიცხოვან და მრავალფეროვან მცენარეებით დაფარულ ნაპირზე, ბუჩქებში მომღერალი ფრინველებით, ირგვლივ მფრენი მწერებით, ნესტიან ნიადაგზე მცოცავი ქიებით და ფიქრობდე, რომ ყველაფერი ეს მშვენივრად აგებული ფორმები სიცოცხლისა, ერთიმეორისაგან განსხვავებულნი და ერთიმეორეზე დამოკიდებულნი, წარმოადგენენ ჩვენს გარშემო დღესაც ძალაში მყოფი კანონების მოქმედების შედეგს“, — წერს დარვინი თავისი ეპოქის შემქმნელი „სახეობათა წარმოშობის“ უკანასკნელ გვერდზე<sup>5</sup>. ამ კანონთა შორის, რომლებიც „დღესაც მოქმედებენ ჩვენს გარშემო“ დარვინი ასახელებს ცვალებადობას. ჩვენ გვინდა სწორედ უნივერსუმის საერთო ტენდენციაში ცვალებადობის როლისა და ფუნქციის დემონსტრირება მოვახდინოთ კერძო მაგალითზე და ვაჩვენოთ ორგანული სამყაროს გამრავალფეროვნებაში რა ადგილი უჭირავს ცვალებადობის უნარს, რომელსაც ამ სამყაროს წარმომადგენლები ამჟღავნებენ.

როგორც ცნობილია, ორგანული სამყაროს სახეობათა მრავალსახიანობის საფუძველდებისას, დარვინი მოიხმარს რამდენიმე ფუნდამენტური მნიშვნელობის მქონე ცნებას; ისინი ქმნიან ევოლუციური თეო-

<sup>5</sup> ჩ. დარვინი, თხზ., ტ. 1, პეტერბურგი, 1896, გვ. 327.

რის კასკადს<sup>6</sup>. ამ ცნებათა შორის დარჯინის თეორიაში მთავარი ადგილი უჭირავს ცვალებადობის ცნებას, რომელიც ცვალებადობის ფენომენს გამოხატავს. რა ძირითადი ლოგიკური შინაარსი იგულისხმება მასში? ცვალებადობაში ჩვეულებრივ გულისხმობენ ორგანიზმთა თვისებას, განიცადონ გარკვეული ცვლილება, რომლითაც ერთი სახეობის ფარგლებში ინდივიდები და ინდივიდთა ჯგუფები ერთიმეორისაგან განსხვავდებიან. აქ შეიძლება ასეთი მაგალითის მოყვანა. როდესაც ცხვრის ფარას ვუყურებთ გვეჩვენება, რომ მასში შემავალი ყოველი ინდივიდი ერთიმეორესთან იგივეობრივია. მაგრამ ეს მხოლოდ გამოუცდელი თვალისათვის არის ასე; ფაქტიურად კი სულ სხვა ვითარებასთან გვაქვს საქმე. მწყემსი-მეცხვარის გამოცდილი თვალეები ძალიან კარგად არჩევენ ერთიმეორისაგან თითოეული ცხვრის თავისებურებას. და ეს იმიტომ არის შესაძლებელი, რომ ისინი მთელი რიგი ინდივიდუალური ნიშან-თვისებებით ხასიათდებიან. საიდან და როგორ გაჩნდა ერთი სახეობის შიგნით განსხვავებული და ინდივიდუალური ნიშან-თვისებების მქონე ეგზემპლარები? ეს კითხვა ბევრ ბუნებისმეტყველს აწუხებდა. მასზე მრავალი სხვადასხვა პასუხი არსებობს. ერთნი ამბობენ, რომ ცვალებადობას იწვევს ორგანიზმთა მეტ-ნაკლები ვარჯიში და. მაშასადამე, სახეობაში ამის შედეგად არსებობენ განსხვავებული ნიშან-თვისებების მქონე ინდივიდები. ზოგი ბუნებისმეტყველის აზრით ცვლილებას განსხვავებულ ინდივიდთა შეჭვარება იწვევს. ზოგის მიზნდვით ცვლილებას და, მაშასადამე, განსხვავებულობას ერთი სახეობის ინდივიდთა შორის საფუძვლად უდევს საკვების ხასიათი, მისი მიღების მეტნაკლებობა, კლიმატური და გეოგრაფიული პირობები და ა. შ. ყველაფერი ეს, რა თქმა უნდა, სწორია. მაგრამ დარჯინი თავისი წინაპრების თუ თანამედროვეობისაგან განსხვავებით გადამწყვეტ ნაბიჯს დგამს წინ კერძო შემთხვევათა განზოგადების თვალსაზრისით და მიიჩნევს, რომ ცვალებადობა არის უკლებლივ ყველა ცოცხალ არსებათა საყოველთაო ნიშანი; ამ დებულებას ის გადააქცევს თავისი ევოლუციური თეორიის ქვაკუთხედად. ცვალებადობის უნარი, რომელიც საერთოდ გააჩნიათ მცენარეებსა და ცხოველებს, დარჯინის აზრით არის თავი და თავი — საწყისი პუნქტი, საიდანაც სათავეს იღებს ორგანული სამყაროს სახეობათა მრავალფეროვნება. როგორც საწყისი პუნქტი, ცვალებადობა შეუმჩნეველიც კი არის გამოუცდელი თვალისათვის. ზემოთ ამასთან დაკავშირებით მოყვანილი იყო ცხვრის მაგალითი. ვითარების უფრო მკვეთრად გამომზეურების მიზნით ჩვენ გვინდა მკითხველს მოვუთხროთ ერთი ანეგდოტის შესახებ, რომელიც მოყავს დარჯინის თეორიის შესანიშნავ მცოდნესა და პოპულარიზატორს —

<sup>6</sup> იქვე.

ტიმირიაზევის. ანეგდოტი ეხება ფრანგ კარიკატურისტ შევალიეს. უკანასკნელი სამართალში მისცეს იმისათვის, რომ მან უდიერად — მსხლის მსგავსად დახატა მეფე ლუი ფილიპე. სასამართლოზე შევალიემ დამცველის ნაცვლად მოითხოვა ფანჯარი და ქალაღი. მან უცბად, რამდენიმე შტრიხით, დახატა ლუი ფილიპე, აჩვენა მოსამართლეს და შეეკითხა: აკმაღლულია თუ არა ლუი ფილიპეს ასე დახატვა? მოსამართლემ ბრალდებულის სახელდახელო ნახატში ნამდვილი ლუი ფილიპე ამოიცნო და მხატვარს დადებითი პასუხი გასცა. ამის შემდეგ შევალიემ სწრაფად დახატა სურათების სერია, რომლის ერთ ბოლოში ლუი ფილიპე იყო გამოხატული მეორეში კი — მსხალი. კარიკატურისტმა ისეე მიმართა მოსამართლეს და თხოვა ეჩვენებინა, თუ სად თავდებოდნა ლუი ფილიპეს ადეკვატური სურათი და სად იწყებოდა მისი უდიდებულესობის შეურაცხყოფა. ამ ზღვარის ჩვენება მოსამართლემ ვერ შეძლო<sup>7</sup>. ეს ანეგდოტი კარგად გამოხატავს იმ ვითარებას, რომელსაც ადგილი აქვს ორგანიზმთა ცვალებადობის შემთხვევაში. ახალი თაობა წინაპრებისაგან შესამჩნევად განსხვავებულს არ გვაძლევს. შვილი, მართალია, ყველა ნიშნით ზუსტად არა ჰგავს თავის მშობლებს, მაგრამ არც არსებითად განსხვავდება მათგან და, მაშასადამე, წინაპრებისაგან განსხვავებული ახალი სახეობის წარმოშობის საკითხი თითქოს გამოცანად რჩება. ჩვენს წინაა ერთ-ერთი ცნობილი ზენონისეული აპორიის აჩრდილი: მერამდენე თმის ამოგლეჯით ხდება ადამიანი მელოტი? წმინდა, უწყვეტი ევოლუციონიზმი აქ, რა თქმა უნდა, განსაზღვრულ სიძნელეს აწყდება. მაგრამ ეს არაა ამჟერად ჩვენთვის მთავარი. დარვინი ამ შემთხვევაში თავისი გზით მიდის და გამოსავალსაც პოულობს. მისი აზრით, თავდაპირველი, თითქმის შეუმჩნეველი ცვლილება თანდათან იზრდება, ცალკეული ინდივიდებისათვის დამახასიათებელი ესა თუ ის თვისება და უპირატესობა მთელი პოპულაციის ნიშან-თვისებად იქცევა და საბოლოოდ ვლდებულობთ ახალ შთამომავლობას. თვისებათა დაცილების ამ პროცესს დარვინმა დივერგენცია უწოდა.

როგორ ჰქონდა დარვინს წარმოდგენილი ახალ სახეთა წარმოშობა კონკრეტულად? დარვინამდე ნატურალისტებს შორის გავრცელებული იყო თვალსაზრისი, რომ თანამედროვე კულტურული მცენარეებისა და ცხოველების ყოველ ჯიშს თითქოსდა თავისი შესატყვისი ველური წინაპარი ჰყავს. ასე, მაგალითად, არსებობს კომბოსტოს მრავალი სხვადასხვა სახე. ჯერ კიდევ ძველ საბერძნეთსა და რომში ცნობილი იყო მათი ათი განსხვავებული სახესხვაობა. დარვინის აზრით, ყველა ისინი ერთი ველური წინაპრიდან არიან გამოყვანილი. იგივე ითქმის მცენარეებისა და ცხოველების ყველა კულტურულ ჯიშზე, რომლითაც ესო-

<sup>7</sup> კ. ტიმირიაზევი, ჩ. დარვინი და მისი მოძღვრება, გვ. 224—225.

დენ მდიდარია შინაური ცხოველებისა და კულტურული მცენარეების თანამედროვე სამყარო.

თანამედროვე ბიოლოგიაში ცოცხალ არსებათა ცვალებადობის ორ ძირითად სახეს — მოდიფიკაციურ და მუტაციურ ცვალებადობას არჩევენ. თითოეულ მათგანს ნაირგვარი ფორმები და გამოვლინებანი აქვს. ცვალებადობის პირველი სახის შემთხვევაში გენოტიპი ინვარიანტულია, ხოლო გარემო, რომელშიც ამა თუ იმ გენოტიპს უხდება ცხოვრება, ვარიაციული. მოცემული გენოტიპი სხვადასხვა გარემოში სხვადასხვანაირად ვლინდება, მაგრამ არსებითად ერთი და იგივე რჩება. გენოტიპზე გარემოს ზემოქმედებით გამოწვეულ ცვალებადობას მოდიფიკაციურ ცვალებადობას უწოდებენ. მის საფუძველზე ყალიბდება ესა თუ ის გენოტიპი. მუტაციური ცვალებადობა ეხება გენოტიპს. როგორც ცნობილია, გენი საკმაოდ მდგრადია და მისი ეს თვისება აპირობებს განსხვავებულ სახეობათა შედარებით მყარ არსებობას. მაგრამ მიუხედავად მდგრადობისა, გენოტიპი მაინც იცვლება. უფრო მეტიც; მუტაცია გენის ერთ-ერთი ფუნდამენტური ნიშან-თვისებაა. უკანასკნელს იგი განუსაზღვრელ ცვალებადობას უწოდებდა. პირველი შეხედვით, რამდენადაც ბუნებრივ პირობებში ცალკე აღებული გენის მუტაცია ძალზე იშვიათად ხდება, მის მნიშვნელობაზე ევოლუციური ცვალებადობის პროცესში შეიძლება ეჭვიც კი დაიბადოს. მაგრამ ეს ერთი შეხედვით ჩანს ასე. ფაქტიურად კი სულ სხვა ვითარებასთან გვაქვს საქმე. როგორც ცნობილია, ყოველი რთული ორგანიზმი ათასობით გენს შეიცავს და, რა თქმა უნდა, გენების ამ დიდ რაოდენობიდან მხოლოდ რაღაც მცირე ნაწილმა რომ განიცადოს მუტაცია ეს საკლებით საკმარის მასალას ქმნის მემკვიდრეობითი ცვალებადობისათვის. ამიტომ იყო რომ დარჯინი, მიუხედავად იმისა, რომ არ იცნობდა ამგვარი ცვალებადობის ნამდვილ არსს, მას ორგანული სამყაროს ევოლუციის პროცესში ძალზე დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა.

ყველაფერი ამის გათვალისწინებით, როგორ შეიქმნა ერთი ველური საწყისი წინაპრიდან კულტურულ მცენარეთა და ცხოველთა სიმრავლე? სხვანაირად რომ ვთქვათ, როგორაა შესაძლებელი გამოსავალი მუტანტებისაგან მივიღოთ განსხვავებულ სახეობათა მრავალფეროვნება?

აქ საქმეში ერევა ორი ფაქტორი, ადამიანი და ბუნება. როგორ იქმნება, მათი ჩარევით ჯიშებისა და სახეების მრავალფეროვნება?

როგორც აღინიშნა, მრავალფეროვნანია თანამედროვე ჯიშები შინაური ცხოველებისა და კულტურული მცენარეებისა. ეს მრავალფეროვნება ადამიანის შემოქმედებითი ჩარევის შედეგია. ამ შემთხვევაში ადამიანი იყენებს ე. წ. ხელოვნური გადაჩვენის მე-

თოდს. რაში მდგომარეობს მისი არსი? შინაურ ცხოველებსა და კულტურულ მცენარეებს გააჩნიათ თვისებები, რომლებიც სასარგებლოა ადამიანისათვის, მისი ცხოვრებისეული ინტერესების შესატყვისია. ამ ნიშნებს აქვთ ვარირების უნარი და იცვლებიან თაობიდან თაობაში. ადამიანი სანაშენოდ იტოვებს ისეთ ეგზემპლარებს, რომელთაც მისთვის საინტერესო ნიშანი კარგად — სხეებზე უკეთ აქვთ გამოხატული. ამ მანიპულაციას ის იყენებს სისტემატურად, თაობიდან თაობაში და ბოლოს ღებულობს მისთვის სასურველ ჯიშს თუ სახეს. ხელოვნური სელექციის მეთოდი უძველესი დროიდან არის ცნობილი. პლინიუსის ცნობით მეფე პიროსს ჰყოლია მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის მაღალპროდუქტიული ჯიში და იგი მკაცრად აღევნებდა თვალყურს რათა ამ ჯიშს თავისი თვისებები შეენარჩუნებინა. ბერძნული და რომაული სამყარო მდიდარია ასეთი ფაქტებით. ინგლისში ჰენრიხ მე-7-სა და ჰენრიხ მე-8 მეფობის დროს მთავრობა მოხელეებსა და ხელქვეითებს აძლევდა წინადადებას განსაკუთრებული ვადის ფარგლებში შემოეცლოთ საქოვრები და სათიბები და მოესპოთ ყველა ფაშატი, რომელთაც არ მიეღწიათ გარკვეული სიმაღლისათვის. 1509 წ. ესპანეთში კარდინალმა გამოსცა წესი ცხვრის კარგი ჯიშების შესარჩევად და ა. შ.<sup>8</sup> განსაზღვრული ინტერესების შესატყვისად ამა თუ იმ საწყისი წინაპრისათვის დამახასიათებელი ნიშან-თვისების ხელოვნურ გადარჩევას, რომელსაც სელექციონერი სისტემატურად აწარმოებს დივერგენციის გზით, მიყვავართ ცხოველებისა და მცენარეების ახალი ჯიშების შექმნამდე; ასე წარმოიშობა მათი მრავალფეროვნება. დიდ წარმატებებს მიაღწია ადამიანმა ამ მიმართულებით. ბუნება მკაცრად სამართლიანია და ადამიანის მოქმედებას გულუხვად აჯილდოებს, როცა ეს მოქმედება მის ფუნდამენტურ ტენდენციას შეესატყვისება. მაგრამ როცა პირიქით ხდება, როდესაც ადამიანი ბუნების გამრავალფეროვნების ამ ტენდენციას ახშობს და ერთფეროვნებისაკენ მიჰყავს საქმე, ის უკომპრომისოდ სჯის ადამიანს და უდაბნოსა და არარაობას უტოვებს მას.

ერთი საწყისი წინაპრიდან განსხვავებულთა წარმოქმნა საცესებით კანონზომიერი პროცესია ბუნებაშიც და მას თავად ბუნება იკეთებს საკუთარი რესურსებით, ყოველგვარი უცხო ძალების ჩარევის გარეშე, და ეს საცესებით გასაგებია: ველური წინაპრები — გამოსავალი მუტანტები, საიდანაც ადამიანი იწყებს, განა ბუნებამ არ შექმნა თავისი ხანგრძლივი მეცადინეობის გზით? როგორ, რა მექანიზმით შექმნა ისინი მან? დარვინი აქაც გადარჩევის პრინციპის პოზიციასზე დგას, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ აქ სელექციონერად გამოდის არა ადამიანი თავისი წინასწარი შემუშავებული მიზნებითა და სურვილებით, არამედ

<sup>8</sup> ფ. პ რ ა ვ დ ი ნ ი, დარვინიზმი, მ., 1968.

უმიზნო, მაგრამ ყოფნის ფუნდამენტური ატრიბუტით „დაპროგრამებული“ ბუნება. ამიტომ გადაარჩენის ამ სახეს დარვინი ბუნებრივ გადაარჩენას უწოდებს. როგორ ხდება ეს უკანასკნელი? კვლავ გავიხსენოთ ჩვენ მიერ ზემოთ მოყვანილი ცხვრის ფარის მაგალითი. რამდენი ცხვარიცაა ცხვრის გვარში იმდენი ერთმანეთისაგან განსხვავებული ინდივიდი. ბუნებას სწორედ ამის გამო შეუძლია არჩევანი გააკეთოს. როგორ და რის საფუძველზე ახერხებს ის ამას? დარვინი, ამ შემთხვევაში, ყურადღებას აქცევს იმ ფაქტს, რომ ცოცხალ არსებებს აქვთ უნარი ჭარბი რაოდენობით წარმოშვან შთამომავლობა<sup>9</sup>. ორგანულ სამყაროს ამ თვისებას ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მისი ევოლუციის პროცესში. სწორედ, ამ უნარში ხედავდა დარვინი ბუნებრივი გადაარჩენის შესაძლებლობას, რომელსაც მანამდე სათანადო ყურადღებას არ აქცევდნენ. ჩვენ მოვიყვანთ ამ უნარის გამოვლენის რამდენიმე მაგალითს. როგორც ცნობილია, ორგანული სამყაროს ბინადართა შორის სპილო ყველაზე ნელა მრავლდება. დედა სპილო შთამომავალს 30 წლის ასაკიდან იძლევა და 50—60 წლის მანძილზე სულ რაღაც 4—6 შვილს აჩენს. დარვინის გამოანგარიშებით ერთი წყვილი სპილოსაგან 740—750 წლის განმავლობაში, თუ ხელის შემშლელი პირობები არ იქნება, წარმოიშობა დაახლოებით 19 მილიონი სპილო. თუ სპილოთა ამ რაოდენობას შევუქმნით გამრავლების ოპტიმალურ პირობებს, 500 წლის შემდეგ მივიღებდით სპილოთა კოლოსალურ რაოდენობას, რომელსაც 10 დედამიწის ოდენა პლანეტა თუ დაიტევდა. მეორე მაგალითი. ერთი ბაბუაწვერა ასეულობით თესლს იძლევა ყოველწლიურად, მაგრამ ვიგვარაუდოთ ყველაზე მინიმალური რაოდენობა 100-მდე თესლი. თუ თესლების გამრავლებას არაფერი არ შეუშლიდა ხელს, ბაბუაწვერას მე-5 თაობა მოგვეცემდა 100000000 თესლს, ხოლო მეათე თაობა კი თესლთა კოლოსალურ რაოდენობას —  $10^{17}$ , რომლის აღმოცენებისა და ნორმალური განვითარებისათვის საჭირო იქნებოდა 15-ჯერ მეტი ტერიტორია ვიდრე ხმელეთის ზედაპირია. ამ და სხვა მის მსგავსი მაგალითების ანალიზის საფუძველზე ტიმირიაზევი ასკვნის: „ერთი სიტყვით, არაა ისეთი არსება, რომლის შთამომავლობას, დატულს ამოხოცვისაგან, არ დაესახლებინა სრულიად ხანმოკლე პერიოდში მთელი დედა-

<sup>9</sup> ეს უნარი, რომელიც ორგანული სამყაროს ბინადართ ახასიათებთ, უნივერსუმის ფუნდამენტური ტენდენციის თავისებური გამოვლენაა. ორგანული სამყაროს ყოველი სახესხეობა გვარის შიგნით, ინდივიდთა მრავალსახიანობით, იმეორებს უნივერსუმის აღნიშნულ ტენდენციას და თვისებურად აგრძელებს მას. დარვინს თავის ბუნებისმეტყველურ თეორიაში მიზნად არ დაუსახავს მისი საფუძველდება მოეხდინა, ის უბრალოდ გამოდიოდა ცოცხალ არსებათა ჭარბი რეპროდუქციის უნარის არსებობის ფაქტოდან.



მიწა<sup>10</sup>. მაგრამ ეს არ ხდება<sup>11</sup>. რატომ? აი, სწორედ ამ „რატომზე“ პასუხია ჩვენთვის ამჟღად საინტერესო, აქ დარვინის თეორია შემდეგ-  
ნაირ გაშლას იღებს. ერთი ინდივიდისაგან წარმოშობილი შთამომავ-  
ალთა სიჭარბე მათ შორის ბადებს კონკურენციას. არსებობის მსურ-  
ველთა რიცხვი გაცილებით მეტია ვიდრე სასიცოცხლო არეალის შე-  
საძლებლობები. როგორც დარვინი იტყვის, ახალ მემკვიდრეთა შორის  
იმართება დაუნდობელი, ხელჩართული ბრძოლა არსებობისათვის. ვინ  
გამოვა ამ ბრძოლაში გამარჯვებული? ყოველი ახალი ეგზემპლარი თა-  
ვისი ინდივიდუალური ნიშან-თვისებებით ევლინება გარემოს, რომელ-  
შიაც კომპონენტთა მთელი კომპლექსი იგულისხმება. არსებობისათვის  
ბრძოლაში ჩაბმულ მხოლოდ იმ ეგზემპლარებს აქვთ გამოვიდნენ ამ  
ბრძოლაში გამარჯვებულნი, რომელთაც აღმოაჩნდებათ სასარგებლო  
ნიშნები, დანარჩენთა ელიმინაცია ხდება. სწორედ ამ პროცესს უწოდებ  
დარვინმა ბუნებრივი გადარჩევა. ბუნებრივი გადარჩევის ეს პროცესი  
მიმდინარეობს დაუსრულებლად, თაობიდან თაობაში და ბოლოს ვლე-  
ბულობთ გარემოსადმი შეგუებულ, ერთმანეთთან კარგად მორგებულ  
ცოცხალ არსებათა მთელ მრავალფეროვნებას, რითაც ესოდენ მდიდა-  
რია ჩვენი პლანეტის ფლორა და ფაუნა. გონების დიდი დაძაბვა არ  
არის საჭირო იმის მისახვედრად რომ ორჯანული სამყაროს გამრავალ-  
ფეროვნების ამ პროცესს, რომელიც ხელოვნური და ბუნებრივი გადარ-  
ჩევის გზით ხდება, თავის უღრმეს საფუძვლად ყოფნის ფუნდამენტუ-  
რი სტიქია უდევს, სტიქია, რომელიც ყოველთვის და ყველა შემთხვე-  
ვაში ცოცხალი ინდივიდების, ორჯანული სამყაროს სახესხვაობათა სა-  
ხით არსებობს.

რა როლი და ფუნქცია აქისრია ამ ტენდენციაში ჩვენთვის საინტე-

<sup>10</sup> კ. ტ. მი. რ. ი. ა. ზ. ე. ვ. ი. ჩ. დარვინი და მისი მოძღვრება, გვ. 58.

<sup>11</sup> დარვინი და სხვა ბუნებისმეტყველები თავს არიდებენ ამ შეუძლებლობიდან  
გააკეთონ მეტაფიზიკური დასკვნა. თუმცა ემპირიული გზით ისინი ძალზე კარგად  
ადასტურებენ მეტაფიზიკის ერთ-ერთ ფუნდამენტურ დებულებას. ჩვენ კი სწორედ  
ასეთი დასკვნა გვაინტერესებს. რატომ არ ხდება ჩვენი პლანეტის მთელი ბიოსფეროს  
დასახლება ცოცხალი არსების ერთი რომელიმე სახის წარმომადგენლებით? უკა-  
ნასკნელ შემთხვევაში ყოფნის ფუნდამენტური წესი დაირღვეოდა; საბოლოოდ, ეს  
მიგვიყვანდა ორჯანული სამყაროს სრულ მოსპობამდე. ყოფნის კანონი ყოველთვის  
მკაცრი აუცილებლობით მოქმედებს და ამიტომ ჩვენი პლანეტის ბიოსფერო მრავალ-  
ფეროვანი არსებებითაა დასახლებული, ყოფნის ამ ფუნდამენტური კანონის მოქმე-  
დება დარვინმა ცდისეული მონაცემებით დაადასტურა: მან ერთ კვადრატულ მეტრ  
ფართობზე მცენარეთა ოცი სხვადასხვა სახეობა დაითვალა. ამ და სხვა მისი ანალო-  
გიური ფაქტების გენერალიზაციას წარმოადგენს დარვინის შემდეგი დებულება:  
„სიცოცხლის უდიდესი რაოდენობრიობა ხორციელდება სახეობათა უდიდესი მრავ-  
ალფეროვნებისას“. ეს დებულება, როგორც ამას საქმეში ჩახედული მკითხველი  
ხედავს, ელვადური მეტაფიზიკის ცდისეული უარყოფაა.

რესო ცვალებადობის ფენომენს? წარმოვიდგინოთ ერთი წუთით ცოცხალი ორგანიზმები ცვალებადობის უნარის გარეშე: რას მივიღებდით ასეთ შემთხვევაში; თავისთავად ცხადია, ფუჭად ჩაივლიდა ადამიანის ყოველგვარი მეცადინეობა ცხოველებისა და მცენარეების ახალ-ახალი ჭიშებისა და სახეების გამოსაყვანად. ადამიანი თავის სელექციურ მოღვაწეობაში ხომ იმ მასალას ეყრდნობა, რომელსაც ორგანიზმთა მოდიფიკაციური და მუტაციური ცვალებადობა იძლევა? იგივე დაემართებოდა ბუნებრივი ჯადარჩევის ფაქტორსაც: ორგანიზმისათვის სასარგებლო ნიშან-თვისებათა კომპლექსი ხომ ცოცხალ არსებათა ცვალებადობის მეშვეობით იქმნება? ამ კომპლექსის გარეშე ბუნება ვერ შექმნიდა ცოცხალ ორგანიზმთა მრავალფეროვნებას. ცვალებადობის ფენომენის გარეშე სრულიად გაუგებარი იქნებოდა ორგანიზმთა გარემოსთან შეგუებისა და ურთიერთმორგებულობის განსაკვიფრებელი ფაქტები. ერთი სიტყვით, ცვალებადობის ფენომენი ქმნის იმ პირველად მასალას, რომლისგანაც შემდეგ ხელოვნური და ბუნებრივი ჯადარჩევის გზით იქმნება ცოცხალი სამყაროს მრავალფეროვნება<sup>12</sup>. სიმრავლე, მრავალფეროვნება კი არსებულთა არსებობის საფუძველია. გამოდის რომ საბოლოო ინსტანციაში არსებულთა ყოფნის საფუძველთა საფუძველი არის ცვალებადობის ფენომენი. ეს აზრი შეიძლება ამოვიკითხოთ ჰერაკლიტესთან, რომელმაც სამყაროს საწყისად ქცევადობა აღიარა. ახალ დროში არსებულის შესახებ ანალოგიურ კონცეფციას ჩვენ ვხვდებით სიცოცხლის ფილოსოფიის მოთავესთან — ბერგსონთან. უკანასკნელმა ყველაფრის საფუძვლად შემოქმედებითი ევოლუცია გამოაცხადა. ამ მოსაზრებაში უთუოდ არის ჭეშმარიტების მარცვალი, მაგრამ მხოლოდ მარცვალი. უსუბსტრატო ქცევადობის თვალსაზრისი, რომელსაც ბერგსონი ქადაგებს<sup>13</sup> უნივერსუმის ფუნდამენტურ ტენდენციაში ცვალებადობის ფენომენის ადგილისა და როლის ზომაზე მეტი გაზვიადებაა.

5. წინა პუნქტში ჩვენ ლაპარაკი გვქონდა სიცოცხლის მრავალსახიანობის დაფუძნებაში ცვალებადობის ფენომენის განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე. განსხვავებულ არსებათა გასაოცარ სიმრავლეს აქვს აღ-

<sup>12</sup> ცოცხალ ორგანიზმთა მრავალსახიანობის წარმოშობაში ცვალებადობის ფენომენის განსაკუთრებული როლი, რომელსაც ჩვენ ესოდენ დაბეჭითით ვუსვამთ ხაზს, სრულებითაც არ გულისხმობს და არ უნდა გავიგოთ ისე თითქოს ჩვენ ვიცი-წყებდეთ ამ პროცესის მეორე აუცილებელ მომენტს: ცოცხალ ორგანიზმთა მდგრადობას — მემკვიდრეობითობას, რომელიც ყოველ მათგანში გენის საშუალებით ხორციელდება. უკანასკნელის გარეშე ორგანიზმთა ევოლუცია ქაოსურ ხასიათს მიიღობდა; უფრო სწორად საერთოდ შეუძლებელი იქნებოდა ცვალებადობის ფენომენი. ამის შესახებ ჩვენ ამ შრომის სხვა ადგილას სპეციალურად გვექნება ლაპარაკი.

<sup>13</sup> ა. ბერგსონი, ცვალებადობის აღქმა, პეტერბურგი, 1913.

გილი არაორგანულ სამყაროშიც. როგორია ცვალებადობის ფენომენის როლი არაორგანული სამყაროს მრავალსახიანობის შექმნაში? მრავალი სხვადასხვა გზითა და წესით ამრავალფეროვნებს უნივერსუმი თავის თავს. მრავალსახიანობის დაფუძნების ერთ-ერთ ასეთ საყოველთაოდ გავრცელებულ წესს წარმოადგენს ელემენტთა განსაზღვრულ სისტემებად გაერთიანების წესი. შეიძლება გადაჭრით ითქვას, რომ ამ საყოველთაო წესის სწორუბოვარი მოქმედების განსახიერებაა საგნები და მოვლენები უნივერსუმში. საგნებისა და მოვლენების ტენდენცია გაერთიანდნენ სხვადასხვა ორგანიზაციის მქონე რთულ სისტემებად, არ არის მათი ეპიფენომენური ნიშანი, რომელიც მათ შეიძლება ჰქონდეთ ან არ ჰქონდეთ. ყოველი საგანი, ყოველი მოვლენა სხვა არაფერია თუ არა განსაზღვრულ არსებათა — ელემენტთა ურთიერთკავშირი და ურთიერთზემოქმედება. ურთიერთშორის ასეთი შინაგანი კავშირისა და ზემოქმედების ნაყოფია ყოველი მატერიალური სისტემა, მთელი, რომელსაც თავისი სტრუქტურა და ორგანიზაცია გააჩნია. სწორედ ამიტომ ელემენტთა კავშირს მთელში, სისტემაში არაადიტიური ხასიათი აქვს. საგანი, მოვლენა, როგორც მთელი, არაა მასში შემაველი ელემენტებისა და კომპონენტების უბრალო არითმეტიკული ჯამი. საგანი, როგორც მთელი, არის ელემენტთა ორგანული ერთიანობა, სრულიად განსაზღვრული ორგანიზაციითა და სტრუქტურით. უკანასკნელი გარემოება პირველ რიგში პირობადებულია იმით, რომ ელემენტებს ერთ ორგანულ მთელად (სისტემად) კრავს ესა თუ ის ძალა. მაგრამ ეს არ უნდა გავიგოთ ისე თითქოს რაიმე ელემენტი, არსება, სანამ ის სხვა ელემენტთან, არსებასთან გაერთიანდებოდეს, აქტიურობის (ძალთა მოქმედების) მიღმა იდგეს; ყოველი ელემენტი, საგანი იმთავითვე არის ძალთა მოქმედების პროდუქტი. არ შეიძლება დავაცილოთ ძალა (აქტიურობა) და არსებობა — საგანი ერთიმეორეს; ისინი განუყრელ კავშირში არიან ერთიმეორესთან და ამიტომაც არის რომ ყოველი საგანი, მთელი არის ელემენტთა არა მექანიკური ჯამი, არამედ მათი ორგანული მთლიანობა. მთელი ბუნება, უნივერსუმი ამ პრინციპით არის აგებული. კვარკებიდან დაწყებული მეტაგალაქტიკებით დამთავრებული, სამყარო არის სისტემური ხასიათის მქონე არსებათა იერარქია. კვანტური ქრომოდინამიკის თანახმად ადრონებში კვარკების ურთიერთზემოქმედება ხორციელდება გლიუონების მეშვეობით. უკანასკნელნი ერთ მთელად კრავენ კვარკებს და იქმნება ადრონები. ადრონები ქმნიან ატომბირთვებს. უკანასკნელნი ელექტრონებთან ურთიერთობაში ქმნიან ატომებს; ატომები — მოლეკულებს და ა. შ. ყოველი მატერიალური სისტემის არსებობა დაკავშირებულია უნივერსუმში მოქმედ ამა

თუ იმ ძალასთან. ატომბირთვებს ბირთვული ძალები კრავს; ატომებს — ელექტრომაგნიტური ძალები და ა. შ.

როგორც ითქვა, ელემენტთა კავშირის სისტემებში (მთელში) არაადიტივური ხასიათი აქვს და, გამომდინარე აქედან, ყოველი სისტემა — მთელი „საარსებო ასპარეზზე“ წარმოსდგება თავისი ინტეგრატული ნიშან-თვისებებითა და თავისებურებებით. ატომის, როგორც მთელის, თვისებრივი განსაზღვრულობანი უთუოდ განსხვავდება მასში შემავალ კომპონენტთა ნიშან-თვისებებისაგან. იგივე ითქმის ყველა მატერიალურ წარმონაქმნზე. და სწორედ ეს გარემოება წარმოადგენს იმ ფუნდამენტს, რომელზედაც არსებულთა მრავალფეროვნება აღმოცენდება. აი აქ, ამ პუნქტში დგება ჩვენთვის საინტერესო პრობლემა: რა „წვლილი“ შეაქვს ცვალებადობის ფენომენს სამყაროს გამრავალფეროვნების პროცესში? სხვანაირად რომ ვთქვათ, დგება საკითხი სისტემური, მთლიანობითი ბუნების მქონე არსებათა წარმოქმნის ფაქტორების შესახებ. იქიდან, რაც აქამდე ითქვა ამ საკითხთან დაკავშირებით, საესეებით ნათელია, რომ ასეთ ფაქტორებს წარმოადგენენ ელემენტები და მათი აქტიური ურთიერთზემოქმედება, რომელიც ბუნების განსაზღვრული ძალების ბაზაზე ხორციელდება. არის თუ არა ეს ორი ფაქტორი საკმარისი იმისათვის, რომ არაადიტივური ხასიათის მქონე საგნები და მოვლენები წარმოიშვან? უნდა ითქვას გადაკრით: არ არის საკმარისი! ელემენტთა, კომპონენტთა, საერთოდ არსებულთა აქტიურობამ მხოლოდ მაშინ შეიძლება ეფექტი მოგვეცეს — წარმოშვას რაღაც ახალი, მანამდე უცნობი არსება — საგანი, თუ ურთიერთკავშირსა და ურთიერთზემოქმედებაში მყოფი კომპონენტები მზად იქნებიან მიიღონ ზემოქმედება, რაღაცნაირად მოერგონ ერთიმეორეს, ურთიერთშორის „საერთო ენა“ გამონახონ. ურთიერთმორგება და კომპრომისი ურთიერთკავშირში მყოფი ელემენტებისა (არსებებისა) აუცილებელი საწინდარია ნორმალურად ფუნქციონებადი რთული სისტემის წარმოშობისა და არსებობისა. მაგრამ რა არის საჭირო ამისათვის? რას ნიშნავს ერთი ელემენტის მეორესთან მორგება? უთუოდ იმას, რომ თითოეული მათგანი განსაზღვრული მიმართულებით იცვლება, კარგავს განსაზღვრულ თვისებებს, რომლებიც მას გააჩნდა სხვა ელემენტთან თუ ელემენტებთან კონტაქტში მოსვლამდე და იძენს ახალ, მანამდე მისთვის უცხო ნიშან-თვისებებს. ერთი სიტყვით, ელემენტთა სიმბიოზი, მათი ერთ არსებად გამთლიანება და, მაშასადამე, ახალი სტრუქტურული ერთეულის (არსებითი სისტემის) წარმოქმნა თავის აუცილებელ პირობად უთუოდ გულისხმობს ამ ელემენტებში ცვალებადობის უნარის არსებობას. ამრიგად, ელემენტები, მათი აქტიურობა, რომელიც მათ ურთიერთზემოქმედებაში ვლინდება და ამ ელემენტთა ცვალებად-

დობა — აი, ის აუცილებელი ფაქტორები, რომლებიც არაადიტიურ-სისტემების არსებობის პირობებს ქმნიან. აქვე, ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით, გვინდა შემდეგი ორი შენიშვნა გაავკეთოთ. პირველლემენტებში, რომელთა არაადიტიურ გაერთიანებაზეა ლაპარაკი, არამც და არამც არ იგულისხმება შინაარსი, რომელსაც ასოციაციურად ამ ტერმინის ლათინური მნიშვნელობა ბადებს ჩვენს წარმოდგენაში<sup>14</sup>. ელემენტი, ამ შემთხვევაში, ჩვენ გვესმის როგორც რაღაც მთელის ნაწილი და, მასთანადამე, მასში შეიძლება ვიგულისხმოთ ყოველგვარი არსებული, რომელიც რაღაც რთული სისტემის შემადგენელ ნაწილად შეიძლება მოგვევლინოს. ამ აზრით, ერთნაირად ელემენტია პროტონი და მზის სისტემა; პირველი — ატომებისათვის, მეორე — გალაქტიკისა. მეორე, როგორც ითქვა, ელემენტები და მათი ურთიერთზემოქმედება არ არის საკმარისი ახალი არაადიტიური სისტემის შესაქმნელად. ამ ორ აუცილებელ ფაქტორთან ერთად საჭიროა მესამეც; ელემენტთა ცვალებადობის უნარი; მაგრამ ცვალებადობა ელემენტებისა არ ნიშნავს ამ ელემენტის სრულ ელიმინაციას მთელის სტრუქტურაში. თუ მთელში ელემენტი თავის ინდივიდუალობას მთლიანად დაკარგავდა არც ამ უკანასკნელ შემთხვევაშიც წარმოიშობოდა ახალი სისტემა — არსება. როგორც მუტაცია არ ნიშნავს მუტანტის სრულ გაუქმებას, რაღაც არსების მთელის ორგანულ ელემენტად გადაქცევა არ ნიშნავს მის სრულ ლიკვიდაციას მთელი წიაღში. მთელი, როგორც მთელი ყოველთვის და ყველა შემთხვევაში არსებობს როგორც განსხვავებულ ელემენტთა (ნაწილთა) სიმბიოზური ერთიანობა. ამ შენიშვნათა შემდეგ ჩვენი ძირითადი თეზისის დემონსტრირება მოვახდინოთ რამდენიმე კერძო მაგალითით. ეს დემონსტრირება გვინდა დავიწყოთ ორგანული მთელის — უჯრედის წარმოშობის მაგალითით.

მკითხველს ალბათ ახსოვს, რომ ჩვენ ერთხელ უკვე მივმართეთ უჯრედის მაგალითს. მაშინ ჩვენ გვინდოდა მიგვენიშნებინა იმ გასაჭირზე, რომელშიაც ვარდება მექანიციზმი როცა ის სიცოცხლის წარმოშობის ახსნას ცდილობს. უჯრედის წარმოშობის მექანიცისტური კონცეფცია ჩვენ მიერ საკმაოდ გაშარყებულ ფორმაში იქნა წარმოდგენილი. მკითხველისათვის ალბათ ცნობილია, რომ ლუკრეციუსი მართო არ დგას მექანიციზმის პრინციპზე. ჭერ კიდევ ადრე, ბერძენი ფილოსოფოსი ემპედოკლე ცდილობდა ცოცხალი ორგანიზმებისათვის დამახასიათებელი მიზანშეწონილობა დარვინის ევოლუციური თეორიის ანა-

<sup>14</sup> სიტყვა ელემენტი (elementum) ლათინურად ნიშნავს სტიქიას, პირველსაწყის ნივთიერებას. ქიმიაში მას საწყისი (მარტივი) ქიმიური ელემენტის მნიშვნელობით ხმარობენ.

ლოგიურად, გონების ჩარევის გარეშე აეხსნა. მისი აზრით ორგანიზმში ჩნდებიან ცალკეული ნაწილების სინთეზის გზით. ჯერ ჩნდებიან ორგანიზმთა ნაწილები, მაგალითად, ფეხები, ხელები, ყურები, თავები და ა. შ. შემდეგ კი, სიყვარულის ძალის საფუძველზე, მათი შეერთებით წარმოიშობა ნორმალური ორგანოები. „მისგან (დედამიწისაგან) აღმოცენდა მრავალი უკისრო თავი, შიშველი ხელები, რომლებსაც მხრები არ ჰქონდათ, რბოდნენ აქეთ-იქით, და უშუბლო თავები მარტო ხეტიალობდნენ“, — ამბობს ემპედოკლეს ერთი ნაწყვეტი<sup>15</sup>. ემპედოკლეს ამ თვალსაზრისმა არ შეიძლება თანამედროვე ბუნებისმეტყველების წარმომადგენელს ღიმილი არ მოჰგვაროს, თუმცა ემპედოკლე თავისი გულუბრყვილო შეხედულებით თავიდან ბოლომდე როდი ტყუის. ჩვენი მიზანი არაა ემპედოკლეს გულუბრყვილო შეხედულებების რეაბილიტაცია; მაგრამ, მაგალითი, რითაც ჩვენ ჩვენი თეზისის დემონსტრაცია გვინდა, რაღაცნაირად ჰგავს ემპედოკლეს შეხედულებას. საქმე ამ შემთხვევაში ეხება იდეას, რომლის თანახმადაც ეუქარიოტული უჯრედები, რომელთაგან აშენებულია ორგანული სამყაროს ბინადართა ორგანიზმები, წარმოშობილნი არიან ცალკეული ბაქტერიული წინაპრისაგან სიმბიოზის გზით. როგორც ცნობილია, „აგური“, რომლისაგანაც არის აშენებული მთელი ორგანული სამყარო — უჯრედი, ძალზე რთული აგებულებისაა. იგი მრავალი სხვადასხვა ნაწილისაგან ე. წ. ორგანოიდებისაგან შედგება, რომელთა სიმბიოზური ერთიანობა და შეთანხმებული აქტიურობა უზრუნველყოფს უჯრედის ცხოველმყოფელობას ორგანიზმში და ორგანიზმისაგან დამოუკიდებლად, როცა საქმე გვაქვს ერთ-უჯრედიან ცოცხალ არსებებთან. მნიშვნელოვან ორგანოიდებს უჯრედის შემადგენლობაში წარმოადგენენ მიტოქონდრიები და პლასტიდები მცენარეულ უჯრედებში. როგორც ერთში ისე მეორეში არსებობენ ფერმენტები უჯრედის ამ ორგანოიდების სპეციალური ფუნქციის განსახორციელებლად. მიტოქონდრიების მეშვეობით ხორციელდება ისეთი მნიშვნელოვანი სასიცოცხლო პროცესი უჯრედში, როგორიცაა სუნთქვა. ამავე დროს მიტოქონდრიები წარმოადგენენ, თუ შეიძლება ითქვას, ენერგოსადგურებს, საიდანაც ყოველი უჯრედი ღებულობს უჯრედის სიცოცხლისთვის აუცილებელ ენერგიას; უჯრედში ისინი ენერგიის უნივერსალურ წყაროს წარმოადგენენ. პლასტიდები მცენარეულ უჯრედში ფერმენტებთან რთულ ურთიერთობაში ნთქავენ მზის სხივების ენერგიას და გარდაქმნიან მას უჯრედის სასიცოცხლო პროცესებისათვის აუცილებელ ქიმიურ ენერგიად. და, აი, არსებობს თეორია, რომელიც ორგანიზმის ნაწილთა მთელად გაერთიანების ძველ იდეას საე-

<sup>15</sup> ს. დ ა ნ ე ლ ი ა, ანტიკური ფილოსოფიის ნარკვევები, თბ., 1983, გვ. 188.

„შებით შესაძლებლად თვლის“<sup>16</sup>. ამ თეორიის მიხედვით პლასტიდები, რომლებიც მცენარეული უჯრედის მნიშვნელოვანი ელემენტია, წარმოიშენენ დამოუკიდებლად არსებული ფოტოსინთეზის უნარმქონე ბაქტერიებისაგან. ასეთივე წინაპრები ჰყავს მიტოქონდრიებსაც. ერთი სიტყვით, ფუნქციები, რომლებიც ამჟამად გააჩნიათ უჯრედის ორგანოდებს, გამომუშავებულია უფრო ადრე სანამ ეუკარიოტული უჯრედები წარმოიშობოდა. სხვანაირად რომ ვთქვათ, ამ თეორიის მიხედვით „ეუკარიოტული უჯრედები წარმოიშენენ თავიდანვე დამოუკიდებელი ელემენტებისაგან განსაზღვრული წესით კოოპერირების გზით. კოოპერაციის წევრები, ძალზე დასპეციალიზებულნი, დროთა ვითარებაში უჯრედის ორგანობად გადაიქცნენ“<sup>17</sup>. ერთი სიტყვით, რამდენიმე დამოუკიდებლად არსებულმა პროკარიოტმა სიმბიოზური ასოციაციის გზით შექმნეს ერთი ეუკარიოტი. რა შემთხვევაში არის ეს შესაძლებელი? დამოუკიდებელ არსებათა სიმბიოზური ასოციაცია საკუთარი ინდივიდუალობის და თავისებურებების მქონე არსებად შეიძლება გადაიქცეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სიმბიოტები დაკარგავენ წინანდელ დამოუკიდებლობას და თავიანთ ცხოველმქმედებაში ერთმანეთზე დამოკიდებულნი გახდებიან. ხოლო რას ნიშნავს ეს და რა პირობებში იქნება ასეთი რამ შესაძლებელი? მხოლოდ და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ასოციაციის თითოეულ წევრს ექნება უნარი სიმბიოზში მყოფი სხვა წევრებისაგან მიიღოს ზემოქმედება, თვითონაც უკუგაეღვნა შოახდინოს მათზე და ყველამ ერთად ამ კავშირსა და ურთიერთზემოქმედების პროცესში განიცადონ ცვალებადობა. მხოლოდ ამ უკანასკნელ შემთხვევაში იქნება შესაძლებელი სიმბიოტთა კოოპერაციამ მიიღოს ინტეგრაციული ხასიათი და წარმოიშვას თვითმყოფი მთელი სრულფასოვანი უჯრედის სახით. შენაერთები, რომლებსაც ცვალებადობის ეს უნარი არ ექნება, როგორც იტყვიან, „თამაშგარეშე“ მდგომარეობაში აღმოჩნდებიან. ალბათ ასე და ამ გზით, როგორც ამას ზემოთ დასახელებული წიგნის ავტორი ამტკიცებს<sup>18</sup>, წარმოიშენენ პროკარიოტებიც.

მეორე კერძო მაგალითი, რომელიც გვინდა მოვიყვანოთ ჩვენი ძირითადი თეზისის სადემონსტრაციოდ, არის ატომთა ნაერთების სამყარო, რომელსაც ქიმიკოსები მოლეკულებს უწოდებენ. როგორც ცნობილია, ეს სამყარო ძალზე მრავალფეროვანია. ამ მრავალფეროვნების საფუძველში ისევ და ისევ ცვალებადობის ფენომენი დევს. მოლეკუ-

<sup>16</sup> ლ. მ ა რ გ ე ლ ი ს ი, სიმბიოზის როლი უჯრედის ევოლუციაში, შ., 1983 (თარგმანი ინგლისურიდან).

<sup>17</sup> იქვე, გვ. 15.

<sup>18</sup> იქვე, გვ. 17.

ლად იწოდება მატერიალური სისტემა, რომელიც ერთიმეორესთან განსაზღვრული წესით დაკავშირებული ორი ან ორზე მეტი ატომისაგან შედგება და ქმნის გარკვეული ნიშან-თვისებების მქონე მთელს. ჩვეულებრივ ყოველი მატერიალური მთელის არსებობის აუცილებელ პირობას წარმოადგენს ის, რომ მოცემული მთელის შემადგენელ ელემენტთა შორის კავშირის ენერგია რაოდენობრივად უთუოდ უნდა აღემატებოდეს ამ მთელისა მისი ნაწილების გარემოსთან ცალ-ცალკე კავშირის ენერგიათა ჯამს; წინააღმდეგ შემთხვევაში მას გარდუვალად დაანგრევა მოელის. გამონაკლისი, რა თქმა უნდა, არც მოლეკულაა, რამდენადაც ის არის ატომთა კავშირი განსაზღვრული ძალების მოქმედებით. ძალებს, რომელიც ატომებს მოლეკულებად კრავს, ქიმიურ ძალებს უწოდებენ. უკანასკნელთა ბუნება დიდხანს რჩებოდა საიდუმლოებად. ძალზე პრიმიტიული წარმოდგენა ჰქონდათ წარსულში ატომთა კავშირებზე; სწავლულები ფიქრობდნენ, რომ ატომს გააჩნია წვეტები და კაუჭები, რომელთა მეშვეობით ისინი ერთიმეორესთან კავშირში მოდიან. ეს დრო წარსულს ჩაბარდა. თანამედროვე ბუნებისმეტყველებამ ფარდა ახადა მოლეკულაში ატომებს შორის მოქმედი ძალების საიდუმლოებას და ზედმიწევნით იცის მათი მოქმედების კანონზომიერება:

ისე როგორც ყველა სხვა ერთიანი მთელის შემთხვევაში, მოლეკულა, როგორც მთელი, არაა მასში შემავალ ელემენტთა ადიტიური ნაერთი. ატომთა გაერთიანება მოლეკულად ახალ, მასში შემავალ ელემენტებისათვის უცხო, შესაძლებელია სრულიად საწინააღმდეგო თვისებრივ განსაზღვრულობას გვაძლევს. სწორედ ამაში უნდა დავინახოთ მატერიის ორგანიზაციის ამ დონის გამართლება და მნიშვნელობა. ბუნება არასდროს არ აკეთებს ფუჭ სვლებს; მისი აქტიურობა ყოველთვის არსებობის განხორციელებისაკენ არის მიმართული. ატომებისაგან განსხვავებულ თვისებრივად ახალ არსებათა წარმოქმნა სავსებით შეესატყვისება უნივერსუმის საერთო სტრატეგიას. ორი ატომი წყალბადის და ერთი ატომი ჟანგბადის ნაერთი იძლევა წყალს. რომლის თვისებრივი გარკვეულობა არსებითად განსხვავდება მასში შემავალი ელემენტების ნიშან-თვისებისაგან. ორივე ელემენტი ჩვეულებრივ პირობებში გაზობრივ მდგომარეობაში არსებობს და თავისებური მახასიათებლები გააჩნიათ. წყალბადი მსუბუქი გაზია, რომელსაც წვის უნარი აქვს. ჟანგბადი წყალბადთან შედარებით უფრო მძიმე გაზია, თვითონ არ იწვის, მაგრამ წვას ხელს უწყობს. სულ სხვა თვისებები გააჩნია წყალს; ის ჩვეულებრივ პირობებში ყოველთვის თხიერ მდგომარეობაში არსებობს, არც თვითონ იწვის და არც წვას უწყობს ხელს; პირიქით, ხშირად მას წვის ქიმიური პროცესის საწინააღმდეგო საშუალებადაც იყენებენ. ერთი სიტყვით, ორი განსხვავებული მახასიათებლის მქონე



ელემენტებისაგან წარმოიშობა ნივთიერების სრულიად ახალი ნაერთი. რა შემთხვევაში არის ასეთი შედეგი შესაძლებელი? როგორც ზემოთ აღინიშნა, ორი ან ორზე მეტი განსხვავებული ელემენტებისაგან არა-ადიტიური მთელის მიღებისათვის საჭიროა გარკვეული პირობების ორსებობა. ეს პირობებია განსხვავებულ ელემენტთა არსებობა და მათი კავშირი. ეს უკანასკნელი გულისხმობს განსხვავებულთა აქტიურობას, კავშირში მყოფი ელემენტების აქტიურად ურთიერთზემოქმედებას ერთიმეორაზე. თუ ამ კავშირსა და ურთიერთზემოქმედებაში ელემენტები ერთიმეორესთან „გულგრილნი“ დაჩეხიან, ცხადია, მთელი არ შეიქმნება. სხვანაირად რომ ვთქვათ, კავშირი და ურთიერთზემოქმედება კავშირში მყოფი ელემენტებისა მხოლოდ მაშინ იქნება ეფექტური, თუ თითოეული მათგანი ცვალებადობის უნარს გამოამჟღავნებს და თავის ნიშან-თვისებებსა და სტრუქტურას განსაზღვრული მიმართულებით შეცვლის. რა ხდება, მაგალითად, ქიმიური ელემენტების რთულ ნაერთებად — მოლეკულებად გაერთიანების შემთხვევაში? რა მიმართულებით და როგორ მოქმედებენ ჩვენ მიერ ზემოთ მოხსენებული ქიმიური ძალები? უკანასკნელნი ქიმიური კავშირების სახით ამჟღავნებენ თავიანთ თავს. ქიმიური კავშირი კი ატომბირთვების გარშემო მოძრავი გარეთა ელექტრონების მონაწილეობით ხორციელდება და მის (ქიმიური კავშირის) ხასიათს ამ ელემენტების მოძრაობის კანონები განსაზღვრავს. რა ხდება კონკრეტულად ელემენტთა ქიმიური კავშირების შემთხვევაში? მოვიყვანოთ ყველაზე მარტივი — წყალბადის ორი ატომის ერთ მოლეკულად გაერთიანების მაგალითი. როგორც ცნობილია, წყალბადის ატომი შედგება ერთი პროტონისა და მის გარშემო მოძრავი ერთი ელექტრონისაგან. როცა წყალბადის ორი ატომი გარკვეული მანძილით მიუახლოვდება ერთიმეორეს, მათ გარშემო მოძრავი ორი ელექტრონი მოექცევა ორივე ატომგულის „გავლენის ქვეშ“. ორივე ატომის პროტონების გარშემო შეიქმნება ერთიანი ელექტრონული გარსი, რომელიც არსებითად განსხვავდება მანამდე ცალ-ცალკე მყოფი წყალბადის ატომთა ელექტრონული გარსებისაგან. წყალბადის ორი ატომისაგან ახლად წარმოქმნილი მოლეკულა არ არის ორი ატომის არითმეტიკული ჯამი. „წყალბადის მოლეკულაში არსებობენ არა წყალბადის ატომები, არამედ წყალბადის ორი ატომის შემადგენელი ნაწილები (ორი პროტონი და ორი ელექტრონი). მათი მდგომარეობა მოლეკულაში სულ სხვაა ვიდრე ატომში“<sup>19</sup>. ანალოგიური, წარმოსადგენად უფრო რთული და არსებითი ცვლილებების ნაყოფია ყოველი ქიმიური ნაერთი, რომელსაც ბუნება ან ადამიანი ქმნის გამოსავალი ელემენტებისაგან. თანამედროვე მეცნიერება იცნობს ქიმიურ ნაერთთა

<sup>19</sup> ტ. ერდვი-გარუზი, მატერიალის აღნაგობის საფუძვლები, მ., 1976, გვ. 280.

ასი ათასობით ნაირსახეობას. შოლექულათა სამყაროს ასეთი მრავალფეროვნება ცვალებადობის ფენომენის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა. დაბოლოს, კიდევ ერთი კერძო მაგალითი მატერიის უღრმესი ფუნდამენტიდან.

კომპონენტთა ცვალებადობის პრინციპი სრულ ძალაში რჩება ატომბირთვების შემთხვევაშიც, რომლის გარეშე არ არსებობს ატომთა სამყაროს მრავალფეროვნება. ჩვენი აზრით ინტერესმოკლებული არ იქნება ზოგიერთი მონაცემი თანამედროვე ფიზიკის ევოლუციიდან<sup>20</sup>. ჩვენი საუკუნის 30-იან წლებში ატომბირთვების აღნაგობის შესახებ მხოლოდ ის იცოდნენ, რომ ყველაზე უმარტივესი ატომის წყალბადის ბირთვს ქმნის დადებითად დამუხტული ელემენტარული ნაწილაკი — პროტონი, რომლის გარშემო განსაზღვრულ ორბიტაზე ბრუნავს უარყოფითად დამუხტული ნაწილაკი — ელექტრონი. როგორ არის აგებული სხვა ატომთა ბირთვები? ეს კითხვა პასუხგაუცემელი რჩებოდა მანამდე, სანამ ფიზიკოსებმა არ აღმოაჩინეს ახალი ელემენტარული ნაწილაკი — ნეიტრონი. შეიქმნა ატომბირთვის პროტონ-ნეიტრონული თეორია. როგორც ზემოთ ითქვა, ყოველ მთელს განსაზღვრული კომპონენტებისაგან უთუოდ რაღაც ძალა კრავს. რა არის ასეთი ძალა ატომბირთვის შემთხვევაში? ასეთი ძალა, თუ გავითვალისწინებთ ატომბირთვის მდგომარეობას, არ შეიძლება იყოს აქამდე კარგად ცნობილი არც გრავიტაციული და არც ელექტრომაგნიტური ძალები. ძალა, რომელიც ბირთვულ ნაწილაკებს — ნუკლონებს ერთ მთელად კრავს, დღემდე უცნობი, სრულიად ახალი ძალაა. მას ფიზიკოსებმა ბირთვული ძალები შეარქვეს. რაიმე ძალის არსებობის დაშვება, ფიზიკის მეცნიერების თანახმად, სავსებით ექვივალენტურია რაღაც ველის დაშვებისა. ველის დაშვება კი მისი ქვანტების არსებობის დაშვებას ნიშნავს. უკანასკნელი თავისთავად გამომდინარეობს მატერიის არსებობის ერთ-ერთი ფუნდამენტური წესის — წყვეტადობა-უწყვეტის ერთიანობის პრინციპიდან, რომელსაც თანამედროვე ფიზიკური მეცნიერება ექსპერიმენტულად ადასტურებს. ერთი სიტყვით, ნუკლონების შემკვრელი ბუნების ახალი ძალის დაშვება ნიშნავს ახალი ველისა და მისი შესაბამისი ახალი კვანტების არსებობის დაშვებას. ურთიერთზემოქმედება ბირთვებისა ატომბირთვებში მათი მეშვეობით ხორციელდება. რას წარმოადგენენ ახალი ველის ახალი კვანტები, რომელთა მეშვეობითაც ურთიერთკავშირსა და ურთიერთზემოქმედებაში მოდიან ნუკლონები? ჩვენი საუკუნის 50-იანი წლების დასასრულს ფიზიკოსებმა დაადგინეს, რომ ასეთი ნაწილაკები მართლაც არსებობენ და მას პიონები უწოდეს. პიონები სამი სახისაა: ერთნი დამუხტულნი არიან დადებითად, მეორე-

<sup>20</sup> გ. მიაკიშევი, ელემენტარული ნაწილაკები, მ., 1979.

ნი — უარყოფითად, მესამენი — ნეიტრალურ ნაწილაკებს წარმოადგენენ<sup>21</sup>. პი-მეზონები ენერგიულად მონაწილეობენ ნუკლონების ურთიერთზემოქმედების პროცესში, რომელიც იმაში გამოიხატება, რომ ისინი (ნუკლონები) ერთმანეთს შორის ცვლიან ბირთვული ველის ქვანტებს და უკანასკნელთა ურთიერთგაცვლაში თვითონაც გარდაიქმნებიან — ერთიმეორეში გადადიან: ნეიტრონი იქცევა პროტონად, პროტონი — ნეიტრონად. კაცმა რომ თქვას აქ, მატერიის უღრმეს ფუნდამენტში, ნამდვილ გარდაქმნა-ცვალებადობასთან გვაქვს საქმე. ცვალებადობა, რომლის შესახებ აქამდე ვლაპარაკობდით, გარკვეული აზრით, შეიძლება ითქვას, შედარებით ზედაპირული იყო: ის ან მთელში კომპონენტთა გადანაწილებას და, მაშასადამე, მის სტრუქტურულ მხარეს, ან მასში შემავალი ელემენტების ზოგიერთ მახასიათებელთა განსაზღვრული მიმართულებით ცვლილებას ეხებოდა; ელემენტები კი თავის არსებაში იგივეობრივი რჩებოდნენ. ატომბირთვების შემთხვევაში კი, როგორც ითქვა, კეშმარიტ გარდაქმნასთან გვაქვს საქმე: მთელში შემავალი ელემენტები ურთიერთზემოქმედების პროცესში ერთიმეორეში გადადიან — ერთიმეორედ გარდაიქმნებიან. მთავარი და საინტერესო ის არის, რომ ეს კეშმარიტი ცვალებადობა — მათი ურთიერთგარდაქმნა ერთდროულად, მათი როგორც განსხვავებულთა არსებობისა და მათგან წარმოქმნილი ერთიანი მთელის — ატომბირთვის არსებობის აუცილებელი პირობაა. როგორც ჩანს, მატერიის ფუნდამენტში ცვალებადობის ფენომენი პირდაპირ და უშუალოდ დევს უნივერსუმის მრავალფეროვნების საფუძველში. თანამედროვე ბუნებისმეტყველების ერთ-ერთ უმთავრეს მიღწევას ის წარმოადგენს, რომ მან ელემენტარულ ნაწილაკთა დინამიური ბუნება, მათი მარადიული ცვალებადობისა და ურთიერთგარდაქმნის ფუნდამენტური ფაქტი დაადგინა. ელემენტარული ნაწილაკები, რომლებისაგანაც შექმნილია ატომბირთვებისა და ატომების მთელი სამყარო, გასაოცარი სისწრაფით იცვლებიან და გარდაიქმნებიან. უმრავლესობა მათგანისა დროის რაღაც წარმოუდგენლად მცირე ნაწილში არსებობს. ატომბირთვის გარეშე თავისუფალ ნეიტრონს მხოლოდ 10—15 წუთი შეუძლია იარსებოს. შემდეგ კი პროტონად, ელექტრონად და ანტინეიტრონად იშლება<sup>22</sup>. ბირთვული ველის ქვანტები — მეზონები დროის დაუჭერებლად მოკლე ინ-

<sup>21</sup> იქვე, გვ. 57—58.

<sup>22</sup> გამოთქმაში: „ნეიტრონი იშლება“ არ უნდა ვიგულისხმოთ ტრადიციული შინაარსი. რაიმე იშლება შემადგენელ ნაწილებად, ტრადიციული გაგებით იმას ნიშნავს, რომ ეს რაიმე იმ ნაწილებისგან შედგება რაღაც ის შეიძლება დაიშალოს. ეს სრულებითაც არაა, ასე ელემენტარული ნაწილაკების შემთხვევაში. ნეიტრონი არამც და არამც არ შედგება პროტონის, ელექტრონისა და ანტინეიტრონისაგან.

ტერვალში ცოცხლობენ. ელემენტარულ ნაწილაკთაგან მხოლოდ ოთხს — პროტონს, ფოტონს, ნეიტრონს და ელექტრონს შეუძლიათ შარადიულად იცოცხლონ, თუ თითოეული მათგანის გარდა უნივერსალურად აღარაფერი არ იარსებებდა; მაგრამ ასეთი რამ ყოფნის ფუნდამენტურ პრინციპთან მოდის კოლიზიაში და, მაშასადამე, რეალურად განუხორციელებელია. თითოეული მათგანი სხვასთან კონტაქტში მოსვლით წყვეტს არსებობას — გარდაიქმნება სხვა ნაწილაკად. ყოველივე ეს, თანამედროვე ფიზიკის თანახმად, ჩვეულებრივი რამ არის. საკვირველი მხოლოდ ის არის, თუ როგორ იქმნებიან ასეთი დინამიური და არამდგრადი ელემენტარული ნაწილაკების ბაზაზე შედარებით მყარი საგნები და მოვლენები.

დაბოლოს კიდევ ერთი მაგალითი, რომელიც აგრეთვე ნათელს ხდის ცვალებადობის ფენომენის პირველხარისხოვან მნიშვნელობას. ჩვენ მხედველობაში გვაქვს ცვალებადობის ფენომენის როლი ადამიანის აქტიურ, შემოქმედებით საქმიანობაში.

6. ადამიანი არის დღემდე ჩვენთვის ცნობილი ერთადერთი ორგანიზმი არსება, რომელსაც გაცნობიერებული აქვს თავისი ყოფნა და შევსებულად აწარმოებს მას. ყოფნა ყოველთვის აქტიურობასთან არის დაკავშირებული; გარკვეული აზრით, შეიძლება ითქვას: ყოფნა აქტიურობაა. სპეციფიკურია აქტიურობა ადამიანისა, რითაც ის თავის ყოფნას აწარმოებს. აქტიურობის სპეციფიკურ, მხოლოდ ადამიანისათვის დამახასიათებელ ფორმას, რომლის საშუალებითაც იგი თავის ყოფნას აწარმოებს, შრომას უწოდებენ. შრომაში და შრომის პროცესში ადამიანი გარდაქმნის ბუნებას, ბუნების საგნებს აძლევს თავისი მოთხოვნილებების შესაფერის ფორმას და ითვისებს მათ. შრომას თავისი რეალიზაციის აუცილებელი მომენტი გააჩნია. ის უთუოდ გულისხმობს საგანს, ობიექტს, ბუნებას, რომელზედაც ადამიანი ზემოქმედებს; ადამიანი ცარიელი ხელებით არ ზემოქმედებს ბუნებაზე. აქტიურობის ადამიანური ფორმა იწყება იმ მომენტიდან, როცა ადამიანი ბუნებაზე ზემოქმედებას და მისი საგნების მითვისებას იწყებს შრომის იარაღებით. ბუნების გარდაქმნა შრომის იარაღებით ეს ის პირველი ისტორიული აქტია, რითაც ადამიანმა თავისი თავი გამიჯნა ცხოველთა სამყაროსაგან და თავისი ყოფნის წარმოება დაიწყო ადამიანურად, ადამიანური ფორმით; დაბოლოს, შრომის პროცესი უთუოდ გულისხმობს ადამიანის მიზანშეწონილ მოქმედებას — საკუთრივ შრომას. სამივე მომენტი ერთ მთლიანობაში აღებული, ქმნის ადამიანური აქტიურობის — შრომის პროცესის შესაძლებლობას, შრომისა, რომლის საშუალებითაც ადამიანი თავის თავს აწარმოებს. თავისი ყოფნის წარმოებით, ახალი — კულტურის სამყაროს შექმნით, ადამიანმა კიდევ ერთი ახალი რეგიონით გაამდიდრა უნივერსლში. ეს საგნებით შესატყვისება

უკანასკნელის ფუნდამენტურ ტენდენციას. ყველაფერი ეს ნათელი და გასაგებია. ჩვენ, ამ შემთხვევაში, მკითხველის ყურადღება გვინდა შივაქციოთ იმ გარემოებას, რომ ყოველივე ამის შესაძლებლობის ერთ-ერთი უკანასკნელი საფუძველი ისევე და ისევე ცვალებადობის ფენომენში უნდა ვეძიოთ. უკანასკნელი გარემოება ყოველგვარი ექვის გარეშე დადგება, თუ შრომის პროცესის რეალიზაციისათვის აუცილებელ ზემოთ დასახლებული მომენტების სრულიად მარტივ ანალიზს მოვახდენთ. როგორც ითქვა, პირველი ისტორიული აქტი, რითაც ადამიანმა თავისი თავი გამოყო ცხოველის სამყაროსაგან, არის შრომის იარაღების საშუალებით ბუნების გარდაქმნა. იარაღები, რითაც ადამიანები გარდაქმნიან ბუნების საგნებს და აძლევენ მათ საკუთარი მოთხოვნილებების შესაფერის ფორმას, ბუნებაში მზამზარეულად არ არსებობენ. ადამიანი თავისი აქტიური ზემოქმედებით ქმნის შრომის იარაღებს: ბუნებაში მზამზარეულად არსებულ ნივთიერებასა და საგნებს გარდაქმნის და აძლევს ისეთ სახეს, რომ მათი მეშვეობით შესაძლებელი გახდეს ბუნების სხვა საგნებისა და მოვლენების მიზანშეწონილი გარდაქმნა. ერთი და მეორე — შრომის იარაღების შექმნა და მათი მეშვეობით ბუნების მიზანშეწონილი გარდაქმნა, თავის უღრმეს საფუძვლად უთუოდ გულისხმობს ცვალებადობის ფენომენს — არსებულთა უნარს აქტიური ზემოქმედების შედეგად განიცადონ პარკვეული ტრანსფორმაცია და მიიღონ საწყისი ფორმისაგან განსხვავებული სახე. არსებულთა ამ უნარის გარეშე თავად აქტიურობა ადამიანისა დაკარგავდა საზრისს: აქტიურობას მხოლოდ მაშინ აქვს აზრი. თუ მას რაღაც შედეგი მოჰყვება: უამისოდ და მის გარეშე მოქმედება ფუჭად ჩაივლიდა და, ბოლოს და ბოლოს, შეწყვეტდა არსებობასაც. ყველაფერი ეს სავესებით ნათელი და გასაგებია. მაგრამ, სწორედ ამის გამო სრულებითაც არ არის გამორიცხული მკითხველმა საკითხი ასე დააყენოს: ხომ არა გვაქვს საქმე ამ შემთხვევაში ისეთ რამესთან, რომლის შესახებ ლაპარაკი არც იყოს საჭირო. მართლაც, ღირს კი სერიოზული ბჭობის საგნად ვაქციოთ ის მარტივი და საყოველთაოდ ცნობილი გარემოება, რომ ცვალებადობის უნარქონის გარეშე ნივთებზე ზემოქმედება ყოველგვარ აზრს დაკარგავდა თუ საგნები და ნივთები მოკლებული იქნებოდნენ ცვალებადობის უნარს, ადამიანი მათგან ვერ შექმნიდა შრომის იარაღებს და ამ უკანასკნელთა საშუალებით ვერც ბუნებას გარდაქმნიდა სასურველი მიმართულებით და. მაშასადამე, საბოლოო ინსტანციაში, თავის ყოფიერებას წარმატებით ვერ აწარმოებდა<sup>23</sup>. ყვე-

<sup>23</sup> გამოდის რომ ადამიანი, წინააღმდეგ თავისი არაკრიტიკული და გულუბრყვილო მრწამსისა, არა მხოლოდ მარადიულთან წინაყარობით აფუძნებს თავის ყოფნას, არამედ იმითაც, რომ ის არსებობს ისეთ სამყაროში, რომლის ერთ-ერთ ფუნდამენ-

ლაფერი ეს შეიძლება ერთი შეხედვით ბანალურ ფაქტებად მოგვეჩვენოს, მაგრამ მხოლოდ ერთი შეხედვით. ფაქტიურად, ეს „ბანალური მაგალითები“ რაღაც არსებითზე და ღრმა ქეშმარიტებაზე მიანიშნებენ. აქ არ შეიძლება არ გავიხსენოთ ჰეგელი. მისი აზრით, ფილოსოფიას საქმე აქვს ყველაზე მარტივ და უელემენტარულეს განსაზღვრებებთან, ისეთ „ცნობილ რამებთან“, „რომლებიც შეიძლება შრომა-გარჯის ღირსადაც აღარ ჩავთვალოთ“<sup>24</sup>. „მაგრამ, — ამბობს შემდეგ ჰეგელი, — ამ განსაზღვრებებს უნდა გავეცნოთ სულ სხვა წესითა და სხვაგვარად... ვიდრე აქამდე ვიცნობდით“<sup>25</sup>. ერთ-ერთ ასეთ განსაზღვრულობას წარმოადგენს ცვალებადობის ფენომენი, რომელიც როგორც წინათქმაში ითქვა, უნივერსუმის ფუნდამენტური ტენდენციის თვალსაწიერიდან უნდა განვიხილოთ და მაშინ, მისი ბანალობის შესახებ წარმოდგენაც უმაღლესად გაქრება.

რა საერთო დასკვნა შეიძლება გამოვიტანოთ ზემოთ გაკეთებულ ანალიზიდან? უაღრესად მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ცვალებადობის როლი სინამდვილის ისეთ კონკრეტულ რეგიონში, როგორიც ორგანული სამყაროა. ცვალებადობის უნარი, რომელიც უთუოდ გააჩნიათ ცოცხალ ორგანიზმებს, ქმნის პირველად მასალას სიცოცხლის გამრავალფეროვნებისათვის და, მაშასადამე, მისი არსებობის დაფუძნებისათვის. არსებითი მნიშვნელობის აღმოჩნდა ცვალებადობა სინამდვილის გამრავალფეროვნების ისეთი უნივერსალური ხერხისათვისაც, როგორიც არსებულის ცალკეულ კომპონენტთა ერთ მთელად (ორგანულ სისტემაში) გაერთიანებაა. ანალოგიურ როლსა და ფუნქციას ასრულებს ცვალებადობა უნივერსუმის უკლებლივ ყველა სხვა რეგიონში. შეიძლება ზოგადი წესის სახით ითქვას, რომ ცვალებადობა, მას შემდეგ რაც არსებულის „პირველ-დაყოფა“ მომხდარია, სინამდვილის გამრავალფეროვნების გზით ემსახურება უნივერსუმს თავისი ყოფნის დაფუძნებაში; ამ სამსახურში უნდა დავინახოთ მისი არსებაც: იგი არის სინამდვილის გამრავალფეროვნების პროცესი.

7. დაბოლოს, მოსალოდნელი გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით არ შეიძლება მკითხველის ყურადღება არ მივაქციოთ ერთ არსებითი ხასიათის მომენტს. პათოსი, რითაც თავიდან ბოლომდე გამსჭვალულია წინამდებარე შრომა, იმაში მდგომარეობს, რომ ყველა არსებითი ფუნდამენტალი, რომელიც კი ახასიათებს უნივერსუმს, მისი ყვე-

---

ტურ ნიშნისა და მარადიული ქცევადობა წარმოადგენს. მაგრამ ეს ორი რამ სრულებითაც არ გამოირჩევა ერთიმეორეს; ორივე ერთნაირად აუცილებელია ყოველი არსებულის, მათ შორის ადამიანის, არსებობისათვის.

<sup>24</sup> ჰეგელი, ლოგიკის მეცნიერება, თბ., 1962, გვ. 70.

<sup>25</sup> იქვე.

ლაზე უღრმესი — ყოფნის ფუნდამენტური ნიშან-თვისებიდან უნდა იქნეს „დედუცირებული“ და, მაშასადამე, მათი ინტერპრეტაციაც სამყაროს პრიმატირებით პირობადებული უნივერსუმის ფუნდამენტური ტენდენციის თვალსაწიერიდან უნდა მოხდეს. მიღებული შედეგი თითქოს ეწინააღმდეგება ამ მოთხოვნას. რა იყო ჩვენი მთავარი მიზანი? მთავარი რისი დემონსტრირებაც ჩვენ უნდა მოგვეხდინა და რასაც, ასე თუ ისე მივალწიეთ, ერთი წინადადებით შეიძლება ასე გამოვხატოთ: სიმრავლის საფუძველი არის ცვალებადობის ფენომენი! მაგრამ რას ნიშნავს ეს დებულება? თუ მის შინაარსს ბოლომდე გავხსნით აღმოჩნდება, რომ სიმრავლის საფუძველში ცვალებადობის ფენომენის მოქცევა ფაქტიურად ნიშნავს მის აღიარებას საგანთა ყოფნის საფუძველად. რამდენადაც სიმრავლე სხვა არაფერია თუ არა საგანთა (არსებობათა) სიმრავლე<sup>26</sup>. მოკლედ რომ ვთქვათ, მიღებული შედეგის მიხედვით ყოფნის საფუძველში ცვალებადობის ფენომენი დევს<sup>27</sup>. ხომ არ მოდის ეს დებულება კოლიზიაში ჩვენს გამოსავალ თეზისთან, რომლის თანახმადაც ყველაფერი, რაც არსებობს და რაც ხორციელდება უნივერსუმში, ამ უკანასკნელის პრიმატირებით უნდა იქნეს საფუძველდებული? სანამ ამ უკანასკნელ ვითარებაში გავერკვეოდეთ კვლავ დავუბრუნდეთ იმ დებულებას, რომლის დემონსტრირებაც ჩვენი მთავარი მიზანი იყო. ცვალებადობა სიმრავლის საფუძველია — აი დებულება, რომლის ჭეშმარიტებაც ჩვენ, ასე თუ ისე, დავადგინეთ. მაგრამ ამ დებულებით ჭეშმარიტება მხოლოდ სანახევროდ არის გამოთქმული; თუ საქმის ვითარებაში ღრმად ჩავიხედავთ აღმოჩნდება, რომ თავად ცვალებადობის ფენომენი თავის არსებობას სიმრავლით — განსხვავებულთა არსებობით ადგენს, რამდენადაც ცვალებადობა შეუძლებელია აქტიურობის გარეშე. უკანასკნელი კი განსხვავებულთა არსებობას (სიმრავლეს) გულისხმობს ჟთუოდ. როგორც ჩანს, ის, რაც აქამდე საფუძველად იყო მიჩნეული შედეგის სახით მოგვევლინა. ანალოგიური ვითარება იქმნება ყველა შემთხვევაში, როცა უნივერსუმის ფუნდამენტურ ნიშან-თვისებათა ურთიერთმიმართების საკითხი დგება.

წინამდებარე შრომის მეხუთე თავში ცვალებადობის ფენომენის

---

<sup>26</sup> სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თუ უნივერსუმში სიმრავლის სახით არსებობს (და სხვანაირად ის არ შეიძლება არსებობდეს), ხოლო სიმრავლის საფუძველში ცვალებადობის ფენომენი დევს, მაშინ თავისთავად ცხადია, ცვალებადობა არის სამყაროს არსებობის ძირი. უკანასკნელი დებულება ამ შემთხვევაში სწორად უნდა იქნეს გაგებული: ცვალებადობა სამყაროს სუბსტრატის არსებობის ძირი კი არაა, არამედ, ყოფნის პრიმატირებთან ერთად, ამ სუბსტრატის ამგვარად მანიფესტაციის საფუძველი.

<sup>27</sup> ალბათ, ამ აზრს გამოთქვამდა ჰერაკლიტე, როცა მან 25 საუკუნის წინ, ქვეყნობების სუბსტანციად მარადიული ქმნადობა გამოაცხადა.

წყაროსა და საფუძვლის შესახებ არის მსჯელობა. ძირითადი დებულება, რომელიც იქ ჩატარებული ანალიზის შედეგად არის მიღებული, იმაში მდგომარეობს. რომ ყოველგვარი ცვალებადობის დასაბამი და წყარო არსებულთა აქტიურობაში უნდა ვეძიოთ. მაგრამ ამ დებულებით ჰემ-მარიტება მხოლოდ ნაწილობრივ არის გამოთქმული. თუ საქმის ვითარებას არსებითაც განვიხილავთ, აღმოჩნდება რომ აქტიურობა, რომელიც უთუოდ არის ცვალებადობის წყარო და დასაბამი, საბოლოო ინსტანციაში, თვით ცვალებადობის შედეგად მოგვევლინება. მართლაც, თუ საქმის ლოგიკას ბოლომდე მივყევით, აღმოჩნდება შემდეგი: არსებულთა აქტიურობის ერთადერთ შესაძლებელ ფორმას წარმოადგენს მათი ურთიერთზემოქმედება. უკანასკნელი თავის აუცილებელ წანამძღვრად უთუოდ სიმრავლეს გულისხმობს; სიმრავლის საფუძველი კი, როგორც ანალიზმა აჩვენა, ცვალებადობაა. ამრიგად, საბოლოო ჯამში, თავად ცვალებადობის ფენომენი გამოდის აქტიურობის საფუძვლის როლში; მოკლედ რომ ვთქვათ, აქტიურობა და ცვალებადობა ერთივეორეს აფუძნებენ. როგორაა ეს შესაძლებელი? ხომ არა გვაქვს ამ შემთხვევაში საქმე რაღაც ლოგიკურ შეუსაბამობასთან? მოვიყვანოთ კიდევ ერთი — სიმრავლისა და აქტიურობის კავშირურთიერთობის მაგალითი. ჩვენი ერთ-ერთი თეზისის თანახმად, აქტიურობის არსებობისა და გამოვლენის ერთადერთი ფორმა სხვა არაფერი შეიძლება იყოს თუ არა არსებულთა ურთიერთმოქმედება. ეს იმას ნიშნავს, რომ აქტიურობა თავის აუცილებელ პირობად სიმრავლეს მოითხოვს; თავისთავად ცხადია, სადაც აბსოლუტური განუსხვავებლობაა, იქ აბსოლუტური მყუდროება და სიმშვიდეა. მაგრამ ყველაფერი ამით საქმის ვითარების მხოლოდ ერთი მხარეა გამოთქმული. სიმრავლის უკანასკნელი ძირი არსებულთა ცვალებადობის უნარში უნდა დაიდებნოს; ცვალებადობის სათავე კი აქტიურობაში დევს. საბოლოო ჯამში თავად აქტიურობა გამოდის სიმრავლის საფუძვლად. ამრიგად, ამ შემთხვევაშიც აქტიურობისა და სიმრავლის ორმხრივ, ურთიერთდაფუძნებასთან გვაქვს საქმე. დაბოლოს, კიდევ ერთი დამახასიათებელი მაგალითი. მკითხველს ორიოდე სიტყვით შევახსენებთ ურთიერთობას, რომელიც არსებობს არსებულთა ისეთ ფუნდამენტურ ნიშან-თვისებებს შორის როგორიცაა გარკვეულობა და აქტიურობა. არ არის საეჭვო, რომ გარკვეულობა — „ამად ყოფნა“ — ყოველი არსებულის უარსებითესი ნიშან-თვისებაა. განსაზღვრული აზრით, შეიძლება ითქვას, რომ არსებობა ნიშნავს გარკვეულობას — „ამად ყოფნას“. საგნის „ამად ყოფნა“ — გარკვეულობა კი შეუძლებელია სხვასთან მიმართების და, მაშასადამე, აქტიურობის გარეშე. შეიძლება ამ შემთხვევაშიც გარკვეული აზრით ითქვას შემდეგი: „ამად ყოფნა“ ნიშნავს აქტიურობას (არსებობა აქტიურობა).



მაგრამ ეს საქმის ნამდვილი ვითარების მხოლოდ ერთი მხარეა. თავად აქტიურობის აუცილებელ პირობას უთუოდ „ამად ყოფნა“ — გარკვეულობა წარმოადგენს; თავისთავად ცხადია, არსებობის არმქონე — გაურკვეველი ვერ იაქტიურებს. მაგრამ როგორაა შესაძლებელი „ამად ყოფნა“ გარკვეულობა — აქტიურობამდე? ჩვენ შეგვეძლო ასეთი მაგალითების რიცხვი გავვემრავლებინა. მაგრამ ამეამად არ არის აპის აუცილებლობა. ზემოთ მინიშნებული მაგალითებიც საესებით საკმარისია იმ ვითარების ნათელსაყოფად, რომელსაც უნივერსუმის უღრმეს ფენაში აქვს ადგილი.

ხომ არა გვაქვს საქმე, ყველა ამ და სხვა მისი ანალოგიური მაგალითების შემთხვევაში, რაღაც ლოგიკურ შეუსაბამობასთან? — კვლავ ვიმეორებთ ზემოთ დასმულ კითხვას მისი პირველხარისხოვანი მნიშვნელობის გამო. ხომ არ ხდის უნივერსუმის ფუნდამენტში შექმნილი ამგვარი ვითარება ყოველგვარ ახსნას მოჩვენებით — ტავტოლოგიურ ახსნად და, მაშასადამე, ამოა გარჯად?<sup>28</sup> ეს კითხვები, როგორც ამას საქმეში ჩახედული მკითხველი ხედავს, ეხება მეტაფიზიკის საძირკველს, რაზედაც სამყაროს ფილოსოფიური გააზრების უზარმაზარი შენობა უნდა აღიმართოს. ცხადია, მასზე დამაჯერებელი პასუხის გაცემას ფილოსოფიისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს. მაგრამ ამის შესაძლებლობა ამ შრომაში არა გვაქვს და არც არის აუცილებელი. აქ მხოლოდ შემდეგი ზოგადი მომენტის აღნიშვნით დავკმაყოფილდებით. როცა ლაპარაკია ყოფნის ფუნდამენტური ატრიბუტით პირობადებული უნივერსუმის არსებით ნიშან-თვისებათა კავშირშიმართების ბუნებაზე, უნდა ვიგულისხმობთ, რომ ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს საფუძველ-შედგენის ორგანული ერთიანობის თავისებურ გამოვლენასთან. უკანასკნელი პირობადებულია უნივერსუმის სტრუქტურაში მისი უღრმესი ფენის სპეციფიკით — მისი დაუბოლოვებელი ხასიათით. უნივერსუმის ამ ფენას შეუძლებელია არსებობის სხვანაირი წესი ჰქონდეს. აქ, ამ ფენაში, არსებულის ნიშან-თვისებებს შორის კავშირშიმართებებს არა აქვთ დროული ხასიათი; აქ შეუძლებელია არსებობდეს „აბსოლუტურად პირველადი“ და „აბსოლუტურად მეორადი“. უნივერსუმის ფუნდამენტურ ნიშან-თვისებათა ასეთი ურთიერთზემოქმედება აქვს; ალბათ, ენჯელსს მხედველობაში, როცა ის წერს: „ურთიერთზემოქმედება

---

<sup>28</sup> მეტაფიზიკის კანტიესული კრიტიკა არსებულის ფუნდამენტურ ნიშან-თვისებათა ორმხრივი ურთიერთდაფუძნების შეუძლებლობას ემყარება და ამიტომაც უარყოფდა იგი ძველი მეტაფიზიკის, როგორც მეცნიერების შესაძლებლობას. კეშმარიტი მეცნიერების საფუძვლად კანტს მოვლენათა სწორხაზოვანი დეტერმინაციის პრინციპი მიაჩნდა.

გამორიცხავს ყოველგვარ აბსოლუტურად პირველადს და აბსოლუტურად მეორადს“<sup>29</sup>.

დაბოლოს, მოდის თუ არა კოლიზიაში ზემოთ მოყვანილი მაგალითები ჩვენი კვლევის მთავარ ამოსავალ თეზისთან, რომლის მიხედვითაც ყველა ძირითადი ნიშან-თვისება, რომლებიც კი გააჩნია უნივერსუმს, მისი პრიმატიუბუტით — ყოფნით, უნდა იქნეს საფუძველდებული? არა, არ მოდის! უნივერსუმის ფუნდამენტში არსებული ყველა არსებითი ნიშან-თვისება, არსებულის არსებობის ყოველი წესი ერთიმეორეს ავსებს და ერთიმეორეს აფუძნებს; მათი ურთიერთდამდგენი მოქმედებითა და სიმბიოზური ერთიანობით საბოლოოდ ყოფნა ფუძნდება. უკანასკნელი არის არსებულის ყველა არსებით ნიშან-თვისებათა „გარეგანამწვდომი“ მომენტი და ამიტომ, შეიძლება და სავსებით მართებული იქნება ითქვას, რომ ყოფნა არის და ნიშნავს აქტიურობას, სიმრავლეს და ა. შ. უნივერსუმის უღრმეს ფენაში გაბატონებულმა ამ გითარებამ არ შეიძლება არ მოგვაგონოს ელემენტარულ ნაწილაკთა ურთიერთდამოკიდებულება მატერიის ფუნდამენტში, სადაც ყოველი მათგანი თავის თავში შეიცავს სხვა დანარჩენს და ყველა ერთად ქმნის ქვეყნიერების ერთიან ძირს.

---

<sup>29</sup> ფრ. ენგელსი, ბუნების დიალექტიკა, თბ., 1954, გვ. 169.

ცვალებადობის წყაროს შესახებ

1. ზემოთ ცვალებადობის ცნება გამოყავით მოძრაობის კატეგორიის კომპლექსური შინაარსიდან და მას დამოუკიდებელი მნიშვნელობა მივაკუთვნეთ. მისი ეს მნიშვნელობა გამოთქმულია ცვალებადობის ცნების განსაზღვრებაში. უკანასკნელის მიხედვით ცვალებადობა არის არსებულითა მიერ სხვადასხვა მახასიათებელთა შექმნა-დაკარგვის, საგანთა წარმოშობა-მოსპობის პროცესი. ზემოთ მივანიშნეთ აგრეთვე ცვალებადობის ფენომენის არსებობის ორი პირობა. ერთ-ერთი მათგანი იმაში მდგომარეობს, რომ ცვალებადობის ფენომენი, ეხება იგი საგნის წარმოშობა-მოსპობას თუ მის მახასიათებელთა ცვალებადობას, საბოლოო ინსტანციაში აუცილებლად გულისხმობს რაღაც სუბიექტს, რომელიც ცვალებადობის პროცესში იმყოფება. მისი არსებობის მეორე აუცილებელ პირობად მივიჩნიეთ პრინციპი, რომლის თანახმადაც ის არის „თავისი თავისა“ (ცვალებადობისა) და „თავისი სხვის“ (უცვლელობის) კონკრეტული ერთიანობა. ეს პირობები ცვალებადობის ფენომენის არსებობის ზოგადაპრიორული პირობებია. ახლა ჩვენ კითხვას ვსვამთ მისი როგორც არსებულის, არსებობის ემპირიულ-გენეტიკური პირობის შესახებ.

რა არის ცვალებადობის ფენომენის არსებობის მიზეზი? შეიძლება თუ არა ითქვას, რომ ცვალებადობის პროცესი არის თვითკმარი, თავისთავადი და უმიზეზო რამ? იცლება საგანი, მოვლენა, მათი თვისებები და მახასიათებლები — ეს საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია. შეიძლება თუ არა წარმოვიდგინოთ საერთოდ ცვალებადობა მისი გამომწვევი რაღაც მიზეზის გარეშე? ასეთი რამის დაშვება შეუძლებელია. ამიტომ, ჩვენი ღრმა რწმენით, სავსებით ბუნებრივია დაისვას კითხვა ცვალებადობის მიზეზის, მისი წყაროს შესახებ. მკითხველს წინასწარ მოვახსენებთ დასმულ კითხვაზე ჩვენს პასუხს: ცვალებადობის ფენომენის არსებობის პირველწყაროსა და მიზეზს წარმოადგენს ყოველი არსებულის ერთ-ერთი ძირეული მახასიათებელი — ფუნდამენტალი, აქტიურობა. როგორ და რა გზით გავამართლოთ ზემოთ დაყენებულ კითხვაზე

ასეთი პასუხი?!. ჩვენ ვფიქრობთ ასე: ცვალებადობა საგნისა და მისი თვისებების ცვალებადობაა. თავისთავად ცხადია, ის, რაც არის საგანთა პირველმიზეზი — არსებულის „ამად ყოფნის“ წყარო, ამავე დროს იქნება ცვალებადობის ფენომენის პირველსაწყისიც.

აქ, როგორც ამას დაკვირვებული მკითხველი ხედავს, საქმე გვაქვს მეტაფიზიკის ერთ-ერთ ურთულეს პრობლემასთან: როგორ იქმნებიან საგნები? სხვანაირად ეს ნიშნავს სამყაროს აქტიური საწყისის შესახებ საკითხის დაყენებას. ამასთან დაკავშირებით არ შეიძლება არ გავიხსენოთ ზოგიერთი მთავარი მომენტი მეტაფიზიკის ამ კარდინალური პრობლემის ისტორიიდან.

2. ყოველდღიური, ჩვეულებრივი ცნობიერება გარემომცველი სამყაროს საგნებს ორ ჯგუფად ყოფს: საგანთა ერთი ჯგუფის აქტიურობის მიზეზი საკუთრივ ამ საგნებში იმანენტურად არსებობს; საგანთა მეორე რიგის აქტიურობის მიზეზი მათ მიმართ გარემდებარეა. თავისთავად ცხადია საგანთა ასეთ კლასიფიკაციას თავისი საფუძველი გააჩნია. ჩვეულებრივი ცნობიერება ამ საფუძველს იმაში პოულობს, რომ პირველი ჯგუფის საგნები სულიერნი (ეოცხალნი) არიან, მეორე ჯგუფისა კი — უსულონი. ასეთმა შეხედულებამ, რომელიც ალბათ უხსოვარ დროში დაიბადა, თავშესაფარი ჰპოვა რელიგიურ და ფილოსოფიურ ცნობიერებაში. სხეულის არარაობის, ხოლო სულის ყოვლისშემძლეობის იდეა ბიბლიაში ასეა გამოთქმული „სული ყოვლისშემძლეა, სხეული კი — არარაობა“.

როგორც ცნობილია, პირველი ბერძენი ფილოსოფოსები ქვეყნიერების საწყისად (არხედ) ამა თუ იმ მატერიალურ სტიქიას მიიჩნევდნენ; საინტერესო მათ თვალსაზრისში ის არის რომ ქვეყნიერება, რომელიც აგებულია ამა თუ იმ ბუნებრივი სტიქიისაგან, არის ეოცხალი, გასულიერებული. ამიტომ უწოდებენ მათ ჰილოძოისტებს. მოკლედ რომ ვთქვათ არსებულის ქმნადობის, მისი აქტიურობის ფაქტი პირველ მატერიალისტებთან აქტიურ საწყისთან — სულთან არის დაკავშირებული. მართალია, მათ არ ჰქონდათ სულის შესახებ ლოგიკურად დახვეწილი ცნება, რომელიც შემდეგ იდეალიზმმა შეიმუშავა, მაგრამ მათ

---

<sup>1</sup> მკითხველმა შეიძლება გაიკვიროს დასმულ კითხვაზე ასეთი პასუხი; ამის საფუძველი მას უთუოდ აქვს: ფილოსოფიური აზროვნების ისტორიაში არაერთი ფილოსოფოსი აიგივებდა ცვალებადობის ფენომენს აქტიურობასთან და ამიტომ მათ შორის რაიმე მიმართების დამყარების პრობლემაც თავიდანვე მოხსნილი იყო. ჩვენი მოსაზრებით მათი გაიგივება შეცდომაა. მკითხველმა თავად განსაჯოს შეიძლება თუ არა ცვალებადობა, რომლის განსაზღვრება ზემოთ იყო მოყვანილი, გაუიგივდეს აქტიურობის ფენომენს, რომლის არსი დაახლოებით ასე შეიძლება გამოითქვას: არსებულთა უნარი დაამყარონ ურთიერთკავშირი, მოახდინონ ერთიმეორეზე გავლენა და განსაზღვრული მიმართულებით შეცვალონ თავიანთი არსებობა — არის აქტიურობა:

წარმოდგენაში ცალკეული საგნის თუ მოვლენის, საერთოდ, ქვეყნიერების აქტიურობისა და ქმნადობის საფუძველი რაღაც „ცოცხალს“, „სულიერს“ უკავშირდება. ერთი სიტყვით, აბსოლუტურად სხეულებრივი და ნივთიერი, პირველი ბერძენი ნატურფილოსოფოსების აზრით, ნიშნავს რაღაც პასიურს, უმოქმედოს და ა. შ. გულუბრყვილო ფილოსოფიური აზრის ამ ჩანასახს იდეალისტური მეტაფიზიკა კლასიკურ ფორმას მისცემს. ეს ხდება პლატონთან. ანტიკური იდეალიზმის ამ დიდოსტატის აზრით მხოლოდ სული შეიძლება იყოს აქტიური, მხოლოდ სულის ბუნებაში მარხია შინაგანი ძალებით მოძრაობის შესაძლებლობა. „...ყოველი სხეული გარეგანით მოძრავი — უსულოა; შინაგანით, თავისი თავით მოძრავი — გასულიერებულია. ეს იმიტომ, რომ სულის ბუნებაა ასეთი“, — წერს პლატონი<sup>2</sup>. საყოველთაოდ ცნობილია თეზისი, რომელიც პლატონის დიდმა მემკვიდრემ არისტოტელემ საგანთა მოძრაობის პრობლემასთან დაკავშირებით წამოაყენა: „ყოველი მოძრავი მოძრაობს ან თავისით, ან სხვისით“<sup>3</sup>. არისტოტელეს ფილოსოფიაში მოძრაობის პრობლემა ორგანულ კავშირშია მის მეტაფიზიკურ კონცეფციასთან. ყოველი საგანი, მთელი სამყარო ორი კომპონენტისაგან — მატერიისა და ფორმისაგან შედგება. სამყაროს ასეთი სტრუქტურის რელიეფურ გამოვლენას, არისტოტელეს აზრით. წარმოდგენს ადამიანი. უკანასკნელი სულისა და სხეულის ერთიანობაა. ამ ერთიანობაში გადამწყვეტია ფორმა — სული. ადამიანის ანალოგიურად მთელი ბუნება ფორმისა და მატერიის ერთიანობას წარმოდგენს; ფორმა — სული ბუნების აქტიური მამოძრავებელი ძალაა, ხოლო მასალა, რომლისაგანაც აშენებულია მთელი კოსმოსი, არის ყოველგვარ აქტიურობასა და მოძრაობას მოკლებული მატერია. სულის ყოველისშემძლეობისა და აქტიურობის, ხოლო მატერიის სრული არაარობისა და ინერტულობის ეს იდეა უცვლელად მიიღო ახალი დროის იდეალისტურმა ფილოსოფიამ. იგი ერთნაირი სიცხადითა და სიმკაცრით არის გატარებული როგორც ინტელექტუალისტურ, ისე ვოლუნტარისტულ მეტაფიზიკურ სისტემებში.

სუბსტანციის აქტივობის იდეას იცავდა ლაიბნიცი. აქტიური სუბსტანციის ლაიბნიციისეულმა იდეამ ფასდაუღებელი სამსახური გაუწია ლაიბნიცის შემდეგდროინდელი გერმანელი მეტაფიზიკის დიდ წარმომადგენლებს. მაგრამ ლაიბნიცი მოქმედი სუბსტანციის იდეაში სრულებითაც არ გულისხმობდა მატერიას. ნამდვილი, მოქმედი სუბსტანცია იდეალური ბუნებისაა. მართალია, ლაიბნიცი ლაპარაკობს სხეულზე, როგორც *agens extensum*-ზე, მაგრამ სხეული, საბოლოო ინსტანცია-

<sup>2</sup> პლატონი, თხზ., 3 ტომად, ტ. 2, გვ. 181 (რუსულ ენაზე).

<sup>3</sup> არისტოტელე, თხზ., 4 ტომად, ტ. 3, გვ. 208 (რუსულ ენაზე).

ში, იდეალური ბუნების მქონე მონადეებისაგან არის აშენებული უმაღლესი მონადის — ღმერთის მიერ. ერთი სიტყვით, ლაიბნიცის მიხედვით, იმანენტური აქტივობის უნარი მხოლოდ იდეალურს გააჩნია. ეს დასკვნა უშუალოდ გამომდინარეობს მისივე შემდეგი დებულებიდან: „...მატერიის ცნობაში სრულებითაც არ იგულისხმება ის, რომ იგი (მატერია — ა. ც.) თავისი არსებობის საფუძველს თავის თავში ატარებს“<sup>4</sup>. მატერიის არსებობის საფუძველი, ლაიბნიცის აზრით, არის ღმერთი და, მაშასადამე, ყველა ნიშნისა და თვისების ძირი, მათ შორის აქტიურობისა, რომლებიც მატერიალურ სხეულებს ახასიათებთ, საბოლოოდ, ღმერთში უნდა ვეძიოთ.

განსაკუთრებული სიცხადითა და სიმძაფრით არსებულის აქტიურობის იდეა გამოითქვა და დაფუძნდა გერმანულ კლასიკურ იდეალიზმში, რომლის მწვერვალსაც წარმოადგენს ჰეგელი. ჰეგელის მიხედვით არსებულის ერთ-ერთი უმთავრესი ატრიბუტი არის შინაგანი აქტიურობა, მისი მარადიული შემოქმედებითი წვა. რას გულისხმობს ჰეგელი თვითაქტივობისა და თვითშემოქმედების მქონე არსებულში? ნამდვილად არსებული, ჰეგელის აზრით, სპეკულატური გონებაა; მხოლოდ ამ უკანასკნელის ხედრია თვითაქტივობა, თვითწვა, თვითშემოქმედება. უნივერსულში სპეკულატური გონების (ღვთაების) განხორციელების პროცესია. სად არის მატერია? რა ადგილი უჭირავს მას ყოფიერების ამ უნივერსალურ სტრატეგიაში? ჰეგელი აღიარებს მის არსებობას;

მატერიალურ სამყაროში საგნები და მოვლენები, ცხადია, მოქმედებენ ერთიმეორეზე, მაგრამ ყველაფერი ეს მოკლებულია „ქეშმარიტ აქტიურობას“, თავისუფლებას, სპეკულატურ შემოქმედებას. ერთი სიტყვით, ჰეგელის თვალსაზრისით, მხოლოდ სპეკულატური გონება არის ქეშმარიტი თვითაქტივობის მქონე; მხოლოდ გონს ახასიათებს შემოქმედებითი წვა და თვითმოძრაობა.

3. სხეულებრივი სუბსტანციის აბსოლუტურ ინერტულობას ქადაგებს ვოლუნტარისტული მეტაფიზიკაც, რომელმაც, იაკობ ბემესა და შელინგის გამოვლით, თავის კულმინაციურ სიმაღლეს შოპენჰაუერის ფილოსოფიურ სისტემაში მიაღწია. შოპენჰაუერის მიხედვით ქვეყნიერების უპირობო საფუძველი არის ნება. მისი აზრით, ძველი ფილოსოფიის მთავარი შეცდომა ის იყო, რომ იგი ნებას ინტელექტის ფუნქციად მიიჩნევდა. თავის ეპოქალურ დამსახურებად მას მიაჩნია, რომ მან ვითარება რადიკალურად შეატრიალა და მიუთითა ნების პირველობაზე. ნებასთან მიმართებაში ინტელექტის მეორე რიგში გადაყვანა, რომელსაც შოპენჰაუერი ესოდენ დაბეჭითებით უსვამს ხაზს, საქმის ვითარე-

<sup>4</sup> ლაიბნიცი, *ჩ.ჩ. ფილ. თხზ., მ.*, 1890, გვ. 182.

ზას არსებითად არ ცვლის, რამდენადაც ნება, საბოლოო ინსტანციაში, იდეალური ბუნებისაა. წინამორბედ მეტაფიზიკას შოპენჰაუერი ედა-ვება არა იმიტომ, რომ იგი იდეალურს მიიჩნევს ქვეყნიერების უპირო-ბო პირველსაწყისად, არამედ იმიტომ, რომ სულის ორი ერთიმეორისა-გან სრულიად განსხვავებული კომპონენტიდან — უპირატესობას ანი-ჭებდა ინტელექტს და უკანასკნელს აცხადებდა ქვეყნიერების უპირობო საფუძვლად. ძველი მეტაფიზიკის საწინააღმდეგოდ შოპენჰაუერი სუ-ლის რადიკალად ნებას აცხადებს. მუდმივი და გაუნადგურებელი ელე-მენტი ადამიანში, ის, რაც მასში სასიცოცხლო დასაბამს წარმოადგენს, არის სულის რადიკალი — ნება<sup>5</sup>. შემეცნებას, ინტელექტს შოპენჰაუ-ერი ფიზიკურის (ტვინის) პროდუქტად თვლის. შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ ამ შემთხვევაში შოპენჰაუერი მატერიალისტურ პოზიციებზე დგას. მაგრამ ეს სრული ილუზიაა. კეშმარიტი მეტაფიზიკის მიხედვით, აზუს-ტებს შოპენჰაუერი, თვით ფიზიკური სხვა არაფერია თუ არა სულიე-რის, მისი რადიკალის — ნების გამოვლენა<sup>6</sup>. მთელი სამყარო, საგნები და მოვლენები, თითოეული ცოცხალი არსება, შოპენჰაუერის ვოლუნ-ტარისტული მეტაფიზიკის მიხედვით, სხვა არაფერია თუ არა უპირობო და უსაფუძვლო ნების გამოვლენა, სულის ამ რადიკალის კონკრეტული ობიექტივაცია. უსაფუძვლო ნების დაუოკებელი მოქმედებით ქვეყნიე-რება წარმოგვიდგება როგორც მარადიული ნგრევა-შენების პროცესი და ასპარეზი. მატერიას არავითარი შინაგანი აქტივობა, თავისთავადი სიცოცხლე არ გააჩნია; ის აბსოლუტური ინერტულობაა. მკითხველი ალბათ ხედავს, რომ შოპენჰაუერთანაც ყველაფერი უცვლელად რჩება: ქვეყნიერების ქმნადობის უკანასკნელი ძირი მაინც სულის აქტივობაა; არსებითი მნიშვნელობა არა აქვს თუ რას ვიგულისხმებთ მასში — ინ-ტელექტს თუ ნებას.

4. არსებულის საფუძველში თვითაქტივობის, თვითგანსაზღვრულო-ბის მქონე არსების ყოფნის იდეა ტრადიციული იდეალისტური ფილო-სოფიისაგან გარკვეული კორექტივით, მიღებულ იქნა სიცოცხლის ფი-ლოსოფიაში; აქედან კი აღნიშნული იდეა უფრო დახვეწილი ფორმით, კიდევ უფრო რადიკალური კორექტივით, გადადის ეგზისტენციალის-ტურ ფილოსოფიაში. პოზიტივისტურმა ფილოსოფიამ მეტაფიზიკურ სისტემებთან სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში სახელი გაუტეხა ქვეყნიერების საფუძველში მდებარე არსების — სუბსტანციის შესა-ხებ წარმოდგენას. სუბსტანციის ცნების დევალვაციამ, თავის მხრივ, შეარყია ზოგადი და უცვლელი კანონების შესახებ წარმოდგენა.

<sup>5</sup> შოპენჰაუერი, თხზ. სრ. კრებული, ტ. III, მ., 1903, გვ. 34.

<sup>6</sup> იქვე.

ეგზისტენციალისტური ფილოსოფია რადიკალურ ოპოზიციაში მოდის ტრადიციულ ფილოსოფიასთან. იგი ფილოსოფიური ხედვისა და გააზრების ახალ სფეროს ეძებს. ესაა ეგზისტენცი. ზოგიერთი ფილოსოფოსი ფიქრობს, ეს გზა ნიშნავს ფილოსოფიურ აზროვნებაში ძირეულ შემობრუნებას, ძველი ფილოსოფიური წარმოდგენების სრულ დაძლევას, წარსულის ტრადიციებთან კავშირის რადიკალურ გაწყვეტას. ეგზისტენციალისტური ფილოსოფიის წარმომადგენლებისათვის ერთნაირად მიუღებელია როგორც ტრადიციული მატერიალიზმი და პოზიტივიზმი, ისე ტრადიციული იდეალიზმიც, თუმცა ეს უკანასკნელი „მე“-ს, სულის თვით აქტივობაზე აფუძნებს თავის ფილოსოფიურ შენობას. რატომ არ მოსწონს ტრადიციული იდეალიზმის თვითაქტივობის იდეა ეგზისტენციალიზმს? ტრადიციული იდეალიზმის მიერ მინიშნებულ თვითაქტივობას, იქნება იგი ადამიანური „მე“-ს აქტივობა თუ უნივერსუმში შინაგანად მოქმედი სუბიექტის — ღმერთის, შემოქმედებითი ფუნქცია, მაინც საყოველთაობისა და სიმყარის, სამყაროს ერთიანი სტრატეგიის დამლა აზის.

ეგზისტენციალისტების აზრით ცალკე, გამორჩევით დგას ეგზისტენცი. ეს უკანასკნელი სხვა ყველაფრისაგან სრულიად განსხვავებული სინამდვილეა. ჩვეულებრივი საგნები და ობიექტები ჩართული არიან სხვა საგნებისა და ობიექტების წრედში, კავშირში არიან ერთიმეორესთან, რაღაც ზოგადსა და საყოველთაო წესრიგს ექვემდებარებიან. ყოველი საგანი, ობიექტი, ყოველი რეგიონი სინამდვილისა, სხვით, — მის გარეთ მდებარე პირობებითა და ინსტანციით არის დეტერმინირებული და, ამიტომაც, მათ არ გააჩნიათ საკუთარი „თვითობა“, საკუთარი შინაგანობა. მათი „თვითობა“, „შინაგანობა“ მთლიანად და სავსებით დეტერმინირებულია; თვითონ მათ არაფერი არ ძალუძთ. მათ არ შეუძლიათ შიგნიდან, საკუთარი ძალებით დაძლიონ თავიანთი ამგვარად „ყოფნა“, ადამიანიც უმრავლეს შემთხვევაში ჩართულია ობიექტთა საყოველთაო კავშირში. ამ ვითარებაში იგი ჩვეულებრივი ობიექტების რიგში დგას. მაგრამ, სწორედ ამის გამო იგი არ არის ის, რასაც ეგზისტენცი ეწოდება. მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ადამიანი ამოერთვება საგნებისა და ობიექტების დახშული წრედიდან, როდესაც იგი თავს დააღწევს საკუთარი თვითობის შემზღულად ინსტანციებსა და სიტუაციებს, როცა იგი მის სიღრმეში ჩამარხულ „შინაგანობას“ — უსაფუძვლო და უპირობო აქტივობას, გამოავლენს, როცა იგი ამგვარი აქტივობით დაიწყებს თავის შესაძლებლობათა რეალიზაციას, აიმაშინ და მხოლოდ მაშინ არის იგი ყველაფრისაგან გამორჩევით მდგომარეობაში სინამდვილე — ეგზისტენცი. ადამიანის უსაფუძვლო და უპირობო აქტივობა, აი რა სახე მიიღო სიცოცხლის ფილოსოფიის გამოვლით,



უგზისტენციალისტურ ფილოსოფიაში თვითაქტივობის მქონე სულის იდეამ, რომელსაც ტრადიციული იდეალიზმი ქადაგებდა.

5. ზემოთ ნათქვამიდან სრულიად არაორაზროვნად შემდეგი დასკვნა გამომდინარეობს: მატერია, მატერიალური სინამდვილე, იდეალისტური ფილოსოფიის ყოველგვარი სახესხვაობის თანახმად, კეშმარიტად არსებულის ამ ფუნდამენტური თვისების — აქტიურობის მიღმა დგას.

რა აზრისაა თვითონ მატერიალიზმი მატერიის, როგორც სუბსტანციის, აქტიურობის შესახებ? ძველ მატერიალიზმს, ცხადია, არ შეეძლო უგულვებლევო საგნებისა და მოვლენების ურთიერთზემოქმედების უქვეალი ფაქტი, ფაქტი, რომელიც უთუოდ მათ აქტივობაზე მიანიშნებს. მაგრამ მთავარი ისაა თუ რა შინაგან საფუძველს გამოუძებნის მარქსამდელი მატერიალიზმი მოვლენებისა და საგნების ამ გარეგან კავშირურთიერთობას, რომელშიაც იგი საბოლოოდ ამ აქტივობას ხედავს. ძველი მატერიალიზმის მთავარი ნაკლოვანება იმ საკითხთან დაკავშირებით, რომელიც ჩვენ ამჟერად გვაინტერესებს, ყველაზე ნათლად და აშკარად გამოვლინდა სპინოზას მეტაფიზიკურ სისტემაში. სპინოზას სუბსტანცია არის ყოველგვარ შინაგან აქტიურობას მოკლებული არსება. სპინოზას აზრით, ბუნებას არა აქვს მიზანი; იგი არაფრისკენ არ მიისწრაფვის და, მაშასადამე, არც შეიძლება იყოს აქტიური. ის აზრი, რომ ბუნებას, უნივერსუმს არ გააჩნია მიზანი, როგორც ეს გააჩნია, ეთქვათ, მაგალითად, ადამიანს, მატერიალისტური ფილოსოფიის პოზიციებიდან სულაც არ უნდა იწვევდეს ეჭვს. მაგრამ, ჩვენი ღრმა რწმენით, ძველი მატერიალიზმი სპინოზასთან ერთად, სრულებითაც არ არის მართალი, როდესაც იგი სამყაროს განსაზღვრულ მიმართულებაზე, მის რაღაც „საერთო სტრატეგიაზე“ დუმს. სამყაროს არა აქვს მიზანი, მაგრამ მასში უთუოდ რაღაც ხორციელდება, ახასიათებს გარკვეული ტენდენცია და, მაშასადამე, მასში მიმდინარე პროცესებს სრულიად გარკვეული მიმართულება გააჩნიათ. სხვანაირად გაუგებარი იქნებოდა ის სტრუქტურა და წყობა, ის ძირეული ნიშნები, რომლებიც მის ყოველ რეგიონს ახასიათებს. ამ უნივერსალური გამოსავალი პრინციპის გარეშე სრულიად გაუგებარი იქნებოდა თვით ადამიანი, მისი მიხნები და მისგან გამომდინარე აქტივობა.

მარქსის საყვედური ძველი მატერიალიზმის მიმართ, რომ, ის წინააღმდეგ იდეალიზმისა, არ აქცევდა ყურადღებას მოქმედ მხარეს, ჩვენი აზრით, უნივერსუმის ამ „საერთო სტრატეგიის“, არსებულის აქტიურობის კეშმარიტი საფუძვლის უგულვებლევოფასა და დავიწყებას უნდა ნიშნავდეს. ერთი სიტყვით, ძველმა მატერიალიზმმა ვერ გამოუძებნა შინაგანი საფუძველი საგნებისა და მოვლენების აქტიურობას, რომელიც გარეგნულად მათ ურთიერთზემოქმედებასა და მიზეზობრივ კავ-

შირუროტიერობაში ავლენს თავის თავს, ვერ მიაგნო მატერიის შინაგანი „თვითობის“ ძირს. ძველი მატერიალიზმისათვის პრობლემის ჭეშმარიტი გადაწყვეტა, როგორც ჩანს, მიუწვდომელი დარჩა.

6. ამრიგად, საბოლოოდ საკითხ ასე დგას: აქვს თუ არა მატერიას შინაგანი აქტივობა, საკუთარი შინაგანი სიცოცხლე — თვითაქტივობა, რომელიც მისი ბუნებიდან შინაგანი აუცილებლობით მიმდინარეობს?

ერთი არსებითი გარემოება უთუოდ უნდა მივიღოთ მხედველობაში: აქტივობა, ვისი და რისიც არ უნდა იყოს იგი, თავისი შინაგანი ლოგიკური შინაარსის მიხედვით, იმთავითვე გულისხმობს იმას, რისთვისაც თვით აქტივობის პროცესი არის „გამიზნული“, რისკენაც აქტივობის ფენომენი არის მიმართული. ყველა სხვა შემთხვევაში აქტივობის ფენომენი თავის საზრისს კარგავს. უნივერსუმის იდეალისტური კონცეფცია ადვილად ერგება აქტივობის ფენომენის ასეთ ბუნებას: გონი დევს ქვეყნების საფუძველში და იმავე გონის განხორციელება, როგორც მიზანი, წარმოადგენს მისი აქტიურობის საფუძველს. მძიმე ვითარება იქმნება უნივერსუმის მატერიალისტური კონცეფციის შემთხვევაში: რა „მიზანი“ ამოძრავებს მატერიას? არადა რაღაც მიმართულებისა და შინაგანი აუცილებლობის გარეშე შეუძლებელია ვაკამართლოთ მისი აქტიურობა, მისი ცხოველმყოფელი ბუნება. მატერიას, როგორც არსებულს, ჩვენი ღრმა რწმენით, უთუოდ უნდა ჰქონდეს და აქვს კიდევაც თავისი შინაგანობა, თავისი შინაგანი სიცოცხლე. რა წარმოადგენს მატერიის შინაგან სიცოცხლეს, მის შინაგანობას, იმას, რაც ხორციელდება და რისკენაც მიმართულია მისი აქტიურობა? მატერიის შინაგანობა, მისი „შინაგანი სიცოცხლე“, რომელიც საზრისს აძლევს მატერიის აქტიურობას, ესაა მისი ფუნდამენტური ატრიბუტი — ყოფნა. სხვანაირად, რომ ვთქვათ, მატერიის აქტიურობა სხვა არაფერია თუ არა მისი ყოფნის განხორციელების პროცესი, მისი ყოფნის რეალიზაცია. ამრიგად, აქტიურობისა და მიზნის ერთიანობის პრინციპი, რომლის საფუძველზედაც იდეალისტურ მეტაფიზიკაში აქტივობის ფენომენი საზრისიანი ხდება, მატერიალისტურ ფილოსოფიაში ყოფნისა და აქტივობის ერთიანობის ფორმას იღებს. არსებულის აქტიურობა საზრისიანდება არსებულის ფუნდამენტური ნიშან-თვისებით — ყოფნით. მაგრამ დებულებით, რომ ყოველ არსებულში ყოფნა და აქტიურობა ერთიანნი არიან, ჭეშმარიტება მკრთალად არის გამოამჟღავნებული. საჭიროა მისი სრული, რადიკალური სახით გამოთქმა. ჭეშმარიტება, სრულად — მთელი თავისი ელვარებით იქნება გამოთქმული თუ ვიტყვით არა მხოლოდ იმას, რომ არსებულის აქტიურობას საზრისს აძლევს მისი ფუნდამენტური ატრიბუტი — ყოფნა, არამედ, დამატებით კიდევ იმასაც, რომ თავად არსებობა, ყოფნა ნიშნავს აქ-

ტიურობას. არსებობისა და აქტიურობის ეს ერთიანობა ნათელი გახდება თუ დავაყენებთ კითხვას სიმრავლის სახით არსებული უნივერსუმის ბინადართა — საგანი-სუბსტანციების — ბუნების შესახებ: როგორ არსებობენ ისინი? საგანი, სუბსტანცია ყოველთვის და ყველა შემთხვევაში არის განსაზღვრული ორგანიზაციისა და სტრუქტურის მქონე მატერია, რომელიც თავის თავს ავლენს გარკვეული თვისებებისა და მდგომარეობების ერთობლიობათა სახით. მატერიის სტრუქტურული ხასიათი თანამედროვე ბუნებისმეტყველების განვითარებამ ექვის გარეშე დააყენა. მას რთული აღნაგობა და სტრუქტურა გააჩნია არა მხოლოდ მისი ორგანიზაციის შედარებით მაღალ დონეებზე. არამედ იქაც, სადაც მისი რთული სტრუქტურა თითქოს გამორიცხული უნდა იყოს. ამ შემთხვევაში საკითხი ეხება მატერიის ელემენტარულ ნაწილაკებს. თანამედროვე ფიზიკამ გამოააშკარავა ამ უკანასკნელთა რთული სტრუქტურა. ცდისეული მონაცემები ნათლად ადასტურებენ, მაგალითად, ელექტრონის რთულ სტრუქტურულ ბუნებას, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში მატერიის ერთ-ერთ უელემენტარულ ნაწილაკად ითვლებოდა. „წმინდა ელექტრონი“, — მატერიის ასეთი უმცირესი ნაწილაკი თურმე არ არსებობს; ის ყოველთვის გარშემორტყმულია ე. წ. ვირტუალური ფოტონების ღრუბლით. ეს უკანასკნელი უბრალო გარსი კი არაა, რომლის შიგნით თითქოს „ზის“ ელექტრონი; სრულებითაც არა! ფოტონების ღრუბელი შეწნულია მის სტრუქტურულ გარკვეულობაში და ერთ ორგანულ „ნაწილს“ ქმნის. იგივე ვითარებასთან გვაქვს საქმე მატერიის მეორე — თითქოსდა უსტრუქტურო ნაწილაკის — პროტონის შემთხვევაშიც: ატომბირთვის შემადგენლობაში მყოფი ეს ელემენტარული ნაწილაკი შეუძლებელია არსებობდეს დადებითად დამუხტული პი-მეზონების ღრუბლის გარეშე. ეს უკანასკნელი, როგორც ფიზიკოსები ამბობენ, პროტონის სტრუქტურული ელემენტია და მის „ცხოველმყოფელობას“ აპირობებს<sup>7</sup>. ამრიგად

---

<sup>7</sup> ჩვენ მიერ მოყვანილი მაგალითების საფუძველზე არ უნდა დავასკვნათ, რომ აქ თითქოს საქმე გვქონდეს ისეთ ვითარებასთან, რომელიც გვაქვს ატომის სტრუქტურული გარკვეულობის შემთხვევაში. ატომს, როგორც მატერიის უფრო რთულ ნაჭერს, ცხადია, აქვს თავისი სტრუქტურული გარკვეულობა, მაგრამ წესი, რომელიც მის სტრუქტურას აპირობებს, არსებითად განსხვავებულია. ატომი მის შემადგენელი ნაწილების — ბირთვისა და ელექტრონების ნაერთია, მაშინ, როდესაც ელემენტარული ნაწილაკები — ელექტრონები და პროტონები არ შედგებიან შესაბამისად ვირტუალური ფოტონებისა და პი-მეზონებისაგან. უკანასკნელნი პირველთაგან იბადებიან და კვლავ შთაინთქმებიან, მაგრამ მათ შემადგენელ ნაწილებს არ წარმოადგენენ. ეს ვითარება იმაზე მიგვანიშნებს, რომ, როდესაც თანამედროვე ფიზიკა ლაპარაკობს ელემენტარული ნაწილაკების სტრუქტურაზე, უკანასკნელის ცნებაში, სრულებითაც არ უნდა ვიგულისხმობთ კლასიკური ფიზიკის მიერ ჩადებული შინაარსი.

ქვანტური მექანიკა ელემენტარულ ნაწილაკებს რთულ სტრუქტურულ გარკვეულობებად თვლის. ექვის გარეშე დგას მატერიის სტრუქტურული ბუნება მისი იერარქიის მაღალ დონეებზე. ატომის ბირთვი ელემენტარული ნაწილაკების სტრუქტურული ანსამბლია. იგივე ითქმის ატომებზე და მოლეკულებზე, მათ აგრეგაციულ ნაერთებზე, იქნებიან ისინი ორგანული თუ არაორგანული სხეულები; დაწყებული მეტეორიტებით, დამთავრებული გალაქტიკებისა და მეტაგალაქტიკების გიგანტური სისტემებით. ყველაფერი ეს, თანამედროვე ბუნებისმეტყველების მონაცემებით, დღესათვის ნათელია. რა ქმნის მათ სტრუქტურას, რომლის გარეშე მათი არსებობა — „ამგვარად ყოფნა“ შეუძლებელია? სუბსტანციათა სტრუქტურის და, მაშასადამე, მათი არსებობის აუცილებელ პირობას წარმოადგენს ძალა — ენერჯია, რომელსაც ყოველი არსებული, როგორც წესი, შინაგანად ფლობს. ესა თუ ის სუბსტანცია — საგანი არსებობს, აქვს „ამგვარად ყოფნა“ იმდენად, რამდენადაც იგი წარმოადგენს ბუნების ამა თუ იმ ძალის მოქმედების ასპარეზს. წარმოვიდგინოთ ერთი წუთით, რომ ელემენტარული ნაწილაკების რთული სტრუქტურიდან გამოირთოს მასში მოქმედი ძალები. თავისთავად ცხადია, ელემენტარული ნაწილაკები, როგორც საგანი — სუბსტანციები არსებობას შეწყვეტენ. რა მოუვიდოდათ ატომბირთვებს მათ შორის მოქმედი ნუკლონური ძალების გამორთვის შედეგად? ატომბირთვი, როგორც საგანი — სუბსტანცია, თავისი სტრუქტურითა და ნიშან-თვისებებით ვერ იარსებებდა. ატომბირთვთა გარეშე კი არსებობას შეწყვეტდა ატომებისა და მოლეკულების სამყარო — ელექტრომაგნიტური ძალების მოქმედების ეს დაუბოლოვებელი სფერო. დაბოლოს, ერთი წუთით წარმოვიდგინოთ კოსმოსი გრავიტაციული ძალების გარეშე: ცის ტატნობიდან გაქრებოდა ციური სხეულები, მათი რითმული მოძრაობა, მზე და ვარსკვლავები, გალაქტიკები; უნივერსუმს აბსოლუტური და საყოველთაო ქაოსი დაეუფლებოდა. ერთი სიტყვით, უნივერსუმიდან მისი შინაგანი ძალების გამორთვის შემთხვევაში გაქრებოდა თვით უნივერსუმიც მთელი მისი მრავალსახიანობით. ზოლო რას ნიშნავს ყველაფერი ეს? სხვა არაფერს თუ არა იმას, რომ ყოველი საგანი, სუბსტანცია როგორც „ამგვარად ყოფნა“ არის აქტიურობა — განსაზღვრული ძალების მოქმედების ნაყოფი, მათი შინაგანი ცენტრი და ერთიანობა<sup>8</sup>.

---

<sup>8</sup> მატერიის აქტიურობის იდეა ბუნებისმეტყველების წარმატებათა წყალობით თანამედროვე მეცნიერებასა და ფილოსოფიაში გაბატონებულ იდეად იქცა. ამ საქმეში მეტად დიდი როლი შეასრულა ნიუთონებისა და ენერჯიის ფიზიკურმა თეორიამ. კლასიკური ფიზიკა მკვეთრად უპირისპირებდა ერთიმეორეს ნიუთონებისა და ენერჯიას. კლასიკური ფიზიკაში სრულიად საპირისპირო ნიშნების მქონე მატერიის

7. ამრიგად, საგანთა მიზეზი მათი აქტიურობაა. ამიტომ შეიძლება, ვარკვეული აზრით ითქვას: ყოფნა ნიშნავს აქტიურობას. ეს ერთი უმთავრესი მომენტი. მაგრამ ამით explicite ჯერ არ არის თქმული ის, რაც ჩვენ გვაინტერესებს: როგორ არის აქტიურობა ცვალებადობის ძირი და მიზეზი? მიზანთან უფრო ახლოს რომ მივიდეთ, ჩვენი აზრით, საჭირო იქნება უფრო ღრმად დაიშიფროს აქტიურობის ლოგიკური შინაარსი, გამოვლინდეს ფორმა, რომელშიაც საბოლოო ინსტანციაში აქტიურობის ფენომენი ავლენს თავის თავს.

აქტიურობის ფენომენი, პირველ რიგში, გულისხმობს აქტიურობის სუბიექტს, რაღაც არსებულს, რომელიც ყოველთვის და ყველა შემთხვევაში არის „ამგვარად ყოფნა“. უკანასკნელი ლოგიკურად და რეალურად უთუოდ გულისხმობს სხვა არსებულს, რომელთანაც კავშირურთიერთობაში რაიმე არის „ამგვარად ყოფნა“. აქტიურობის ფენომენი, მეორე, თავის საზრისს კარგავს აქტიურობაში მყოფი სუბიექტისაგან განსხვავებული ვითარების გარეშე, ვითარებისა, რომელიც აქტიურობის სუბიექტს „განაწყობს“ აქტიურობისათვის. რა გამოდინარეობს აქედან? აქედან პირდაპირ და უშუალოდ შეიძლება დავასკვნათ, რომ აქტიურობა, აქტიურობის ფენომენი თავისი შესაძლებლობის აუცილებელ პირობად უთუოდ გულისხმობს სიმრავლეს, სხვანაირად რომ ვთქვათ „წმინდა ერთის“ აქტიურობა, თუ ეს ერთი მოკლებულია შინაგან დასახსრულობას, შეუძლებლად უნდა ჩაითვალოს. წმინდა ერთის აქტიურობა მისი სტრუქტურულობის გარეშე რომ შეუძლებელია ამის შესახებ ნათლად მეტყველებს თანამედროვე ფიზიკის მონაცემები. ნუკლონები, მაგალითად, ფლობენ თავიანთ სტრუქტურას და, მაშასადამე, არსებობენ და აქტიურობენ იმის წყალობით, რომ ბირთვული ველის ნაწილაკებთან — ვირტუალურ პი-მეზონებთან არიან ურთიერთქმედებაში. უკანასკნელის გარეშე პროტონები და ნეიტრონები ვერ იარსებებენ და, მაშასადამე, ვერ იაქტიურებენ. შეუძლებელია ბუნებაში არსებობდეს „მარტოხელა“ ნუკლონი — პროტონი ან ნეიტრონი;

---

მდგომარეობანი — მასა და ენერჯია, ნივთიერება და ველი — ახალმა ფიზიკამ ორგანულად დააკავშირა ერთმანეთთან. პირველი დიდი ნაბიჯი ამ მიმართულებით იყო ელექტრომაგნიტური ველის კვანტური ბუნების მინიშნება. მეორე დიდი ნაბიჯი გადიდდა იმით, რომ დადგინდა მატერიის ერთ-ერთი უმცირესი ნაწილაკის — ელექტრონის ველისეული ხასიათი. ახალი ფიზიკის ამ დიდ მიღწევათა გავრთიანებამ შესაძლებელი გახაოა მატერია წარმოდგენილი ყოფილიყო როგორც ნივთიერებისა და ენერჯიის ორგანული ერთიანობა. დადგინდა მასისა და ენერჯიის (ნივთიერებისა და ველის) პროპორციულობის კანონიც. უკანასკნელის თანახმად ენერჯია (ძალა) წარმოადგენს ყოველი სუბსტანცია-საგანის შინაგან თვისებას და, მაშასადამე, უნივერსუმი, რომელიც არის მათი ორგანული და კანონზომიერი ერთობლიობა, თავისი „შინაგნობით“ — არსებობით არის მარადიული აქტიურობა.

ისინი უმაღვე ქმნიან თავის გარშემო ბირთვულ ველს ე. წ. მეზონური ქურქის სახით, რომელთა ნაწილებთან კავშირურთიერთობა მათი არსებობისა და, მაშასადამე, აქტიურობის აუცილებელი პირობაა. იგივე ითქმის მატერიის ისეთ გავრცელებულ ელემენტარულ ნაწილაკზე, როგორცაა ელექტრონი. როგორც ზემოთ აღინიშნა, „წმინდა ელექტრონი“ არ არსებობს; ის ყოველთვის გარშემორტყმულია ვირტუალური ფოტონების ღრუბელით და მხოლოდ მასთან ურთიერთზემოქმედებაში აქტიურობს და, მაშასადამე, არსებობს.

საქმის ვითარების სხვანაირად დასახვის შეუძლებლობას ადასტურებს ნებისმიერი მაგალითი იდეალისტური მეტაფიზიკის ისტორიიდან. გავიხსენოთ ფიხტესა და შოპენჰაუერის სისტემები. პირველთან წმინდა მეს მოქმედებამ, როგორც ცნობილია, თავისი საზრისი არა-მესთან მიმართებაში მოიპოვა. იგივე მდგომარეობაში აღმოჩნდა შოპენჰაუერის წმინდა ნება. უკანასკნელის უპირობო ბუნება და თავისთავადობა წარმოდგენათა სამყაროთი იქნა დასაზრისებელი. წმინდა ერთის აქტიურობის შეუძლებლობა, ჩვენი აზრით, ნაგრძნობია იმ პრედიკაციაში, რითაც ყოველგვარ განსაზღვრულობათა მიღმა მდგომი წმინდა არსი შეაძკო ელვატურმა მეტაფიზიკამ. ქეშმარიტად არსებული — წმინდა არსი და სიმრავლე, პარმენიდეს აზრით, ერთიმეორეს გამორიცხავს. სწორედ ამის გამო არის მისი არსი უძრავი და უცვლელი, ყოველგვარ აქტიურობას მოკლებული სრული ერთი.

ყოველივე ზემოთ თქმული სრულიად არაორაზროვნად ადასტურებს იმას, რომ ყოფნა და აქტიურობა ორგანულად შეწყნულია ერთიმეორესთან და ორივეს შესაძლებლობის პირობას უნივერსუმის სიმრავლედ არსებობა წარმოადგენს.

როგორ ვლინდება ამ პირობის ფონზე აქტიურობა? ამ შემთხვევაში ერთ არსებით გარემოებას უნდა მიექცეს ყურადღება: ყოველგვარი სიმრავლე არ შეიძლება იყოს რაიმეს ყოფნისა და, მაშასადამე, მისი აქტიურობის პირობა. აბსტრაქტული, ერთმანეთისაგან იზოლირებული საგანი-სუბსტანციების არსებობის დაშვებას აშკარა წინააღმდეგობამდე მიყვავართ. რაიმეს არსებობა მის „ამგვარად ყოფნას“ — განსაზღვრული სტრუქტურისა და მისგან დამოკიდებული თვისებების ქონას ნიშნავს. რა შემთხვევაში არის ეს შესაძლებელი? ეს შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ არსებულთა ურთიერთკავშირისა და ურთიერთზემოქმედების შემთხვევაში. ამის გარეშე გონებისათვის სრულიად გაუგებარი და მიუწვდომელი გახდებოდა თუ რატომ და რა საფუძველით გააჩნია ამა თუ იმ არსებულს ასეთი სტრუქტურა და თვისებები. მაშასადამე, არა აბსტრაქტული სიმრავლე; არამედ არსებულთა კონკრეტული ერთიანობა, მათი ორგანული კავშირურთიერთობა და

ერთიანობა არის მათი ყოფნისა და აქტიურობის უკანასკნელი პირობა. სწორედ ეს მთავარი მომენტი არის ფიქსირებული აქტიურობის ფენომენის იმ განსაზღვრებაში, რომელიც ზემოთ იყო მოყვანილი.

ერთი სიტყვით, ფორმა, რომელშიც ვლინდება ყოველი არსებულის აქტიურობა, არის მათი ურთიერთზემოქმედება. უკანასკნელი კი, თავის მხრივ, არის საგანთა და მოვლენათა საბოლოო მიზეზი. „ურთიერთზემოქმედება პირველი რამ არის, — წერს ამასთან დაკავშირებით ენგელსი, — რაც ჩვენს წინაშე აღიმართება, როდესაც მოძრავ (აქტიურ — ა. ც.) მატერიას განვიხილავთ საერთოდ და მთლიანად დღევანდელი ბუნებისმეტყველების თვალსაზრისით... ბუნებისმეტყველება ადასტურებს იმას, რასაც ჰეგელი ამბობს (სად<sup>9</sup>), რომ ურთიერთქმედება არის ნივთთა ჰეგემონიური causa finalis (საბოლოო მიზეზი)“<sup>10</sup>. მაგრამ რას ნიშნავს, რომ ურთიერთქმედება არის ნივთთა საბოლოო მიზეზი? იმას, რომ საგნები და მოვლენები ჩნდებიან და ქრებიან, წარმოიშვებიან და ისპობიან მათი აქტიურობის — მათი ურთიერთზემოქმედების პროცესში და, მაშასადამე, მათი წარმოშობა-მოსპობის ასახსნელად რაღაც ზებუნებრივი ძალების მოხმობა სრულიად ზედმეტი ხდება. სხვანაირად ეს იმას ნიშნავს, რომ აქტიურობა იმით, რომ ის არის საგანთა წარმოქმნა-მოსპობის პირველმიზეზი, იმავე დროს და მასთან ერთად, არის ცვალებადობის საფუძველი და წყარო.

---

<sup>9</sup> ენგელსს, ალბათ, მხედველობაში აქვს ჰეგელის „ლოგიკის მეცნიერება“, ნაწ. I, თბ., 1962, გვ. 296 (ავტორი).

<sup>10</sup> იხ. ფრ. ენგელსი, ბუნების დიალექტიკა, თბ., 1954, გვ. 241.

## ბ ო ლ ო ტ ქ მ ა

წინამდებარე ნაშრომში, მისი გენერალური ამოცანის შესაბამისად, ჩატარდა გარკვეული კვლევა-ძიება. რა არის მისი ძირითადი შედეგი?

ჩატარებული კვლევა თავის აუცილებელ წინამძღვრად უნივერსუმის არსებობისა და მისი მარადიული ცვალებადობის ფაქტის დაშვებას გულისხმობს. არსებულს, რამდენადაც ის არის არსებული, ახასიათებს არსებობა, ყოფნა. უკანასკნელი პირველის ფუნდამენტური ნიშან-თვისებაა. ჩვენი კიდევ ერთი დაშვების თანახმად, სამყაროს, იმის გამო რომ ის არის ყოფნა, ფლობს არსებობას, გააჩნია მრავალი სხვა მახასიათებელი. მათ შორის ერთ-ერთი არის უნივერსუმის მარადიული ქცევადობის ნიშან-თვისება. ჩვენი კვლევის მთავარი ამოცანა იყო სამყაროს ამ ორი მახასიათებლის — ყოფნის ფუნდამენტური ატრიბუტისა და ცვალებადობის ფენომენის ურთიერთმიმართების გარკვევა. ამ მიზნით გამოვეყავით ცვალებადობის ფენომენი არსებულის სხვა ფუნდამენტალებისაგან და განვიხილეთ ის ყოფნის ატრიბუტთან მიმართებაში.

პრობლემა, რომლის განხილვა ჩვენ წინამდებარე მონოგრაფიის მთავარ მიზნად ვაქციეთ, ფილოსოფიის ერთ-ერთი უძველესი და ურთულესი საკითხთაგანია. მისი დასმისა და გადაწყვეტის გონებამახვილურ ცდებს ჯერ კიდევ ადრე — საკაცობრიო ფილოსოფიური აზროვნების სათავეებთან ვხვდებით. თავისებურად იქნა დაყენებული და გადაწყვეტილი ეს პრობლემა ევროპული ფილოსოფიის გარიჟრაჟზე.

როგორც ცნობილია, ევროპული ფილოსოფია მიღეთის ნატურფილოსოფიური სკოლით დაიწყო. მისი წარმომადგენლები საგანთა პირველდასაბამს — არხეს ეძებდნენ. საგანთა არხეს ძიება, ჩვენი ღრმარწმენით, რალაცნაირად გულისხმობს ყოფნისა და ცვალებადობის ურთიერთობის შესახებ საკითხის დაყენებას. მართლაც, რის გამო და რა მიზნით დაიწყეს პირველმა ფილოსოფოსებმა საგანთა არხეს ძიება? პირველი და უეჭველი, რასაც ადამიანი ამჩნევს თავის გარემომცველ სამყაროში, ეს არის სასრულო საგანთა მრავალსახიანობა და მათი მარადიული ქცევადობა. და, აი, თავისი არსებობის დაფუძნებით დაინტერესებული ადამიანი აყენებს ასეთ კითხვას: რა არის განსხვავებულ



საგანთა ერთიანი ძირი, რომელიც არსებულთა დაუდგრომელ ცვალებადობაში იგივეობრივი რჩება? ვინც ასე აყენება კითხვას, მას, ნებისთ თუ უნებლიედ, გაუცნობიერებებია არსებულთა ორგვარი — დროული და მარადიული არსებობის შესაძლებლობა. სხვანაირად რომ ვთქვათ, საგანთა არხეს შესახებ კითხვის დაყენებით არსებულები დაყოფილია ორ ძირითად კლასად: მარადიულ და წარმავალ არსებებად. მაგრამ რას ნიშნავს ყოფიერთა ასეთი კლასიფიკაცია? ყოფნის თვალსაზრისით, არსებულთა ამ ორ ძირითად სახედ დაყოფაში, მართალია, პირდაპირ და უშუალოდ არ არის არსებულის ყოფნისა და მისი ცვალებადობის თავსებადობის საკითხი დაყენებული, მაგრამ გარკვეული ფორმით ის არის ამის მინიშნება. და, მართლაც, როგორ იყო საქმე მიღეთის ნატურფილოსოფიური სკოლის წარმომადგენლებთან? ისინი, ერთი მხრივ, უშვებდნენ საგანთა საყოველთაო საფუძვლის არსებობას და, მაშასადამე, რაღაც ზედროული არსების არსებობის შესაძლებლობას. ეს იყო ერთი, უაღრესად მნიშვნელოვანი მომენტი მათ ნატურფილოსოფიურ კონცეფციაში, მომენტი, რომელსაც უთუოდ წარუეალი მნიშვნელობა აქვს მეტაფიზიკისათვის. მეორე მხრივ, ისინი საყოველთაოს ცვალებად საგნებად მოდიფიკაციის შესაძლებლობას უშვებდნენ. სხვანაირად შეუძლებელი ჩანდა სასრულად საგანთა მრავალსახიანობის ახსნა. ეს მომენტიც უაღრესად პირველხარისხოვანი მნიშვნელობისაა მათ ნააზრევში. ორივე მომენტის ერთდროული არსებობა იმაზე მინიშნებს, რომ მიღეთის სკოლის წარმომადგენლებს შესაძლებლად მიაჩნდათ მათი თავსებადობა.

ყოფნისა და ცვალებადობის თავსებადობის იდეა, რომელსაც ვხვდებით მიღეთის ნატურფილოსოფიური სკოლის წარმომადგენლებთან, სავსებით კანონიერად უნდა მივიჩნიოთ. მაგრამ ეს ჭეშმარიტი იდეა მათთან გულუბრყვილო და ბუნდოვან ფორმაში არსებობს. ბერძნული მეტაფიზიკის შემდგომი ევოლუცია ამ იდეის უფრო ნათლად გამოკვეთის გზით წარიმართა. რა გზით წავიდა კონკრეტულად კვლევა-ძიება?

▮ პრობლემის რადიკალური თემატიზაცია იმით დაიწყო, რომ დაისვა კითხვა — რა ექვემდებარება ცვალებადობის პრინციპს? იცვლებიან საგნები, მაგრამ ემორჩილება თუ არა საგანთა დასაბამი — არხე ცვალებადობას? ერთი სიტყვით, კითხვა კონკრეტულად ასე იქნა დაყენებული: ის, რაც იცვლება, შეიძლება თუ არა იყოს საგანთა პირველდასაბამი? ბერძნულ მეტაფიზიკაში ამ კითხვაზე ორი ერთიმეორისადმი საპირისპირო პასუხი იქნა გაცემული. ერთ-ერთი პასუხის მიხედვით, რომელმაც თავისი კლასიკური რეალიზაცია პერაკლიტეს ფილოსოფიაში ჰპოვა, შესაძლებლად არის მიჩნეული საგანთა დინამიური არხეს

იღეა. ჰერაკლიტეს აზრით, არ არსებობს არავითარი „ნამდვილად არსებული“ არც საგანთა შორის, არც მათ მიღმა. სამყარო მდინარის დინებას ჰგავს, მასში არაფერი არ არის გაჩერებული; ყველაფერი მარადიული ქმნადობის პროცესში იმყოფება და ამ უკანასკნელის საფუძველზე არსებობს. თუ ყველაფერი ეს ასეა, მაშინ რამდენად სამართლიანია და რას ნიშნავს საგანთა არხეს ძიება? არხე, როგორც არხე, ზომ უცვლელი უნდა იყოს? ის არ უნდა ჩნდებოდეს და არ უნდა ქრებოდეს. აქ, ჰერაკლიტემ, თანამედროვეებისაგან განსხვავებით, უზენაესი ღირებულების ჭეშმარიტება თქვა: თავად სამყარო გამოაცხადა არხედ. ეს იყო მეტად გაბედული აზრი, რომელიც გაუგებარი დარჩა თანამედროვეთათვის და ამიტომაც დაიმსახურა მან ბნელი ფილოსოფოსის ეპითეტი. სამყარო, ამბობს ჰერაკლიტე, მარადიული ცხოველმყოფელი ცეცხლია<sup>1</sup>, რომელიც კანონზომიერად ინთება და კანონზომიერად ქრება.

სამყაროსა და მისი არხეს ჰერაკლიტესეულ თვალსაზრისს დაუპირისპირდა ელეატური მეტაფიზიკა, რომელმაც თავისი დასაბამისი ჰპოვა ქსენოფანე კულოფონელის ფილოსოფიურ კონცეფციაში. ელეატურმა მეტაფიზიკამ, კერძოდ, მისმა უდიდესმა წარმომადგენელმა — პარმენიდემ ნამდვილად არსებულისა (არხესა) და ქმნადობის ურთიერთობის რადიკალური თემატიზაცია მოახდინა. მან კითხვა ასე დააყენა: შეიძლება თუ არა არხე იცვლებოდეს? ნამდვილად არსებული, პარმენიდეს ღრმა რწმენით, შეუძლებელია ცვალებადობის პრინციპს დაექვემდებაროს. საყოველთაოდ ცნობილია საბუთები, რომლებსაც იგი მიმართავს თავის ძირითადი დებულების სადემონსტრაციოდ. პარმენიდეს არსი — არხე ერთი და განუყოფელი, სრულქმნილი და უცვლელია; ის წმინდა არსია, რომელიც ყოველგვარ განსაზღვრულობათა მიღმა დგას. ცვალებადი საგნების სამყარო — სიმრავლე — მოჩვენებაა.

რა შეიძლება ითქვას სამყაროს ამ რადიკალურად საპირისპირო კონცეფციათა შესახებ? აღნიშნული კონცეფციები, რომლებიც საერთო სათავეს მიღეთის ნატურფილოსოფიურ სკოლაში იღებენ, სკოლაში, სადაც სავსებით კანონიერად იქნა დაყენებული საკითხი საგანთა ერ-

---

<sup>1</sup> ჰერაკლიტეს ცეცხლი, როგორც სამყაროს არხე, თავისებურად ესმის. მასთან ცეცხლი პროცესის გრძნობადი გამოხატულებაა. არხესა და პროცესის ჰერაკლიტესეული გაიგივების კონცეფციას იზიარებენ ფილოსოფიის ისტორიის ისეთი მკვლევარები, როგორცაა ჰეგელი (თხზ., ტ. IX, მ., 1932, გვ. 253), ვ. ვინდელბანდი (ძველი ფილოსოფიის ისტორია, მ., 1911, 55—57), ს. ტრუბეტკოი (ძველი ფილოსოფიის ისტორიის კურსი, ნაწ. I, მ., 1910, გვ. 109). ამ ავტორებისაგან განსხვავებით ესმით ს. დანელიას და ს. წერეთელს ჰერაკლიტეს ცეცხლი (იხ. ს. დანელია, ანტიკური ფილოსოფიის ნარკვევები, თბ., 1983, გვ. 164—165; ს. წერეთელი, ნარკვევები ფილოსოფიის ისტორიიდან, 1973, გვ. 90).

თიანი ძირის შესახებ, წარმოდგენენ საკაცობრიო ფილოსოფიური აზროვნების ევოლუციის აუცილებელ მომენტებს. ამ კონცეფციების გავლით და მათი მეშვეობით მოხდა მეტაფიზიკის ამ უაღრესად პირველხარისხოვანი პრობლემის — ყოფნისა და ცვალებადობის ფენომენის ურთიერთობის საკითხის დახვეწა და ლოგიკური ნათელყოფა. სამყაროს ჰერაკლიტესეული კონცეფცია უთუოდ მართალია იმაში, რომ სამყარო და მისი არხე უნდა იყოს დინამიკური ბუნების; სხვაგვარად შეუძლებელია ემპირიული სინამდვილისათვის დამახასიათებელი ისეთი მახასიათებლების გამართლება, როგორცაა სიმრავლე და ყოველი არსებულის მარადიული ქმნადობის ფაქტი. ამ მხრივ ჰერაკლიტეს პანტა რეის კონცეფციას წარუვალი მნიშვნელობა აქვს ჰერაკლიტეს მეტაფიზიკის დაფუძნებისათვის; თუმცა, როგორც ეს ზემოთ იყო აღნიშნული, მათი შინაგანი აუცილებლობის საფუძველი სამყაროს ერთიან სტრუქტურაში ჰერაკლიტეს არ უჩვენებია. სამყაროს ცეცხლისეულ პროცესად გამოცხადების ჰერაკლიტესეული თეორია უფრო სხვა მხრივ ამჟღავნებს თავის უკმარობას. რაში მდგომარეობს ეს უკანასკნელი? ყველაფერი მარადიულ ცვალებადობაშია — სავსებით სამართლიანად სწამს ჰერაკლიტეს ეს, თითქოს ექვემოუტანელი ფაქტი, მაგრამ ის, რაც ერთი შეხედვით, უეჭველად ჩანს, საეჭვო და საკამათო ზდება უმაღლე როგორც კი დადგება საკითხი მარადიულ ქცევადობაში მყოფი სუბიექტის ბუნების შესახებ. რა არის ის, რაც იცვლება, რაც განუწყვეტელ პროცესში იმყოფება? მარადიული პანტა რეის ავტორს, თავისი გამოსავალი პოზიციის თანახმად, არავითარი უფლება არ აქვს მიანიშნოს ცვალებადობაში მყოფ რაღაც უცვლელ სუბსტრატ-არხებზე. უკანასკნელის პოსტულაციის გარეშე კი ჰერაკლიტეს თვალსაზრისი აბსოლუტური რელატივიზმის საშიშროებას შეიცავს უთუოდ. როგორც ცნობილია, ამ საშიშროებამ თავისი თავი კრატისისეული რელატივიზმის კონცეფციაში გამოავლინა. მოკლედ რომ ვთქვათ, ჰერაკლიტეს დინამიკურ სამყაროში, თუ მის თეორიას ლოგიკურად სრულშექმნილ ფორმაში წარმოვადგენთ, ადგილი არ რჩება საგანთა საყოველთაო სუბსტრატი — არხესათვის. ყოველ შემთხვევაში, ჰერაკლიტეს მეტაფიზიკურ კონცეფციაში, იმ სახით რა სახითაც მან ჩვენამდე მოაღწია, ნათლად არ ჩანს ცვალებადი პირველსაწყისის შესაძლებლობა. თუ ჰერაკლიტე იტყვის, რომ საგანთა ასეთი საწყისი არის თავად პროცესი-ცვალებადობა, როგორც ითქვა, მაშინვე დაისმება კითხვა ცვალებადობაში მყოფი საყოველთაო სუბსტრატის რაობის შესახებ. აქედან, სავსებით ნათელია პრობლემის ჰერაკლიტესეული გადაწყვეტის ნაკლოვანი მხარე.

ამ ნაკლოვანების გათვალისწინებასა და მისი მოხსნის ცდას წარმოადგენს ელვატური მეტაფიზიკა. საგანთა არხე, ანუ ის, რაც არის ნამდვილი სინამდვილე, არ შეიძლება იცვლებოდეს; არსებული, როგორც არსებული მუდამ თავისი თავის ტოლია, თავის თავთან იგივეობრივია და, ამდენად, აბსოლუტური განუჩქველობა ანუ ერთია. პარმენიდემ იმის თქმით, რომ არსებული, როგორც არსებული არის ერთი, რომ არსი (არსებული) არ შეიძლება სხვად — არარსებულად იქცეს, უთუოდ წარუვალი მნიშვნელობის ქეშმარიტება გამოთქვა. მაგრამ როგორ გადავიდეთ ასეთი თავისთავთან მუდამ იგივეობრივი ერთიდან ცვალებადი სამყაროსაკენ? საიდან არის სიმრავლე? ამ კითხვებზე პასუხის შესაძლებლობას პარმენიდეს მეტაფიზიკური კონცეფცია არ იძლევა. ის ემპირიულ-გარძნობად სინამდვილეს თავისი ცვალებადობითა და სიმრავლით მოჩვენებად აცხადებს. მაგრამ ეს უკვე აღარ არის საკითხის გადაწყვეტა. ფილოსოფიურმა კონცეფციამ ემპირიული სინამდვილე, მისი ამგვარად მანიფესტაციის ფაქტი უნდა აგვიხსნას.

ამგვარად, სამყაროს პროცესად გამოცხადებით ყველაფრის მარადიული ქმნადობის კონცეფციას მხედველობის გარეთ რჩება ამ ქმნადობის სუბსტრატი-არხეს საკითხი. სუბსტრატი-არხეს მარადიულობის თეორია კი უგულვებელყოფს სიმრავლისა და მის საფუძველში მყოფი ცვალებადობის ფაქტს. როგორც ჩანს, ერთი ცოდავს და მეორეც. მაგრამ ორივე ამ მეტაფიზიკური კონცეფციის რადიკალური დაპირისპირებით, საბოლოო ინსტანციაში, მეტად სასარგებლო საქმე გაკეთდა: საფუძველი ჩაეყარა ამ თეორიათა ურთიერთმორგებისა და ერთიანობის აუცილებლობის შეგნებას. ამ უკანასკნელმა საკმაოდ ნათლად და გარკვევით კვლავ ელადის ფილოსოფიაში იჩინა თავი. ამის დადასტურებაა ემპედოკლეს, ანაქსაგორასა და დემოკრიტეს ფილოსოფიური კონცეფციები.

საგნები უკვალოდ რომ არ ქრებიან, არსი (არსებული) რომ არ გადადის არარაობაში და, მაშასადამე, რაღაც მარადიულის, წარუვალის ყოფნა წარმავალში რომ აუცილებელია — ეს ფაქტია. ფაქტია ისიც, რომ არაფერი არაა მუდმივი და წარუვალი; ყველაფერი ქცევადობის უნივერსალურ პრინციპს ექვემდებარება. როგორ და რა პირობებში არის ეს შესაძლებელი? ამ კითხვაზე ერთგვარად დამაკმაყოფილებელ პასუხს ზემოთ დასახელებული ფილოსოფოსები იძლევიან. რაფინირებული ფორმით აღნიშნულ კითხვაზე პასუხი მოცემულია დემოკრიტეს ატომისტიკაში. მისი აზრით, უნივერსალში აშენებულია ნივთიერების განუყოფელი ნაწილაკებისაგან. საგნები და მოვლენები, — ყველაფერი ის, რითაც სამყარო არის „დასახლებული“, ამ ნაწილაკების სხვადასხვანაირი კომბინაციებია. ნივთიერების განუყოფელი ნაწილაკები ცვალებ-

ბადობის მიღმა დგანან; ისინი არც წარმოიშვებიან და არც ისპობიან, წარმოადგენენ მარადიულ არსებებს. ცვალებადობის პროცესს მხოლოდ მათი კომბინაციები — საგნები და მოვლენები ექვემდებარებიან. ემპირიული სინამდვილის ასეთი თეორიით გამოსავალი თითქოს ნაპოვნია: არსებული არის ცვალებადისა და უცვლელის — ცვალებადო საგნების და მათი უცვლელი ელემენტების ერთიანობა. ამით თითქოს დაფუძნებულია სამყაროს პერაკლიტესული და პარმენიდესეული კონცეფციების სიმბიოზი. მაგრამ ყველაფერი ეს დროებითი, მოჩვენებითი გამოსავალი აღმოჩნდა. აქ რამდენიმე მომენტი უნდა იქნეს გათვალისწინებული. პირველ რიგში ის, რომ მეცნიერების ევოლუციამ მართალია, მოგვიანებით, მაგრამ სავსებით ნათლად ცხადყო, რომ სამყაროს უცვლელი კერნის არსებობა არ შეესატყვისება სინამდვილეს. ეს გარემოება მეტაფიზიკური გზით ადრეანტიკურ ხანაში იქნა გაცნობიერებული. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, პერაკლიტე და პროტაგორა სავსებით მართალი აღმოჩნდნენ ატომისტიკასთან მიმართებაში. ამასთან, ატომისტიკის მიერ შემოთავაზებული ვარიანტის უვარგისობა მისი მექანიცისტური ხასიათის გამო სავსებით არაორაზროვნად გამოაშკარავდა. მეორე მთავარი მომენტი ის არის, რომ სამყაროს შესახებ პერაკლიტე-პროტაგორასეული კონცეფციიდან, საფრთხე დაემუქრა ადამიანური გონების სუვერენობას. თუ ყველაფერი იცვლება და ამ ცვალებადობაში არაფერი არაა უცვლელი და მარადიული, მაშინ რა უნდა დაიჭიროს გონებამ უნივერსუმის უწყვეტ ნაკადში? ამ ეპისტემოლოგიურმა მოტივმა უთუოდ დიდი როლი ითამაშა უნივერსუმის ფუნდამენტური სტრუქტურის კვლევაში. ძველი ელადის ფილოსოფიას, ელეატური მეტაფიზიკით გამეშვებული სოკრატეთი დიდი ფიგურა მოევლინა. ცნების ბუნების სოკრატისეული კვლევის გზამ პლატონი და შემდეგ პლატონის დიდი მოწაფე — არისტოტელე ნამდვილად არსებულის თავისებურ გაგებამდე მიიყვანა. იდეა პლატონთან, ხოლო ფორმა არისტოტელესთან პარმენიდესეული არსის თავისებური რეპროდუქციაა ერთი არსებითი განსხვავებით: პარმენიდეს არსი განურჩეველი და უცვლელი ერთია, ხოლო პლატონთან და არისტოტელესთან იდეები და ფორმები უცვლელია, მაგრამ მრავალი. მათი სიმრავლის დაშვებით პლატონი და არისტოტელე ფიქრობენ გადალახონ ის სიძნელე, რომელსაც სიმრავლის ახსნის საქმეში პარმენიდესეული არსის განურჩევლობა ქმნის. მაგრამ ცვალებადობის ფენომენი, როგორც ერთთან, ისე მეორესთან, ნამდვილი სინამდვილის საუფლოში თავის ადგილსა და გამართლებას ვეღარ ნახულობს. მართალია, არისტოტელემ პლატონისაგან განსხვავებით, შესაძლებლობისა და სინამდვილის თავისი თეორიით, ცვალებადობის ფენომენის ერთგვარი რეაბილიტაცია მოახდინა,

მაგრამ, როგორც ითქვა. ის ამ საქმეში მაინც დარჩა პლატონის ერთ-გულ მოწაფედ. ერთი სიტყვით, საკითხი იმის შესახებ, თუ რატომ არსებობს საყოველთაო (სიკეთე პლატონთან, ფორმის ფორმა — არისტოტელესთან) იდეათა და ფორმათა სიმრავლის სახით და რა როლი და ფუნქცია აკისრია ცვალებადობის ფენომენს მათ სიმრავლეში, ორივესთვის ბოლომდე მიუწვდომელი დარჩა. მაგრამ ერთის — საყოველთაოს — სიმრავლის სახით არსებობის დაშვებით, მათ წარუვალი მნიშვნელობის ქვეშარტება დაუტოვეს საკაცობრიო აზროვნებას: ეს ისაა, რომ ყოფნა თავის აუცილებელ მომენტად უთუოდ მუდმივობას — ამგვარად ყოფნას — გარკვეულობას ნიშნავს და გულისხმობს. ევროპულმა ფილოსოფიამ ღრმად შეისისხლხორცა ეს დიდი ქვეშარტება.

ფილოსოფიური აზრის მრავალსაუკუნოვანი ევოლუციით გამდიდრებული ახალი დროის ევროპულ ფილოსოფიაში კვლავ მძაფრად დადგა ერთისა და სიმრავლის, ყოფნის ფუნდამენტური ატრიბუტის ცვალებადობის ფენომენთან მიმართების პრობლემა. ანტიკური ხანის ანალოგიურად, სადაც ერთიმეორეს დაუპირისპირდა პერაკლიტესა და პარმენიდეს მეტაფიზიკური სისტემები, ახალ დროში, ახალი პათოსით, ორი საპირისპირო თვალსაზრისი — სუბსტანციონალიზმი და რეალტივიზმი დაუპირისპირდა ერთიმეორეს. თითოეული მათგანი მრავალი სხვადასხვა ვარიანტით არის წარმოდგენილი თანამედროვე ევროპულ ფილოსოფიაში. ჩვენ მკითხველს, წინამდებარე შრომაში, პრობლემის გადაწყვეტის ერთი შესაძლებელი ვარიანტი შემოვთავაზებთ. რაში მდგომარეობს მისი დედააზრი?

როგორც ზემოთ არაერთხელ ითქვა, უნივერსუმის ფუნდამენტური ატრიბუტი — ყოფნა დევს სამყაროს ამგვარად მანიფესტაციის საფუძველში; ერთი, ყოფნის გამო, არის სიმრავლე. რაიმეს ყოფნა, უწინარეს ყოველისა, მის ამგვარად ყოფნას ნიშნავს. უკანასკნელი შეუძლებელია სხვასთან მიმართების გარეშე. ქვეყნიერება ამის გამო არის განსხვავებულ არსებათა სიმრავლე, და სწორედ მისი ფუნდამენტური ტენდენციაც, ყველგან და ყოველთვის, მის უსასრულო გამრავალფეროვნებაში მდგომარეობს. საკუთარი თავის დაუბოლოვებელი გამრავალფეროვნებით უნივერსუმი თავის საკუთარ „შინაგნობას“ — თავის ყოფნას ავლენს და არა მხოლოდ ავლენს და ამჟღავნებს, არამედ ადგენს კიდევაც. სამყაროს ამ ფუნდამენტურ ტენდენციაში ჩართულია მისი ყველა ძირეული ნიშან-თვისება და თითოეული მათგანი განსაზღვრული მიმართულებით ემსახურება მის რეალიზაციას. უნივერსუმის ამ ფუნდამენტალებს შორის ერთ-ერთი მთავარი და საპატიო ადგილი ცვალებადობის ფენომენს უჭირავს.

ერთი სიტყვით. რამდენადაც საყოველთაოს არსებობის ფუნდა-  
მენტურ წესს მისი სიმრავლის სახით (მრავალსახიან ინდივიდუუმებად)  
არსებობა წარმოადგენს, ცვალებადობა უნივერსუმის აუცილებელი  
ფუნდამენტალია: გზა სიმრავლისკენ და, მაშასადამე, არსებობისაკენ,  
ცვალებადობის საუფლოში გაივლის. სხეუნიარად რომ ვთქვათ, ცვალებადობა არა მარტო თავსებადია უნივერსუმის ფუნდამენტურ ატრიბუტთან, არამედ მასთან ორგანულად შეწყნული, აუცილებელი თანმხლები ფენომენია.

ასეთია ძირითადი აზრი, რომელიც ავტორმა გაატარა წინამდებარე მონოგრაფიაში.

ახლა კი, მკითხველო, უნდა გამოვეთხოვოთ ერთმანეთს. მე არ ვიცი, ცვალებადობის ფენომენის შესახებ ბჭობამ რა შთაბეჭდილება მოახდინა თქვენზე. იქნებ არ მოგეწონათ იდეა, რომელსაც ავტორი მისდევს ან მას შესაწყნარებლად თვლით, მაგრამ მისი ხორცშესხმა არ აკმაყოფილებს თქვენს მაღალ ფილოსოფიურ გემოვნებას. ან, კიდევ შესაძლებელია არც იდეით და არც მისი ხორცშესხმით იყოთ კმაყოფილი. რას იზამ, მე აღარაფერი დამრჩენია გარდა იმისა, რომ გულწრფელად ვთქვა: *Feci quod potui, faciant meliora potentes* (მე გააკეთე რაც შემეძლო, ვისაც ძალუძს უკეთ გააკეთოს).

## БЫТИЕ И ИЗМЕНЧИВОСТЬ

### Резюме

В данном труде, с позиции определенной общепилюсофской концепции, автор пытается выявить сущность феномена изменения и осветить его функцию и роль в фундаментальной тенденции универсума.

В чем же заключается эта общепилюсофская концепция автора?

Философия есть наука о фундаментальном атрибуте Вселенной и принципах осуществления обусловленной им тенденции. Каждое свойство, каждый признак мира должны быть рассмотрены в плане его основной тенденции. Если то или иное свойство не окажется в органическом единстве с «генеральной стратегией» Вселенной, то оно не может «найти» свое место в мире как едином целом. Само собой разумеется, этому правилу следует подчинить и феномен изменения.

В чем же выражается фундаментальная тенденция мира, которой своей внутренней природой, а следовательно и назначением должен соответствовать феномен изменения? Универсум — вовсе не случайный конгломерат предметов и явлений и характеризующих их всеобщих свойств; в нем что-то осуществляется и, следовательно, проявляет определенную тенденцию. Это обстоятельство указывает на то, что универсум обладает собственной имманентной природой. Какова же эта вечно действующая природа универсума, проявлением которой и является его фундаментальная тенденция? Имманентной, если можно сказать, движущей пружиной универсума является его коренной атрибут бытие. Последний представляет ту динамическую основу, на почве которой и из которой берет начало все, начиная с бесконечно малого и простого и кончая бесконечно большим и сложным.

Как существует эта «внутренность» мира и через какой механизм представляет она динамическую основу его манифестации?

Динамическая основа своеобразной манифестации универсума, то, что составляет внутренность мира, проявляет себя в его определенной тенденции. В чем же и как, конкретно, она проявляется? Самым очевидным и всеобщим фактом, с которым человек сталкивается на каждом шагу,



это то, что универсум существует в виде бесконечного множества бесконечно многообразных предметов и явлений. Как оно возникает? Оно создается вследствие активности, взаимосвязи и взаимодействия всего сущего. Именно процесс осуществления бесконечного многообразия и составляет фундаментальную тенденцию универсума. Задача данного труда состоит в выяснении роли и функции феномена изменения в вышеотмеченной коренной тенденции Вселенной.

Анализ феномена изменения с позиции фундаментального атрибута Сущего имеет длительную историю. На рассвете европейской философии проблема соотношения бытия и изменения была выдвинута в связи с вопросом об «архэ» предметов. В эллинской философии в связи с данной проблемой возникли две взаимоположенные концепции — гераклитовская и парменидовская. В философии Нового времени указанная проблема была возведена на новую, более высокую ступень, и она и ныне стоит перед философией.

Как уже отмечалось, автор пытается своеобразно решить эту проблему с позиции определенной общепhilosophической концепции. Каким путем протекает его исследование и какого основного результата он достигает? Одним из условий успешного решения поставленной им задачи автор считает установление точного содержания понятия изменения, что возможно лишь вследствие ликвидации того терминологического беспорядка, который на протяжении всего философского мышления сопровождает употребление понятия изменения и близких ему по содержанию философских понятий. В связи с этим в первой главе труда довольно подробно проанализировано понятие движения-изменения. В истории философского мышления в понятие движения вкладывалось многообразное содержание. Культурно-марксистской точки терминологический хаос достиг в марксистской философской литературе. Здесь под понятием движения подразумевается то механическое перемещение тел, то процесс изменения, то активность материи, то взаимодействие материальных систем, то формы движения материи. Данное обстоятельство, разумеется, затуманивает философскую мысль, внося в нее нежелательную путаницу. Универсум обладает множеством фундаментальных признаков, для выражения которых человеческий разум вполне закономерно создает соответствующие различные термины и понятия. Однако правомерна ли унификация вышеназванных, по содержанию явно различных понятий и вмещение их содержания в одно понятие? Никакой необходимости и основы для этого не существует. Тирания одного понятия, в данном случае понятия движения, должна быть ликвидирована. Само собой разумеется, изменение

находится в неразрывной, органической связи с такими фундаментальными признаками универсума, как активность, взаимодействие и т. п. Все это органически взаимосвязано и невозможно вне многообразия состоящего в единстве бесконечного множества сущих. Но данное обстоятельство не значит, что компоненты этого органически спаянного единого механизма Вселенной взаимотождественны. В ансамбле многообразных характерных признаков универсума изменение является одним из феноменов с совершенно определенной, особой ролью и функцией. Сущность изменения можно выразить следующим образом: изменение есть процесс приобретения или утраты «квантами» сущего тех или иных признаков в силу их активности, вследствие чего они не остаются тождественными самим себе и, следовательно, возникает многообразие конечных феноменов сущего (существующего). Очевидно, что такое определение понятия изменения делает невозможным смешивать его с другими фундаментальными, характеризующими Вселенную признаками и четко выделяет его из их числа.

Из вышеприведенной характеристики изменения явствует, что оно относится к определенному виду сущего, а именно к процессу... Общеизвестен статус свойства и процесса в структуре сущего. Оба они необходимо предполагают некий субстрат, вне которого их существование немислимо. С первого взгляда тут, очевидно, не должно быть ничего сомнительного и спорного. Однако, к сожалению, это не всегда так: там, где обычное сознание не видит никакой трудности, перед философским сознанием воздвигаются вполне определенные затруднения. Сложность и трудность интересующей нас проблемы проявила себя еще в древнегреческой философии фактом возникновения двух взаимоисключающих философских систем Гераклита и Элеатов. Как будто «притухшая» острота проблемы вновь возродилась в новое время в мышлении представителей философии жизни и процесса. Как уже было сказано свойство неизбежно подразумевает предмет, некий субстрат, характеризующей чертой которого оно и выступает. Свойство без субстрата, свойство без того или иного предмета или явления — бессмыслица. То же следует сказать и об изменении. Изменения как процесс есть изменение чего-то, а это нечто — субстрат есть носитель как свойств, так и процесса изменения. Однако же представитель философии жизни Бергсон думает совсем иначе, считая, что феномен изменения может существовать и существует вне предмета-субстанции. По его мнению, изменение — это самодовлеющий процесс, не нуждающийся в субстрате. Подобная точка зрения явно противоречит фактам. Согласно данной.

монографии первоосновой, откуда возникает все, является субстрат — субстанция, ее активность и их органическое единство. Лишь на почве неразрывности этих трех моментов всякое сущее проявляется как неповторимое бытие, если можно выразиться так, как «это бытие» или «таким образом бытие». «Таким образом бытие» сущего осуществляется выработанным природой арсеналом средств конкретизации.

К подобным средствам относятся, в частности, структура, система, сущность, форма и многое другое, посредством которых универсум утверждает и реализует фундаментальную тенденцию своего существования, тенденцию к качественно бесконечному раскрытию самого себя. Благодаря именно им происходит «фиксация» — сущего, «закрепление» его элементов, их оформление «такого рода бытием», «субстанциям-сущностями». Без всего указанного все действительно превратилось бы в бергсоповский «чистый», абсолютный процесс, а следовательно, в ничто. Коротко говоря, феномен изменения обладает раздвоенной природой: оно представляет собой диалектическое единство изменчивости и неизменности.

В своей монографии автор посвящает особую главу проблеме разновидностей феномена изменения и их взаимоотношения. Согласно дошедшим до нас источникам первым в греческой философии, кто подверг установление и классификацию видов феномена изменения философской рефлексии, был Аристотель.

Как известно, в связи с количеством видов изменения и их классификацией создает особую трудность для исследователей и вызывает в их среде спор сам принцип классификации. Современная наука детально изучает протекающие в том или ином регионе сущего изменения, устанавливает их своеобразия, составляет их классификацию исследует сложный механизм этих процессов и т. п. Все это вполне закономерно: феномен изменения является всеобщим признаком универсума, он имеет место везде и всегда. Поэтому вовсе неудивительно, что о нем создаются целые специальные теории. Но сомнительно, что во всем этом есть нечто философское, хотя в нем имеется интересный для философии материал, однако, только материал. При конкретном исследовании изменений всякого сущего не следует терять из виду главное и существенное с точки зрения философии, которая должна сквозь собственную призму обозреть собранный частными науками конкретный материал. Она призвана заинтересоваться главным образом и прежде всего содержанием феномена изменения как такового, как всеобщего процесса. Содержание же феномена изменения возможно раскрыть лишь в том случае, если

Будет выяснен тот «вклад», который вносят изменение и его виды в общую стратегию универсума, обусловленную его фундаментальным атрибутом — бытием. Указанный ориентир, по глубокому убеждению автора, есть тот единственный путь, которым должно протекать собственно философское исследование феномена изменения и взаимоотношения его видов. Одним словом, философская характеристика изменения и классификации его разновидностей может быть расшифрована лишь с горизонта фундаментальной тенденции Вселенной. Учитывая философскую традицию, автор данной монографии перечисляет семь видов изменения и характеризует роль и функцию каждого из них в фундаментальной тенденции мира.

В одной же из глав его труда речь идет об источнике феномена изменения.

Каков же конечный результат, к которому приходит автор?

Как уже сказано, в основе фундаментальной тенденции универсума, в основе его «таким образом» манифестации лежит его фундаментальный атрибут — бытие. Бытие чего-нибудь означает, прежде всего его «таким образом бытие», которое невозможно вне его соотношения с «другим». В силу этого мир предсвавляет собой множество взаиморазличающихся сущностей, и его фундаментальной тенденцией всегда и везде выступает именно процесс бесконечного качественного разветвления, которым универсум не только проявляет, но и утверждает свою собственную, «внутренность» — бытие. В этой фундаментальной тенденции мира заключены все его коренные признаки, каждый из которых определенным образом служит ее реализации. Среди фундаменталий универсума феномен изменения занимает одно из главных мест. В специальной главе, посвященной фундаментальной тенденции мира и роли феномена изменения в ее структуре, автор на основе анализа конкретного материала естествознания, делает следующий завершающий вывод: весьма велика роль изменения в области органического мира. Способность живых организмов изменяться создает первичный материал для реализации многообразия жизни, а следовательно, для ее утверждения. Аналогичную роль и функцию выполняет феномен изменения во всех остальных без исключения регионах Вселенной. Одним словом, поскольку фундаментальным правилом или способом существования всеобщего является его существование в виде бесконечного многообразия, постольку и феномен изменения выступает его необходимой фундаменталией. Этот последний не только и не просто совмещается с коренным атрибутом мира, а является его органическим проявлением и вечным спутником.

# შ ი ნ ა ა რ ს ი

წინათქმა	3
შესავალი	6
თ ა ე ი I. ცვალებადობის ცნების შესახებ	22
თ ა ე ი II. ცვალებადობის სუბსტრატისა და მისი არსებობის წესის შესახებ	55
თ ა ე ი III. ცვალებადობის სახეებისა და მათი ურთიერთობის შესახებ	96
თ ა ე ი IV. ცვალებადობის ადგილი და როლი სამყაროს ფუნდამენტურ ტენდენციასა და სტრუქტურაში	148
თ ა ე ი V. ცვალებადობის წყაროს შესახებ	183
ბოლოთქმა	196
Бытие и изменчивость (резюме)	204

Акакий Барнабович Циминтия

БЫТИЕ И ИЗМЕНЧИВОСТЬ

(на грузинском языке)

ТБИЛИСИ  
МЕЦНИЕРЕБА  
1989

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის  
სამეცნიერო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

სბ 4032

გამომცემლობის რედაქტორი ს. ხ ა ნ ჭ ა ლ ა ძ ე  
მხატვარი ზ. დ ე ი ს ა ძ ე  
მხატვრული რედაქტორი გ. ლ ო მ ი ძ ე  
ტექნიკური რედაქტორი ნ. ბ ო კ ე რ ი ა  
გამომწვები ელ. მ ა ი ს უ რ ა ძ ე

გადაეცა წარმოებას 15. 3. 1989; ხელმოწერილია დასაბეჭდად 24. 4. 1989;  
ქალაქის ზომა 60X90<sup>1/16</sup>; ქალაქი № 1; ბეჭდვა მაღალი;  
გარნიტურა ვენური; პირობითი საბეჭდო თაბახი 13.0;  
პირ. სალ. გატ. 13.25; საალრიცხო-საგამომცემლო თაბახი 11.28;  
ტირაჟი 1000; შეკვეთა № 745  
ფასი 2 მან. 30 კაპ.

---

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19  
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

---

საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი 380060, კუტუზოვის ქ., 19  
Типография АИ Грузинской ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19